CMYK

# საერთო გაზეთი

№13 (197) ● 14-20.III, 2012 წელი ● გამოდის ყოველ ოთხშაბათს ● www.saertogazeti.ge; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

## biZina ivaniSvi l i biZina ivaniSvi l is winaaRmdeg





**ბიძინა ივანიშვილი:** „წასვლა მინდოდა აქედან და ჩემს გადაწყვეტილებას იმით ვხსნიდი, რომ პოლიტიკაში მოსვლით მე თვითონვე ვანგრევდი ჩემს მიერვე სავალდებულოდ მიჩნეულ ნორმას, რომ მე არასოდეს მოვალ პოლიტიკაში და არ გადავუხვევ იმ მსოფლმხედველობას, რომელიც ავირჩიე."

## Tbi l isSi xuTi didi meCeTi Sendeba?!



## feisbukis omi — quTaisis sagubernatoriodan gogosaSvi l s damarxviT daemuqrnen

ISSN 2233-3983

## saakaSvi l is momxreebi, rogorc maimuns abruneben gal iaSi, ise abrundebden gaqceul prezidents sxdomaTa darbazSi

**ზაზა გოგსაძე:**

## 2012 w l is a r Cevnebs auci l eb l ad movigebT!



## `be l a Cao~, `be l a Cao~, anu biZina ivaniSvi l is gzavni l i nino bur j anaZes



## mimarTva qarTvel xa l xs



მოგიწოდებთ ყველას, ვისაც სურვილი გაქვთ, ქართული ფულით და პატრიოტული სულისკვეთებით დავამარცხოთ სააკაშვილის ნაცმოძრაობა ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში, თავად ჩვენ, ხალხმა მოვუსპოთ ცილისწამების საფუძველი ამ გათავხედებულ ხელისუფლებას, რომელიც უსინდისოდ ამტკიცებს ივანიშვილი „რუსული ფულით" რუსული საქმის გაკეთებას აპირებსო. სასურველი იქნება, თუ ფულის შემწირველი მოქალაქე თავის ვინაობას და თანხის წარმომავლობას ოფიციალურად დააფიქსირებს, რითაც სააკაშვილის პროკურატურას ხელ-ფეხი შეეკვრება და შემწირველისგან მისთვის სასურველ ჩვენებას ველარ მიიღებს.

პირადად მე ერთადერთი ქონება მაქვს — 1992 წელს გამოშვებული მსუბუქი ავტომობილი „ფორდ-ესკორტი", რომელსაც ამ დღეებში გავყიდი და თანხას „ქართული ოცნების" ანგარიშზე გადავრიცხავ.

ვთხოვ ჭეშმარიტებისთვის მებრძოლ ყველა გაზეთს ამ განცხადების გავრცელებას.

ქართული ფულით დავამარცხოთ ეს უმგვანი ხელისუფლება!

**მერაბ შათირიშვილი,**
მწერალი

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# sanam iqneba vova, iqneba miSac...

ქართველი პოლიტიკოსები უფრო ადვილად და იოლად ხვდებიან რუსეთის პრეზიდენტ პუტინს, ვიდრე საქართველოს პრეზიდენტ სააკაშვილს.

როგორც თვითონ თქვა, პუტინს უყვარს ქართველები და ალბათ, ამიტომაც არასოდეს არ ამბობს უარს მათთან შეხვედრაზე.

სააკაშვილსაც უყვარს ქართველები, ოღონდ მხოლოდ ისეთი ქართველები, რომლებსაც მის დანახვაზე ელეთ-მელეთი ემართებათ და ეგრევე მიშა-მიშას ყვირილს იწყებენ.

პუტინი მესამედ გაპრეზიდენტებიდან მეოთხე დღესვე სააკაშვილის მიერ განდევნილ მორიგ ქართველს შეხვდა და კარგა ხანს ესაუბრა.

მართალია, არავინ იცის, რაზე ისაუბრეს ქართველთმოყვარე პუტინმა და პუტინის მოყვარე ამ ქართველმა, მაგრამ ეს არცაა მთავარი – მთავარი ისაა, რომ შეხვდნენ.

როგორც კულუარული ინფორმაცია იუწყება, ქართველს პუტინისთვის უკითხავს, რას უპირებ, ვოვა, საქართველოს და მის ხელისუფლებასო? იმას კიდევ მოკლედ უპასუხია – საქართველოს შემოევლოს ჩემი თავი, მაგრამ მის ხელისუფლებას სათოფედ არ გავიკარებო.



ამ ამბის გასაგებად ხომ არ მიაგზავნეს ეს ოპოზიციონერი ქართველი, როგორც ამბობენ, პუტინის მეგობარი, პუტინთან მიშამ და მისმა ბიჭებმა?

შეხვედრაზე, იმაზეც ყოფილა საუბარი, დააბრუნებს ბოლოს და ბოლოს პუტინი აფხაზეთს და ე.წ. სამხრეთ ოსეთს თუ არა?

ვერა და ვერ გაიგეს ამ ჭკვიანმა ქართველებმა, რომ პუტინს ძალიანაც რომ უნდოდეს, არაფრის დაბრუნება არ შეუძლია.

მას შეუძლია წართმევა, მაგრამ დაბრუნება მის ძალ-ღონეს აღემატება.

პუტინის ბოლოდროინდელი განცხადებები კიდევ უფრო აძლიერებს ეჭვს, რომ პუტინი კასპის რაიონის სოფ. მეტეხიდანაა და საქართველოს ხელისუფლებასთან, როგორც საყვარელ „ზემლიაკებთან“, ფარული სიყვარული და მეგობრობა აკავშირებს.

ალბათ, ამიტომაცაა კრიზისულ მომენტში ბატონი პუტინი ისეთ „სატოპკეს“ აუწევს ხოლმე მიშას, რომ წასაქცევად გამზადებული სააკაშვილი მყისვე წელში იმართება.

ნიშანდობლივია ერთი გარემოებაც: ქართველი პოლიტიკოსებიდან ვინც პუტინთან ჩავიდა, ყველა პოლიტიკურ სამარეში ჩავიდა და იქიდან მათ ამოთხრას და გაცოცხლებას წლები დასჭირდება, მიშა კი კვლავ მხნედ არის და ძალაუფლების დათმობას არც აპირებს.

სანამ იქნება ვოვა, იქნება მიშაც, გასულელებული ქართველები კი აღმა-დაღმა ირბენენ მოსკოვსა და თბილისს შორის...

# Salva, Cemo sixarulo



შალვა „სუბიექტურ აზრში“, შალვა „აკრედიტაციის გარეშეში“, შალვა – რადიოში, შალვა – ქუჩაში, შალვა – პარლამენტში, შალვა – ბანკში, შალვა – ბარში, შალვა – მთაში.

გადაარქვით ბარემ ამ „მაესტროს“ სახელი და „შალვავიზია“ დაარქვით.

„მაესტროს“ ეთერში ძალიან ბევრი, უსაზღვროდ ბევრი შალვაა და ეს იმდენად მომაბეზრებელია, რომ შეიძლება გადამლაშებულ-გადაშავლებულ ამ ფსიქოლოგიურ სტრესს ვერ გაუძლო და თავმობეზრებულმა ღილაკი „რუსთავი-2“-ზე ან, ფუი, ეშმაკს, „იმედზეც“ კი გადართო.

იქნებ ამიტომაცაა ასეთი დიდი დოზით ერთი შალვა „მაესტროს“ ეკრანზე, რომ ეს ყველაფერი ყელში ამოგივიდეს და სხვა ტელეარხებს მიაშურო სულის მოსათქმელად?

– შოუმენი ვარ, მე, შოუმენიო, – იძახის პატივცემული შალვა და ფიგაროსავით ყველგან ის არის.

დაასვენეთ ეს კაცი, თორემ ამდენი ლაპარაკისა და ამდენი სირბილისგან ქანცგაწყვეტილი ზოგჯერ პირდაპირ ღია ეთერში ყვინთავს.

დაასვენეთ ეს კაცი და დაგვასვენეთ ჩვენც, სანამ მართლა „იმედზე“ არ გადავრთულვართ მთელი საქართველო.



# deklaranti

– ჩემი დეკლარაცია არის ეს საავადმყოფო! ჩემი დეკლარაცია არის ახალი სკოლები! ჩემი დეკლარაცია არის ახალი გზები! ჩემი დეკლარაცია არის ახალი შენობები! ჩემი დეკლარაცია არის, ეს, ეს, ეს, ეს – ემოციურად შლიდა ხელებს ბატონი მიხეილი და მის მიერ თუ სხვის მიერ გაკეთებულ საქმეებზე თავმომწონედ ღაღადებდა და ღაღადებდა.

თავმდაბალი კაცია ბატონი მიხეილი და თავის „დეკლარაციაში“ არაფერი უთქვამს იმის შესახებ, რომ მისი დეკლარაციაა – დაკარგული აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი, ათიათასობით პატიმარი და ასიათასობით პრობაციონერი, მილიონამდე სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოქალაქე, ქუჩაში ჩახოცილი ახალგაზრდები, გაყალბებული არჩევნები, შეურაცხყოფილი და გაუპატიურებული დემოკრატია, ფართოდ დანერგილი შიში, ტერორი, სიყალბე, დემაგოგია, საქართველოსთვის და დანარჩენი მსოფლიოსთვის თვალში შეყრილი ტონობით ნაცარი და კიდევ სხვა უამრავი სიკეთე.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება
შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

**გვესაუბრება ბიძინა ივანიშვილის მრჩეველი, დიპლომატი ზაზა გოგსაძე:**

**— ბატონო ზაზა, რა ხდება „ქართულ ოცნებაში“, როგორ მიმდინარეობს პარტიული სტრუქტურების მშენებლობის პროცესი?**

— ყალიბდება „ქართული ოცნების“ ორგანიზაციები, აქტიურად ვხვდებით რეგიონების მოსახლეობას და ვემზადებით ოქტომბრის არჩევნებისთვის. რა თქმა უნდა, შორს ვართ იმ აზრისგან, რომ არჩევნებზე ყველაფერი რიგზე იქნება, მაგრამ მერწმუნეთ თუ გაყალბება მოხდება, ხალხი თავის სათქმელს მაინც იტყვის.

**— თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციები ღიად საუბრობენ იმაზე, რომ ამ პირობებში შეუძლებელია ოპოზიციამ ხელისუფლებას მოუგოს გაყალბების გარეშეც კი.**

— არა, პირიქით, გამოვრიცხავ ხელისუფლების მხრიდან ამ არჩევნების მოგებას. რასაკვირველია, საარჩევნო სიები უნდა დაზუსტდეს, ვიბრძოლებთ, რათა ყველაფერი თავის ჩარჩოში ჩაჯდეს. მთავარი მაინც არჩევნებზე ხალხის მოსვლაა. მათ არ უნდა ჩათვალონ, რომ არჩევნები მაინც გაყალბდება და მოდი სახლში დავრჩებითო. თითოეული ადამიანის აქტივობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. იმედი მაქვს და დარწმუნებულიც ვარ, რომ ძალიან მაღალი აქტივობა იქნება იმიტომ, რომ ხალხს ასე ცხოვრება უკვე აღარ შეუძლია, ისინი ცვლილებებისთვის ემზადებიან, რაც არჩევნების გზით უნდა მოხდეს.

**— საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება ახსენეთ, თუმცა ამ საკითხზე, სამწუხაროდ ხელისუფლებასთან შეთანხმება ვერ შეძლო ვერც ოპოზიციურმა „რვიანმა“, ვერც „ექვსიანმა“ და შედეგად მივიღეთ უარესი საარჩევნო გარემო პირობები, ვიდრე წინა წლებში იყო.**

— დიახ, რასაკვირველია, ამ მიმართულებით აქტიური სამუშაოებია ჩასატარებელი. ძალიან ცუდია, როცა ხელისუფლება ამაზე არ მოგვყვება, მაგრამ ჩვენ ფარხმალის დაყრას არ ვაპირებთ. პირიქით, საზოგადოების აქტიურობის დახმარებით 2012 წლის არჩევნებს აუცილებლად მოვიგებთ და ხელისუფლებას გადამწყვეტ დარტყმას მივაყენებთ. არ გეგონოთ, რომ ხელისუფლება მშვიდადაა. იგი სწორედ იმიტომ არ აუმჯობესებს საარჩევნო გარემოს, ცვლის კანონებს სათავისოდ, რომ მშვენივრად იცის ეს რომ გააკეთოს არჩევნებს წააგებს.

**— ანუ ხელისუფლებას არჩევნებში წაგების ეშინია, ამ ლოგიკით გამოდის, რომ იგი გაყალბებაზე წავა.**

— როგორც უნდათ, ისე ირგებენ კონსტიტუციას, კანონებს საკუთარ თარგზე ჭრიან. ჩვენ სწორედ ეს გვინდა, რომ ვერავინ შეძლოს კონსტიტუციის საკუთარ ხუშტურზე შეცვლა. ჩვენი მთავარი ამოცანაა, საქართველოში ინსტიტუტებმა იმუშაოს. ნაციონალები ოფიციალურად არა, თუმცა შიდა წრეებში ამბობენ — რა დროს დემოკრატიაა, ჯერ ძლიერი სახელმწიფო უნდა გავხდეთ, რათა გარე გამოწვევებს გავუმკლავდეთ და შემდეგ ავაშენოთ დემოკრატიაო. ეს მარცხისთვის განწირული შიდა მოხმარების თეორიაა. ვერანაირად ვერ ააშენებ ძლიერ სახელმწიფოს, თუ ძლიერი დემოკრატია არ გექნა. თუნდაც რუსეთი, გაცილებით დიდ ანგარიშს გაუწევს დემოკრატიულ საქართველოს, ვიდრე ავტოკრატიულს, რაც დღეს გვაქვს. ბოლო 8 წელია გამუდმებით ერთ წრეზე ვტრიალებთ, ხელისუფლების ტყუილებში ვცხოვრობთ, ეს უნდა დამთავრდეს.

**— არჩევნების გაყალბების შემთხვევაში თუ გაქვთ რაიმე სტრატეგია შემუშავებული, თუ არსებობს მოქმედების გეგმა?**

— გარწმუნებთ, ხალხი აღარ მოითმენს გაყალბებულ არჩევნებს. ვნახოთ მერე რა და როგორ იქნება. შევეცდებით ყველაფერი კანონის ჩარჩოებში მოვაქციოთ.

**— ხელისუფლებამ პიარ-კამპანია რა ხანია დაიწყო. ივანიშვილის გუნდს კი ჯერ პარტიაც არ აქვს.**

**— ბატონ ბიძინას საკმაოდ ბევრი მომხრე ჰყავს, თუმცა რაღაც ნაწილში კვლავ უიმედობამ დაისადგურა. თქვენთვის თუ არის ცნობილი როგორია ამ ეტაპზე „ქართული ოცნების“ მიმართ საზოგადოების განწყობა, მოლოდინები?**

— ჩემთვის ცნობილია ერთი რამ, საზოგადოებაში დღეს ისეთი განწყობაა, რომ აღარ უნდათ ეს ხელისუფლება, ხალხი ცვლილებებს ითხოვს. რასაკვირველია, მთელი საზოგადოება ერთ აზრზე ვერ იქნება, ზოგი მეტად გააქტიურებას ითხოვს, ზოგიც პირიქით, ზუსტი ციფრი არ მაქვს. თუნდაც, ასე იყოს, არც ესაა გასაკვირი. დარწმუნებული ვარ, არჩევნების მოახლოებისას უფრო მეტად გაიზრდება აქტიურობა, ვიდრე ეს იყო თუნდაც დასაწყისში. ეს პროცესია, რომელიც ვითარდება.

**— თქვენ დიპლომატი ბრძანდებით და საგარეო ურთიერთობებზეც მინდა გკითხოთ. პუტინმა არჩევნებში გამარჯვების მეორე დღესვე საქართველოს ხელისუფლება დაადანაშაულა აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის საკითხის მოუგვარებლობაში. ფაქტობრივად, მან განაჩენი გამოგვიტანა. როგორ შეაფასებთ მის განცხადებებს?**

— საქართველოში სხვა შედეგს არც არავინ ელოდა. ყველამ ვიცოდით, რუსეთში ისეთი სისტემაა შექმნილი, რომ მის სათავეში უეჭველად პუტინი მოვიდოდა. უახლოესი 12, მინიმუმ 6 წლის მანძილზე საქართველოს პუტინთან მოუწევს ურთიერთობის დამყარება. ასეთ პოზაში დგომა — სანამ ჩემს ტერიტორიაზე ოკუპანტი იქნები, ჯარებს არ გაიყვან, არ დაგელაპარაკები, ეს მართებული პოზიცია არ არის. რუსეთს უნდა დაველაპარაკოთ და პარალელურ რეჟიმში, რასაკვირველია, ოკუპირებული ტერიტორიების დატოვება მოვთხოვოთ.



# zaza gogsaZe:

# 2012 wlis arCevnebs aucileblad movigebT!

**— როდის იგეგმება პარტიის ჩამოყალიბება, რატომ გვიანდება ეს პროცესი?**

— ძალიან მალე. შემაფერხებელი ფაქტორია ის, რომ ხელისუფლება ყოველი ფეხის ნაბიჯზე წინააღმდეგობას გვიწევს. გარდა ამისა, პარტიის შექმნა დროს მოითხოვს, სტრუქტურების ჩამოყალიბება, ხალხის ოპტიმალურად შემოყვანა, ბირთვის შექმნაა საჭირო.

**— ივანიშვილის გუნდში პოლიტიკური დუღილი შენელებულია — ასე ამბობენ თქვენი ოპონენტები. რატომ ფერხდება გააქტიურების პროცესი, ტემპი რატომ არ არის აკრეფილი?**

— ერთი რაღაც არის აქ საყურადღებო, ხელისუფლებას ყველა რესურსი აქვს, პიარისთვის ჰყავს ტელევიზიები, რომელთაც აქეთიქით დაატარებს და ამიტომ უფრო მეტად ჩანს მისი გაკეთებული, ვიდრე ჩვენი. ვერ ვიტყოდი, თითქოს ბატონი ბიძინა არ აქტიურობს, პირიქით, იგი ძალიან აქტიურობს, მუდმივად ხვდება მოსახლეობას. რასაკვირველია, ერთ დონეზე აქტიურობის შენარჩუნება, როცა რაღაც მიზნისკენ მიდიხარ, შეუძლებელია. ხდება ხან ზევით, ხან ქვევით სვლა, სიტუაციის ტალღოვანი განვითარება. ამიტომ არ ვთვლი, რომ ეს მოძრაობა მინელებულია, მაგრამ კიდევ უფრო გააქტიურდება და ოპტიმალურ პიკს არჩევნების წინ მივაღწევთ.

**— რა ხდება რეგიონებში, ხშირად მესმის, რომ ამ კუთხით ვითარება არცთუ სახარბიელოა.**

— რეგიონებში ოფისების ნაწილი გახსნილია, სრულად ეს პროცესი დაახლოებით ერთ თვეში დამთავრდება, ანუ ამ დროში უკვე ყველა რეგიონში იქნება „ქართული ოცნების“ ოფისები.

მაგრამ საერთო ჯამში ეს დადებითი მოვლენაა. ხალხში აგორებულია ტალღა, რომელიც არსებულ ყოფას ვეღარ ეგუება. ხალხს მობეზრდა პიარული ცვლილებები, ვითომ რაღაც კეთდება, სინამდვილეში კი არაფერიც არ კეთდება. მოსაწყენია თუნდაც იმის მოსმენა, რომ, თურმე, საქართველოში ბიზნესის დაწყება ძალიან ადვილია. ამ დროს, ბიზნესს კი დაიწყებ, მაგრამ მერე რაში გამოიყენებ ან როდის დაიხურება, არავინ იცის, ამ მიმართულებით, შეიძლება ბოლო ადგილზეც ვიყოთ.



**— თავიდან, როცა „ქართული ოცნების“ ოფისი გაიხსნა, ძალიან ბევრი ადამიანი მოაწყდა დასარეგისტრირებლად, თუმცა ახლა აქტივობა მოკლებულია. რით არის ეს განპირობებული?**

— აქტივობა შენარჩუნებულია. შეიძლება დასაწყისში უფრო მაღალი აქტიურობა იყო, ვიდრე ახლაა. ეს ყოველთვის ასე ხდება. თუმცა, არ ვიცი, ამ ეტაპზე რა სიტუაცია,

პუტინის გამარჯვების შემდეგ გამოქვეყნდა ინტერვიუ ლილია შევცოვასთან, სადაც იგი ამბობს: „პოლიტიკაში დასარჩენად პუტინმა ყველაზე მოსალოდნელი გზა აირჩია. იგი დაუბრუნდა იმ ტრადიციულ რუსულ მატრიცას, რომელსაც მილიტარიზაცია, მტრების გარემოცვაში მყოფი რუსეთის სახის შექმნა და საგარეო მტრების ძებნა ჰქვია. ასეთ რუსეთში ძალაუფლება ყოველთვის პერსონიფიცირებული იყო. ბუნებრივია, რომ პუტინის მიერ არჩეული გზა რუსეთს ჯადოქრებზე ნადირობამდე, საზოგადოებაზე კონტროლის გამკაცრებამდე მიიყვანს. პუტინი ცდილობს, რუსეთის მოაზროვნე უმცირესობა მორჩილ უმრავლესობას დაუპირისპიროს“. შევცოვას აზრით, როგორც პუტინი მოქმედებს, სააკაშვილის მიმართაც საზოგადოებაში აბსოლუტურად იდენტური განწყობაა. განა სააკაშვილიც საზოგადოებაში სულ მტრებს არ ეძებს? ქართველი მოსახლეობა მუდმივად აღნიშნავს, რომ სააკაშვილმა საზოგადოება ერთმანეთს დაუპირისპირა, გახლიჩა, სწორედ ამაში ადანაშაულებენ პუტინსაც.

**— პოლიტიკოსებისგან, ექსპერტებისგან ხშირად მსმენია, რომ რეალურად სააკაშვილი ხელისუფლებაში რუსეთის დასმულია და რომ იგი პუტინს კიდეც აწყობს. ამ ლოგიკით გამოდის, რომ სააკაშვილის მმართველობა ისევ შეიძლება შენარჩუნდეს?**

— ამაზე მოკლედ გიპასუხებ — პუტინს შეიძლება არ უყვარს სააკაშვილი, მაგრამ იგი ხელისუფლებაში აწყობს. თბილისიდან 50 კმში მათი სამხედრო ბაზა დგას. ჩვენც რომ ვიყოთ პუტინის ადგილას რა კარგი პარტნიორია სააკაშვილიო, ვიფიქრებთ.

**— აქედან გამომდინარე, ხომ არ არსებობს საფრთხე პუტინმა სააკაშვილის ხელისუფლების შენარჩუნებაზე „იზრუნოს“?**

— ვერავინ იზრუნებს ამაზე გარედან, თუ ქართველი ხალხი გადაწყვეტს, ვინ უნდა იყოს ქვეყნის სათავეში. ტყუილად ჰგონია ქართველ ხალხს, რომ ჩვენ ვიღაც, თუნდაც ამერიკიდან ან რუსეთიდან ხელისუფალს დაგვისვამს. მერწმუნეთ, ასე არაა. ხელისუფლების სათავეში იქნება ის, ვისაც ქართველი ხალხი გადაწყვეტს.

**— სააკაშვილმა პარლამენტში გამოსვლისას განაცხადა, ტყუილად ელოდებით, რომ გუდიანი დეიდები ან ბიძიები წამიყვანენო.**

— მას თვითონ ქართველი ხალხი წაიყვანს. ეს მონსტრები, მუმიები და წარსულიდან გადმონაშთი ხალხი, როგორც თავად გვიწოდებს, წაიყვანს სწორედ სააკაშვილს. ყველა თაობა ერთი მიზნისთვის გაერთიანდება და გაუშვებს სააკაშვილს. თაობებს შორის ხიდებია აღსადგენი. როგორ შეიძლება თაობებს შორის გამავალი ხიდების დაწვა?! — 40 წლის ადამიანს მუმიას ეძახის და სკოლაში 15 წლის ბავშვებს ეუბნება, თქვენ უნდა შემცვალოთო. ანუ სანამ ეს 15 წლის ბავშვი 30-35 წლის არ გახდება, იქამდე სააკაშვილი არ უნდა შეიცვალოს?! სწორედ თაობებს შორის დამწვარ ხიდებს აღადგენს და ხელახლა ააშენებს ბიძინა ივანიშვილი, ეს გარდაუვალია.

**— რაც შეეხება, რუსეთთან სავიზო რეჟიმის გაუქმებას, როგორ უყურებთ ამ გადაწყვეტილებას და პუტინის პასუხს ამ ყველაფერზე?**

— ჩემი აზრი ასეთია, ერთი მხრივ, ქვეყანას „ოკუპანტს“ ეძახი, ამ დროს იგი ჩვენი ყველაზე უფრო დიდი საფრთხე, გამოწვევაა და მეორე მხრივ, სავიზო რეჟიმს აუქმებ, ამ მოვლენის ახსნა არ შეიძლია. ვის უხსნი საზღვარს „ოკუპანტს“? ეს ყველაფერი საზოგადოების თვალის ასახვევად, მათ მოსატყუებლად კეთდება. კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა ქვეყნის ნომერ პირველი ამოცანაა. მაგრამ მაშინ, როცა მთელი რიგი საფრთხეებია, მოუწესრიგებელია ურთიერთობები, არ არსებობს დიპლომატიური ურთიერთობა და ამ დროს საზღვარს ხსნი, რაზეა ეს გათვლილი? — რა თქმა უნდა, თვალთმაქცობაა და მეტი არაფერი.

**— ხომ არ არის შესაძლებელი, სააკაშვილმა არჩევნებამდე კონფლიქტის პროვოცირება მოახდინოს.**

— მისგან გამორიცხული არაფერია. იგი ისე ებღაუჭება პოსტს, ყველანაირ ნაბიჯს გადადგამს ხელისუფლების შესანარჩუნებლად.

**თამარ შველიძე**

# saakaSvilis momxreebi, rogorc maimuns abruneben galiaSi, ise abrundebden gaqceul prezidents sxdomaTa darbazSi



***გვესაუბრება პარლამენტარი პეტრე მამრაძე.***

**— ბატონო პეტრე, პარლამენტში დებატების დროს სააკაშვილს ფსიქონერვული აშლილობა დაემართა და დარბაზიდან გაიქცა; მიუხედავად ყველაფრისა, ნაციონალები მომავალ არჩევნებში გამარჯვებაზე საუბრობენ, თქვენ, ასე ფიქრობთ?**

— ვინც სააკაშვილს ახლოს იცნობს (მე მას 1992 წლიდან ვიცნობ) ყველამ იცის, რომ ის არის პიროვნება, რომელსაც ნერვიული დაძაბულობის დროს შეიძლება **მას დაემართოს ნებისმიერი ფსიქოფიზიოლოგურ რეაქცია.** მე მერიდება ჩამოვთვალო ის, რა იგულისხმება ამაში. ვფიქრობ, ყველამ ნახა ასევე ის, თუ რა დაემართა მას გორში, როგორ განერთხა ის მიწაზე შეშინებული იმ დროს, როცა არაფერი არ ხდებოდა არც ცაში, არც ხმელეთზე. მას მაშინაც რაღაც მოელანდა. ასეთივე ნერვიული ფსიქოფიზიოლოგიური აშლილობა დაემართა მას ანაკლიაში ლიფტში, როცა დენი გაითიშა. ასე რომ მისმა ახლო გარემოცვამ კარგად იცის, რა ემართება ხშირად, ამიტომ ისინიც ნერვიულობენ რომ სააკაშვილს პარლამენტში ისეთი რამ არ დაემართოს, მისი გამოსვლა მათთვისაც ბოლო დღე არ აღმოჩნდეს. ვერ წარმოიდგენთ, რას არ კადრულობენ ასეთი გამოსვლის დროს. მაიმუნების გალიაში არ ხდება ის, რაც ამ დროს პარლამენტში ხდება.

ბოლო პარლამენტის დებატებისას რაც იხილეთ კიდევ რბილად დამთავრდა ყველაფერი. გაქცეულს კი გაეკიდნენ და ძლივს დააბრუნეს. რბილად დამთავრდა მეთქი, რომ ვამბობ, ვგულისხმობ იმას, რომ მას ფსიქოფიზიოლოგიური რამ შეიძლება მოსვლოდა, რაც მსოფლიოს წინაშე შეგვარცხვენდა მთელ ერს.

დაბრუნებულმა სააკაშვილმა როცა თქვა, მამას დავურეკეო, ამას ნებისმიერი ფსიქოლოგი გასცემს პასუხს. ხოლო მობრუნებულმა, რაც ილაპარაკა, ეს იყო რეაქცია უკვე ფსიქოანალიზის, იყო ცნობიერების ნაკადი, რომლის გარჩევა არ შეიძლება. თუმცა, მისი მოხსენება ამ დებატებამდეც არ იყო არანაირად საინტერესო. სხვა წლებში რა დაპირებებიც ჰქონია, ფაქტობრივად ისინი გაიმეორა. ერთადერთი სიახლე იყო ის, რომ ოკუპანტი ქვეყნისათვის უვიზო რეჟიმს ვქმნიო.

ის რაც გია ცაგარეიშვილმა და ჯონდი ბაღათურიამ გაახმაურეს, ვფიქრობ, არავისათვის ახალი არ იყო. ყველაფერი დოკუმენტურად იყო დასაბუთებული, ახლა ის, რომ დიდძალი ქონება გადაეცა იმ სასწავლებელს, რომელსაც მისი დედა მართავს? ეს განკარგულებები ხომ სააკაშვილის მიერ არის ხელმოწერილი? ასევე არ მიიღო მისმა მეუღლემ საჩუქრად მილიონი ლარი, სადაც მისი საწარმო „მუზა" ფიგურირებს?

პირადად სააკაშვილის დეკლარაციაში არ არის მითითებული მისი რეალური ქონება, რაც კი არის, ის უკვე სისხლის სამართლის დანაშაულია, რადგანაც პრეზიდენტობის დროს მისი ქონება ერთი ასად გაზრდილია — ხოლო წყარო მითითებული არ არის. არ არის ეს დანაშაული? აბა, სხვა ვინმემ გაბედოს და დეკლარაციაში შეცდომით ჩაწეროს რამე, ერთ ამბავს ატეხენ!

როცა მასთან შეხვედრებზე ნაციონალები მიდიან და ხალხი საბარგულებით და ავტოუსებით მიჰყავთ შეხვედრებზე, ამით აჩვენებენ, რომ მიშა, მარტო არა ხარ, სტრესში ნუ ჩავარდები. ის მე მაგონებს სააბოვის გმირს კინოფილმიდან „კავკასიელი ტყე ქალი". საახოვს ჰქონდა პრობლემა ან ახალგაზრდა ქალი უნდა მოეყვანა ცოლად ან ის წაიყვანა პროკურატურაში. მიშაც ასეა, ან უნდა მოიგოს არჩევნები თავის 5-6 თანამოაზრე მეგობარ მილიონერთან ერთად, რომელნიც მართავენ ქვეყანას, ან მათ ყველას ერთად წაიყვანენ პროკურატურაში! ეს კი მათ არ უნდათ, როგორც სიკვდილი. სააკაშვილის ხელში საქართველო ერთი კაცის „დუქნად" არის ქცეული!

დღეს მას უკვე ვერ წარმოუდგენია, რომ შეიძლება არსებობდეს ოდესმე ისეთი დრო, როცა ის პირველი კაცი არ იქნება აბსოლუტური უფლებებით. ეს ფიქრიც კი ფსიქოზში აგდებს მას. შესაძლებლობების შეზღუდვის გაფიქრებაც კი ანგრევს მის ფსიქიკას.

**— პუტინი დაბრუნდა რუსეთის პრეზიდენტად, როგორ იმოქმედებს ეს ყველაფერი ქართულ პოლიტიკაზე, გარდა ამისა, მან განაცხადა, რომ ის სააკაშვილმა „გადააგდო", რას ნიშნავდა ეს?**

პუტინი დაბრუნდა იმ პოსტზე, რომელიც რეალურად არც მიუტოვებია არასოდეს. რაც შეეხება მის „გადაგდებას", აჭარის საქმეს უკავშირდება ყოველივე. კერძოდ, მან თქვა, რომ სააკაშვილი შეგვპირდა, და გვთხოვა თუ ჩვენ აბაშიძეს აქედან წავიყვანდით, ის თავს დაანებებდა მის დევნას, და პრობლემები არ იქნებოდა. ამიტომაც ის მათი თხოვნით წავიყვანეთ, ახლა კი აცხადებენ, რომ ამ ადამიანის მიმართ სისხლის სამართლის საქმე არის აღძრული. ჩვენ რა ვქნათ, — თქვა პუტინმა, ჩვენ ჩვენს სიტყვას ვერ დავარღვევთ; მეორე „გადაგდების" საკითხი იყო ის, სამხედრო ბაზები რომ აქედან წავიდოდა, უნდა შექმნილიყო აქ ანტიტერორისტული ცენტრი. არც ეს არ შეიქმნა. სხვა საქმეა კიდევ ის, კარგი იყო ეს თუ არა. მე როგორც ვიცი, აშშ- ამის წინააღმდეგი არ იყო.

**— სად უნდა შექმნილიყო ეს ანტიტერორისტული ცენტრი?**

— აჭარაში, სხვათაშორის ბუშს უნდოდა ამ ცენტრის ჩამოყალიბებაში ჩვენი დახმარება.

ასე რომ, ეს ყველაფერი პუტინმა ეხლა გაიხსენა, ისიც ცნობილია, რომ ის არის ისეთი ხასიათის პიროვნება, თუ ვინმემ მოატყუა ან „გადააგდო" — როგორც ამ შემთხვევაში, ის ასეთ ადამიანთან წყვეტს ურთიერთობას, თუ უარესი არა!

მე მახსოვს, სააკაშვილის ავანტიურა 2004 წლის 19 აგვისტოსაც, ცხინვალის რეგიონში, რომელსაც შემდგომში თავად კატასტროფა უწოდა. ეს იყო სისხლისღვრა და შემდეგ ქართული შეიარაღებული ძალების უპირობო გამოყვანა. მხოლოდ ამ უპირობო გაყვანამ შეაჩერა 38 არმიის მარშით მსვლელობა როკის გვირაბისაკენ, მეორე მხრიდან. მე მაშინ მითხრა ერთმა დასავლელმა პოლიტოლოგმა, რომ პუტინი არის ჩეკისტი და ვიცით მოვიდა ის პოლიტიკაში, ხოლო თქვენი პრეზიდენტი არის ფსიქოპათი, რომელსაც ქვეყნის მართვა არ შეუძლია, ამის შემდეგ კი ნახეთ, პუტინი გამოიყენებს სააკაშვილს ყველგან და ყველაფერში ისე, როგორც ტუალეტის ქაღალდსო! — ეს, მართლაც, ასე მოხდა. სააკაშვილ-პუტინის ტანდემი არის ძალიან მძიმე ჩვენი ქვეყნისათვის. პუტინს სჭირდება მტრის ხატი ხალხის მობილიზაციისათვის და ვფიქრობ, ქართველმა ხალხმა, უნდა შეაჩეროს ეს პროცესი დემოკრატიულად სამართლიანად და კანონიერად. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პრეზიდენტისთვის და მისი ფსიქიკისათვის შეუთავსებადია ის, რომ არ იყოს პირველი პირი აბსოლუტური უფლებებით.

დღევანდელი ხელისუფლებისათვის შეუთავსებელია თანამდებობებიდან წასვლა — ეს თქვა ლინკოლნ მიჩელმა, ის არის ცნობილი მეცნიერი, მან დაწერა წიგნი „ვარდების რევოლუციაზე", — ავტორი მიუთითებს დღევანდელ სიტუაციაზე და ამბობს — „დღეს საქართველოში პრობლემა საარჩევნო კოდექსი კი არ არის, არამედ პრობლემაა ის, რომ არსებული ხელისუფლება ნაციონალური მოძრაობის სახით, არ არის მზად იმისათვის, რომ დაუშვას ისეთი არჩევნები, სადაც შეიძლება მათ ვერ გაიმარჯვონ" — ვფიქრობ, ამ ფრაზაში ყველაფერია ჩატეული.

**— ოქტომბერში, ვთქვათ და ივანიშვილის გუნდმა გაიმარჯვოს, მერე?**

— შეიძლება ოპოზიციამ გაიმარჯვოს, მაგრამ ესენი მაინც გაყალბებულ ციფრს გამოაცხადებენ თავიანთ სასარგებლოდ. ამას ისინი პოლიციისა და უშიშროების დახმარებით მიაღწევენ. უკვე აცხადებენ, რომ 65 პროცენტს აიღებენ არჩევნებში. გაიყვანენ ასევე ქრისტიან-დემოკრატებს, ლეიბორისტებს და უმცირესი პროცენტით ივანიშვილს, რაც რეალურად ვერაფერს შეცვლის.

სწორედ აქ უნდა იყოს სამოქალაქო საზოგადოების აქტივობა აუცილებელი, რათა დაიცვან თავიანთი ხმები და ამხილონ გაყალბება. ყველაფერი უნდა მოხდეს მშვიდობიანად და კანონიერად.

**— დღეს თამამად აცხადებენ, რომ უნდა მოხდეს საარჩევნო თანხების კანონიერი ხარჯვა, გამჭვირვალედ რატომ ადრე არ იყო ეს თანხები გამჭვირვალე. 8 წელია ისინი ქვეყნის სათავეში არიან, მარტო ბიძინა ივანიშვილის თანხები უნდა იყოს გამჭვირვალე?**

— საერთაშორისო ორგანიზაციები ამაში ჩართულები არიან, ვფიქრობ, სერიოზული ზეწოლა იქნება მათი მხრიდან იმისთვის, რომ ყველაფერი იქნას გამჭვირვალე. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, სიმბოლურია ის, რომ მას! კაცს რომელმაც მილიონობით თანხები, დახარჯა თავის სამშობლოსათვის დაუპირისპირდნენ ის ადამიანები ვინც ამ სამშობლოს ხაზინიდან მოიპარეს მილიარდები!

**— დაიძაბება თუ არა ერთიერთობა რუსეთთან ახლო მომავალში?**

— ვფიქრობ, არა, დასავლელი დიპლომატებიც აღნიშნავენ — რუსები ამბობენ, რომ სააკაშვილი მანიპულირებულია ჩვენს მიერ, ხოლო მის გარემოცვასთან პრობლემები არ გვაქვს ეს იდილია კიდევაც გაგრძელდება, მაგრამ სამწუხაროა, რომ ჩვენი ეროვნული ინტერესების ხარჯზე. სწორედ ამ „იდილიის" ფონზე დავკარგეთ განუსაზღვრელი დროით აფხაზეთი, ოსეთი, სამაჩაბლო, კოდორი.

დღევანდელ სიტუაციაში მე უპირობოდ ვუჭერ მხარს ბიძინა ივანიშვილს, რომელიც შეძლებს იმას, რომ სამოქალაქო საზოგადოებამ გაიმარჯვოს და დაამარცხოს ნებისმიერი გაყალბებული არჩევნები.

**ეთერ კასრელიშვილი**





იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# `bela Cao~, `bela Cao~, anu biZina ivaniSvilis gzavnili nino burjanaZes

გასულ კვირას, პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი „სახალხო კრებისა“ და „ქართული აკადემიის“ წევრებს შეხვდა. როგორც საინფორმაციო გამოშვებებმა გვაუწყეს – აღნიშნულ შეხვედრაზე ბიძინა ივანიშვილი ნინო ბურჯანაძისადმი აშკარა კრიტიკით გამოვიდა და ბურჯანაძის შუამავლებისთვის კადრს მიღმაც ბევრი რამ უთქვამს.

მოდით, დავიწყოთ თავიდან და



გავყვეთ ფაქტებს თუ რატომ არ უნდა ბატონ ივანიშვილს ნინო ბურჯანაძესთან პოლიტიკური ურთიერთობა?

რატომ მოხდა „ქართული აკადემიის“ და „სახალხო კრების“ ერთობლივი ვიზიტი ივანიშვილთან გაუგებარია, თუმცა ვარაუდის დონეზე შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი „რესპუბლიკელმა“ თინა ხიდაშელმა „გააჩალიჩა“ და ისე წარმოაჩინა, რომ „კრებაც“ და „აკადემიაც“ ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებას ერთობლივად ელტვიანო!

თუმცა ამ შეხვედრის მთავარი განსჯის თემა რომ მართლაც ნინო ბურჯანაძე იყო, სრულებითაც არ გახლდათ შემთხვევითი და მოგახსენებთ რატომაც:

როგორც ცნობილია, ქართულ ე.წ. ოპოზიციას გასულ წლებში, „ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდაო“ – პრინციპით ნინო ბურჯანაძეც დაემატა და სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ქ-ნი ანზოროვნა ამ მხრივ, არც სხვაზე მეტი იყო და არც სხვაზე ნაკლები! მეტიც, ხელისუფლებიდან წამოსვლის შემდეგ, იგივე ხელისუფლების აქტიური პიარის მეშვეობით „რადიკალური ოპოზიციონერის“ სახელიც დაიმკვიდრა“ და ისე იქცეოდა, თითქოს საქართველო მხოლოდ მის მზეს იფიცებდა და მხოლოდ მის იმედად იყო დარჩენილი! ხოლო დანარჩენები კი – მიშასთან მიყიდებულად დაასახელა, იმიტომ რომ ეს ამბავი „ფარდის უკან მდგომმა კაცმა“ – პირადად უამბო!

არადა, ყველას გვახსოვს მიტინგზე მისი პირველი გამოსვლის შემდეგ როგორი სტვენა ატეხა ხალხმა და ისიც გვახსოვს, ჩვეული უტიფრობით, ბურჯანაძის ქალმა ყელმოღერებით რომ დაგვიმოძღვრა – მე კი არ დამისტვინეს, არამედ ირაკლი ალასანია იყო გაღიზიანებული ხალხის ადრესატიო!

ნინო ბურჯანაძის „ოპოზიციური“ მოღვაწეობა, რომ სისხლისღვრის ფონზე წარიმართებოდა – ეს არამარტო მე, არამედ ბევრმა ოპოზიციურად განწყობილმა ჟურნალისტმა იცოდა, მაგრამ იმას ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ამ შემთხვევაშიც კი ნინო მიშას საქმეს გააკეთებდა და მის ხელისუფლებაში ყოფნას, აგრერიგად გაახანგრძლივებდა!

**რატომ უნდა სძულდეს ნინო ბურჯანაძეს სააკაშვილი? ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ ორივეს, ბურჯანაძეს და სააკაშვილსაც, ამ ქვეყნის პრეზიდენტობა სურთ და მიზანი ნებისმიერი საშუალებით მისაღწევია?**

**იქნებ მისი სიძულვილის მიზეზი ის არის, რომ მიშა ბადრი ბიწაძის ახლო ნათესავია და გენერალი ბიწაძე დღეს შვილთან, ანზორიკოსთან ერთად უსამართლოდ არის „დაპატიმრებული“, სხვა დანარჩენ 40-მდე მომიტინგესთან ერთად?**



იქნებ, ნინოს მიშასადმი სიძულვილი იქიდანაც არის აღმოცენებული, რომ ორივეს მხოლოდ საკუთარი „მე“-ს აღზევებაზე აქვთ ფიქრები მიმართული და ქვეყანა, რომელსაც 6 წელი ერთობლივად ხრავდნენ, ასევე ერთობლივად ფეხებზე ჰკიდიათ?

ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრაზე ქალბატონმა ნონა გაფრინდაშვილმა ბრძანა: „26 მაისის აქციები, ამ გზით სამართლიანი არჩევნების ჩატარების მიღწევა იყო, თორემ ჩვენგან ხელისუფლებაში მოსვლას არავინ აპირებდა და დღესაც არავინ აპირებს“-ო! (?)

„არჩევნებამდე დიდი დრო იყო ქალბატონო ნონა“ – შეაწყვეტინა სიტყვა ბიძინა ივანიშვილმა...

**„ნებისმიერი ქმედება, ვინც 26 მაისს იქ იყო, მე მივიჩნევ რომ არის გმირობა თქვენი და ყველა იმ ადამიანის მხრიდან, ვინც იქ იყავით – გარდა პოლიტიკოსებისა, რომელთაც სხვანაირი ვალდებულებები აქვთ!** – დაამატა მან.

ანუ ბატონმა ბიძინამ პატივი მიაგო ყველა მომიტინგეს, ყველა დაპატიმრებულს, ყველა გარდაცვლილს, მაგრამ ნინო ბურჯანაძის პერსონა-პატივმიუგებელი ქმედების იდენტური იყო და ამდენად, რა იგულისხმა ივანიშვილმა, ძნელი ამოსაცნობი არ იყო!

ბიძინა ივანიშვილმა ალბათ ისიც, იცის რომ 2008 წლის არჩევნები გაყალბდა და მაშინდელმა „იო“ პრეზიდენტმა ნინო ბურჯანაძემ ამ გაყალბებაზე „თვალი დახუჭა“! მეტიც, თავიდანვე მიულოცა სააკაშვილს „დემოკრატიულად ჩატარებულ“ არჩევნებში „გამარჯვება“ და პარლამენტის თავმჯდომარის სკამიც, უკვე მერამდენედ თავადაც უკანონოდ მიითვისა!

**ეს რომ მართლაც ასე იყო, თავად ნინო ბურჯანაძემაც აღიარა ჯერ რუსულ პრესასთან, ხოლო მოგვიანებით ქართულ მედიასაც „გაგვენდო“ და ამაყად თქვა –„გაყალბდა, აბა რა?“-ო. დალოცვილო! იურისტობას კი იბრალებ, მაგრამ იურისპრუდენციაში გაყალბებული არჩევნებიც და გაყალბებული საბუთებიც რომ კანონით ისჯება, დაგავიწყდა? ანდა, თუკი სინდისთან ცამდე მართალი ხარ, (როგორც ამბობ ხოლმე) რატომ 2008 წლის იანვარშივე არ ატეხე ხმაური გაყალბებული არჩევნების შესახებ და რატომ არ დატოვე დაკავებული თანამდებობა თუნდაც ე.წ. პრეზიდენტის ინაუგურაციამდე?**

„მე, მე, მე“-ო, რომ ყვირი დღესაც, დაგავიწყდა მიშა სააკაშვილის დანაშაულებრივი ხროვის, სახელმწიფო გადატრიალების და იმავე სახელმწიფოს უფსკრულში გადამჩეხთა პირველ ხუთეულში შენც რომ შედიხარ?

**ჩვენ კი ვიცით, მაგრამ მესიამოვნა ბიძინა ივანიშვილის ნაფიქრალი იმის შესახებაც, რომ: „კონკრეტულ სიტუაციაში სწორი პრიორიტეტის არჩევა არის საჭირო და არ უნდა დარჩე პატარა ბავშვივით“,**

რომელიც სულ საკუთარ „მე“-ზეა კონცენტრირებული და მხოლოდ საკუთარი პერსონის განდიდებაზეა ორიენტირებული! მეტიც, ძალიან მომეწონა ბატონი ივანიშვილის კონკრეტიკა „გუნდურობასთან“ დაკავშირებით და ფრაზა: **„თუ შენი მონაწილეობით კი არ ეხმარები, აზიანებ!“**

კერძოდ, ბატონმა ბიძინამ, ქალბატონ ნინოს ირიბად თუ პირდაპირ შეუთვალა, რომ გამიზნულად კი არ უნდა შეახეთქოს მომიტინგეები სპეც.რაზმებს, არამედ, საერთო საქმეში, თუ საჭირო გახ-



და სიამაყეც უნდა დათრგუნოს და სხვისი აზრის თუ არგუმენტების მოსმენაც ისწავლოსო! მეტიც, ბატონმა ბიძინამ დასძინა, რომ: **„პოლიტიკოსმა ისეთი მდგომარეობა უნდა აირჩიო, რომ საერთო საქმეს თუ ვერ მიეხმარები, არ დააზიანო მაინც!“** – რაშიც ვერ შეედავები!

ახლა, თვითონ ბიძინა ივანიშვილის გუნდიც რომ ვერ ბრწყინავს თვალისმომჭრელი სიკაშკაშით ესეც ფაქტია, მაგრამ თუკი ეს ადამიანი სხვა პოლიტიკოსების ამბიციებსაც ისევე აკვირდება, როგორც ეს ბურჯანაძის შემთხვევაში მოხდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ „განსაკუთრებულად ამბიციური პოლიტიკოსების ადგილი არც მის გუნდში იქნება მალე ამ მხრივ „გამორჩეულები“ ვინც არიან, მის გუნდში ჩვენზე უკეთ, ალბათ, თავად მოეხსენება.

**ისე კი, სამართლიანობა მოითხოვს, რომ ვიკითხო: – რატომ უნდა ნინო ბურჯანაძეს აგრერიგად „ქართულ ოცნებაში“ განავარდება? განა თვითონ ბურჯანაძემ არ იცის, რომ ამბიციურობის თვალსაზრისით თინა ხიდაშელი მასზე ნაკლები არ არის? განა, არ იცის, რომ ირაკლი ალასანია მის გვერდით დადგომას აღარ იკადრებს? განა არ იცის, რომ „ეროვნულ ფორუმს“ ძველებურად ვეღარ გააცურებს და თავის კაპრიზებს ვეღარ ატარებს?**

მაშ, რა უნდა იქ, სადაც ვერ იტანენ, როგორც პოლიტიკოსს? და მასთან ნებისმიერ „საერთო საქმეში“ არავინ დადგება? მეტად საგულისხმო და განსაცვიფრებულია ისიც, რომ

**6 მარტს ივანიშვილთან შეხვედრის შემდეგ, უკვე 7 მარტს ქალბატონი ბურჯანაძე, მიუხედავად აშკარა დამცირებისა, ეგრევე ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილს აგზავნის ტელეკომპანია „კავკასიაში“ და აჟღერებინებს, რომ: „ქალბატონი ნინო უარს ამბობს საკუთარ ამბიციებზე და ქვეყნისათვის სასიკეთო პროცესში, როგორც რიგითი ჯარისკაცი, ისე ჩაერთვებაო!“**

ანუ, ქალბატონმა ნონამ, ამბიციურობით ცნობილი ბურჯანაძის სურვილი – იყოს „ქართული ოცნების“ კოალიციაში – ასევე ეთერის მეშვეობით აუწყა ბიძინა ივანიშვილს და ახლა საზოგადოებამ თავად განსაჯოს, რამდენად იკადრებს ნინა ანზოროვნა რიგით ჯარისკაცობას და თანაც უანგაროდ?

თუმცა, რატომ უანგაროდ? განა არ გვახსოვს ცნობილი გამოთქმა „არ ვარგა ის ჯარისკაცი, რომელიც გენერლობაზე არ ოცნებობსო!?“ თანაც, დააკვირდით –„ამბიციურობის უკან წაღება“-ზე თავად კი არ მიბრძანდა აქუბარდიას სტუდიაში, თავად კი არ წარმოთქვა ეს სიტყვები, არამედ ნონა გაფრინდაშვილს „ათქმევინა სათქმელი და აბა, განა ასეთი ადამიანი იკადრებს უბრალო, „რიგითი ჯარისკაცის“ ამპლუაში გააგრძელოს თავისი პოლიტიკანური მოღვაწეობა?

**ირინე გოგოსაშვილი**





# gela xvedeliZe:

# biZina ivaniSvilis politikuri partia uaxloes xanebSi dafuZndeba

***„საერთო გაზეთის“ სტუმარია „ქართული ოცნების“ რეგიონალური სამსახურის ხელმძღვანელი ბატონი გელა ხვედელიძე.***

**— ბატონო გელა, იქნებ გვითხრათ თქვენს შესახებ ორიოდ სიტყვა...**

— წარმოშობით ზესტაფონის რაიონიდან ვარ. მერე მამაჩემი აქეთ წამოვიდა და თბილისში დავამთავრე 65-ე სკოლა. ზოოვეტერინალურ ინსტიტუტში ვსწავლობდი, ვიყავი ჯარშიც, დიპლომი, ომი, 1993 წელი და ... — 2004 წლამდე ვმუშაობდი უშიშროების სამინისტროში. მოკლედ რომ ვთქვა, იმდენი თანამდებობა გამოვიარე და გამოვიცვალე, ჩემი ხნის კაცისთვის, იშვიათია. სასჯელაღსრულებაშიც კი „მოვახერხე“ მუშაობა...

**— უშიშროებაში მუშაობდით? ამ ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ რომ გაახსენდებით და დაიწყება „გადაძახილები“ — როგორ იქნება ეს ამბავი...**

— არაუშავს, არაფერი მიკეთებია ისეთი, რომ მომდურავი მყავდეს. რამდენიმე თვე ვიმუშავე და წამოვედი. საქმე იმაში გახლდათ, რომ ისეთი ხალხი იყო, პროფესიონალურად კი არა, ადამიანურად ვერ გააგებინებდი ვერავის ვერაფერს. რომ ვეუბნებოდი, რა და როგორ უნდა გაკეთებულიყო, არ ესმოდათ — უცოდინარ კაცს რომ ელაპარაკები, ჰგონია, ატყუებ, ან რაღაც მახეს უგებ.

**— დავაზუსტოთ, ე.ი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგაც მსახურობდით უშიშროებაში?**

— აშშ-ში ვიყავი მივლინებით, სამი-ოთხი თვე ვიმსახურე და წამოვედი. ხომ გეუბნებით, აზრი არ ჰქონდა რაიმეს თქმას, გასაგები იყო, რომ მათთან ვერ ვიმუშავებდი, ვერანაირ საერთოს ვერ გამოვნახავდი ვერცერთი კუთხით — ისეთი გიჟური კურსი ჰქონდათ, სად მიდიოდნენ და სადაც მივიდნენ, სახეზეა. როცა ვერავის აგებინებ, რომ საქმის კეთებაზეა საუბარი და არა ეფექტებზე, მეორე დღეს ვის რა დაემართება იმ „ეფექტებიდან“ გამომდინარე და რამდენი მინუსები მოჰყვება ამას, სხვა გზა არ რჩება, — ადამიანებთან გაქვს ურთიერთობა, რობოტებთან ხომ არა!...

**— იქიდან და დღემდე სად იყავით, არსად გამოჩენილხართ...**

— ამ ხნის მანძილზე ვიყავი ერთ-ერთ სადისტრიბუციო კომპანიაში უსაფრთხოების კუთხით (ოჯახი მყავს, შვილები, (ორი გოგონა) სწავლა უნდათ, რჩენა უნდათ). შემდეგ ურთიერთობა ჩამოყალიბდა „ეროვნულ ფორუმთან“, გულმა იმ კარგი ხალხისკენ გამიწია, ხალხის კეთილდღეობასა და ქვეყნის გადარჩენაზე რომ ფიქრობდნენ, რეგიონალური მოწყობის საკითხებში ვეხმარებოდი, რაც შემეძლო. შემდეგ „რვიანები“ და „ექვსიანები“ რომ დაიწყო, ჩავთვალე, რომ გვერდზე უნდა გავწეულიყავი და ოჯახისთვის დამეთმო ის ყურადღება, რაც დავაკელი... მერე ამ ახალი რეალობიდან გამომდინარე, ჩავთვალე, რომ თუ ვინმეს გამოვადგებოდი ჩემი ცოდნითა და გამოცდილებით, საქმე მეკეთებინა.

**— როგორ ჩავთვალოთ, მაინც „ეროვნული ფორუმიდან“ ხართ წარმოდგენილი?**

— არა, მე დავწერე განცხადება და წამოვედი „ფორუმიდან“. ჩემი ახლობლები ტრიალებდნენ აქ და მე ვუთხარი რისი გაკეთებაც შემეძლო, ისინიც დაინტერესდნენ — თუ შეგიძლია, გააკეთეო და ჩამოყალიბდა საერთო სამუშაო ურთიერთობა. ამის შემდეგ შეხვედრაც იყო ბატონ ბიძინასთან და მესამე კვირაა, ვმუშაობ რაც შემიძლია, ვცდილობ, კარგად გავაკეთო.

**— და რას აკეთებთ.**

— პარტიულ მშენებლობას, ასევე რეგიონალურ და ქალაქის სამსახურების მშენებლობას ვხელმძღვანელობ.

**— თქვენ ამბობთ, ნელ-ნელაო, ეს თქვენი „ნელ-ნელა“ ძალიან „გვიან-გვიან“ ხომ არ გამოდის?**

— არ გამოდის „გვიან-გვიან“, — ნელა, მაგრამ კარგად და ჩქარა!... ეს არის ბატონი ბიძინას პარტიის მშენებლობის პრინციპი, — კოალიციასთან ნუ გავაიგივებთ. ამავე დროს წარმომადგენელი ვარ იმ საინიციატივო ჯგუფის, რომელიც შემდგომში ჩამოყალიბდება, ვთქვათ, პარტიად და ასევე კოალიციაში.

ისეთ ფორსირებულ რეჟიმში მიდის მუშაობა, რომ ალბათ, მარტის ბოლომდე რეგიონებში დასრულებული იქნება ადგილობრივი ჯგუფების მობილიზება...

**— თქვენ ხომ იცით, რომ რეგიონებში ადგილზე ჯგუფების მობილიზება დიდს არაფერს წყვეტს ინფორმაციულ ვაკუუმში მყოფი იმავე რეგიონის მასშტაბით...**

— ეთერთან დაკავშირებით, სიმართლე გითხრათ, იმდენად დაძაბულ რეჟიმში ვმუშაობთ, ვერ გეტყვით, მაგრამ იქაც პროფესიონალთა ისეთი ჯგუფია და ისეთი მონდომებულები არიან, ცდილობენ, მაქსიმალურად სწრაფად მოხერხდეს ხალხისთვის ხმის მიწვდენა... მაქსიმალური ხელისშეშლის პირობებში გვიწევს მუშაობა, — მოგეხსენებათ, ხელშეკრულებადადებულ ოფისებზე აიძულებენ გამქირავებლებს უარის თქმას. ხელშეკრულების დადებისას ხომ არის გარკვეული ვალდებულებები, ვთქვათ, პირის საგამტეხლო, ორმაგად აზარალებენ ამ ადამიანებს, არაფერს ერიდებიან. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ ამ დაზარალებულ ადამიანებს გვერდზე დავუდგეთ, მაგრამ თვით ფაქტზე მაქვს საუბარი.

**— იმ ე.წ არაქართულ რეგიონებში რა მდგომარეობაა, სადაც ყველა მთავრობის გარანტირებული ხმები წინდაწინ დათვლილია?**

— მაგალითად, მარნეულში, გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი წარმომადგენელი ყოფილიყო ქალბატონი ლია თუშური, ფილოლოგი, 21 ქართული და 4 არაქართული წიგნის (იმ რეგიონის ეროვნული უმცირესობის ბავშვებისთვის) ავტორი, რომელიც ჩავიდა იქ და რვა წელი სკოლის დირექტორი იყო, ანუ იმის თქმა მინდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობისთვის ავტორიტეტია, პატივს სცემენ და ენდობიან...

**— მუსლიმანური მოსახლეობა არ არის აგრესიულად აქტიური, სამცხე-ჯავახეთზე რას იტყვით, იქ ორმაგად მძიმე სიტუაციაა...**

— სამწუხაროდ, სიმართლეს ამბობთ, ძალიან მძიმე სიტუაციაა სამცხე-ჯავახეთში, — მოგეხსენებათ, ვინ არის იმ კუთხიდან და ეს ფაქტორი თამაშობს ძალზე მნიშვნელოვან როლს, რამდენჯერაც შეირჩა ოფისი ახალქალაქში, ახალციხეში, ასპინძაში და ა. შ. ნახევარ საათში უარს ათქმევინებდნენ გამქირავებელს, ალბათ, „ლაივში“ უსმენენ, სხვაგვარად წარმოუდგენელია...

**— საინტერესოა, ამ ხელოვნურად შექმნილი დაბრკოლებების დაფიქსირება თუ ხდება სადმე, ვგულისხმობ იმ ორგანიზაციებს, საქართველოში მიმდინარე უკანონობებზე მუდმივად „დაკვირვებებს“ რომ აწარმოებენ და „აღშფოთებას“ და „შეშფოთებას“ რომ გამოთქვამენ, არასამთავრობო ორგანიზაციებს არ ვგულისხმობ.**

— რა თქმა უნდა, და სხვათაშორის, ძალიან ყურადღებით ეცნობიან და უდგებიან ამ ფაქტებს საელჩოები...

**— რეგიონებს რომ არ გავცდეთ, ვრცელდება ინფორმაცია, რომ კოალიციაში შემავალი პარტიები, ბატონი ივანიშვილის სახელით, რეგიონების მოსახლეობის ხარჯზე საკუთარ პარტიებს ავსებენ. ეს თუ მართლაც ასეა, საქმე საქმეზე რომ მიდგება, ბატონი ბიძინა უკან „გამოითხოვს“ შეცდომაში შეყვანილ ხალხს თუ რა ვიფიქროთ?**

— არავის არავინ არ ეყოლება „გამოსათხოვი“, როდესაც გაიხსნება ოფისი, იქ, კოალიციაში შემავალი პარტიების გარდა ჩვენი, ჯერჯერობით დაურეგისტრირებელი პარტიის წარმომადგენელიც იქნება, მიმსვლელ ადამიანს ექნება თავისუფალი არჩევანი.

**— რაგინდ თავაულებლად მუშაობდეთ, 24- საათიან რეჟიმში ხომ ვერ იქნებით, მართლაც მაისში რომ ჩატარდეს არჩევნები?**

— ჩემი სუბიექტური აზრია, რომ მაისში არ ჩატარდება, მაგრამ რომ ჩატარდეს, ამიტომ ვმუშაობთ შუაღამემდე მართლა თავაუღებლად.

**— პოლიტიკური პლატფორმა რა იქნება, „ქართული ოცნება“ — დემოკრატიული საქართველო?**

— პლატფორმის მონახაზზე ვმუშაობთ და რამდენიმე დღეში ჩამოყალიბებული იქნება. წინასწარ არ მინდა თქმა, შეიძლება რაღაც ცვლილება მოხდეს და არასწორი ინფორმაცია გამოვა. ის მოლოდინი, რაც ხალხს აქვს, იგივე კითხვები, რაც თქვენ გადმომეცით, ხალხის განწყობა, მოლოდინი და ინტერესი, რა და როგორ იქნება, ამას აუცილებლად გავამჟღავნებთ უმოკლეს დროში. ჩვენ ვთვლით, რომ ხალხმა უნდა იცოდეს, რასთან აქვს საქმე, რა კეთდება, როგორ კეთდება და რატომ კეთდება.

ჩვენი შეყოვნება იმითაა განპირობებული, რომ „ნაციონალური მოძრაობისგან“ განსხვავებით, ვცდილობთ, არაფერი გამოგვეპაროს ისეთი, რაც შემდეგ ხალხს დააზარალებს, ან ელემენტარულად, მოსახლეობისთვის გაუგებარი იქნება.

**მაია ჭელიძე**

## საგარეჯოში „ქართული ოცნების“ 13 მხარდამჭერი ადვოკატების გარეშე დაკითხეს



კონტროლის პალატის თანამშრომლებმა საგარეჯოში „ქართული ოცნების“ 13 მხარდამჭერი ადვოკატების გარეშე დაკითხეს, — იუწყება კახეთის საინფორმაციო ცენტრი რესპუბლიკური პარტიის საგარეჯოს ორგანიზაციის ხელმძღვანელ გელა კევლიშვილზე დაყრდნობით.

„დაკითხვა გამგეობის შენობაში, მეორე სართულზე დილის 11:00 საათიდან ღამის 10:00 საათამდე გაგრძელდა. კორიდორში ყოფნასაც კი მიშლიდნენ, აქ ნუ დგახარო. 20 პოლიციელი იყო მობილიზებული. ადვოკატები არ შეუშვეს. შეკითხვები იყო ძალიან უხერხული კონტროლის პალატისთვის. ეკითხებოდნენ, რატომ ხარ პარტიაში, როდის მიხვედი, ვისი მეშვეობით, თუ რამე მოუციათ ან შეგპირდნენ და კიდევ სხვა ბევრი სისულელე. ზეწოლაც იყო, ჩვენებას თუ არ მოგვცემთო, დაჭერით ემუქრებოდნენ. მიმართავდნენ, „ბიჭო, მიპასუხე, თორემ პროკურატურაში გექნება საქმე; ძმაო, ეგრე არ არის, წაგათრევ“ და ასეთები“, - განაცხადა გელა კევლიშვილმა.

## აზერბაიჯანი აფხაზეთში ჩატარებულ ე.წ. საპარლამენტო არჩევნების ლეგიტიმურობას არ აღიარებს



აზერბაიჯანი აფხაზეთში ჩატარებულ ე.წ. საპარლამენტო არჩევნების ლეგიტიმურობას არ აღიარებს. აზერბაიჯანის საგარეო უწყებამ შესაბამისი განცხადება დღეს გაავრცელა.

განცხადების ტექსტის მიხედვით, ოფიციალური ბაქო საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერს და იმედოვნებს, რომ კონფლიქტი მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით მოგვარდება.

**„მედიანიუსი“**

***პარლამენტის სხდომაზე, ლამის მთელი საქართველოს თვალწინ, სააკაშვილმა თავისი ჩინოვნიკების კორუმპირებულობის დამადასტურებელი ფოტოები ისე მოისროლა, ერთხელაც არ უკითხავს ჩემი „პატიოსანი და გაღლეტილი“ მინისტრები ასე ხელმომჭირნედ რომ ცხოვრობენ, ამ დროს მსგავს მდიდრულ სასახლეებს რომელი „ვაუჩერდარიგებული“ მოქალაქეები იშენებენო..არადა, არ გამიკვირდებოდა ასეც რომ ეთქვა. სინამდვილეში სად ცხოვრობენ სააკაშვილის მინისტრები და ჩინოვნიკები, ამის გასარკვევად მოძრაობა „არა“-ს ხელმძღვანელ ლევან ჩიტაძეს ვესაუბრე, რომელიც დიდი ხანია მოძრაობის წევრებთან ერთად ამ თემაზე მუშაობს და 2011 წელს მაღალჩინოსნების სახლების ფოტოების გამოფენაც კი მოაწყვეს.***



# ratom aravin ikiTxa, es `patiosani~ da `gaRletili~ ministrebi Tu ara, maSin romeli vauCerdarigebuli moqalaqeebi iSeneben am sasaxleebso?

**- ლევან, ამ ინფორმაციის მოპოვებას როგორ ან რა ფორმებით ახერხებთ?**

- ამ ინფორმაციის მოპოვება და გადამოწმება ჩვენი ძალებით ხდება. მოძრაობა „არა“ შედგება ძალიან ბევრი ადამიანისაგან, რომლებიც ფაქტობრივად არ ჩანან „არა“-ში. ბევრი მხარდამჭერი გვყავს, რომლებიც სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციას გვაწვდიან. ამის შემდეგ ჩვენ ამ ინფორმაციას ვამუშავებთ, ვახმოვანებთ და ვახდენთ რეაგირებას. რაც შეეხება ჩინოვნიკების სახლებს, ყველა ჩვენს მიერ ნაპოვნი სახლების მფლობელების ვინაობას, თითქმის ყველა შემთხვევაში გვიდასტურებდნენ იქ მომუშავე ადამიანები, მუშები, დაცვის



წევრები ან მეზობლები. პარლამენტში გამოტანილი ფოტოებიდან ერთ-ერთი, როგორც იცით, ვანო მერაბიშვილის სახლი იყო.

**მერაბიშვილს ირეთუბანში აქვს ორი ტყუპი სახლი, რომლებიც აბსოლუტურად ყველაფრით ერთმანეთს ჰგავს და ერთი სანტიმეტრითაც არ არის ცდომილება. მერაბიშვილის კიდევ ერთი სახლი ჩვენ აღმოვაჩინეთ დიღომში, სიხარულის ქუჩაზე, რომელზეც უკვე მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეს სახლი გადაფორმებულია მერაბიშვილის ბიძაშვილზე. პარლამენტში ახსენეს ასევე კუბლაშვილების სახლიც. ეს სახლი მიწის ზევით არის ოთხი სართული და მიწის ქვემოთ ერთი სართული. კუბლაშვილების განცხადებით, ისინი ამ სახლის მხოლოდ მესამე სართულს ფლობენ.**

სახლი საკმაოდ დაცულ ტერიტორიაზე დგას, მაღალი გალავანი აქვს, იცავენ დაცვის თანამშრომლები. თუმცა მის მახლობლად მდგარი კორპუსებიდან ჩვენ მაინც მოვახერხეთ ფოტო მასალის გადაღება, თუ როგორ შედის კუბლაშვილი ამ სასახლეში. აქედან გამომდინარე, მას მოუწია იმის აღიარება, რომ ის ნამდვილად იყო მისი სახლი, ოღონდ მარტო მესამე სართულიო. საინტერესოა, კერძო სახლში როგორ არის მესამე სართული მისი? თქვას მაშინ ვისია დანარჩენი სართულები. შეიძლება მეორე სართული სიდედრის არის, პირველი სართული ცოლის, ნულოვანი სართული შეიძლება გარე ბიძაშვილისაც იყოს და კუბლაშვილი მართალს ამბობდეს, რა პრობლემაა. რაც შეეხება კეზერაშვილის სასახლეს, ის მდებარეობს თბილისის ზღვასთან, თბილისის ზღვის კლუბთან ძალიან ახლოს. როდესაც იქ მშენებლობის პროცესი მიმდინარეობდა, მე გავესაუბრე მუშებს, ასევე თითქმის ყველა მეზობელს და რამდენიმე მათგანმა დამიდასტურა, რომ ის მართლაც კეზერაშვილის საკუთრება იყო. ინფორმაციიდან, რომელიც მე მოვიპოვე, თუნდაც ამ რამოდენიმე სახლის შესახებ, ყველაზე რომ აღარ ვისაუბროთ, შეიძლება გამოვიტანოთ ორი აზრი. ერთი ის, რომ ეს მშენებარე და უკვე აშენებული სასახლეები საერთოდ არ არის მერაბიშვილის და კეზერაშვილის, უბრალოდ, ვიღაც პიროვნებებს ეკუთვნით, რომლებიც საერთოდ არ იცნობენ არც მერაბიშვილს, არც კეზერაშვილს და შეიძლება კეზერაშვილი ყოველ მეორე დღეს, მხოლოდ იმიტომ ინტერესდებოდა მისი მშენებლობით, რომ ეჭვი ჰქონდა იქ რუსეთი რაიმე სასწავლო ცენტრის განთავსებას ხომ არ აპირებდა. მერაბიშვილი კი, ალბათ, პირადად ამოწმებდა, დიღომში რაიმე დარღვევებით ხომ არ მიდიოდა მშენებლობა, რომ შემდეგ ჯარიმის ქვითარი გამოეწერა.

**რაც შეეხება პარლამენტში სააკაშვილის განცხადებას, რომ ეს სახლები არც ამათია, არც იმათი და საერთოდ არც არავისიო, ეს რა თქმა უნდა, ასე იქნებოდა. სააკაშვილი თუ იტყვის მათი სახლებიაო, ეს ნიშნავს, რომ ზუსტად სამ სიტყვაში აღიარებს იმ ტყუილს, რაც მან საათების განმავლობაში აპიარა „რუსთავი 2“-ით და „იმედი“-თ. ვანო მერაბიშვილი თუ აღიარებს, რომ ის სასახლეები მისია, გამოდის, რომ მან ჯერ ყველა მაღალჩინოსანი უნდა დაიჭიროს და შემდეგ საკუთარი თავი. როგორ აღიარებს ახლა ვანო მერაბიშვილი, რომ დიღომში მისი სახლის მხოლოდ შავი კარკასი და შიდა მოპირკეთება რვიდან-ათ მილიონამდე დაჯდა. ასევეა ბეჟუაშვილების საცხოვრებელი კომპლექსი კოჯორში და მათივე სასახლე ყაზბეგის 9-ნომერში.**

კოჯორის საცხოვრებელი კომპლექსი ექვსი სართულისგან შედგება, მასში შედის კორტები, ფეხბურთის და გოლფის სათამაშო მოედნები, აუზები და ა.შ. ერთის მხრივ, ძალიან მარტივად შეიძლება გაიმართლოს თავი ბეჟუაშვილების კლანმა იმით, რომ ერთი ძმა ბიზნესმენია, ფული აქვს და რასაც უნდა იმას ააშენებს, მაგრამ საინტერესოა, საიდან იშოვა ამდენი ფული? რამდენად კანონიერი გარიგებებია მასსა და ხელისუფლებას შორის და ხომ არ არის სახელისუფლებო ყულაბა? ამას მე გეუბნებით ძალიან ჟურნალისტური პოზიციიდან, სინამდვილეში ძალიან კარგად ვიცი, რა გარიგებებში არიან კონკრეტულ ბიზნესმენებთან ხელისუფლების წარმომადგენლები. სხვათაშორის,

**არსებობს 2007 წლამდე მოღვაწე ქართველი ბიზნესმენების სია და მისი ნახვა ინტერნეტის საძიებო სისტემაშიც შეგიძლიათ, რომელშიც ბიზნესმენები კაპიტალის მიხედვით არიან დალაგებულნი 1-100 მდე. ამ სიის სათავეში იდგნენ პატარკაციშვილები, ხალვაში, ასევე ბიძინა ივანიშვილიც ამ სიაში იყო მოხსენიებული. 2007 წლის შემდეგ, როდესაც რეპრესიული ტალღები კვლავ გაგრძელდა, ამ ბიზნესმენების უმეტესობა გაიქცა საქართველოდან და თან წაიღო თავისი კაპიტალიც. რაც აქ დარჩა, ან დაუწვეს ან ჩამოართვეს და მთელმა ფულმა თავი მოიყარა ხელისუფლების ხელში.**



რა თქმა უნდა, სააკაშვილი ყველაფერს თავის თავზე ვერ გადაიფორმებდა, ამიტომ დაურიგეს, გადაუნაწილეს იმ ბიზნესმენებს, რომლებიც მათი ლაქიები არიან. ანუ ამ სასახლეებთან, ამ ქონებებთან დაკავშირებულია ყველაფერი. მათ ქონებასთან დაკავშირებულია იგივე ის ტენდერები, რომლებიც კანონდარღვევებით ტარდება. ასევე ქონების ჩუქება სხვადასხვა ბიზნესმენებზე. სხვათაშორის, ფულის „ახევის“ ამ ძალიან მარტივი პროცედურების ინიციატორი თავდაპირველად ნიკა გვარამია იყო, ხოლო შემდეგ ზურაბ ადეიშვილმა დახვეწა და ირაკლი ოქრუაშვილიც მონაწილეობდა იმ საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებაში, რაც დღეს-დღეობით გვაქვს.

**- ლევან, ამ ყველაფრის გასაკონტროლებლად ქვეყანაში არსებობს კონტროლის პალატა, რატომ დარჩა ეს ორგანო უფუნქციოდ?**

- ამ ადამიანების ქონებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ისმის კითხვა, კონტროლის პალატის მისამართით. კონტროლის პალატაში ასობით ადამიანია დასაქმებული, საკმაოდ დიდი შტატი აქვთ. სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ ჩვენს მოძრაობას აქამდე არ გაგვიმახვილებია ყურადღება კონტროლის პალატის საქმიანობაზე და როგორც კი კონტროლის პალატა პოლიტიკურად გააქტიურდა, ანუ გახდა პოლიტიკური ზეწოლის ბერკეტი, სხვადასხვა პარტიების თუ ორგანიზაციების მისამართით, განსაკუთრებით კი „ქართული ოცნების“მიმართ, ჩვენც დავინტერესდით, რა ხდებოდა კონტროლის პალატაში. მთელი ამ წლების განმავლობაში, მათ არქივში, არც ერთ უწყებაზე მოპოვებული არანაირი ინფორმაცია არ ინახება. არც ერთ პოლიტიკურ პარტიაზე, რომელზეც ვთქვათ, მათ რაიმე რეაგირება მოახდინეს ან გამოიძიეს. ამის შემდეგ, ბუნებრივად მივდივართ დასკვნამდე, რომ კონტროლის პალატა არის პოლიტიკური რეაგირების ბერკეტი და მეტი არაფერი. მოდით, ახლა უკეთესად დავაკავშიროთ კონტროლის პალატა მაღალჩინოსნების საქმიანობასთან ან თუნდაც, პოლიტიკურ პარტიებთან. იგივე ბეჟუაშვილებმა, კეზერაშვილმა, „ავერსის“ და „პსპ“ მფლობელებმა და სხვა ბევრმა ადამიანმა, არა ერთხელ გადაურიცხა „ნაციონალურ მოძრაობას“ სოლიდური თანხა. ყველა სამშენებლო კომპანია, რომელიც დღეს-დღეობით საქართველოში არსებობს, დავალებულია ხელისუფლებისაგან შემდეგნაირად; ხელისუფლება მათ უკვეთავს გარკვეული სახის მშენებლობას ან ამარჯვებინებს ტენდერში, ამ კომპანიებს რა თქმა უნდა, უხდიან გარკვეულ თანხას და შემდეგ დაუწერელი კანონის მიხედვით, იმ თანხის გარკვეულ ნაწილს, ხშირ შემთხვევაში 40%-ს, ეს კომპანია რიცხავს „ნაციონალური მოძრაობის“ ანგარიშზე, იძულების წესით, რა თქმა უნდა. უფრო კონკრეტულ ფაქტებს რაც შეეხება, კონტროლის პალატა უფლებამოსილია, მოითხოვოს ინფორმაცია ყველა ფინანსური ოპერაციის შესახებ, რომელიც საქართველოში ხორციელდება სახელმწიფო უწყების ან პოლიტიკური პარტიის მიერ. კარგად მახსოვს, როგორ დააკავეს ერთი წლის წინ განათლების სამინისტროში, საკმაოდ სოლიდურ თანამდებობებზე მომუშავე პირები, თუმცა შემდეგ რა მოხდა, ეს უკვე აღარ გაჟღერებულა მედიით, ფული წაართვეს და გამოუშვეს. ეს იყო ის პერიოდი, როდესაც სააკაშვილმა გამოაცხადა, ქამრები შემოიჭირეთო. მაშინ ძალიან დასჭირდათ ფული და გადაწყვიტეს, იმათგან ამოეღოთ, ვისაც თვითონვე აკეთებინეს ფული. ამ ადამიანებს თანხის ნაწილი კი ჰქონდათ გადარიცხული „ნაციონალური მოძრაობისთვის“, მაგრამ რაც თვითონ დარჩათ, იმ თანხიდანაც მოსთხოვეს წილი. სად იყო მაშინ კონტროლის პალატა? ვერაფერი ვერ გამოიძია, ვერაფერი ვერ გააკეთა. არა ერთი დარღვევა იყო სამეგრელოს გუბერნიაში. გორის გუბერნატორი კოლოსალურ პრემიებს იწერდა საკუთარი თავისთვის, 106 000 და 160 000 ლარის ოდენობით. ან, თუნდაც, ცეზარ ჩოჩელი ავიღოთ, რომლის მიმართაც, იგივე კითხვები არსებობს. კონტროლის პალატას კი 2003 წლიდან დღემდე, არასოდეს, არცერთ შემთხვევაში რეაგირება არ მოუხდენია.

**მოგელაძე არ ახდენს არანაირ რეაგირებას სხვა პოლიტიკური პარტიების ფინანსურ საკითხებზე. თუნდაც „ახალი მემარჯვენეების“ საქმიანობაზე. მათ გარკვეული თანხა იშოვეს საიდანღაც, გახსნეს ძალიან ბევრი ოფისი და პირადად მე მაქვს სერიოზული ინფორმაცია, რომ ისინი მოქალაქეებს უხდიან ხელფასს, იმ ახალი კანონის საწინააღმდეგოდ, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური სუბიექტის წინააღმდეგ შეიძლება აღიძრას სისხლის სამართლის საქმე,**

თუკი მან მოისყიდა ნებისმიერი ადამიანი ფულის ან სხვა მომსახურების სანაცვლოდ. სწორედ ამას აკეთებენ „ახალი მემარჯვენეები“ და კონტროლის პალატა დუმს. იმიტომ, რომ ეს პარტია უკვე „ნაციონალური მოძრაობის“ განუყოფელი შტო გახდა. ზუსტად ამავეს აკეთებს „ნაციონალური მოძრაობაც“ პირდაპირ თუ ირიბად, უხდიან ადამიანებს ხელფასებს, უნიშნავენ პრემიებს. კონტროლის პალატა კი აცხადებს, აი, ჩვენ კანონის შესაბამისად შევამოწმეთ „ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება“. „ნაციონალებმა“, რა თქმა უნდა, შეასრულეს ჩვენი მოთხოვნა, „ქართული ოცნება“ კი ნახეთ რას აკეთებსო და გამოჰყავთ დამნაშავეებად.

სხვათაშორის, კიდევ ერთი უზუსტობა, რომელიც ჩვენ სააკაშვილის მაშინდელ გამოსვლებში აღმოვაჩინეთ, არის ის, რომ მან ააფრიალა რამოდენიმე სახლის ფოტო და ჩამოთვალა იმაზე მეტი გვარები, ვიდრე სახლების ფოტოები ჰქონდა. ასევე, არასოდეს არსად არ დაუკონკრეტებია, რომელი სახლი რომელ მაღალჩინოსანს ეკუთვნოდა. მე შემიძლია ვთქვა, რომ მაშინდელი მისი ეს ჟესტი ჰგავდა რეალურად ბლეფს. ჩვენ ყველა მისამართი მივეცით ჟურნალისტებს, სხვადასხვა ობიქტური მედიის წარმომადგენლებს და არაერთხელ მოხდა ამ ინფორმაციის გადამოწმება.

**ლელა არაბული**



# zaqaria qucnaSvili:
# biZina ivaniSvilisTvis moqalaqeobis dabrunebis sakiTxi 5 aprilsar unda gadascdes

*დარჩება თუ არა „ქართული ოცნება“ მონიტორინგის სუბიექტად, როგორ და რა ფორმით დაიბრუნებს ბიძინა ივანიშვილი საქართველოს მოქალაქეობას და რა ხდება რეალურად ეკა ბესელიასა და ზაქარია ქუცნაშვილს შორის, თემის დეტალებზე „საერთო გაზეთს“ „ქართული ოცნების“ იურიდიული ჯგუფის წევრი* ***ზაქარია ქუცნაშვილი*** *ესაუბრა.*

**— ბატონო ზაქარია, ცოტა ხნის წინ კონტროლის პალატამ „ქართული ოცნების“ სარჩელი-მონიტორინგის სუბიექტად გამოცხადების თაობაზე განიხილა. რას გვეტყვით პროცესთან დაკავშირებით, რამდენად სამართლიანად წარიმართა?**

— კონტროლის პალატამ აბსოლუტურად ყველა რესურსი გამოიყენა იმისთვის, რომ ჟურნალისტები სასამართლო პროცესზე არ დაეშვათ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 198-ე მუხლის თანახმად, პროცესი როცა ღიაა, არავის აქვს უფლება ჟურნალისტებს პროფესიული საქმიანობის შესრულებაში ხელი შეუშალოს. თავდაპირველად, ჟურნალისტებს ადმინისტრაციულ შენობაშიც არ უშვებდნენ, თუმცა ჩემი დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ შენობაში შესვლის უფლება მისცეს. კონტროლის პალატის წარმომადგენლების მხრიდან ვერანაირი არგუმენტი ვერ მოვისმინეთ, თუ რატომ ზღუდავდნენ ჟურნალისტების უფლებებს და არ აძლევდნენ სხდომაზე დასწრების საშუალებას. საბოლოო ჯამში, ჟურნალისტები მხოლოდ ტექნიკური ხელსაწყოების გარეშე დაუშვეს პროცესზე.

**— რამდენად ადეკვატურად წარიმართა სასამართლო პროცესი?**

— დავების განმხილველმა საბჭოს წარმომადგენლებმა მხოლოდ ერთადერთი შეკითხვა დაგვისვეს, თუ საიდან მოვიპოვეთ გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში პოლიტიკური პარტიების გაერთიანების შესახებ, კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით. მათი მხრიდან სხვა არანაირი მოთხოვნა და კითხვა არ ყოფილა.

ჩვენ მოთხოვნაზე, გადმოეცათ ქალბატონი მოგელაძის მიერ წარმოებული საქმის მასალები, თუ რის საფუძველზე გამოგვაცხადეს მონიტორინგის სუბიექტად, ან ეჩვენებინათ ჩვენს მიერ წარდგენილი ადმინისტრაციული სარჩელის საფუძველზე მომზადებული სპეციალური დასკვნა, კონტროლის პალატის წევრებისგან მხოლოდ ბოდიში მივიღეთ, იმის გამო, რომ ასეთი დოკუმენტაცია არ გააჩნდათ. ამიტომ საინტერესო და გაურკვეველია, როგორ, რის საფუძველზე გამოაცხადეს „ქართული ოცნება“ მონიტორინგის სუბიექტად.

კონტროლის პალატამ მაქსიმუმ 1 თვის განმავლობაში უნდა გამოაქვეყნოს შესაბამისი წერილობითი გადაწყვეტილება, დარჩება თუ არა „ქართული ოცნება“ კვლავ მონიტორინგის სუბიექტად.



**— საზოგადოებრივ მოძრაობასთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის. როგორ გადაწყდება ჯარიმის საკითხი, რომელიც კონტროლის პალატამ „ქართულ ოცნებასა“ და „ქართუ მშენებელს“ დააკისრა.**

— „ქართული ოცნება“ თუ არ იქნა ცნობილი მონიტორინგის სუბიექტად, შესაბამისად, მის ანგარიშზე ნებისმიერი რაოდენობით, როგორც იურიდიულ, ასევე ფიზიკურ პირს შეეძლება სასურველი შემოწირულობის გაკეთება. ამიტომ კონტროლის პალატას, როცა „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებით გადაწყვეტილება არ მიუღია, გაურკვეველია, რის საფუძველზე ითხოვენ ჩვენი მხრიდან ჯარიმის გადახდას. ამ ნაწილშიც თავად ქალბატონი მოგელაძის მიერ მოპოვებულ მასალებშიც ბევრი უკანონობაა. მაგალითად, აღმოჩნდა, რომ ნუგზარ ხუციშვილს ჯერ კიდევ გასულ წელს 145 ათასი ლარი ჰქონდა მიღებული ხელფასის, დანამატის და პრემიის სახით, ამიტომ მას თავისუფლად შეეძლო, თუნდაც 20 ათასი ლარი გადაერიცხა მისთვის სასურველი ორგანიზაციისთვის. მოცემულ შემთხვევაში არსებობს ასეთი პრაქტიკა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, შესაძლოა, გასაჩივრდეს, როგორც საჩივრით ასევე სარჩელის საფუძველზე. მათ შორის განსხვავება ისაა, რომ სარჩელის შემთხვევაში საქმეს 3 ინსტანციის სასამართლო იხილავს, მეორე შემთხვევაში კი 2 ინსტანციის სასამართლო და ისიც შეზღუდული საპროცესო უფლებებით. „ქართულმა ოცნებამ“ სასამართლოს საჩივრით მივმართეთ, თუმცა მეორე დღეს მივიღეთ შესაბამისი დადგენილება, რომ სასამართლო ჩვენს საქმეს საჩივრის გზით არ განიხილავდა და გვთხოვდნენ, მიგვემართა შესაბამისი სარჩელით. მოცემულ სიტუაციაში მათი ამოცანაა, რომ, რაც შეიძლება მოკლე დროში აღასრულონ უკანონო გადაწყვეტილება და ყადაღა დაადონ საზოგადოებრივი მოძრაობის ქონებას.

თუმცა მინდა გითხრათ რამდენიმე არგუმენტი, რის საფუძველზეც „ქართული ოცნება“ არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც მონიტორინგის სუბიექტი.

1. ადმინისტრაციულ ორგანოს შესაბამისი კანონი უნდა აძლევდეს უფლებას, ამა თუ იმ პირს მიანიჭოს პოლიტიკური სტატუსით, რაც ამ შემთხვევაში, კონტროლის პალატას არ გააჩნია. პოლიტიკური პარტიის შემთხვევაშიც იუსტიციის სამინისტრომ პარტია თუ რეგისტრაციაში არ გაატარა, მას მიენიჭება შესაბამისი სტატუსი და ვერ გახდება პოლიტიკური პარტია. ამიტომ სტატუსის გარეშე არავის აქვს უფლება, ვინმეზე ზემოქმედება მოახდინოს. ადვოკატებმა დავსვით შეკითხვა, რომელი კანონის რომელი ქვეპუნქტის მიხედვით აქვს კონტროლის პალატას უფლება, პირი გამოაცხადოს მონიტორინგის სუბიექტად?

2. ასევე კონტროლის პალატას არ აქვს შესაბამისი აქტი, თუ რის საფუძველზე დაადგინეს, რომ „ქართულ ოცნებას“ აქვს პოლიტიკური მიზნები და ამოცანები.

**— კონტროლის პალატას ამის არგუმენტად ბიძინა ივანიშვილის 7 ოქტომბერს გაკეთებული განცხადება მოჰყავს, რომლის თანახმად, ბიძინა ივანიშვილი პრემიერ-მინისტრობას აპირებს?**

— თქვენ საუბრობთ ივანიშვილის იმ განცხადებაზე, როცა ჯერ კიდევ ბუნებაშიც არ არსებობდა საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“. ქართული სამოქალაქო კოდექსითა და მეწარმეთა შესახებ კანონის საფუძველზე, დამფუძნებელი პასუხს არ აგებს ორგანიზაციაზე და ორგანიზაცია პასუხს არ აგებს დამფუძნებელზე. ამიტომაც არსებობს ცალკე იურიდიული და ფიზიკური პირი. ორივე მათგანს განსხვავებული ვალდებულებები გააჩნია. კონტროლის პალატამ კი ერთმანეთში აურია ბიძინა ივანიშვილის როგორც ფიზიკური პირის, 7 ოქტომბრის, განცხადება და ივანიშვილის, როგორც იურიდიული პირის ნოემბერში გაკეთებული გზავნილი,

**— ბატონო ზაქარია, რამდენიმეთვიანი სასამართლო დავის შემდეგ ბიძინა ივანიშვილი საქართველოს მოქალაქედ ჯერ კიდევ არ ითვლება. რა ეტაპზეა პროცესი და რა გეგმები გაქვთ ადვოკატთა ჯგუფს?**

— სამოქალაქო რეესტრს 14 თებერვალს ამოეწურა ყველანაირი ვადა ბიძინა ივანიშვილის ნატურალიზაციის გზით მოქალაქეობის მინიჭებასთან დაკავშირებით შესაბამისი წერილობითი დასკვნის გაცემის თაობაზე. ბატონი ვაშაძე აცხადებდა, რომ შესაბამის დადგენილებას თებერვლის ბოლომდე გასცემდა, მაგრამ ახლა უკვე მარტის შუა რიცხვებია და სამოქალაქო რეესტრს არანაირი განცხადება არ გაუკეთებია. ვაშაძის უწყება, როგორც ჩანს, ჩიხშია, რადგან უარყოფითი დასკვნის გამოსატანად არანაირი მტკიცებულებები არ გააჩნიათ, დადებითი გადაწყვეტილების მიღება კი ხელისუფლებას არ აწყობს.

**— რას აპირებთ ადვოკატები მოქალაქეობის აღდგენასთან დაკავშირებით, უსასრულოდ ხომ არ დაელოდებით სამოქალაქო რეესტრის რეაგირებას?**

— 5 აპრილამდე, მეტი დროის გაწელვის არანაირი საფუძველი აღარ გააჩნიათ. მათ პასუხი აუცილებლად უნდა გაგვცენ, ამიტომ ველოდებით ამ პერიოდს.

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ თქვენსა და ეკა ბესელიას შორის დაპირისპირება არსებობს. ამ მოსაზრებას ისიც ამყარებს, რომ ბოლო დროს იურიდიული ჯგუფის მიერ ორგანიზებულ პრესკონფერენციაზე ქალბატონი ეკა არ იმყოფებოდა. რატომ, რა არის მიზეზი?**

— მართალია, ქალბატონმა ეკამ არ იცოდა პრესკონფერენციის თაობაზე, რადგან მას აქვს თავისი ფუნქციები და თავის მოვალეობას ასრულებს. იურიდიული ჯგუფი საკმაოდ ბევრ საკითხზე მუშაობს და შესაბამისად, ყველა ადვოკატს თავისი მუშაობის პროფილი აქვს.

**— ეკა ბესელიამ თქვენი მისამართით საკმაოდ მწარე განაცხადი გააკეთა. ციტირება: ნამდვილად არ ვიცი, რას ფიქრობს ზაქარია ჩემზე, თუმცა ის კი ვიცი, რომ იგი ბიძინა ივანიშვილზე ზეგავლენას ვერ მოახდენსო.**



— ქალბატონებს არ ვეკამათები, ამიტომ არც ამ განცხადებაზე ვაპირებ კომენტარის გაკეთებას, ყველას თავისი არჩევანი აქვს.

**მირანდა ნაბახტეველი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## „ქართული ოცნების“ აქტივისტების დაკითხვას ლევან ბეჟაშვილი ინფორმაციის დაზუსტების მოტივაციით ხსნის



კონტროლის პალატის პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ რეგიონებში "ქართული ოცნების" აქტივისტების დაკითხვების ფაქტებს ლევან ბეჟაშვილი ინფორმაციის დაზუსტების მოტივაციით ხსნის.

როგორც კონტროლის პალატის ხელმძღვანელმა დღეს ჟურნალისტებს განუცხადა, დაკითხვების პროცესში მიმდინარეობს ინფორმაციის დაზუსტება: "შეესაბამება თუ არ რეგიონებში პოლიტიკური პარტიების ხარჯთაღრიცხვა კანონს".

ცნობისთვის: "ქართული ოცნების" ინფორმაციით, რეგიონებში იმ პირებს, ვინც "ქართული ოცნების" გაზეთებს არიგებდნენ და მოქალაქეობის აღდგენასთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერ ხელმოწერებს აგროვებდნენ, კოტროლის პალატის ოფისებში იბარებენ და კითხავენ.

**„მედიანიუსი“**

*უკანასკნელ პერიოდში ქართული მედია* ***ეკა ბესელიას*** *პერსონისადმი ინტერესს ამჟღავნებს. ბუნებრივია, ამ ინტერესის მოტივაცია განსხვავებული მედია-საშუალებებისათვის - განსხვავებულია, რადგან ქალბატონი ეკა ''ქართულ ოცნებასთან'' ასოცირდება.*



# eka bese l ia:

# didi sazogadoebr ivi Tanxmobis pi r obebSi mobi l izebu l i unda iqnes gamar jvebisaTvis saWi r o yve l a resursi

**— ეკა, თქვენ ბატონი ბიძინას გვერდით, მისი პოლიტიკაში შემოსვლისთანავე, ერთ-ერთი პირველი გამოჩნდით. დღეისათვის ქვეყნის პოლიტიკური პროცესების მთავარი ფიგურის პირადი ადვოკატობა საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობაა. რა ეტაპზეა ივანიშვილის მოქალაქეობის დაბრუნების საკითხი?**

— სააკაშვილის ყველაზე დიდი სისუსტის და სიმხდალის გამოვლინება (უკანონობაზე რომ არაფერი ვთქვათ) ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა იყო. სულ ცოტა დარჩა 5 აპრილამდე, როდესაც სააკაშვილმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება — აღიაროს, რომ ქვეყანაში კონსტიტუცია მასზე მაღლა დგას თუ კიდევ ერთხელ უნდა გვითხრას, რომ ის დგას კონსტიტუციაზე მაღლა. მოსახლეობის დიდი ნაწილი და საერთაშორისო საზოგადოება ელოდება ამ გადაწყვეტილებას და ეს არ არის რიგითი მოვლენა, რომელიც უხმაუროდ ჩაივლის. მე მჯერა, რომ სამართლიანობა აღდგება.

**— გასაგებია, რომ ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობა ეკუთვნის. რამდენად რეალურია ხელისუფლებისათვის კანონის აღსრულება მაშინ, როდესაც საზოგადოებისთვის უცხო არ არის ხელისუფლების მიერ კანონების სწრაფი ტემპით მიღება-უკან გამოწვევა?**

— კანონებთან მსგავსი დამოკიდებულება და უპატივცემულობა, რასაც იჩენენ საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირები, არსად მინახავს და მსმენია. ღამე დაგეგმავენ, როგორი ცვლილება სურთ კანონში და მეორე დღეს ცვლიან. ამით პარლამენტს ხომ დაუკარგეს ფუნქცია და ავტორიტეტი, საზოგადოებას აჩვევენ, რომ შეიძლება ხელისუფალი კანონს სურვილის მიხედვით მოექცეს და მთლიანობაში ვიღებთ ქაოსს. ჯერჯერობით ძალადობით მართვად ქაოსს, მაგრამ ეს დიდხანს ვერ გაგრძელდება.

არსად არ შენარჩუნებულა ასეთი რეჟიმი. ფინალი დრამატულია ხოლმე. ჩვენც ხომ ბოლო წლები სულ ამ დრამატული ფინალის თავიდან არიდებას ვცდილობთ? ეს ხელისუფლებამ სისუსტედ ჩაუთვალა ოპოზიციურ პარტიებს და საზოგადოებას და უფრო მეტად ძალადობს. და რა არის ამის გაგრძელება? რისხვა - ხალხის რისხვა, რომელიც გროვდება ამ ძალადობისა და უსამართლობის გამო. იმავდროულად, უკან დახევა ხელისუფლების მხრიდან მხოლოდ მაშინ გვინახავს, სადაც პრინციპული და ბოლომდე მებრძოლი იყო კონკრეტული საკითხების მიმართ საზოგადოება.

ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობა არ არის მხოლოდ ერთი კონკრეტული საკითხი, ეს საკითხი არჩევნების ლეგიტიმაციის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორია, რადგან, როდესაც ბატონი ბიძინას მიმართ ასეთი დიდი მოლოდინი და მხარდაჭერაა, შესაბამისად, მას უნდა ჰქონდეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება, ხალხის მხრადაჭერა იქ განისაზღვრება სწორედ.

**— კონტროლის პალატის ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა „ქართული ოცნებისათვის" თანხების გადამრიცხველი ფიზიკური პირების შემოწმების შემდეგ ამ პირების ახსნა-განმარტებები მედიით გაავრცელა. ასევე მედიით გავრცელდა ''ქართუ**




**ბანკის'' მაღალი თანამდებობის პირების ტელე-აღიარებითი ჩვენება... როგორ ფიქრობთ, რამდენად ექნება ამ პროცესს გაგრძელება?**

— ეს ყველაფერი მაგონებს იმ სცენარის გაგრძელებას, როდესაც 2007 წელს დაიწყო შეთქმულების თეორიის ანტიგმირების დემონსტრირება და ფილმების გადაღება გვარამიას რეჟისორობით. ამას მოჰყვა "მოდელირებული ქრონიკა", ამ სერიალის გაგრძელებაა ეს ჩვენებებიც. ერთ უწყებაში იგეგმება ეს ყველაფერი, ერთი სცენარისტი ჰყავს - სააკაშვილი და მისი გუნდი. ეს დრო ყველასთვის კიდევ ერთი გამოცდაა და ალბათ, გადამწყვეტიც. ადამიანებმა უნდა გაუძლონ ცოტა მეტ დისკომფორტს და ყველაფერი არ უნდა იკადრონ.

**— აუცილებლად უნდა გკითხოთ ''სახალხო კრების'' და კოალიცია ''ქართული ოცნების'' სავარაუდო თანამშრომლობის შესახებ. რა ფორმით შეიძლება შედგეს ეს თანამშრომლობა?**

— მიჭირს დეტალებზე საუბარი, ეს, ალბათ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მოიხსნება ის ფაქტორი, რაც აბრკოლებს ამ პროცესს. ვფიქრობ, დიდი საზოგადოებრივი თანხმობის პირობებში მობილიზებული უნდა იქნეს გამარჯვებისათვის საჭირო ყველა რესურსი.

ისტორიულად, როდესაც ჩვენი ერი ერთიანდებოდა, ყოველთვის ვამარცხებდით ურიცხვ მტერს, ხოლო დაქსაქსვა - ჩვენი ყველაზე სუსტი რგოლი იყო. ამიტომ გვმართებს ახლა პირადი განწყობების გადადება და საერთო მიზნისთვის ღირსეული ბრძოლა. მე მჯერა, ბიძინა ივანიშვილი ამისთვის ყველაფერს გააკეთებს.

**— მარტის ბოლოს-აპრილის დასაწყისში, რამდენადაც ცნობილია, იგეგმება ''ქართული ოცნების'' ყრილობა. რა შეგიძლიათ გვითხრათ ახალი სახეების შესახებ?**

— ვფიქრობ, პოლიტიკისთვის ახალი სახეების წარდგენა უკვე მოხდა საინიციატივო ჯგუფის წარდგენის დროს. პოლიტიკას და პარტიულ მშენებლობას გამოცდილებაც სჭირდება სიახლესთან ერთად. ახლა მთავარია, ერთიანი საარჩევნო ინფრასტრუქტურის აშენება და რეგიონებში ღირსეული ხალხის წინ წაწევა. არ უნდა გამოგვეპაროს არაფერი, საჭიროა ყურადღება, რომ მსგავსი განცხადებები, რასაც ახლა ვისმენთ ''ქართუ ბანკის'' მიმართ, არ გახშირდეს არჩევნების წინ, როგორც ეს ხელისუფლებას სჩვევია - შეაგზავნიან მსტოვრებს და მერე არჩევნების წინ აკეთებინებენ განცხადებებს. მე ეს იაფფასიანი სპექტაკლები ვნახე საპარლამენტო არჩევნების წინ ჩემს ოლქში-ნაძალადევის რაიონში.

ახლა ხელისუფლება გაცილებით სასტიკი და თავაშვებული იქნება, რადგან მას ეშინია ბიძინა ივანიშვილის, იცის, რომ ბატონ ბიძინას აქვს მორალური უპირატესობა, ხალხის ნდობა და სიყვარული. ყველაზე დიდი სიახლე ქართული პოლიტიკისთვის ბიძინა ივანიშვილია და მის წინააღმდეგ ბრძოლა დიდ უსამართლობად მიმაჩნია. ვგულისხმობ იმ ადამიანებს, ვინც მის წინააღმდეგ გამოდიან. ხელისუფლებისგან აღარაფერი მიკვირს, ჩვენს ხალხს მართებს ახლა მოთმინებაც და იმავდროულად, აქტიურობა ამ გადამწყვეტ პროცესში. შორიდან ყურების დრო არაა.

**- როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია ქართულ პოლიტიკაში უფრო მეტი ქალბატონის ჩართვა?**

— ძალიან მნიშვნელოვანია და საჭიროა მეტი ქალბატონი ქართულ პოლიტიკაში, რომ უფრო გაკეთილშობილდეს და ნაცრისფერიდან ფერადოვანი გახდეს. *(იღიმის).* ქალი ასოცირდება მაღალ პასუხისმგებლობასთან და დედობრივ ინსტინქტთან, რაც ერთად - გონიერებისა და სულიერების მატარებელია.

**ნინო ფირცხალავა**

facebook

# xa l xis az r iT

ეს არის ტოტალიტარული-ავტორიტარული რეჟიმების მიზანი:

ჩაკლას ადამიანში ღირსება; მორალი და ზნეობა არარად უქციოს; გათელოს მასში პიროვნება; დაიმორჩილოს და... გაანადგუროს!

ეს ტრაგედიაა!

რო გაიძახიან სამეგრელო მიშასიაო.. თბილისის გარდა ლამის ყველაზე დაბალი შედეგი მანდ აჩვენა ადგილობრივზე ნაცმოძრაობამ... საერთოდ, ნაცები მითების შექმნის ოსტატები არიან (ომი მოვიგეთ და რამე) ყველა აკრძალული მეთოდი იყო გამოყენებული. ყოფილი პატიმრებით მანიპულირებიდან დაწყებული საარჩევნო ურნებთან ციცო დეიდების აგრესიით დასრულებული. არის ორი მნიშვნელოვანი მომენტი- თხილის ფასი, რომელმაც ასწია, გზები, რითაც სოფელმა შვება იგრძნო.ოპოზიციამ უნდა დაამტკიცოს რომ მეტი შეუძლია. ჩავიდნენ სოფლის უბნებში, არაა დიდი საქართველო, .თხილის ბიზნესზეც ყველამ იცის "ვისიცაა" ,ერთია, მეგრელს მარტივად ვერ მოატყუებ. საქმიან, პრაგმატულ საუბარს კი ალღოს უცებ აუღებს. ასეთები ვართ და...

იმ ქვეყანაში, სადაც სიღარიბის ზღვარს მიღმაა მოსახლეობის 50 პროცენტი, სადაც ათიათასობით დევნილი და უსახლკაროა, სადაც დაუსაქმებელია თითქმის მთელი საქართველო და ამ პატარა ქვეყანაში მინისტრების ხელფასი 56000 ლარია და 70000 პრემია ერიცხებათ, ვის უბრუნდება ენა, ისაუბროს წარმატებულ ქვეყანაზე, მსგავსი მარაზმი არსად ხდება, მხოლოდ აქ ამ ქვეყანაში. ჩვენ კი დავდუმდეთ, გავიყუჩოთ 20 ლარად გავიყიდოთ საარჩევნოდ. მართლა ფურთხის ღირსი ხარ საქართველოვ, ამას რომ ვიტანთ!!!

ამათ ჩემ მტერმა უსმინოს ბოლომდე! ეს ხალხის და ქვეყნის მოღალატეები, როგორ არა სცხვენიათ, საჯარო გამოსვლების და უიმედო დაპირებების? შეძრწუნებული ქურციკებივით დარბიან და შველას ითხოვენ, ამათ მიერ დაზომბირებული ხალხისგან, მაგარამ ხალხს რეაქცია აღარ აქვს, მათ კაზიონურ (უსულ-გულო, ბიუროკრატიული, ფორმალური) სახალხო გამოსვლებზე. კაენები ( მოღალატე ადამიანები, კაცისმკვლელები), დროსტარებას გადაყოლილნი, შეზარხოშებულნი რესტორნის სუფრებზე წყვეტენ საქართველოს ბედს და საკუთარ სტიქიებში ჩაძირულნი, სულ ''ცალ-ფეხზე'' ჰკიდიათ ერიც და საქართველოს მომავალიც. ამათი კრედოა, როგორ დაჯაბნონ ერი; როგორ გაყიდონ სარფიანად ქართული მიწა-წყალი; სისხლის ფასად შეინარჩუნონ ''სავარძლები'' და წინაპართა მიერ დატოვილი საუნჯე: ენა, მამული, სარწმუნოება - შებღალონ და გააცამტვერონ!...

ხალხი ძალიან შეშინებულია. თურმე პრობლემები არ ჰქონიათ. გაზის შეყვანა ყოფილა მთავარი პრობლემა ჩხოროწყუში. გაზის, დენის ან შეშის ფული როგორ გადაიხადონ ეს არ ყოფილა პრობლემა. უმუშევრობა პრობლემას არ წარმოადგენს თურმე. სასკოლოდ წიგნებს ვერ ყიდულობს ხალხი. ექიმთან კონსულტაციაზე ვერ მისულან უსახსრობის გამო. ასეთი სიტუაციაა ზუგდიდშიც და მთლიანად საქართველოში, სამწუხაროდ.

2701675 ლარი!!!!!! როდესაც 3 მილიონ ლარამდე პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან იხარჯება ტაშ-ფანდურში და ამ დროს უპატრონო და უსახლკარო მოქალაქეები იხოცებიან ქუჩაში მოყინულობით ნამდვილად აღარ აქვს უფლება მთავრობას ხელისუფლებაში დარჩეს!!! იმის უნარიც აღარ გაქვთ, რომ იცოდეთ, ქვეყნის პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან რა თანხა უნდა იხარჯებოდეს და რისთვის!!!!!! (იცით, მაგრამ მერე როგორ მოტეხავთ?)

მიშა გაპრეზიდენტებისას მთელ მსოფლიოში ეძებდა ქართველებს და ურჩევდა უკან დაბრუნდით და წარმატებული ქვეყანა ერთად ავაშენოთო. ახლა ის აღარ ადარდებს, რამდენი ქართველი გარბის უცხოეთში ლუკმაპურის საშოვნელად. გარყვნა ძალაუფლებამ.



# saakaSvilis dasalaiqeblad qveyanaSi sayovelTao mobilizacia gamocxadda, anu ra ar moswonT amerikelebs qarTul ekonomikaSi

*საქართველოს ღრმად პატივცემულ პრეზიდენტს თამამად შეუძლია შეცვალოს ქართველებისათვის საყვარელი სიმღერის ტექსტი და „ყვავილების ქვეყანას“ ნაცვლად, ამიერიდან ინტერპრეტირებული ვარიანტი იღიღინოს: „ლაიკების ქვეყანა, ჩოქვით შემოვიარე....“. ჩოქვისა რა მოგახსენოთ, მაგრამ პრეზიდენტი რომ ფეხალებული დარბის რაიონიდან რაიონში, ყველა ვხედავთ. მისი აზრით, ეს წინასაარჩევნო კამპანიაა. კამპანიის ნაწილია ის ღონისძიებაც, რომელზეც ქვევით ვისაუბრებთ და რომელიც ძალიან სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს.*

## ყოჩაღ, მიშა!

საქართველოში ძალიან მოდური გახდა სოციალური ქსელები, მათ შორის, ფეისბუკიც. ბოლო დროს, რამდენიმე გამოკითხვით, რომლის ქვეტექსტიც ყოველთვის ერთნაირია — ვის დაუჭერდით




მხარს, ხვალ რომ არჩევნები ტარდებოდეს — უპირობო ლიდერი ბიძინა ივანიშვილია. როგორც ჩანს, ბოლო რიგებში მოჩანჩალე სააკაშვილი დაიბოღმა და სიტუაციის გამოსასწორებლად ყველა მინისტრი თავისთან დაიბარა. თემა ისევ ერთადერთი და ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ აქტუალური იყო: როგორ დავეწიოთ და გავუსწროთ ბიძინა ივანიშვილს? მაშ, ამდენი სამინისტრო და დასაქმებული რისთვის მყავსო?! — დასვა რიტორიკული კითხვა პრეზიდენტმა და მინისტრებიც უსიტყვოდ მიუხვდნენ სათქმელს.

მეორე დღეს ყველა სამინისტრომ გახსნა დაბლოკილი სისტემები და თანამშრომლებმა, რომლებსაც მანამდე შეზღუდული ჰქონდათ ფეისბუკის მოხმარება, თავისუფლად დაიწყეს სოციალური ქსელების გამოყენება. ვინც არ იყო ფეისბუკის მომხმარებელი, დაავალეს, რომ გაწევრიანებულიყვნენ და დაიწყო დიდი მარათონი. მისი არსი ის არის, რომ თითოეული მომხმარებელი მოწონების ნიშანს, ანუ „ლაიკს“ აძლევს ამა თუ იმ პოლიტიკოსის გვერდს, რაც თავისთავად ნიშნავს ამ პოლიტიკოსისადმი პერსონის სიმპათიას. სამინისტროების ყველა თანამშრომელი ვალდებულია, დაულაიკოს პრეზიდენტს. არ დაალაიკებს და. . . შედეგი ყველამ კარგად იცის. დავალებაზე კონტროლი სამინისტროების შიდა დეპარტამენტების ხელმძღვანელებს აქვთ დავალებული. შექმნილია სპეციალური თანამდებობა IT სპეციალისტებისთვის. ისინი აკონტროლებენ, რომელი კომპიუტერიდან არ მოხდა მოწონების ნიშნის მიცემა.

ყველაზე წარმატებული მინისტრი ამ საქმეში შაშკინი აღმოჩნდა. მან გეგმა 100 პროცენტით შეასრულა და ერთი ლაიკიც არ გამაზა. არაუშავს რა მუშაობს ჯანდაცვის სამინისტრო. თუმცა როგორც ნაცები ირწმუნებიან, აქ რეზერვი ბევრია და პრეზიდენტს წინ კიდევ უამრავი ლიკის ბედნიერება აქვს დარჩენილი. ყველაზე ჩამორჩენილი გარემოს დაცვის სამინისტროა. თურმე გოგა ხაჩიძე ამის გამო მმართველმა ელიტამ კარგად გამოლანძღა. როგორც სამინისტროს თანამშრომლები აცხადებენ, მინისტრს არაფერი უთქვამს საკუთარი თანამშრომლებისთვის და დავალება არ მიუცია, რადგან ძალიან სამარცხვინო საქმედ მიაჩნია.

ორი დღის წინ, როგორც იქნა, მთლად საქართველოს ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და მიშამ მცირედით, მაგრამ მაინც გაასწრო მოწინააღმდეგეს. დღეს კი იგი დამაჯერებლად ლიდერობს და მაშინ, როცა ივანიშვილს მხოლოდ 92 ათასი ლაიკი აქვს, მისი მოწონების ყულაბა 104 ათასი ლაიკით არის სავსე. აჰა, ივანიშვილო, გაჯობა ქართველების ფავორიტმა? ისე, სიმართლეს თუ ვიტყვით, ყოჩაღ, ივანიშვილს. ამ კაცს, თავს რომ საქართველოს პრეზიდენტს ეძახის, სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული ჰყავს ნახევარ მილიონამდე ადამიანი. ყველას თავზე მათრახით ადგას და აიძულებს, დაულაიკოს. ჰოდა, არ გინდა მაგის ჯობნა, როცა შენს მხარეს მხოლოდ გულწრფელი მომხმარებელია გულწრფელი განწყობებით?!

ეს ახალი ამბავი იმიტომ გავიხსენეთ, რომ საზოგადოებამ ნახოს, რით არის დაკავებული საქართველოს ხელისუფლება და რით იქცევს თავს პრობლემებით სავსე ქვეყანაში. როგორც ჩანს, მთავარი პრეზიდენტის დაკარგული ღირსებაა და ეგ თუ რამენაირად გადაარჩინეს, მერე აღარაფერი გვიშავს, უნდაც გამართლდეს ექსპერტების პროგნოზი, რომ თვის ბოლომდე პური და ხორბლის ნაწარმი გაძვირდება.

## უცხოები ალაპარაკდნენ

ამ ხელისუფლებას რომ სინდისი ჰქონდეს, ლაიკებს კი არ უნდა დასდევდეს, არამედ, ორი აგური ეჭიროს ხელში და მესამეს ეძებდეს. მესამეს, რადგან ქვეყანაში ისეთი სიტუაციაა, რომ ორი აგური თავში ჩასარტყმელად ნამდვილად არ იქნება საკმარისი. მაშინ, როცა პრეზიდენტი ლაიკებს დასდევს, საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის წარმომადგენელი ამერიკულ ჟურნალ „ფორბსისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ხმაურიან განცხადებას აკეთებს. ესბენ ემბორგის შეფასებით, ქართული ეკონომიკის აღდგენისთვის საკმარისი ძალისხმევა არ იხარჯება. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არსებობს განცდა, რომ უკან მივექანებით და არსებული ფონდები და რეზერვები ილევა.

ამ ამერიკელ კაცს კი უგრძვნია, რომ კარგი არაფერი გვჭირს, მაგრამ საქართველოში ხელისუფლებას იმდენი კუდის ამწევი გამოუჩნდა, რომ ლაიკების ამბავზე ნაკლები არც აქ ხდება. „მცირე და საშუალო მეწარმეთა ასოციაციის“ პრეზიდენტის განცხადებით, ეს შეფასებები კონკრეტიკას მოკლებულია. გიორგი ისაკაძის თქმით, **ემბორგის დასკვნა არგუმენტირებული არაა. ინვესტიციების კუთხით ხელისუფლებას აგრესიული პოლიტიკა აქვს: ბოლო 18 თვეში უცხოური ინვესტიციები სასურველ ნიშნულზე არა, მაგრამ აშკარად იზრდება, რაც ხელისუფლების ძალისხმევის მაგალითად შეიძლება დასახელდეს.**

ისევ ოლღა ბებიას უნდა დავესესხოთ, სად ნახა ამ შეჩვენებულმა გაზრდილი ინვესტიციები?! საქართველოსკენ გამოხედვა რუსულ კაპიტალსაც კი აღარ უნდა. მეორეც, ამერიკის სავაჭრო პალატის წარმომადგენელი მარტო ინვესტიციებზე არ საუბრობს. ის აცხადებს, რომ ქართული ეკონომიკის აღდგენისთვის ზოგადად საკმარისი ძალისხმევა არ იხარჯება. ისე, რაღა ძალისხმევა უნდა დაიხარჯოს, რაც არის სამინისტროებსა და დასაქმებულ მოქალაქეებში, მთლიანად ხმარდება პრეზიდენტის ფეისბუკის გვერდის მოწონებასა და დალაიკებას.

ხელისუფლების კიდევ ერთი პირისმომწმედი საერთაშორისო ინვესტიციების საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელია. იგი ამერიკის სავაჭრო პალატის წარმომადგენლის განცხადებას უპირისპირდება. გიორგი სეთურიძე აცხადებს, **რომ მართალია, ეკონომიკური აქტივობა შემცირებულია, მაგრამ ამაში ხელისუფლების დადანაშაულება უადგილოა. ყველა ქვეყანას ეკონომიკური კრიზისის ფონზე უწევს ბიზნესისთვის სახსრების მოძიება, რომლებიც ევროპის ფინანსური პრობლემების გამო კიდევ უფრო ძვირდება და მსოფლიოში საქონლის მიმოსვლაც მცირდება.**

პირიქით, სეთურიძე, პირიქით! სწორედ იმიტომ, რომ ევროპაში პრობლემებია, ფული და კაპიტალი ახალ ბაზრებს და გასასვლელს ეძებს და საქართველოში რომ სულ ცოტათი მაინც შესაფერისი ვითარება იყოს, აქ შემოვიდოდა. უცხოური ინვესტიცია ბევრს არაფერს თხოულობს, მთავარია, იყოს სტაბილური დამოკიდებულება კაპიტალის და კერძო საკუთრების მიმართ, დანარჩენს თვითონ მოერგებიან. უცხოეთში უკვე ყველასათვის ცნობილია, რომ თუ აწყობილ ბიზნესზე რომელიმე ქართველ მაღალჩინოსანს ნერწყვი მოუვიდა, მერე ძალიან ცნობილი ბრენდიც რომ იყოს, მამალმერთიც ვეღარ დაიცავს.

## დიდი მეზღაპრე

ამ დღეებში რადიო „თავისუფლებამ“ ძალიან საინტერესო მასალები გამოაქვეყნა, რომელიც ქართულ სოფლის მეურნეობაში არსებულ მძიმე პრობლემებზე მიგვანიშნებს. საქართველოში სოფლად ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრობს, მაგრამ მათ მიერ შექმნილი დოვლათი არ არის ამ მაჩვენებლის პროპორციული. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილი 7 პროცენტზე ოდნავ მეტს შეადგენს. ეს მაჩვენებელი ბოლო წლების განმავლობაში პერმანენტულად კლებულობს და ვარდების ხელისუფლების პერიოდში 35 პროცენტიდან 7 პროცენტამდე ჩამოვიდა.

„ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა“ მოაწყო პრეზენტაცია – „2011 წლის საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივის მიმოხილვა – წლიური შეჯამება“.

სინამდვილეში, სოფლის მეურნეობა 35 პროცენტით კი არა, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის შესაბამისადაც არ იზრდება. „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ კოორდინატორის ნინო ევგენიძის განცხადებით, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების 17–18 პროცენტი დღეში იღებს 1 დოლარზე ნაკლებ შემოსავალს. საქართველოს მთავრობა სხვადასხვა პროექტს ახორციელებდა სასოფლო ბიზნესის წახალისების მიზნით. მათ შორისაა, მექანიზაციის პროგრამა, ყურძნის ჩაბარების სუბსიდირება, ჰიბრიდული ჯიშის სიმინდის პროგრამა. მიუხედავად შედეგების სიმცირისა, ხელისუფლება მაინც განაგრძობს სოფლის მეურნეობის ბიზნესში ჩარევას, რომელიც რატომღაც ყოველთვის წარუმატებლად მთავრდება.

პრეზიდენტის ბოლო დაპირება ასეთია: — **უახლოესი 3 კვირის განმავლობაში ჩვენ შევიძენთ 250 ახალ ტრაქტორსა და 400 მისაბმელ აგრეგატს; ამიტომ ამ წლის 1 ივნისამდე მექანიზაციის ყველა ცენტრი, ჯამში, აღჭურვილი იქნება 563 ერთეული ტრაქტორით, 50 ერთეული კომბაინით, 22 ერთეული სპეცტექნიკით და 1470 ერთეული გუთნითა და ტრაქტორზე მისაბმელი სხვა ტექნიკით.**



ქვეყნის ეკონომიკაში აგრარული პროდუქციის წილის გაზრდის პირობა არაერთხელ დადო საქართველოს მთავრობამ. ეს პირობა კიდევ ერთხელ გაიმეორა საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტში წლიური მოხსენებით გამოსვლისას: — **შარშან მე დაგპირდით, რომ 2015 წლისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციას გავაორმაგებდით. დღევანდელი მონაცემებით, სოფლის მეურნეობის სექტორი უკვე, დაახლოებით, 35 პროცენტით არის გაზრდილი.**

იქნებ ხელისუფლებამ ეს ყველაფერი მართლაც შეიძინოს, მაგრამ გლეხს რა? უფრო მეტი შეიძინა ივანიშვილმა რამდენიმე წლის წინ, მაგრამ ამით სოფელს შეღავათი არ მიუღია. სად გაქრა ასობით ერთეული ტექნიკა, არავინ იცის. უფრო სწორად, იციან და არ ამბობენ.

პრეზიდენტის დაპირებები ბოლო დროს უნიჭო ზღაპრებს დაემსგავსა, რომელსაც აღარავინ კითხულობს. ზღაპრების თემატიკა ფართოა: ჯვრის მონასტრის დაბრუნება, ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში... არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ზღაპრების რაოდენობა და დაუჯერებლობის ხარისხი იზრდება. როდის გასკდება ტყუილების ბუშტი, უცნობია. ცნობილია, რომ საქართველოს სხვა სიკეთესთან ერთად, ლაიკების მოყვარული პრეზიდენტი ჰყავს და ის დროა, ყველამ ერთად შევცვალოთ ცნობილი სიმღერის ტექსტი და ერთხმაში ვიღიღინოთ; ლაიქების ქვეყანააააა!

**მანანა გეგიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# aRar kmara, anu rogorc cxonebuli mediko mezvriSvili ityoda _ aRar gveyoi?!

2003 წელს, არჩევნების გაყალბების საბაბით, "ნაციონლური მოძრაობა" და ბლოკი "ბურჯანაძე-დემოკრატები" ჯავშანჟილეტებითა და შეიარაღებით შეიჭრნენ პარლამენტის შენობაში. მანამდე ჟვანიას ებრაელი მეგობრის მიერ მომზადებული სიების კომპიუტერული ვერსიით, რომელი? ისე იყო დაპროგრამებული, რომ ამომრჩევლის მონაცემს" ვერ კითხულობდა" და სიებიდან ყრიდა ათასობით ამომრჩეველს. არჩევნებსაც ერთი-ერთზე მოჰყვა იუგოსლავიაში მაილს-სოროსის მიერ ჩატარებული არჩევნების სცენარი. ორივე რევოლუციას აფინანსებდა სააკაშვილისა და სოროსის დიდი მეგობრის, მაკ კეინის ფონდი- "ფრიდომ ჰაუსი". მანვე დააფინანსა რვვოლუციები ყირგიზეთსა და უკრაინაში. რევოლუციის სქემა იუგოსლავიაში ჩასულმა ჟვანიამ, სააკაშვილმა და გამყრელიძემ გადაამოწმეს. სცენარის მიხედვით, ხელახალი არჩევნები უნდა დანიშნულიყო. რევოლუციასაც მხოლოდ სააკაშვილი ემხრობოდა. არჩევნებში მეორე ადგილზე გასული სააკაშვილი პირველობას ითხოვდა. "ბურჯანაძე-დემოკრატები" კი, მხოლოდ მაილსის "უბან-უბან სირბილის" შემდეგ, მოხვდნენ პარლამენტში. საქართველოს საშინაო საქმეებში უცხოელი ელჩების ჩარევის პრაქტიკაც, პირველმა მაილსმა დაიწყო. შევარდნაძემ "ხელები დაიბანა" და "სახლში წავედიო"— თქვა. უფლებამოსილება-შეწყვეტილი პარლამენტის, ულებამოსილება შეწყვეტილმა თავ-რემ დათხოვნილი პარლამენტის ხელახლა მოწვევით, საკნონმდებლო საარჩევნო ცვლილებები და არჩევნების შედეგებიც— პროპორციულისა და მაჟორიტარულის სათავისოდ შეცვალა. კანონდარღვევით შეითავსა პრეზიდენტის უფლებამოსილება და ამით სააკაშვილის გაპრეზიდენტებას შეუწყო ხელი. მთელი უბედურებებიც საქართველოში აქედან დაიწყო! მოსვლიდან სამი დღის თავზე, სააკაშვილისა და "თავისუფლების ინსტიტუტის" ბრძანებით, დაარეგისტრირეს მართლმადიდებლობისთვის ყოვლად მიუღებელ "იეღოვას მოწმეთა სექტას". ერთი კვირის თავზე დაარბიეს გლდანის ეკლესია. კამაზით შეანგრიეს ეკლესიის კარი. (სატელევიზიო კადრებში კარგად სჩანან: ახალაია, სანოძე, ბარამიძე, ბოკერია, მერაბიშვილი, ოქრუაშვილი, ადეიშვილი და სხვა დღევანდელი მაღალჩინოსნები.) "ვარდოსნების ზონდერ-ბრიგადებმა" ფეხით გათელეს ხატები, სცემეს მრევლი. ჰილარი კლინტონის დაჟინებული მითითებით, "იეღოველების იდეოლოგიასთან ბრძოლისთვის" დააპატიმრეს მამა ბასილი. (ეკლესიის კარის შემტვრეველი კამაზის მძღოლი, შემდგომში წელსქვევით მოწყდა.) პირველივე კვირეებში, ჯერ კიდევ "პირველ არხზე" "თავისუფლების ინსტიტუტიდან" მოვიდა ბრძანება, ეკლესიის დისკრედიტაციის მიზნით, გადაცემათა ციკლის - "რეპორტაჟები ჯოჯოხეთიდან" გაშვება. მიზანი — ეკლესიისა და უწმინდესის დისკრედიტაციაა. თანამშრომელთა მხრიდან უარს— მათი სამსახურიდან დათხოვნა მოჰყვა. გაუშვეს თითქმის ყველა პროფესიონალი კადრი. პირველი არხი "ნაციონალების" ხელში გადადის. ამის პარალელურად, "რუსთავი-2"-ზე გადის გადაცემათა ციკლი, სადაც გამოდიან განდგომილი დეკანოზები, "ახლებურად მოაზროვნე" მღვდლები, სემინარიის სტუდენტები, ე.წ. "ცნობადი სახეები" და მართლმადიდებლური ეკლესიის გაქილიკებას ეწევიან: "მშიერ ქვეყანაში, ეკლესიებისა და სამების ტაძრის მშენებლობის დრო არ არის"- დეკანოზი ბასილ კობახიძე. პარალელურად "თავისუფლების ინსტიტუტი"- თეა თუთბერიძე, ლევან რამიშვილი, უკვე პარლამენტარი-გიგა ბოკერია, ეწევიან აგიტაციას, ქართული მართლმადიდებლობის წინააღმდეგ. "ნაციონალების სახეები" მიშა მაჭავარიანი და დავით ტყეშელაშვილი ზუგდიდში მეუფე გერასიმეს დამხობის მხარადმჭერი აგიტაციისთვის ჩადიან. თეა თუთბერიძე აცხადებს, რომ სკოლებში მართლმადიდებლური მცნებების სწავლება, არღვევს სხვა კონფესიების ბავშვების უფლებებს. მინისტრი კახა ლომაია, ჰაგიოგრაფიასა და "ვეფხისტყაოსანს" ნაგავზე გადასაყრელს უწოდებს, გიგა ბოკერია კი წინაპართა ხსოვნის პატივისცემას — ფაშიზმს. ლევან რამიშვილის (ასატრიანის) მითითებით, მართლმადიდებლობა ისეთივე კონფესიაა, როგორიც იეღოველთა ან სხვა სექტები. რაც განახორციელეს კიდეც რელიგიის კანონის მიღებით. ბოლონიის კონვენციაზე აპელირებით, ტარდება ე.წ. "წარმატებული განათლების რეფორმა" რომელიც ჩვენთან რეალურად, სხვადასხვა ქვეყნების განათლების კანონიდან ამოგლეჯილი თეზისებითაა წარმოდგენილი და საერთო ქართულ ტრადიციულ განათლებასთან არაფერი აქვს. განათლების კანონს, ლომაიასა და "ნაციონალებთან" ერთად, მხარს, ყველაზე მეტად ე.წ. "გონიერი პარტია" უჭერს. შეადგინეს "ახალი განათლების კანონი", რომელსაც ერთიანი საკაკონმდებლო კანონის სახე არ აქვს. ყველა კანონს უნდა გააჩნდეს დოქტრინა. ის, რასთან შესაბამისობაშიც ეს კანონი მოდის. ასეთი განათლების კანონში არ არსებობს. საქართველოში არსებობდა ქართულ, ეროვნულ განათლებაზე აგებული დიმიტრი უზნაძისა და არნოლდ ჩიქობავას განათლების დოქტრინები, რომლებიც უგულვებელყვეს. "ახალი განათლების რეფორმით", რომელიც განათლების სისტემაში კორუფციასთან ბრძოლის ეგიდით წამოიწყეს: ა) უნივერსიტეტს წაართვეს ავტონომია. უნივერსიტეტის 22 ფაკულტეტიდან, დატოვებეს 6 ფაკულტეტი. ბ)უნივერსიტეტიდან გაუშვეს გამოცდილი, 60 წელს გადაცილებული კადრები. (ბოლონიის კონვენციაში ეს არ წერია!) გამოცდილი მეცნიერი სწორედ სამოცი წლის შემდეგ იწყებს წლების განმავლობაში დაგროვილი ცოდნის სამეცნიერო ნაშრომებად გადატანას. მათ ნაცვლად მოიყვანეს "თავისუფლების ინსტიტუტის", "კმარასა" და უცხოეთში 2-3-თვის ე.წ "ტრეინინგების" შედეგად სერტიფიკატაღებული კადრები. გ)სკოლებში თვითმმართველობების სახელით შემოიღეს უსარგებლო "სამეთვალყურეო საბჭოები". დირექტორების არჩევა მოხდა ლოტოტრონებით, ათეულობით გამოცდილი ადამიანი დარჩა უმუშევარი. "ნაციონალების ხელქვეითი სამთვალყურეო საბჭო" და მათ მიერ არჩეული დირექტორი სკოლებში კორუფციის უმთავრესი წყარო გახდა. დ) მოსწავლეს, მასწავლებლის და მშობლის დაბეზღების უფლება მიეცა, რამაც მოზარდებში დასმენა-ჩაშვებების დამკვიდრებას შეუწყო ხელი. ვ) რიგ სკოლებში, 4-5 კლასებში, პორნოგრაფიული სურათებით ილუსტრირებული სექსოლოგიის სახელმძღვანელოების შეტანის მცდელობასაც ჰქონდა ადგილი. ზ)"დედა ენიდან" ამოღებულია გოგებაშვილის "დედა ენა". მშობლიურის ნაცვლად დაერქვა "ქართული ენა". "დედა ენასთან" მიმართებაშიც დამახინჯებული სახითაა მოცემული. თ). დარღვეულია საგნების შინაარსი და ქრონოლოგია, რაც ბავშვებს საქართველოს ისტორიის შესწავლის შესაძლებლობას უკარგავს. არ არსებობს განათლების ერთიანი პროგრამა. სკოლებს, ყოველწლიურად, ყველა საგანში, სკოლის მიერ არჩეული სახელმძღვანელოთი სარგებლობის უფლება ეძლევა. უმაღლესში ჩაბარებისას, ტესტებში მასალების მიხედვით, აბიტურიენტს შესაძლოა ესა თუ ის მასალა სკოლაში გავლილიც არც ჰქონდეს. ი) სტადიონების მშენებლობის პიარის ფონზე, სკოლებში შემცირდა ფიზიკური აღზრდის საათები. კ) უმაღლესში მოხვედრილი აბიტურიენტი, უკიდურესად გაძვირებული გადასახადის პირობებში განათლებას ვეღარ ღებულობს. განათლებას უმაღლეში აღარავინ იძლევა, რადგან გაყვანილია კოლეჯის დონეზე. ლ) ლომაიას მოთხოვნით, სკოლებში აიკრძალა ლოცვების კუთხეები, მაშინ როცა იკითხებოდა "მამო ჩვენო" და 'სწავლის დაწყების და დამთავრების შემდგომი ლოცვები". ბავშვებს ასწავლიდნენ "არა კაცთ კვლას", "არ იმრუშოს", "არ იქურდოს', "პატივი ეცი მამასა შენსა და დედსა შენსას". მ) განათლება უმაღლესებში გახდა ფასიანი და შესაბამისად, ბევრი შეჭირვებული ოჯახის ბიუჯეტი მას ვერ წვდება. ნ) კორუფციასთან ბრძოლის საბაბით დაწყებული განათლების რეფორმის გატარების შედეგად, სახელმწიფო უნივერსიტეტს 40 მილიონი გაფლანგვა დაუფიქსირა. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან გასაყიდად გატანილ იქნა უნიკალური წიგნები ო) მართლმადიდებლურ ქვეყანაში ჯვრების ტარება აეკრძალათ პატიმრებსაც. პ) "თავისუფლების ინსტიტუტიდან" ნაციონალების დანიშნულმა რექტორმა- ხუბუამ, რომელიც სოფელში თხების მწყემსვით იყო დაკავებული, ივ. ჯავახიშვილის სავარძელში ჩასკუპებისას ხელმძღვანელ პოსტებზე უნივერსიტეტში თავისი ნათესავები, მათ შორის, საბაჟოზე მომუშავე ადამიანები დანიშნა. ჟ) „თავისუფლების ინსტიტუტის" მიერ განხორციელებულ რეფორმაში გამოიკვეთა განათლების რეფორმის ჭეშმარიტი არსი — <u>ქვეყანაში, რაც შეიძლება მეტი გაუნათლებელი ქართველის არსებობა, რაც გაუნათლებელი, უგუნური და ადვილადსამართავი ერის ჩამოყალიბების ტენდენციაა.</u> ტელევიზიებითა და პრესით, მიმდინარეობს ტრადიციული ქართული ოჯახის სიმტკიცის წინააღმდეგ მიმართული აგიტაცია და "ქალიშვილობის ინსტიტუტის ჩამორჩენილობის" პროპაგანდა. პრეზიდენტის მეუღლემ სოფელ-სოფელ არიგა ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები. პრეზიდენტმა სააკაშვილმა კი "ამ საქმიანობისთვის" ახალგაზრდებს ბუჩქებისკენაც მიუთითა, რაც გარყნილი ურთიერთობების პირდაპირი აგიტაციაა. პარლამენტმის მიერ მიღებული კანონი — სუბოტექსის მეტადონით ჩანაცვლების თაობაზე, რომელიც ვითომდა ნარკოდამოკიდებულების მოსახნელად განხორციელდა, სინამდვილეში მისი გაზრდის პირადპირი ხელშეწყობაა. სინთეტიკური შემადგენლობის გამო, მეტადონის თავის დანებება შეუძლებელია. სინთეტური ნარკოტიკების ლეგალიზაციის პროგრამა, სოროსის მილიონების ერთ-ერთ წყაროა. ხელისუფლებამ ამ პროგრამის გატარებაში დიდი ფული აიღო. მეტადონი ნარკომან ფეხმძიმე დედებსაც ენიშნებათ, რაც ბავშვს, ჩანასახშივე ნარკოდამოკიდებულს ხდის. ეს გენოფონდზე განხორციელებული პირდაპირ შეტევაა. სააკაშვილის ინიციატივით, ქეთევან წამებულის მოედანს გადაერქვა სახელწოდება და "ავლაბრის მოედანი" ეწოდა. მეტეხთან მდებარე, "ასიათასი მოწამის მოედანს" კი, "დიდმა ევროპელმა სააკაშვილმა" "ევროპის მოედანი" დაარქვა. აშშ-სადმი მლიქვნელობისა და მაამებლობის მიზნით, თბილისის ერთ-ერთ უძველეს ქუჩას, სააკაშვილის ბრძანებით, ბუშის ქუჩა დაარქვეს. პირველი პრეზიდენტის- ზვიად გამსახურდიას გამზირის ნახევარს, კი "ალიევის სანაპირო". საზოგადოების ცნობიერებაზე ზემოქმედებისა და განსხვავებული აზრის დევნის მიზნით, დაარბიეს დამოუკიდებელი ტელეკომპანია იბერია. წაართვეს კუთვნილი აპარატურა და ქონება და სახელისუფლებო ტელევიზიებს გადასცეს. დაიხურა "ტელეკომპანია 202" და "მე-9 არხი". შემდგომი ეტაპი მეცნიერებათა აკადემიის განადგურება გახდა. "თავისუფლების ინსტიტუტის" ერთ-ერთმა "ბელადმა" გიგი თევზაძემ, ბრიტანელ ექსპერტს შეკითხვაზე — "რა მიზანს ისახავს განათლების რეფორმა?" უპასუხა: — "საქართველოში სახელმწიფო ენა ინგლისური უნდა გახდესო". (ამის შემსწრე რამოდენიმე პროფესორია) აქედან იწყება ქართული ენის "ნაციონალურად დევნაც" საქართველოში. ფილოლოგმა კოტე გაბაშვილმა სატელევიზიო სიუჟეტში საქვეყნოდ განაცხადა: "საქართველოს გერბზე "ძალა ერთობაშია" ლათინურად თუ ეწერება — უარზე არ ვიქნებიო"! მერაბიშვილის უწყებამ, მონასტერში დამნაშავის ძებნის საბაბით, დაარბია დმანისის დედათა მონასტერი და მრევლი. ციხეში მაშინდელი უფროსის, ბაჩო ახალაი-








ას ბრძანებით სისხლში ჩაახშვეს ციხის ბუნტი. (დღემდე უცნობია, დაღუპულთა რაოდენობა.) ფერიის მთაზე, სააკაშვილის მიერ, საატრაქციონე ადგილისთვის დაანგრიეს მშენებარე ეკლესია ხაშურის გზაზე სააკაშვილის პირადი დავალებით მოთხარეს გზაზე დადგმული ჯვარი. ("თურქ მძღოლებს ნერვებს უშლისო". ზუგდიდში, ვითომ სპორტული კომპლექსის აშენების საბაბით, ეკლესიის აშენების ადგილზე მოთხარეს დადგმული ჯვარი. (ჯვრის მოთხრის შემდეგ, კომპლექსის მშენებლობის დროს სინკარმა ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა?!) მხცოვანი მეცნიერები და ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლები, სააკაშვილმა "ჩარეცხილებად მონათლა". ძეგლის ავტორის- მერაბ ბერძენიშვილისა და არქიტექტორის დაუკითხავად, "ივერიასთან" ადგილის გაყიდვის მიზნით, დახერხეს და შუაგულ ტრასაზე გადაიტანეს დავით აღმაშენებლის ძეგლი. მწერლებს წაართვეს ხოშტარიას მიერ ანდერძით დატოვებული მწერალთა კავშირის შენობა. ღირსეულ საზოგადო მოღვაწეებს წაართვეს მათთვის აშენებული კუთვნილი ბინები. კომპოზიტორთა კავშირს წაართმევეს მათი სახსრებით აგებული დასასვენებელი სახლი ბორჯომში. თბილისის მოქალაქეებს, ადგილის გაყიდვის მიზნით, დაუნგრიეს თაბუკაშვილის ქუჩაზე აშენებული კაპიტალური საცხოვრებელ სახლი. სამედიცინო კოლეჯის ბავშვები დატოვეს ქუჩაში და გამოცდების ჩაბარების გარეშე. გააუქმეს სამხედრო სასწავლებელი. "სპორტის აკადემიას" წაართვეს ფიზკულტურის ინსტიტუტი. გაიყიდება უამრავი საავადმყოფო, განადგურდა ჯანდაცვის სისტემა. აეროპორტთან, ალექსეევკის ტერიტორიაზე, ამერიკელებს ააშენებინეს "ბაქტერიოლოგიური ნარჩენების" ლაბორატორია, რომელი ეპიდემიების ანტიდოტებიც აღარ არსებობის გამო, გაჟონვის შემთხვევაში, ეპიდემია საქართველოსა და თურქეთსაც მოიცავს. სააკაშვილის მთავრობის "ხერხემლის"— "გაღლეტილი მერაბიშვილის" უწყების მიერ, დაიხვრიტა და მოკლულ იქნა ქართული გენოფონდის უდანაშაულო ახალგაზრდები— გირგვლიანი, რობაქიძე, ვაზაგაშვილი და ბევრი სხვა ახალგაზრდა. ბარამიძის მინისტრობისას ჩატარებულ ყველა სპეცოპერაციას, მშვიდობიანი ადამიანის სიკვდილი მოჰყვა. მისივე დავალებით, დახოცეს უიარაღო აფრასიძეები და ამით მოსპეს ენერგოკრიზისთვის აფრასიძეების მიერ გადამცემების აფეთქებასთან თავიანთი კვალი. სააკაშვილმა, თავისი არაპროფესიონალი სამხედრო მინისტრებით მოახდინა ქართული ჯარის დემორალიზაცია. დანაშაულის დაფარვის მიზნით კი, მუხროვანის ამბოხების სპექტაკლის გათამაშება, რასაც უდანაშაულო სამხედრო პირების დაპატიმრება, დაჭერა და მკვლელობაც მოჰყვა. თავდაცვის მინისტრმა ოქრუაშვილმა, გააუქმა ერგნეთის ბაზრობა, რითაც ერთობლივი ვაჭრობისას, ოს და ქართველ ხალხს შორის დაწყებული ურთიერთობის დათბობას შეუშალა ხელი. ხელოვნურად განაახლა სამაჩაბლოში "მიძინებული კონფლიქტი". ერგნეთის ბაზრობის საკონტროლებლად კი თავისი სანათესავო და ოჯახის წევრები დანიშნა. შეიარაღებული ჯგუფებით ატეხილი სროლებით, სამაჩაბლოში სიტუაცია თავიდან გაამწვავა. ვაჟკაცურად მეომარი ქართველი ბიჭებიც სწორედ, ოქრუაშვილის პროვოკაციული სამხედრო ოპერაციებისას დაიჩოქეს.

**ბაია ამაშუკელი**



# nukri qanTaria:
# biZina ivaniSvili Tavad aris prodiuseri, reJisori, scenaristi da icis, rodis ra moimoqmedos

***რა საკითხებზე ისაუბრეს „ქართული აკადემიის" წევრებმა ბიძინა ივანიშვილთან და რა როლი ექნება მოცემულ პოლიტიკურ სიტუაციაში აკადემიას, თემის დეტალებზე „საერთო გაზეთს" „ქართული აკადემიის" წევრი ნუკრი ქანთარია ესაუბრა.***

**— ბატონო ნუკრი, ვისი ინიციატივით შედგა შეხვედრა და რა საკითხებზე გაიმართა კონსულტაციები?**

— მე, პირადად, და აკადემიის რამდენიმე წევრს თემურ ნანეიშვილს, თამაზ ჯოლოგუას, გოგი ქავთარაძეს დაგვიკავშირდნენ და მისვლა გვთხოვეს. ბიძინა ივანიშვილთან მისულებს სახალხო კრების წარმომადგენლები დაგვხვდნენ. ორივე მათგანი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები ვართ და ალბათ, ამიტომ შედგა ერთობლივი შეხვედრა.

**— ბატონო ნუკრი, თუ გქონდათ ბიძინა ივანიშვილის მხრიდან რაიმე კონკრეტული შემოთავაზება?**

— კონკრეტულ გეგმაზე საუბარი არ გვქონია. თუმცა, საუბარი შეეხო ქვეყანაში შექმნილ სიტუაციას, მოახლოებულ არჩევნებს, სამომავლო გეგმებს და ა.შ. საბოლოოდ შევთანხმდით, ერთობლივ კოორდინაციაზე, თუმცა, ეს როგორ და რა ფორმით მოხდება ჯერჯერობით გარკვეული არაა. ახლა იმის დრო არაა, ვის სად, როგორ უნდა,



მთავარია, ყველა ვეცადოთ, საერთო საქმის გაკეთებას.

ბატონი ბიძინა აცნობიერებს, რა პასუხისმგებლობა აკისრია, კარგად აღიქვამს არსებულ რეალობას და იმ შეცდომებს, რომელიც თავისთავად ახლავს პროცესს. მისი მისამართით ხშირად მოგვისმენია მოწოდებები, ამას თუ არ მიიღებს, ამას თუ არ გააკეთებს, წარმატებას ვერ მიაღწევს და ა.შ. თუმცა, ეს ყველაფერი უხერხულად მეჩვენება, რადგან ამ ადამიანმა ქვეყნის კეთილდღეობისთვის პირადი კეთილდღეობა დათმო. ნათქვამია, „მოედნის გარეთ ყველა პელეა", ამიტომ გარედან რჩევების მიცემა ძალიან მარტივია.

**— ბატონო ნუკრი, დღეს პოლიტიკურ ასპარეზზე ბიძინა ივანიშვილი მთავარ პოლიტიკურ მოთამაშედ განიხილება. თქვენ რას ფიქრობთ, ივანიშვილსა და მის გუნდს შეუძლია პოლიტიკური კლიმატის ფორმირება?**

— ამ ეტაპზე მსჯელობა, კარგია თუ ცუდი ივანიშვილის გარემოცვა, აბსურდულად მიმაჩნია. ყველაფერი თავისთავად რამდენიმე თვეში გაირკვევა. თუმცა, რაც უფრო მეტი ნიჰილისტური განწყობა იქნება შემოტანილი, ეს საერთო პროცესს მნიშვნელოვნად დააზარალებს.

სამწუხაროდ, დოპოზიციურ ფლანგზე ბიძინა ივანიშვილი ერთადერთ პოლიტიკურ მოთამაშედ ითვლება. სწორედ მან და მის ირგვლივ გაერთიანებულმა გარემოცვამ წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს მიხეილ სააკაშვილის რეჟიმს. მოგეხსენებათ, ივანიშვილის გამოჩენამდე პოლიტიკური ველი შეიძლება ითქვას, გაჩანაგებული, პოლიტიკური პროცესები კი მთლიანად ჩამკვდარი იყო. პოლიტიკაში მის გამოჩენამ საზოგადოებაში ახალი მუხტი, ემოცია გააჩინა. თუმცა, ეს ემოცია თანდათანობით განელდა და ახლა ხალხი უკვე მოლოდინის რეჟიმშია. მთავარია, ხალხი მაყურებლის როლში არ აღმოჩნდეს.

**— იმისთვის, რომ ხალხი პროცესის მიღმა არ აღმოჩნდეს, რამდენად აუცილებელია ივანიშვილის მხრიდან უფრო მკაფიო ნაბიჯების გადადგმა. თუნდაც საკმაო ხანს ჭიანურდება პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბების პროცესი?**

— პარტიის ფორმირება ეტაპობრივად მიმდინარეობს. რეგიონებში იხსნება ოფისები, ცოტა ხანში გაიხსნება ტელევიზიაც. ამიტომ ბიძინა ივანიშვილი ფინიშამდე ეტაპობრივად მიდის. მე, პირადად, ხშირად მინახავს დაბნეული პოლიტიკოსები, იგივე ნოემბრის, აპრილის მოვლენების დროს, თუმცა, ბიძინას ამდაგვარი არაფერი ეტყობა. იგი სიტუაციას აბსოლუტურად ადეკვატურად აფასებს, ხვდება იმასაც, რა გამოსდის და რა არა. ბატონ ბიძინას გათვლილი აქვს პროცესი რა როგორ უნდა განავითაროს, ამიტომ უფრო აქტიურ რეჟიმზე, ალბათ, აპრილ-მაისში გადავა.

**— ბატონო ნუკრი, თქვენ რა მოლოდინი გაქვთ არჩევნებთან დაკავშირებით. ფიქრობთ, რომ არჩევნების გზით შეიცვლება ხელისუფლება?**

— პოლიტიკურ ასპარეზზე ბიძინა ივანიშვილი რომ არ ყოფილიყო, თავისი ავტორიტეტით, ქველმოქმედებით, არჩევნებზე საუბარი ზედმეტი იქნებოდა. ამიტომ ამ ეტაპზე არსებობს შანსი არჩევნების გზით შეიცვალოს ხელისუფლება. თუმცა, ამისათვის აუცილებელია საარჩევნო მანქანის დაქოქვა.

ბიძინა ივანიშვილი თავად არის პროდიუსერი, რეჟისორი, სცენარისტი და იცის როდის რა მოიმოქმედოს.

ქუჩაში შეიძლება ყველა გაერთიანდეს, მაგრამ პოლიტიკურ ბლოკში ყველა ვერ გაწევრიანდება, რადგან ქაოსი იქნება. ყველას მოენახება რაღაც ადგილი იმისთვის, რომ პოლიტიკური პროცესების ფორმირებაში წვლილი შეიტანონ.

**— ოპოზიციის დანაწევრება ხომ არ გამოიწვევს ელექტორატის დაბნევას. მოგეხსენებათ, ივანიშვილის საარჩევნო ბლოკის გარდა საუბარია მესამე ცენტრის ჩამოყალიბებაზე?**

— მგონია, ხალხი სწორ არჩევანს გააკეთებს. მათ კარგად იციან, ვის შესწევს ძალა დაამარცხოს ხელისუფლება. თუმცა, ოპოზიციას წინ ძალიან დაძაბული, სერიოზული ბრძოლა ელოდება, რადგან ხელისუფლება აბსოლუტურად ყველა რესურსს გამოიყენებს მოწინააღმდეგის დასასუსტებლად.

**— ქალბატონი ნინო ბურჯანაძე ამბობს, რომ ქუჩის აქციებით ჯერ უნდა შეიცვალოს საარჩევნო გარემო და შემდეგ ჩატარდეს დემოკრატიული არჩევნები. ივანიშვილი კი არსებულ საარჩევნო გარემოს პირობებშიც არჩევნების მომხრეა. თქვენ რომელ პოზიციას ემხრობით?**

— ჩვენ დიდი ხანი ვიდექით ქუჩაში, თუმცა, რა შედეგები მივიღეთ, ყველამ კარგათ ვიცით. ოპოზიციური „რვიანი", „ექვსიანი" სწორედ საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად შეიქმნა, თუმცა, შედეგის მიუღწევლად მალევე დაიშალა. ხელისუფლება, რომ საარჩევნო გარემოს არ გაუუმჯობესებს ნათელია, პირიქით ოპოციზიის შესავიწროვებლად, დღითიდღე სავალალო" კანონებს იღებენ. მოსახლეობა თუ არჩევნებზე უშიშრად მივა, შედეგი აუცილებლად, დადებითი იქნება. სასურველია თუ ქუჩის აქციები მხოლოდ წინაარჩევნო კამპანიის ფარგლებში ჩატარდება, რადგან შედეგი გაცილებით ადეკვატური იქნება. ხელისუფლება იმ შემთხვევაში თუ არჩევნებს გააყალბებს, ცხადია, ხალხი საკუთარი ხმების დასაცავად ყველა მეთოდით იბრძოლებს.

**— ბატონო ნუკრი, საუბარში აღნიშნეთ, რომ ბიძინა ივანიშვილს პროცესების განვითარების გეგმა გაწერილი აქვს. როგორ ფიქრობთ, იგი განიხილავს გეგმას იმის შესახებ, რომ, შესაძლოა არჩევნები შემოდგომის ნაცვლად გაზაფხულზე ჩატარდეს?**

— გაზაფხულზე არჩევნების ჩატარებას თუ აპირებენ, წესით აქამდე გამოაცხადებდნენ. პირიქით, მათ არ აწყობთ არჩევნების ჩატარება გაზაფხულზე, რადგან ფიქრობენ, რაც დრო გავა, ხალხი უფრო დაითრგუნება.

**— როგორ ფიქრობთ, ბიძინა ივანიშვილი არის ბოლო შანსი სერიოზული პოლიტიკური ცვლილებების განსახორციელებლად?**

— ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ბოლო შანსზე ვილაპარაკოთ, მაგრამ ბიძინა ივანიშვილი ამ ეტაპზე პროცესების სერიოზულ წარმმართველად ითვლება, რომელსაც საზოგადოების უმრავლესობა მხარდაჭერას უცხადებს.

**— ბატონო ნუკრი, როგორ ფიქრობთ, აქამდე პოლიტიკური ცვლილებები იმიტომ არ განხორციელდა, რომ ლიდერის პრობლემა გვქონდა?**

— ლიდერთა ჯგუფები საქართველოში ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ასეთი უპირობო ავტორიტეტი აქამდე არ გვყოლია. ლაპარაკი იმაზე, რომ იგი წლების განმავლობაში ემზადებოდა პოლიტიკაში შემოსასვლელად აბსურდულად მიმაჩნია. იგი მაშინ შემოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე, როცა დაინახა, რომ ოპოზიციამ საკუთარი თავი ამოწურა და პროცესები სტაგნაციისკენ წავიდა. ამიტომ ივანიშვილის გადაწყვეტილება დასაფასებელია. მთავარია, პროცესი ნელი არ იყოს, კარგად გათვლილი და გაცნობიერებული იყოს თითოეული ნაბიჯი, და ასეთ შემთხვევაში, შედეგი აუცილებლად დადგება.

**მირანდა ნაბახტეველი**

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# Tbi l isSi xuTi didi meCeTi Sendeba?!

***გვესაუბრება სამების საკათედრო ტაძრის დიაკვანი, მამა ელიზბარ დიაკონიძე***

— აზიზიეს გრანდიოზული მეჩეთი რომ შენდება, ყველამ ვიცით. ეს ერთი უბედურებაა, მაგრამ ახლახან ძველი ნაცნობი დამიკავშირდა სახელისუფლებო წრიდან და ერთი სამწუხარო ამბავი მამცნო. თან დასძინა, ჩემი სახელი არ ახსენო თუ არა, სიკვდილს თუ გადავურჩი, ციხე არ ამცდებაო. ერთი სიტყვით, თურქი, ვინმე ალი ალთუნი, რომლის წინაპრებიც, სავარაუდოდ, ძველი მესხები — ალთუნაშვილები იქნებოდნენ, საქართველოსთვის ცნობილი ადამიანია, მას თურქეთში მსხვილი ბიზნესი აქვს და საქართველოშიც სურს გაშალოს საქმიანობა. მოკლედ, ეს ალი ალთუნი უკვე შეხვედრია ხალხს ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში და აპირებს თბილისშიააგოს 54 მეჩეთი ისლამისტური მიმდინარეობის აღმსარებლებისთვის. შეგნებულად არ ვთქვი, ისლამისტი მორწმუნეები-მეთქი, რადგან მე, როგორც სასულიერო პირი, ისლამისტებს მორწმუნეებს ვერ ვუწოდებ. მორწმუნე ნიშნავს მართლმადიდებელს.

**— მამა ელიზბარ, რამდენადაც ვიცი, თბილისში ორი მეჩეთი არსებობს, კიდევ ხუთის აშენება რატომ გახდა საჭირო?**

— ალი ალთუნის არგუმენტით, თბილისში, თურმე, 5000 თურქი ცხოვრობს, ისინი თბილისში არსებულ სხვა ისლამისტურ დაჯგუფებებს არ მიეკუთვნებიან და არსებულ მეჩეთებში ვერ ილოცებენ.

**5000 მლოცველი რომ დაეტიოს, ასეთი მეჩეთი რომ აშენდეს, სამების საკათედრო ტაძრის სიდიდის უნდა იყოს, ან მინიმუმ, სიონის ტოლა მაინც და რადგან ასეთ გრანდიოზულ სალოცავს ვერ ავაშენებთ, 5 მომცრო ზომის მეჩეთი მაინც უნდა ავაგოთ, 1000-1000 მომლოცველმა ალაჰი რომ ადიდოსო.**

ჩემს ნაცნობს უთქვამს ალი ალთუნისთვის, 5000 მუსლიმისთვის კი არა, არც იმ 1000-სთვის არ აგაშენებინებენ საქართველოში მეჩეთს, მაგის იმედი ნუ გექნებაო. ალის მიუგია:

**თქვენს მინისტრებს ფული დაანახე და საკუთარ ცოლებს მოგყიდიან, ამ საქმეში 12 მლნ უკვე გვაქვს ჩადებული, ხუთივე მეჩეთის მშენებლობისთვის მილიარდია საჭირო და არც ეს იქნება პრობლემაო.**

**— თქვენი ნაცნობი პატრიარქთან რატომ არ მიიყვანეთ, ამ საქმეში საპატრიარქო რომ ჩაერთოს, უმჯობესი არ იქნება?**

— შევთავაზე პატრიარქთან შეხვედრა, მაგრამ თვითონვე მითხრა, რიყეზე ბუდა-ბარს რომ აშენებდნენ, იმ ადგილას ამ 5 მეჩეთიდან ერთ-ერთის აგება არის დაგეგმილი. საპატრიარქომ ეს იცის, მაგრამ, ჯერჯერობით, რატომღაც ხმას ვერ იღებენ და აზრი არ აქვს იქ მისვლასო. იქნებ თქვენ და თქვენნაირმა სასულიერო პირებმა მაინც აიმაღლოთ ხმაო.

ხშირად მსაყვედურობენ, პატრიარქის მიმართ ძალიან კრიტიკული ხარო. როგორ შეიძლება მამის მიმართ კრიტიკული ვიყო?! ჩემი სიტყვები: „საპატრიარქოს მართავს შიში“ ნიშნავს, რომ პატრიარქის მაგივრად შიში მართავს იქაურობას. ყველას კარგად გვახსოვს, გასული წლის ივლისში რელიგიური კონფესიების შესახებ კანონს რომ მოეწერა ხელი, ხელისუფლებაც და ეკლესიაც გვაშოშმინებდნენ, სავალალო შედეგები ამას არ მოჰყვებაო. მეტი რაღა უნდა მოხდეს, 5 მეჩეთს თბილისში აშენებენ, ერთს — ბათუმში, ეს ამბები სომხებმა დაიწყეს და სულ მალე ახალციხეში გახსნიან სომხურ გრიგორიანულ ეპარქიას, არის ამაზე ლაპარაკიც.



საბოლოო შედეგი კი იქნება ის, რომ საქართველოში ყველა კარგად იქნება ჩვენს გარდა.

მავანი იტყვის, რამდენი მეჩეთიც არ უნდა აშენდეს საქართველოში, სარწმუნოებას ვერ შემაცვლევინებსო, მაგრამ გაიხსენეთ იოანე ოქროპირი. იგი ამბობს: ვინც შენს სარწმუნოებას და უფალს შეურაცხყოფს, გზაჯვარედინზეც რომ იდგე, ყვრიმლის ცემაც რომ დაგჭირდეს, შეუტიე და დაიცავი უფალიო.

დღეს თუ ვინმეს ჰგონია, რომ საქართველოს ხსნა სარწმუნოების და ღმერთის გარეშე შესაძლებელია, ძალიან ცდება.

ახლახან ერთი პოლიტიკური გაერთიანებიდან შემომითვალეს, რაკი რელიგიური ორგანიზაცია ხართ, ვერ დაგელაპარაკებით, ჩვენ მსგავს ჯგუფებს არ ვხვდებითო, როცა ბრძოლა ამ ფაზაშია, არ შეიძლება გამორჩევა — შენ მოდი, ის არ მოვიდეს და ა.შ. ჩემი აზრით, ნინო ბურჯანაძის გამოცდილება ყველა ბრძოლას წაადგებოდა, რომელსაც სააკაშვილის წინააღმდეგ ვგეგმავთ. მოვუწოდებ ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც თვლის, რომ საქართველოს მშენებლობაში წვლილი უნდა შეიტანოს, გავერთიანდეთ, ჩამოვყალიბდეთ ისეთ ძალად, რომ ანგარიში გაგვიწიონ. ჩვენ, „წმინდა გიორგის სადროშო“ ანგარიშგასაწევი ძალა ვართ, 30 რაიონში საკუთარი წარმომადგენლობები გვყავს. ჩვენთან ბევრია ზვიად გამსახურდიას მომხრე ეროვნული სულისკვეთების ადამიანი.

**— მამა ელიზბარ, მეჩვენება, თითქოს გულნატკენი ხართ, ივანიშვილთან გაერთიანება ხომ არ გსურდათ? საერთოდ, როგორ უყურებთ ამ ამბავს?**

— მე და ჩემი ორგანიზაცია ორივე ხელით

**მივესალმებით ბატონი ბიძინას გამოჩენას, ნამდვილად საქმიანი კაცია და კარგი მამულიშვილი, მაგრამ მასთან მიღწევა მართლაც ძნელი აღმოჩნდა და ვფიქრობთ, თუკი „ყანაში“ სამუშაოდ არ დაგვიძახეს, მერე ლხინშიც ველარ მივალთ და სიხარულსაც ვერ გავიზიარებთ.**

დიახ, ჩვენთან არიან იმ იდეის მატარებელი ადამიანები, რომლებიც იზიარებენ იმ აზრს, რასაც შეეწირა ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა და მიგვაჩნია, უნდა ვიდგეთ იქ, სადაც ქვეყანას სჭირდება.

**— მამაო, მერაბ კოსტავას ეზოს გაყიდვასთან დაკავშირებით ლაპარაკობდით წეღან, ეს ამბავი სიმართლეს შეეფერება?**

— დიახ, ბატონო. ეს ამბავი უკვე გადაწყვეტილია.

**მერაბ კოსტავას ეზო, რომელსაც დღემდე ზოგიერთი ნამდვილი მამულიშვილი ქუდს მოიხდის და ისე ჩაუვლის, მალე არაბებს გადაეცემა ბიზნესცენტრის ასაშენებელ ადგილად.**

დღეს ხელისუფლებაში თავის დროზე ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას იდეების ბევრი გამზიარებელი ბრძანდება, რომლებმაც, სამწუხაროდ, ცდუნებას ვერ გაუძლო, 30 ვერცხლად გაყიდა სამშობლო და იმ სულცხონებული ვაჟკაცების სახელი და იდეები. თავისუფალი ქართული სახელმწიფოს შექმნის მაგივრად, ზვიადის და მერაბის ყოფილმა მომხრეებმა პოლიციური სახელმწიფო შექმნეს.

**თქვენ იცით, პატარა ყვითელ სამარშრუტო ავტობუსებში სათვალთვალო კამერები რომ არის დამონტაჟებული?**

ვებკამერები ადამიანებს აკონტროლებს, საუბარს იწერს, მარშრუტს იმახსოვრებს. მძიმე ვითარებაა ქვეყანაში და მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით განვაცხადო, რომ „წმინდა გიორგის სადროშო“, ბრძოლას არ წყვეტს. უახლოეს დღეებში შევხვდებით სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლებს, ერთი მოწოდებით — გავერთიანდეთ და ჩამოვყალიბდეთ ერთიან ცენტრისტულ ძალად, ახლა გაჩუმება ღალატის ტოლფასია.

თქვენი ნებართვით, მინდა ერთი მოწოდებაც გავაკეთო:

„წმინდა გიორგის სადროშოს“ სახელით ყველა ოპოზიციურად განწყობილ სუბიექტს, პოლიტიკურ პარტიას, ყველას, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის მომავალი, გთხოვთ მობრძანდეთ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საფლავთან მისი დაბადების დღეს 31 მარტს 12 საათზე საერთო სახალხო ერთობის გამოსახატავად.

**ირანდა კალანდაძე**



## baRaTuria ar gamoricxavs, rom azizies meCeTis mSenebloba romelime maRalCinosnis interesia



საპარლამენტო ფრაქციის — “ერთობა სამართლიანობისათვის” — წევრი ჯონდი ბაღათურია არ გამორიცხავს, რომ საქართველოში აზიზიეს მეჩეთის მშენებლობა ზოგიერთი მაღალჩინოსნის ფინანსურ ინტერესებს უკავშირდებოდეს. მან შესაბამისი განცხადება პლენარულ სხდომაზე გააკეთა. მისი მოსაზრებით, ამ საკითხის უკან ზოგიერთი უმაღლესი თანამდებობის პირისა და მათი ოჯახის წევრების ძალიან საეჭვო ფინანსური ინტერესები იკვეთება. იგი ამ ადამიანების ვინაობის დასასახელებლად მზად არის პრეზენტაცია გამართოს და სათანადო დოკუმენტაცია და საჯარო რეესტრის ამონაწერები წარადგინოს

დეპუტატის აღშფოთებას ისიც იწვევს, რომ მისი ინფორმაციით, აზიზიეს მეჩეთის მშენებლობა ბათუმში იმ ადგილას იგეგმება, სადაც იუნკერების საფლავია.

“ერისთვის ამაზე მეტი სულში ჩაფურთხება რა უნდა იყოს?! აზიზიე ერთ-ერთ სისხლიანი დამპყრობელი იყო და ის ქართული ოკუპაციის სიმბოლოა. მისი სახელობის მეჩეთის მშენებლობას საქართველოში ჩვენ არ დავუშვებთ”, - აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

**„მედიანიუსი“**

# rogor moipara mTavrobam 65-dan 67 wlamde asakis pensionerebis Tanxebi?!

*გვესაუბრება „ახალი მემარჯვენეების“ ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელი ლევან კალანდაძე:*

**— ლევან, პრეზიდენტმა 2012 წელი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გადამწყვეტ წლად გამოაცხადა. რა ვითარებაა რეალურად?**

— პრეზიდენტს ახალი არაფერი უთქვამს. მან ილაპარაკა იმ ყველაფერზე, რაზეც წლებია საუბრობს, ახალი მესიჯი, ახალი ინიციატივა, ახლებურად დანახული პრობლემა, მას, პრაქტიკულად, არ გაუჟღერებია. ტრადიციად ჩამოყალიბდა — პრეზიდენტი გარკვეულ პრობლემას აფიქსირებს, მაგრამ კონკრეტულ გეგმას არასდროს სთავაზობს საზოგადოებას.



მქონდა მოლოდინი, რომ პრეზიდენტი დოკუმენტალურად გაწერილ გეგმას გააცნობდა ხალხს. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ამ გამოსვლიდან რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას. პირველი, მნიშვნელოვანი საკითხი სოციალურ სფეროს — დაზღვევის კომპონენტს ეხება. სააკაშვილი ამაყობს იმით, რომ ძალიან ბევრი საავადმყოფო ავაშენეთ. ეს შეიძლება მართლაც იყოს საამაყო, რომ რეგიონებში კომფორტული, მაღალტექნოლოგიური აპარატურით აღჭურვილი საავადმყოფოებია, მაგრამ ჩნდება კითხვა — ვისთვის ვაშენებთ ამ საავადმყოფოებს? საავადმყოფოებს ვაშენებთ იმისთვის, რომ უბრალოდ საავადმყოფოების შენობები გვქონდეს, თუ იმისთვის, რომ ავადმყოფებს ვუმკურნალოთ და კონკრეტულ შედეგებამდე მივიდეთ. სამწუხაროდ, ადამიანებს ამ ჰოსპიტალურ სექტორში მისვლა და მკურნალობა არ შეუძლიათ. ეს პრობლემა აქამდეც იყო და ვერც ახლა დავინახე მისი გადაჭრის კონკრეტული გზა. პრეზიდენტმა ახსენა,

რე მათ ალარაფერი შეუძლიათ. როცა სახელმწიფო ამ პროგრამას პრიორიტეტად აცხადებს და საზოგადოების კონკრეტული ჯგუფისთვის პროდუქტს აკეთებს, ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ მხოლოდ ექიმთან მისვლა და მედიკამენტების დანიშვნა, ამ ადამიანებისთვის შეღავათი ვერ იქნება. სამწუხაროდ, წამალი ერთადერთი საშუალებაა, არაურგენტული შემთხვევის გარდა, რომლითაც შეგიძლია

იმკურნალოთ. ანუ პირველადი ჯანდაცვის კომპონენტს ეს დაზღვევა არ ანაზღაურებს. შესაბამისად, როცა ამ პროგრამას სექტემბრიდან სკოლამდელი ასაკის ბავშვებზე და პენსიონერებზე გაავრცელებენ, აქაც იგივე პრობლემა დადგება. ჯერ ერთი, თუ ამ კატეგორიის ადამიანების დაზღვევა პრიორიტეტია, მაშინ რატომ სექტემბრიდან, ბიუჯეტს ხომ 1 იანვრიდან ვიღებთ და მაშინვე უნდა ამოქმედებულიყო ეს პროგრამები. მთავარია არა წინასაარჩევნოდ დავარიგოთ პოლისები, არამედ მოქალაქეები რეალური სამედიცინო სერვისებით უზრუნველვყოთ. ეს არის წმინდა წყლის წინასაარჩევნო კამპანია და უშუალოდ საპარლამენტო არჩევნებს უკავშირდება. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, სამწუხაროდ, პრეზიდენტს ახლაღა გაახსენდა, რომ, თურმე მედიკამენტები საჭირო ყოფილა. ამ ფენისთვის მედიკამენტოზური მკურნალობა უმთავრესი რომ არის, ეს პრეზიდენტმა აქამდე არ იცოდა? — რა თქმაუნდა იცოდა, მაგრამ...

ნო, როდესაც კონტროლის პალატამ ამ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში კვლევის შედეგები გააჟღერა, დასკვნაში მითითებული იყო — სახელმწიფო ფინანსები არაეფექტურად დაიხარჯაო. ეს რას ნიშნავს? — რომ სახელმწიფომ გამოჰყო გაცილებით მეტი თანხა, ვიდრე პროგრამის რეალური განხორციელებისთვის იყო საჭირო.

ეს წუნდებული, ნაკლოვანებებით სავსე სისტემა თავად ამ სახელმწიფომ შექმნა და დაზღვევის მომხმარებლების სადაზღვევო უფლებები ამ ქვეყანაში სრულფასოვნად დაცული არაა, ეს სწორედ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა და ვალდებულებაა. ხელისუფლება გაურიგდა სადაზღვევო სექტორს, რომ ეს უკანასკნელი პასუხისმგებლობას აიღებდა 100 საავადმყოფოს მშენებლობაზე და სამაგიეროდ ხელისუფლება მიწოდებული სერვისების ხარისხს ყურადღებას აღარ მიაქცევდა. შედეგი სახეზეა, ადამიანების ძალიან დიდი ნაწილი უკმაყოფილოა ამ პროგრამით იმიტომ, რომ ისინი საბოლოო შედეგს ვერ იღებენ. მათ სჭირდებათ მკურნალობა და არა პოლისის ფლობა. პოლისი ადამიანისთვის გამოჯანმრთელების და არა უბრალოდ საავადმყოფოში მისვლის საშუალება უნდა იყოს. ნომერ პირველი ამოცანა პირველადი ჯანდაცვა უნდა იყოს, რადგან თუ ადამიანს დროულად ვუმკურნალებთ, მას ურგენტული ჩარევა არ დასჭირდება.

ეს პრობლემა განსაკუთრებით თვალშისაცემია, რეგიონებშია ქალაქში ფული მეტ-ნაკლებად ტრიალებს. რეგიონებში, პრაქტიკულად, ნატურალურ მეურნეობაზეა მოსახლეობა გადასული და რასაც მოიპოვებენ, ნატურალურად ცვლიან საოჯახო მეურნეობაში. ვთქვათ ლობიო შეშაზე, შეშა ფქვილზე იცვლება და ა.შ. ფულის ნიშანი საერთოდ არ არის სოფელში. შესაბამისად, სოფლის მოსახლეობა სრულიად მოკლებულია შესაძლებლობას ამ ახალაშენებული საავადმყოფოებით ისარგებლოს. ბუნებრივია, მკურნალობის საფასურს შეშის ან ლობიოს მიტანით ვერ დაფარავს.

დენობა არ გაგვზრდია, რაც საკმაოდ ცუდი მაჩვენებელია. პრეზიდენტის შედარებას რაც შეეხება, ასეთი ლოგიკით შეიძლება დღევანდელი ვითარება მე-18 საუკუნის ბოლოს შევადაროთ, მოსახლეობის დაზღვევის მაჩვენებელი მაშინ საერთოდ არ იყო, ნულის ტოლი იყო. მთავარია არა ის, რომ დაზღვევის მაჩვენებელი გასული საუკუნის ბოლოს შევადაროთ, არამედ იმ კონკრეტულ მაჩვენებლებს, რაც ბოლო წლების მანძილზე გვქონდა. ჩნდება ეჭვები, შეძლებს თუ არა სახელმწიფო, პირობითად, ამ 2 მილიონი მოსახლის დაზღვევას. ალბათ, შეძლებს, ანუ ბიუჯეტს ამის რესურსი აქვს, მთავარია, პოლიტიკური ნება იყოს და ხელისუფლებამ რეალურად განახორციელოს მცირე მთავრობის ანუ ქამრების შემოჭერის პოლიტიკა და გაურკვეველი ესთეტიკური პროექტების ნაცვლად, ის კონკრეტული სოციალური პროგრამები დააფინანსოს, რომელიც მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაზე წვდომას გაზრდის, მაგრამ არც ესაა მთავარი, არამედ ის, რომ სამედიცინო სერვისი ხარისხიანი იყოს. თუ გაგრძელდა ისევ ისე და დაზღვევაში მედიკამენტოზური მკურნალობა არ ჩაერთო, იგივე პრობლემის წინაშე დადგებიან სექტემბერში დასაზღვევი პენსიონერებიც და სკოლამდელი ასაკის ბავშვებიც, რაც უმწეოებს აქვთ.

**— ანუ თანადაფინანსებით მედიკამენტების შეძენა გამოსავალი არ არის. წელან ახსენე, რომ მნიშვნელობა არ აქვს რამდენ პროცენტიანი იქნება თანაგადახდა, რადგან ამ კატეგორიას ფული საერთოდ არ აქვს.**



# ratom gayides glexebma mTavrobis mier darigebuli 30 lariani vauCerebi 15 larad?!

უმწეოთა და პედაგოგთა სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის პროგრამა უნდა გავაძლიეროთ, განვავითაროთ, რადგან წარმატებულიაო. გადაწყვიტეს ეს პროგრამა საზოგადოების სხვა ფენებზე — პენსიონერებზე, სკოლამდელი ასაკის ბავშვებზეც უნდა გავავრცელოთო. ეს კარგია, თუმცა, ისევ იმ შეცდომას ვუშვებთ, რაც ამ პროგრამის დაგეგმვის დროს საწყის ეტაპზე გვქონდა. სამედიცინო სადაზღვევო პროდუქტი, რაც უმწეოებს და პედაგოგებს აქვთ, თავისი არსით ძალიან კარგია. ანუ ადამიანებს რეალურად საშუალება აქვთ ექიმებს მიმართონ და გარკვეული სამედიცინო მანიპულაციები მიიღონ. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ მოსახლეობის ეს კატეგორია შეჭირვებულია, მათ რეალურად ფული არ აქვთ, ჩნდება დილემური სიტუაცია — მიდიან ექიმთან, კონსულტაციას გადიან, ენიშნებათ მკურნალობა და მათ მედიკამენტების შეძენის საშუალება არ აქვთ. ანუ რეალურად გამოდის, რომ ეს პროგრამები თავისი არსით წუნდებული, ხარვეზიანია. მთავარი მიზანი რა არის? — ადამიანმა იმკურნალოს, გამოჯანმრთელდეს და არა, უბრალოდ, მოისმინოს რა წამლებია საჭირო მისი მკურნალობისათვის. დღევანდელი პროგრამა იძლევა მხოლოდ ასეთ საშუალებას — ადამიანი მივიდეს ექიმთან, დაენიშნოს მკურნალობა და მორჩა, ამის მე-

**— მაშინ არჩევნები არ იყო.**

— დიახ, ძალიან სწორი შენიშვნაა. მედიკამენტების ინიციატივასთან დაკავშირებით, სააკაშვილმა თქვა, რომ თანადაფინანსება იქნება, მაგრამ მერწმუნეთ, უმწეო მოსახლეობისთვის 50 პროცენტიანი თანადაფინანსება იქნება თუ მედიკამენტების კომპონენტი, საერთოდ არ იქნება ჩასმული, ამით არაფერი იცვლება იმიტომ, რომ ადამიანებს არც იმ 50 პროცენტის გადახდის საშუალება აქვთ. ისინი უპოვარი ხალხია, რომელთაც არანაირი შემოსავალი, ელემენტარულად პურის ფულიც კი არ აქვს. შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან 70 პროცენტიანი თანადაფინანსებაც, არსობრივად არაფერს ცვლის. მინდა საზოგადოებას ერთი კონკრეტული დეტალი შევახსე-

**— ლევან, პრეზიდენტმა აღნიშნა, ადრე მხოლოდ 42 ათასი ადამიანი იყო დაზღვეული და ახლა 2 მილიონზე მეტს, ანუ ყოველ მეორე ადამიანს დავაზღვევთო.**

— ეს, უბრალოდ, ციფრებით მანიპულირებაა. კი, გასული საუკუნის ბოლოს მართლაც იყო საქართველოში 40 ათასი ადამიანი დაზღვეული იმიტომ, რომ მაშინ ქვეყანაში ელემენტარულად არ არსებობდა სამედიცინო დაზღვევა. ამის დღევანდელ მდგომარეობასთან შედარება, ცოტა არასწორია. პირიქით ბოლო სამი წლის მანძილზე სამედიცინო დაზღვევის მაჩვენებელი ქვეყანაში, პრაქტიკულად არ იზრდება, საშუალოდ 1 მილიონ 6 ათასია. ანუ რეალურად ბოლო 3 წლის მანძილზე დაზღვეულთა რაო-



— დიახ. ჩვენ შეიძლება ჰიპოთეტურად დავუშვათ, ვენდოთ პრეზდენტის სიტყვებს, რომ ეს ყველაფერი გათვალისწინებული იქნება, მაგრამ ამისათვის საჭიროა კონკრეტული პროგრამა არსებობდეს, რომელიც სამწუხაროდ, არ არსებობს. გასული წლის დეკემბრიდან დაიწყო საუბარი ამ პროგრამის შესახებ, თუმცა, იგი ჯერ გაკეთებული არ არის. საზოგადოებას, ექსპერტებს, პოლიტიკურ წრეებს ამ ეტაპზე მარჩიელობა უწევთ, თუ როგორი იქნება ეს პროგრამა, რადგან რეალურად ჯერ არაფერი დევს. აქვე, არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი — მთავრობა იძახის, რომ ეს პროგრამა 1 სექტემბრიდან ამოქმედდება, არადა ეს თანხები ბიუჯეტში, სამწუხაროდ, ჯერ ასახული არ არის. ახალი ბიუჯეტი იანვარში მივიღეთ და მაშინ სავსებით შესაძლებელი იყო ამ თანხების ბიუჯეტში გაწერა, თუმცა, ასე არ მოხდა.

**— გამოდის, რომ პრეზიდენტი მოსახლეობას ატყუებს, თუ რის ხარჯზე უნდა გამოიყოს ეს თანხები?**

— რაღაცის ხარჯზე უნდა გამოიყოს, მაგრამ ასახული არ აქვთ. სარეზერვო ფონდიდანაც ვერანაირად ვერ გამოიყოფა იმიტომ, რომ პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი მხოლოდ 50 მილიონი ლარია, რაც ამ პროგრამას არანაირად არ ეყოფა. ანუ დამატებითი რესურსია საჭირო, მაგრამ ამ ეტაპზე ეს საბიუჯეტო კანონმდებლობაში ასახული არ არის. კიდევ ერთ დეტალზე მინდა გავამახვილო ყურადღება, რაც პენსიონერების დაზღვევას ეხება. 1 სექტემბრიდან ხელისუფლებამ, რატომღაც გადაწყვიტა, რომ მხოლოდ 67 წლიდან პენსიონერებისთვის უნდა გასცეს სადაზღვევო პოლისი. ვკითხულობ — რა დააშავეს 65 წლის პენსიონერებმა, ისინი ადამიანები არ არიან? პირდაპირ ვაცხადებ, ეს დისკრიმინაციული მიდგომაა. ფაქტობრივად, 65-დან 67 წლამდე პენსიონერები ჰაერში არიან გამოკიდებულნი. ხელისუფლებამ 2 წელი მოიპარა, მან ეს ადამიანები მოიპარა. 65-დან 67 წლამდე პენსიონერები რის მიხედვით გამოთიშა ამ პროგრამას? — პასუხი მარტივია — ამით დიდი ფული დაზოგეს.

**— პრეზიდენტმა ბრძანა, ყოველ 1 მილიონ ტურისტზე — 15 ათას ადამიანს დავასაქმებო. თუ გადავხედავთ რამდენი უმუშევარი გვყავს (მათი რიცხვი დაახლოებით 600-800 ათასია). ამ ფონზე რამდენად რეალურია 30 მილიონი ტურისტის საქართველოში შემოსვლა და მათ ხარჯზე მოსახლეობის დასაქმება?**

— მე მეტსაც გეტყვით, რეალურად საქართველოში უმუშევართა რიცხვი გაცილებით მეტი — 2 მილიონ 5 ათასია. გეტყვით რა მაქვს მხედველობაში, ხელისუფლება თვლის, რომ სოფლად ხალხი დასაქმებულია, რაც რეალობას არ შეეფერება. სოფლად მასიური უმუშევრობაა. რაც შეეხება ტურისტებს, საქართველოში მათი შემოსვლა დასაქმების განმაპირობებელი არ არის, ეს სიცრუეა. ხელისუფლება გვეუბნება, ბოლო სამი წელია საქართველოში ტურისტების რაოდენობა იზრდებაო, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ უმუშევრობა ამ სამი წლის მანძილზე არათუ შემცირდა, პირიქით გაიზარდა. ასე რომ, ვერც 1 მილიონი და ვერც 35 მილიონი ტურისტი ამ პრობლემას ვერ მოხსნის.

**— ლევან, პრეზიდენტმა თქვა, სოფელი აყვავდაო.**

— სოფლის აყვავება ტრაქტორების, 30 ლარიანი ვაუჩერის დარიგებით არ ხდება. 1 ჰექტარი მიწის დამუშავებას 700-800 ლარი სჭირდება, რისი საშუალებაც გლეხებს არ აქვთ. მთავრობამ ადგა და 24 მილიონი ლარი 30 ლარიანი ვაუჩერის დარიგებაში დახარჯა. იცით, რა უქნეს ამ 30 ლარიან ვაუჩერებს გლეხებმა? — 15 ლარად გაყიდეს. როცა გლეხი 30 ლარიან ვაუჩერს 15 ლარად ჰყიდის, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში 100 პროცენტიანი ინფლაციაა. იცით რა ხდება გურიაში? — გლეხს მანდარინი ულპება. გურიაში დავდივარ ხშირად მოსახლეობასთან შეხვედრებზე. შეხვედრისას ერთ-ერთს ვკითხე, თქვენი სოფლის ქალები რატომ არ მოდიანმეთქი. იცით რა მიპასუხა? — თურქეთში არიანო. რას აკეთებენ თურქეთში-მეთქი? — მანდარინს ჰკრეფენო. წარმოგიდგენიათ, აქ მოსავალი ლპება და უცხო ქვეყანაში ვკრეფთ მანდარინს. ამიტომ, ვაუჩერების დარიგება ხალხის მოტყუებაა. ეს იგივეა, კუჭის წყლულზე ექიმმა სოდიანი წყალი რომ გამოუწეროს პაციენტს. გლეხი ხელგაწვდილი არ უნდა გყავდეს, მას არ სჭირდება არც სალიარკის, არც ტრაქტორის, არც ვაუჩერის დარიგება, არამედ სამუშაო უნდა მისცე. ადრე სოფელი კვებავდა ქალაქს. ახლა, ხალხი მათხოვრებად გადააქციეს. ახლა, წამოვა ბაღების, წამლების და ა.შ. ვაუჩერები. ეს ამ ხელისუფლების სტილია. სოფელი პრიორიტეტადაა გამოცხადებული და ამ დროს არაფერი კეთდება. ჩემი აზრით, პირველ რიგში, საკრედიტო რესურსის წვდომა უნდა გაიზარდოს და სოფლად უნდა მოხდეს აგრარული რისკების დაზღვევა.

**თამარ შველიძე**

# feisbukis omi _ quTaisis saguberniodan gogosaSvils damarxviT daemuqrnen




გასულ კვირას სოციალურ ქსელ „ფეისბუკში“, კვლავაც აქტუალური განსჯის თემად იქცა სანდრო გირგვლიანის მხეცურად წამების ამბავი, რომელიც ოქროყანაში მოხდა!

„ფეისბუკის“ მომხმარებლებმა არც ის ამბავი დაივიწყეს, რომ სანდროს დედა, ირინა ენუქიძეც სააკაშვილის რეჟიმს ემსხვერპლა და ერთადერთი შვილის მკვლელების დაუსჯელობის გამო სასოწარკვეთილი, სანდროს სიკვდილის შემდეგ 2 წელიწადში თავადაც გარდაიცვალა!

თუ ვინმეს გული, სინდისი და შუბლის ძარღვი აქვს, შეუძლებელია 5 წლისწინანდელი ტრაგედია, რომელიც გირგვლიანი-ენუქიძის ოჯახში დატრიალდა, ყურს მიღმა „გაატაროს“, „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო“ —თქვას და მშვიდად დაიძინოს!

მაგრამ, როგორც ეტყობა ნაც. მოძრაობისთვის, სააკაშვილ-მერაბიშვილისთვის და მათი ქვემძრომებისთვის, კვლავაც არაფერს ნიშნავს დედისერთა ბიჭების გამეტება მიწისთვის და, სავარაუდოდ, მხოლოდ მაშინ შეჩერდებიან, როცა მათ კარზეც დააკაკუნებს სიკვდილი და იმას წაიყვანს, ვინც ყველაზე მეტად უყვარს, ანუ მათ შვილებს!

როგორც უკვე მოგახსენეთ, გასული კვირის „ფეისბუკი“, ამ სიტყვის სრული დატვირთვით დუღდა და მასში მონაწილე მხარეები, ანუ „ნაცები“ და „მართლები“ ლამისაა დედას აგინებდნენ ერთმანეთს მტყუან-მართალის გასარკვევად!

„სანდრო გირგვლიანი ერთი ნარკომანი, პიდარასტი ტიპი იყო, რა გაახურეთ საქმე, მასეთები რაც ცოტანი იქნებიან, მით უკეთესი ჩვენი საზოგადოებისთვის!“ — გამოთქვა აზრი რომელიღაც „ნაცმა“ და საკუთარი „ჯანმრთელი აზრი“ რამდენიმე ძახილის ნიშნით დაასრულა.

— ჩემი ძმა, ერთი თუ მაგარი ტიპი ხარ, შენი სახელი და გვარი მომწერე — გამოეხმაურა ვიღაც...

— ნიკუშა დეისაძე ვარ, იმერეთის გუბერნატორის თანაშემწე — რა იყო?“ — გამოჩნდა პასუხი მონიტორზე.

— „შენს დედას შევეციო“, რომელმა მომწერეთ, სახელი და გვარი დააფიქსირეთ, მე ხომ არაფერი დამიმალავს“ — იკითხა დეისაძემ.

— „მე მოგწერე, ბექა ვარ გოგოსაშვილი“ — გაჩნდა პასუხი რამდენიმე წამში.

— „ვიცი ვინც ხარ, სადაც ხარ, იცოდე, მანდაც მოგწვდებით, არ შეგარჩენთ და დაგმარხავთ, გამიგე?“ — არ დააყოვნა პასუხი გუბერნატორის თანაშემწემ, მაგრამ მათი, ანუ დეისაძე-გოგოსაშვილის, „ფეისბუკის ომი“ აქ არ დასრულებულა, რადგან, როგორც უკვე მოგახსენეთ, „ნაცების და „მარლების“ უიარაღო დაპირისპირების ათასობით ინტერნეტმომხმარებელი შეუერთდა და რა თქმა უნდა, ამ ომში ჩავერთე მეც — ბექა გოგოსაშვილის დედა, ჟურნალისტი ირინე გოგოსაშვილი!

ძვირფასო მკითხველო! ჩემი პუბლიკაციებიდან, ალბათ, გეხსომებათ, რომ მე მართლაც მყავს ერთი შვილი — ბექა და ალბათ, ისიც გახსოვთ, რომ მრავალი ქართველის მსგავსად, ჩემი შვილიც უცხოეთშია გადახვეწილი, რათა საკუთარი ოჯახი ფინანსურად ასე თუ ისე უზრუნველყოს და რაც მთავარია — შორს იყოს იმ რეჟიმისგან, რომელმაც 2004 წლის 6 მაისს ბათუმში (აჭარის „განთავისუფლების“ დღე) სახლი დაუწვა, დედა დაუპატიმრა და 2007 წლის 7 ნოემბერს კი თავად ბექას, კინაღამ სიცოცხლე მოუსწრაფა, როგორც აქტიურ ოპოზიციონერს!



მაშინდელი სახალხო დამცველის სოზარ სუბარის საანგარიშო დასკვნაში წერია — 7 ნოემბერს სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმულმა 20-23 სამართალდამცავმა, სასტუმრო „თბილისი მერიოტის“ მიმდებარე ტერიტორიაზე უმოწყალოდ სცემეს ბექა ვახტანგის-ძე გოგოსაშვილი, რომელსაც ძალადობის კვალი ტანზე, სახეზე და თავის ქალაზე აღენიშნება. ამჟამად დაზარალებული მკურნალობას სახლში გადის“.

ტელეკომპანია „იმედის“ გადამღები ჯგუფიც იმყოფებოდა ჩემს შვილთან და მაყურებელმა საკუთარი თვალით ნახა ის კადრები, როცა ბექას ორივე თვალი, ზურგი და კისრის მიმდებარე ადგილები ჩალურჯებული და გაშავებული ჰქონდა!

აქვე იმასაც დავამატებ, რომ ჩემს შვილს, პოლიციელების თავდასხმამდე რამდენიმე საათით ადრე ცხარე შელაპარაკება ჰქონდა — დღევანდელ სპორტის მინისტრ ლადო ვარძელაშვილთან და სამეგრელოს მაშინდელ გუბერნატორ გოროზიასთან, რომლებიც დაემუქრნენ, რომ ციხეში დაალპობდნენ! იქამდე კი, მრავალმნიშვნელოვნად მიანიშნეს, რომ ციხემდე „კარგად დაზელდნენ“ და სიკვდილი სანატრელი გაუხდებოდა!

მართლაც, რამდენიმე საათში, საღამოს მიტინგიდან სახლში მომავალი ბექა პოლიციელების ჯგუფმა ალყაში მოაქცია, უმოწყალოდ სცემეს და რომ არა კახა შარტავა, ვერც კი გავიგებდი ჩემი შვილი ცოცხალი იყო თუ მკვდარი! თურმე, ნაცემი ბექა რის ვაი-ვაგლახით მიბობღდა პირველ სკოლასთან და კახას უთხრა: „დედაჩემს გააგებინეთ აქ რომ ვარ, მანქანით მომაკითხოს, ფეხზე ველარ ვდგავარ, ტელეფონიც სადღაც დამივარდა და ვერ ვრეკავ“-ო.

მაშინ კახას ტელეფონით დამირეკა ბექამ და 5 წუთში რუსთაველზე ვიყავი, მაგრამ იმ ჯალათი პოლიციელების კვალს, რა თქმა უნდა, ვერ მივაგენი და მათი სახელ-გვარები, დღემდე არ ვიცი!



საერთოდ, ჩემს შვილზე აღმატებულად მოლაპარაკე ქალი არ ვარ, მაგრამ ჩემს მკითხველს, ჩემს სამეგობროს, მაშინდელ ხელისუფალთ და უბრალო რიგით მოქალაქეებს, ალბათ, ახსოვთ, რომ — ბექა 13 წლის ასაკში იბრძოდა საქართველოს ტერტორიული მთლიანობისთვის და კაცობაშიც — თავისი სამშობლოს ერთგული ჯარისკაცი იყო ყველგან და ყოველთვის!

ჰოდა, იმიტომ, რომ დედა ვარ, იმიტომ, რომ კარგად ვიცი „ნაცების“ ზნე და მოქმედების არეალი. იმიტომ, რომ მეც ირინა მქვია და იმიტომ, რომ ოქროყანაში ვცხოვრობ და ერთადერთი შვილი მყავს, უმალ დავიწყე ვინმე ნიკა დეისაძის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და გავარკვიე შემდეგი: ნიკოლოზ დეისაძე მართლაც ცხოვრობს და „მოღვაწეობს“ ქუთაისში, გუბერნატორის „კანტორაში“, მამა „ნაცებმა“ დაუპატიმრეს ქუთაისში „პალმების ხეივანის“ მშენებლობის დროს „დაკარგული ათასების“ გამო! არის თავგადაკლული „მიშისტი“, მეგობრობს ვანო მერაბიშვილთან, ლადო ვარძელაშვილთან და ამის დასტურად, მისი „ფეისბუკის“ გვერდი, აჭრელებულია იმ ფოტოებით, სადაც ვანო და ნიკა, მიშა და ნიკა, ლადო და ნიკა ერთად არიან გამოსახულნი!

აგრეთვე გავარკვიე ისიც, რომ თუკი — „ბატონ“ ნიკუშას ვინმე „კაი ტიპი“ თვალში არ მოსდის, სწორედ მიშა, ვანო და ლადოთი ემუქრება და როგორც კი მომენტს იხელთებს — დანაპირები სისრულეში მოჰყავს! ანუ, როგორც მითხრეს, ქუთაისელი ნიკოლოზ დეისაძე ოღონდ თავისი „მამა-მარჩენალების“ შექება დაიმსახუროს, უკან არაფერზე იხევს!

სხვათაშორის, გულახდილად მინდა გითხრათ, რომ „ნიკუშას“ ტელეფონის ნომრის გაგებაც არ გამჭირვებია და ქუთაისში“, ჩემი პირველი ნაცნობის ტელეფონიდან „მესიჯით“ ნომერი 593 492996 — უმალ მივიღე!

ახლა, რა საუბარი წარიმართა ჩემსა და ნიკოლოზ დეისაძეს შორის, ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს, მაგრამ ჩვენი საუბრის შემდეგ, ჩემდა გასაკვირად „გუბერნიის სიამაყემ“ აქეთ გადმომირეკა და მითხრა: „დედისტოლი ქალი ბრძანდებით და ასეთი ლაპარაკი არ შეგფერითო“.

მაშინვე მივხვდი — ჩვენს საუბარს იწერდა და უნდოდა ისეთი ფონი შეექმნა, ვითომ მე „დავესხი“ თავს, გავლანძღე, დავემუქრე და ა.შ.

ჰოდა, ზუსტად ამიტომ, პირდაპირ ვაცხადებ, რომ — თუკი ჩემი და „ნიკუშა“ დეისაძის დიალოგი სადმე, რომელიმე ეთერში, როგორც ბრალდება ისე ამოტივტივდება, პრევენციის სახით პირველ დარტყმას მე თვითონ განვახორციელებ და აქვე სახალხოდ დავძენ, რომ დიახ, მე ნიკოლოზ დეისაძეს პირდაპირ დავემუქრე, ვუწოდე „შნირი, ბოზი და ისიც ვუთხარი — „ბიჭო, ამ დეისაძეებს გა...ბა სისხლში გაქვთ, ხან შენ და ხან ერეკლე დეისაძე, ათასი „სირობით“, რომ წამლავთ ხალხს-თქო?“ ისიც ვუთხარი — ჩემს შვილს თავიდან ერთი ღერი თმა რომ ჩამოუვარდეს, შენ და შენს მფარველებს ერთად გიტირებთ დედას, საწყალი ირინე ენუქიძესავით მიტინგებს და სასამართლოებს კი არ მოგიწყობთ, შახიდივით აგაფეთქებთ და მეც ავიფეთქებ თავს-თქო!“ კიდევ ბევრი რამ ვუთხარი, მაგრამ ვიმეორებ — თუკი იმერეთის გუბერნატორის აპარატის თანამშრომელი არ შეწყვეტს ჩემი შვილის შანტაჟს და მუქარას „დამარხვის“ შესახებ, იძულებული გავხდები სხვა ნაბიჯები გადავდგა და როგორც ჟურნალისტმა, ჯერ საზოგადოება ჩავაყენო, საქმის კურსში, ხოლო შემდეგ კი სხვა გზები ვეძებო მკვლელი ხელისუფლების დაკვეთების შემსრულებელთა წინააღმდეგ!



აქვე, მინდა მივმართო „ნიკუშა“ დეისაძის ძმაკაც ლადო ვარძელაშვილს —„ძვირფასო“ ლადო! მაშინ, 2007 წლის 7 ნოემბერს კი იმართლებდი თავს, გოგოსაშვილის ცემაში მე არანაირი მონაწილეობა არ მიმიღიაო, მაგრამ დღეს, ჩემს შვილს, ისევ შენი სახელით ზურგგამაგრებული ვინმე ნიკა დეისაძე რომ ემუქრება და „დამარხვას უპირებს“ — შემთხვევითია? ან იქნებ ის არის შემთხვევითი — შენ და დეისაძე ინტერნეტით გამოქვეყნებულ ფოტოზე ერთად რომ ხართ ყველას დასანახად?

მე ისიც შევიტყვე, რომ ქუთაისელი „ნაცი“ დეისაძე, თურმე, ნუ იტყვით და იმ ფოტოებს, რომელიც ინტერნეტით აქვს გავრცელებული (სადაც მიშასთან, ვანოსთან, ლადოსთან და სხვა „დიდ ნაცებთან“ ერთად არის გადაღებული) — თვითონვე ქმნის, ანუ ფოტოკოლაჟს აკეთებს და ამგვარად იმყარებს „იმიჯს“, ძლიერთა ამა ქვეყნისათა „მეგობრობის“ თვალსაზრისით და ქუთაისში ეს ამბავი ძალიან ბევრმა იცის!

ეს თუ მართლაც ასეა, მაშინ საქმე რიგით აფერისტთან მქონია, მაგრამ ის, რომ ნიკა დეისაძე მართლაც გუბერნატორის აპარატში მუშაობს — უტყუარი ფაქტია და ისიც ფაქტად რჩება, რომ მის ამ ფოტოებზე არც ვანოს, არც მიშას და არც ლადო ვარძელაშვილს კომენტარები არ გაუკეთებიათ, ანუ იცნობენ თუ არ იცნობენ აღნიშნულ პიროვნებას!

საგულისხმოა ისიც, რომ ნიკა დეისაძეს საკუთარი მშობელი მამა, სწორედ „ნაცებმა“ დაუპატიმრეს, მაგრამ ამ ფაქტმაც ვერ შეარყია მისი სიყვარული „ვარდოსანთა“ მიმართ და როგორც ქუთაისელებმა მითხრეს, დეისაძის ვაჟს პროტესტის გრძნობაც კი არ გასჩენია ამის გამო! ისიც მითხრეს, ნიკუშამ ასე თქვა: „მაგ კაი ხნის დასაჭერი იყოო“ და ამის შემდეგ, ძვირფასო მკითხველო, გიკვირთ, რომ ეს არარაობა, ვინმე ნიკოლოზ დეისაძე „ნაცების“ სახელით მუქარებს, წინ და უკან ასე არიგებდეს?

„მოვკლავ დედას, დავახრჩობ მამას,

თუ რევოლუცია მიბრძანებს ამას“ — გახსოვთ ეს ლექსი?

ვაი შენს პატრონს „ჩემო ნიკოლოზ!“

ვაი შენს პატრონს და გამზრდელ დედას, რომელიც სხვა დანარჩენი დედებისაგან იმით განსხვავდება, რომ შენისთანა უზის სახლში და თანაც ამაყობს!

**ბექა გოგოსაშვილის დედა**
**ირინა გოგოსაშვილი**
**ქ. თბილისი.**
**2012 წლის 9 მარტი**

# `gaRma napiri~

მოგეხსენებათ, გურიაში გურული ადესით გალიცლიცებულ ჭიქას ისე არ ასწევს, ცას რომ არ ახედოს და „მშვიდობას გოუმარჯოსო“ არ თქვას. მაგრამ გურულებს მაინც მოჯანყეებს, რევოლუციების მოყვარულებს, არეულობის მომხრეებს ეძახიან.

ფიშტოსავით ფეთქებადი ხასიათი მაქვს მეც და უკვე მე-8 წელიწადია ბებიაჩემ თამარ დარჩიასავით თვალი თოფ-იარაღისკენ მიჭირავს – ჩემი ქვეყნის მტრების შუბლზე სისხლის ღარი მინდა დავინახო. გამოგიტყდებით და ყოველგვარი მიეთმოეთი არჩევნებთან დაკავშირებით კარგა ხანია ბლეფად და ტყუილი დროის კარგვად მიმაჩნდა 28 თებერვლამდე.

და რატომ 28 თებერვლამდე ახლავე მოგახსენებთ:

ამ დღეს ყველასთვის ნათელი გახდა, რომ მიხეილ სააკაშვილი არსად წასვლას არ აპირებს. როგორც თვითონვე თქვა, ყველაფერს გააკეთებს ნაციონალური პარტიის გასამარჯვებლად და ამის გაკეთებას არჩევნებით შეეცდება, რათა, კიდევ უფრო ლეგიტიმური გახადოს თავისი ძალაუფლება.

ხელისუფლების შეცვლა, რომელიც დროის კანონზომიერებად მეჩვენება, მხოლოდ და მხოლოდ არჩევნებით უნდა მოხდეს. ძალით შეცვლამ რაც მოგვიტანა, ვხედავთ უკვე ორ ათეულ წელიწადზე მეტია.

არ გამოგვივა მუდმივად განვითარების უმდაბლეს საფეხურზე მდგომი გამოქვაბულის ადამიანების მსგავსად „სამბრძანებლო ტერიტორიის“ უხეში ძალით დაპატრონებას თუ დავუჭირეთ მხარი.

შურისძიება შურისძიებას შობს...

ძალადობა – ძალადობას...

2003 წელს ნოემბრის თვეში დატრიალებულმა დრამამ, ვარდების თანხლებით, ყველა დაგვარწმუნა ამაში.

„ვარდების რევოლუციის“ გმირების დიდი უმრავლესობაც ზვიად გამსახურდიას მთავრობის დამხობაში იღებდა მონაწილეობას. ეს ის ხალხია, ვინაც თავის დროზე ნორმალური განვითარების მთავარი არტერია გადაუჭრა და ჩანასახშივე ამოშანთა უკეთესი მომავლის ყოველგვარი გარანტია... აი, ესაა შთამომავლობა.

ამათთან იარაღით ბრძოლას აზრი არ აქვს.

„თავად დიდმა“ მიშამაც ხომ თქვა – თუ ბიჭები ხართ, არჩევნებში დაგვამარცხეთო, ძალაუფლება მისია და ჩვენ ვერ ვუბრძანებთ ჩვენს „მოედანზე“ გამოვიდეს.

**საქართველომ არჩევნებზე უნდა დაამტკიცოს, რომ ღირსია ნორმალური ყოფის, რომ მსოფლიო განვითარებაში სტიგმის ადგილი არ უკავია. საქართველომ უნდა დაამტკიცოს, რომ ის არის ცივილიზებული სამყაროს ნაწილი და მას ანგარიში უნდა გაუწიონ...**

ჩვენ ეს უნდა მოვახერხოთ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს.

თუ ვეცდებით, რომ არსებული რეჟიმი ძალით ჩამოვაშოროთ აქაურობას, მსოფლიო თანამეგობრობა ქართველ ხალხს „ბარბაროსად“ მონათლავს – ვერ იგუეს დემოკრატი, ევროპული ორიენტაციის უწყინარი მმართველიო. ცხადია, თვითონაც კარგად ეცოდინებათ თავიანთი არგუმენტაციის ღრმა დემაგოგია, მაგრამ ქვეყნიდან გაქცეულ „დემოკრატიის ნარჩენებს“ გულში ჩაიხუტებენ და შეეცდებიან კვლავ საქართველოში გამოგზავნონ ძალაუფლების დასაბრუნებლად, ქვეყანაში დემოკრატიის კვლავ ასაღორძინებლად. სისხლისღვრას კვლავ სისხლისღვრა, ძალადობა, დაჭერები, ტერორი და შურისძიება მოჰყვება.

ვიცი, იტყვით: ხელისუფლებას ამ საარჩევნო კოდექსით, კაციტაძის დათვლილი ამომრჩევლებით და ამ სიებით, იმ რესურსით, რაც გაგვაჩნია, ვერ მოვუგებ-

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი














იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

თო, მაგრამ, როგორც ერთ ამერიკულ ფილმშია, თამაშში მოგება არაა მთავარი, მთავარია, რომ ამ დიდ და მნიშვნელოვან ამბავში მონაწილეობის უფლება გერგო. თუმცა, ამასაც თავი დავანებოთ, ხელისუფლებამ და ჩვენი ქვეყნის მტრებმა უნდა დაინახონ, რომ სრულიად საქართველო უარს ამბობს ამ მოძალადე ხელისუფლებაზე, უარს ამბობს მტრობაზე, ჩაშვებაზე, მკვლელობებზე, გარყვნილებაზე და უარს ამბობს მშვიდობიანი, ცივილური ფორმით.

არჩევნებში სააკაშვილმა და მისმა ხროვამ პირწმინდად უნდა წააგოს მაშინ, როცა საბოლოო შედეგებს, სავარაუდოდ, ასევე პირწმინდად გააყალბებენ...

დღესდღეობით ლაპარაკია იმაზე – არჩევნებამდე გაცილებით ადრე გაეროს დამკვირვებლები რომ ჩამოიყვანონ საქართველოში, ძალიან კარგი იქნება.

გაეროს დამკვირვებლებს ხელფასებს უხდიან ის უწყებები, ვინაც სააკაშვილის და მისი რეჟიმის მოსვლას საქართველოს სათავეში ზარზეიმით შეხვდა და ბოლოს „დემოკრატიის შუქურაც“ უწოდა.

ეს არ არის გუშინდელი დღე და არც ის იფიქროს ვინმემ – უკვე ყველამ გაიგო ვინც არის სააკაშვილი და ტა-ტა-ტა-ტა, მაგას იმდენი მოხვდება, სომხის „ბარაბანს“ რომ არ მოხვედრიაო...

უმაღლესი დონის სხვა შეხვედრებს რომ თავი დავანებოთ, სააკაშვილის ვიზიტებს გაეროში, ლექციებს დემოკრატიისა და რეფორმების შესახებ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, სააკაშვილის ბოლო ვიზიტი გავიხსენოთ აშშ-ში. იქ მას, ობამამ ლამის იყო თავზე ხელი გადაუსვა, ხოლო ჰილარი კლინტონისა და მიშას შეხვედრა დიდი ხნის უნახავი დედა-შვილის შეხვედრას ჰგავდა.

**კლინტონის ბუნებრივად ზიზღნარევი, აგრესიული გამომეტყველება მიშას წინაშე დედობრივი სითბოთი და სიყვარულით იყო გამთბარი და სიამაყეც აშკარად ეტყობოდა ქართველი ხალხის სისხლით გამძღარი გველის წიწილის შემხედვარეს.**

ბოლოს და ბოლოს ვერა ქობალია მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა ლიდერ ქალბატონად აღიარეს და დაიმედებული გამოუშვეს ეს არმაგედონის მხეცები საქართველოში.

არჩევნებზე გაეროს დამკვირვებლები უნდა ჩამოვიყვანოთ და იმათ გაუწიონ მონიტორინგი „მიშა-საძაგელის“ ოინებსო, – აქტიურობს კვლავ არასამთავრობო ორგანიზაციების ჯარი, რომელნიც, ისევ სიმართლეს ვიტყვი ჩემო მკითხველო და დასავლეთის „გენმოდიფიცირებულ ძუძუს“ არიან ჩაფრენილი და თავ-კისერი აქვთ გაყვიზინებული კაი სმა-ჭამით...

რა ვქნა ახლა, ფიშტო დავიჭირო ხელში ჩემი წინაპარივით? არა მგონია, ამ ბრძოლაში ჩემი „იარაღით“ მოვიგო, ამიტომ ვამბობ, არჩევნებში თავგანწირვა, ხმის მიცემა და მერე მდუმარე პროტესტი, ყველაზე უკეთესი გამოსავალი იქნება-მეთქი...

დიდი „ბრძოლა“ წინაა, ბრძოლა არჩევნების დღეს...

ეს ომი აუცილებლად უნდა მოვიგოთ

* * *

დაახლოებით ვიცი, რას ფიქრობს ამ ამბებზე ნაციონალური მოძრაობა, როგორც ერთი მხარე, რას ფიქრობს ბიძინა ივანიშვილი და კოალიცია, რას ფიქრობენ პოლიტიკური ძალები, მაგრამ საზოგადოების კიდევ ერთი ნაწილი ისე ფიქრობს, როგორც მე.

ამ „ნაპირზე“ დარჩენილები ასე ფიქრობენ...

ამიტომაც დავარქვი ამ პატარა წერილს „გაღმა ნაპირი“...

**ირანდა კალანდაძე**

*გვესაუბრება „ქართუ ბაკის“ გენერალური დირექტორი* ***ნოდარ ჯავახიშვილი***

# es iyo sakanonmdeblo doneze ganxorcielebuli teroristuli aqcia eqskluziurad, `qarTu bankis~ misamarTiT

**— ბატონო ნოდარ, კანონში შეტანილი ნოვაცია, რომელიც ხელისუფლებამ სპეციალურად „ქართუ ბანკისთვის“ შექმნა, როგორც ირკვევა პირვანდელ სახეს იბრუნებს. ბანკის ასოციაციის პრეზიდენტმა ზურაბ გვასალიამ აღნიშნა, თითქოს თქვენ თქვით, რომ კანონისთვის პირვანდელი სახის დაბრუნება საერთაშორისო ორგანიზაციების ზეწოლით მოხდა. რა ხდება რეალურად?**

— პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო — არ მითქვამს, თითქოს ხელისუფლება ვინმეს ზეწოლით შეცვლიდა ამ კანონს. მე ვთქვი — ამ კანონს ხელისუფლება მხოლოდ იმ პერიოდამდე ამოქმედებს, სანამ შესაძლებელი იქნება ამ კანონის მხოლოდ „ქართუ ბანკის“ დასატერორებლად გამოყენება, ფინანსური დარტყმის მისაყენებლად და ქონებების ჩამოსართმევად. თქვენთან წინა ინტერვიუში ისიც აღვნიშნე, რომ მოვიდოდა დრო, როცა ეს კანონი ავტომატურ რეჟიმში, დანარჩენ ქართულ ბანკებსაც დაარტყამდა და თუ ეს ასე მოხდებოდა, მაშინ საქართველოს ხელისუფლება ვერ შეასრულებდა ამ ბანკებისთვის დუმილისა და ინერტულობისათვის გაცემულ დივიდენდს, დაპირებას. საზოგადოებას ვეუბნებოდი, ეს იურიდიულ, საკანონმდებლო დონეზე განხორციელებული ტერორისტული აქცია „ქართუ ბანკის“ მიმართ თუ რაღაც ეტაპამდე გაგრძელდა, მაშინ ავტომატურ რეჟიმში, მიუხედავად იმისა უნდა თუ არა ეს ხელისუფლებას, აუცილებლად იმოქმედებს ზეწოლით გაჩუმებულ ბანკებზეც-მეთქი. და ეს მოხდება იმ დღეს, როდესაც საერთაშორისო აუდიტები ჩვეულ, ყოველწლიურ აუდიტის საბოლოო დასკვნას დადებენ-მეთქი. თუ ამ დასკვნის დადების მომენტისთვის ეს კანონი ისევ მოქმედებაში იქნა, მაშინ აუდიტორების დასკვნაში, აუცილებლად კატეგორიული მოთხოვნა იქნება დაარეზერვონ შესაბამისი თანხები სპეციალურ ანგარიშზე, რაც ნიშნავს, რომ ჩემი გათვლებით, მნიშვნელოვანი, 30 პროცენტიანი ფინანსური დარტყმა მიადგება ნებისმიერ ბანკს. ამიტომ, ხელისუფლებას თავიდანვე გათვლილი ჰქონდა, რა პერიოდი უნდა ემუშავა ამ კანონს, რათა იგი მხოლოდ „ქართუ ბანკზე“ დარტყმის განხორციელების ბერკეტი ყოფილიყო და იმ წამსვე უნდა გაჩერებულიყო, როცა იგი სხვა ბანკებს შეუქმნიდა საშიშროებას იმიტომ, რომ ხელისუფლებას პირობა აქვს მიცემული და გარდა ამისა ამ ბანკებში წილები აქვთ, საკუთარ ჯიბეს ხომ არ დააზარალებენ, ანუ საკუთარ კუდს არ მოიჭრიან. ვთქვი, რომ აუდიტის დამთავრების ვადა დაახლოებით აპრილის პირველი ნახევარი იქნებოდა. გვასალია ბჟუტურობს, თითქოს ვთქვი — ეს საერთაშორისო ბანკების ზეწოლით მოხდება-მეთქი. არა, ბატონო, პირიქით, როცა ვაშინგტონში ვიყავი, ყველა სერიოზული ინსტიტუტის, ორგანოს წარმომადგენელმა მკითხა — როგორ გგონიათ საქართველოს ხელისუფლება გააგრძელებს „ქართუ ბანკზე“ ზეწოლასო? ვუპასუხე — ეს მაქსიმუმ 15 აპრილამდე გაგრძელდება და მერე კანონს გააუქმებენ-მეთქი. იმიტომ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს უკვე დარტყმა იქნებოდა დანარჩენ საბანკო სისტემაზე. ამ მოსაზრების ლოგიკურობას ისინიც დაეთანხმნენ. თბილისში დაბრუნებისთანავე დამხვდა ინფორმაცია, რომ უკვე შეიტანეს პარლამენტში განსახილველად კანონი ე.წ. ნოვაციის გასაუქმებლად და ძველი სტატუსის აღსადგენად. რამდენადაც მახსოვს „ქართუ ბანკის“ დამაქცევარი კანონი 1 დღეში მიიღეს, რომელსაც ასევე ქვეყნის დაქცევაც შეუძლია, ხოლო ამ კანონის განხილვა თვენახევარს გასტანს, ანუ პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული ყველა წესის დაცვით. როცა ქვეყანას ანგრევდნენ, მაშინ არ უმსჯელიათ კანონის თაობაზე, ახლა კი ამ განხილვას მოანდომებენ დიდ დროს, შეაჩერონ თუ არა ეს კანონი და დაუბრუნონ თუ არა მას პირვანდელი სახე. ზუსტად იმ დღემდე გაგრძელდება ეს, სანამ საშიში არ გახდება სხვა ბანკებისთვის. გვასალია ნურავის აბრალებს, თითქოს ეს საერთაშორისო ორგანიზაციების ზეწოლით მოხდა. გვასალიამ მშვენივრად იცოდა ეს პროცესი რატომ დაიწყო და როდის დამთავრდებოდა.



**— კანონის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნების შემთხვევაში ანაზღაურდება ზარალი, რაც „ქართუ ბანკს“ მიადგა?**

— არა, კანონს უკუქმედების ძალას, ამ შემთხვევაში არ მისცემენ. თუმცა, სახელმწიფო ვალდებულია უკუქმედების ძალა მისცეს კანონს, როდესაც ის მის მდგომარეობას აუმჯობესებს და დაფიქსირდება, რომ ამ კანონის მოქმედებით, მხოლოდ ჩვენ დავიწიხლეთ. გვასალია ცრუობს, როცა ამბობს — ეს კანონი მხოლოდ „ქართუ ბანკისთვის“ არ გაკეთებულაო. მას შეუძლია გააანალიზოს — კიდევ რომელმა ბანკმა დაკარგა 200 მილიონი? გვასალიას ალბათობის თეორია, ალბათ, გაგონილიც არ აქვს. წარმოუდგენელია, რომ ერთ ბანკში აღმოჩნდა მთელი საქართველოს ბიუჯეტის ქურდები და ერთიც არ დაუჭერიათ. საუბარია 200 მილიონზე და არა 20 ლარზე. გვასალია კი ვითომ ვერ ხვდება, რომ ეს მხოლოდ ერთი ბანკის წინააღმდეგ განხორციელებული ოპერაცია არის.

**— „ქართუ ბანკის“ კლიენტები იძულებულნი გახდნენ მრავალმილიონიანი ქონება გაეყიდათ, რათა ბიუჯეტის დავალიანება დაეფარათ. თქვენი აზრით, ეს მხოლოდ ბიუჯეტის შესავსებად მოხდა?**

— თუ ეს საკითხი გვასალიას არ ეხება, იქნებ ჟურნალისტებმა დაითვალოთ, რამდენი მიიღო ამ ოპერაციიდან ბიუჯეტმა? ზუსტად შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენ 200 მილიონი დავკარგეთ, მაგრამ რამდენი მიიღო ბიუჯეტმა? — არც არაფერი. ბიუჯეტს თუ აქედან ფულის მიღება უნდოდა და თუ მართლა ჰქონდა ვინმეს ჩვენგან დავალიანება, როცა სახელმწიფომ ეს ქონებები დაისაკუთრა და აუქციონზე გასაყიდად გამოიტანა, რატომ არ დაგვითმეს ჩვენ ეს ქონებები, ხომ ვყიდულობდით? ერთ-ერთ ობიექტზე 99 ბიჯი გავაკეთეთ და მაინც არ დაგვითმეს. თუ ფული უნდოდათ, მაშინ ჩვენ ვიყიდიდით ქონებას და მათ შეეტანათ ეს თანხა ბიუჯეტში, მაგრამ მათ ეს ქონების სახით დაიტოვეს იმიტომ, რომ მერე პირველი მფლობელებისთვის უკან უნდა დაებრუნებინათ. ჩემი ღრმა რწმენით, აქედან ბიუჯეტს არცერთი კაპიკი არ მიუღია, თუმცა, ინფორმაციას არ გვაძლევენ, რათა დოკუმენტურად არ დავამტკიცოთ რა თახსირობა ჩაიდინეს. ფაქტია, რომ აქ ბიუჯეტის ინტერესი ნულია. უამრავი აუქციონი ჩატარდა, სადაც მონაწილეობას არავინ იღებდა და ქონება ავტომატურად სახელმწიფოს დარჩა. სადაც ჩვენ მივიღეთ მონაწილეობა, იქ მაშინვე გამოჩნდა ვიღაც ობშორში დარეგისტრირებული კომპანია, რომელმაც სისხლის ბოლო წვეთამდე იბრძოლა, მოგვიგო კიდეც და მერე ქონება აღარ იყიდა, არ გადაიხადა ფული. მეორე აუქციონზე აღარ გამოიტანეს, უკანონოდ ჩაატარეს პირდაპირი მიყიდვა და გუშინ დარეგისტრირებულ კომპანიებს, პირველადი მფლობელების „პადსტავნოი“ ფირმებს პირდაპირი მიყიდვის წესით მისცეს და არც გვაძლევენ საბუთებს, რათა ვნახოთ, რა თანხადაა გაყიდული. შეიძლება სულაც 1 დოლარია გადახდილი. 3 თებერვალს მოხდა გაყიდვა და საბუთებს არ გვაძლევენ, არ არის საინტერესო, რატომ გვიმალავენ?!

**— რაც შეეხება ბანკის თანამშრომლებზე გაცემულ ბონუსებს, ორმა თანამშრომელმა თითქოს აღიარა, რომ ეს თანხები მათ იმისთვის გამოეყოთ, რათა შემდგომ „ქართული ოცნებისთვის“ გადაერიცხათ. რა ხდება რეალურად?**

— გასული თვის შედეგებით, ჩვენმა დამფუძნებელმა გადაწყვიტა საკმაოდ სერიოზული ბონუსებით დაეჯილდოვებინა „ქართუ ბანკის“ მაღალი ეშელონების წარმომადგენლები. 7 ოქტომბრიდან, რაც ივანიშვილმა ქართველ საზოგადოებას პოლიტიკაში მისი მოსვლის თაობაზე ამცნო, ხელისუფლებიდან ბანკის წინააღმდეგ აღვირახსნილი ბრძოლა დაიწყო. 18-ში, როცა ყაჩაღური თავდასხმა მოხდა, თანამშრომლები შევკრიბე და ვუთხარი — თქვენთვის, ჩვეულებრივი სამუშაო პერიოდი დასრულდა-მეთქი. გამძაფრებული ბრძოლა მიდის ხელისუფლებიდან „ქართუ ბანკის“ დასაქცევად. აქ იმიტომ ვარ, რომ „ქართუ ბანკის“ დათმობას არ ვაპირებ. ყველას ვუთხარი, ვისაც ხელისუფლებასთან ეს ბრძოლა არ შეგიძლიათ, წადით და მივეცი პირობა, სიტუაციის დაწყნარებისთანავე დაგაბრუნებთ სამსახურში-მეთქი. მეორეც, ბანკი სერიოზული ზარალით გავიდა, რაც ბანკის ბოლო წლების ისტორიაში პირველი შემთხვევაა. ნორმატივების დაცვის მიზნით იძულებული გავხდით უპერსპექტივო სესხები ჩამოგვეწერა, თორემ, ისე ჩამოსაწერი გაცილებით მეტია. თანამშრომლებს რომ არ ეფიქრათ ბანკი იხურებაო, ივანიშვილმა გადაწყვიტა, თანამშრომლები წაგვეხალისებინა, ბანკიდან შიშის გამო არ გაქცეულიყვნენ და კადრების სერიოზული დეფიციტის წინაშე არ დავმდგარიყავით. ყველაზე დიდი ბონუსი მე მივიღე — 102 ათასი ლარი. ახლა, კონტროლის პალატამ დადო დასკვნა რამაზ ქურდაძის და კიდევ ერთი თანამშრომლის ჩვენების საფუძველზე, თითქოს მათ მოთხოვეს ამ ბონუსების გადარიცხვა „ქართულ ოცნებაში“. იმდენს ვერ კადრულობენ, მე რომ დამაბრალონ, ჯავახიშვილმა დაგვავალაო. ჯერ ერთი, შე მამაძაღლისტიალო — ქურდაძე ხარ თუ კონტროლის პალატა, 8 თებერვალს ჩაგერიცხა ფული და მე გითხარი 8 მარტს გადარიცხე ქალთა დღესთან დაკავშირებით-მეთქი? ამ დროისთვის მე 102 ათასიდან 36 ათასი უკვე დახარჯული მაქვს. ვინმემ დაუშალა რამაზ ქურდაძეს თანხის დახარჯვა? თუ დავალება მივეცი, მაშინ რატომ ვერ შევასრულებინე? მაგრამ, როგორც უნდათ, ისე ჭრიან და კერავენ. რა უფლება აქვს კონტროლის პალატას ვინმე დაკითხოს — ყველა თანამშრომელი დაკითხეს ჩემს გარ-




და, ეძებენ სუსტ წერტილებს — კიდევ ვის ათქმევინებენ, ზოგს დის მხრიდან, ზოგს ცოლის, ზოგს შვილის მხრიდან მიაწვებიან. მოგელაძის მოადგილე მოვიდა და ადმინისტრაციული ოქმი წარმოადგინა, ხელი არ მოვუწერე, ვკითხე 19-მა თანამშრომელმა მივიღეთ ბონუსი და მარტო 2 ადამიანზე რატომ წერთ ოქმს-მეთქი? — უბრალოდ, დანარჩენს ჯერ ვერ ათქმევინეს „ქართულ ოცნებაში“ გადასარიცხად მივიღეთ თანხებიო. დარწმუნებული ვარ ათმაგ ჯარიმას გამოგვიწერენ ამის გამო, ალბათ, მილიონს.

შემიძლია ხმამაღლა განვაცხადო, რომ „ქართუ ბანკის“ გარდა, ყველა სხვა ბანკში გაცილებით მაღალია შრომის ანაზღაურება და ბევრად მეტი ბონუსებიც ერიცხებათ თანამშრომლებს. რატომ არ დაინტერესდა ქალბატონი მოგელაძე თუ რა ხდება სხვა ბანკებში? მე ამის შესახებ დეტალური ინფორმაცია მაქვს, მაგრამ ბანკის მმართველი ვარ და ამ ინფორმაციის გამჟღავნების უფლება არ მაქვს. ორშაბათს მოგელაძეს მოვახსენებ ამის შესახებ, თუმცა, ციფრებს და გვარებს ვერ ვეტყვი. რატომ არ სწავლობენ ამ საკითხს? ჩემზე 5-ჯერ და მეტჯერ მეტი ბონუსები აქვთ მიღებული სხვა ბანკების მმართველებს. რატომ არ აქვეყნებენ ამ ინფორმაციას საზოგადოებისთვის? თუ გამოაქვეყნეს, რომ მე მივიღე 102 ათასი. ეს ძალიან ცოტაა იმასთან შედარებით, რასაც სხვა ბანკები იღებენ. მოგელაძეს რატომ არ შეეპარა ეჭვი, რომ რომელიღაც ბანკის პრეზიდენტმა, რომელმაც 300-დან 500 ათასამდე ბონუსი მიიღო, იქნებ „ნაციონალებში“ აპირებს ამ თანხის შეტანას?

რატომ არ უჩნდება მოგელაძეს ეს ეჭვი? — არ აინტერესებს იმიტომ, რომ ეს მათი კონტროლირებადი ბანკებია. მოიძიეთ ინფორმაცია ბანკის ხელმძღვანელების რა კატეგორია იყო ან არის დღეს ხელისუფლებაში. რაღაც ეტაპზე, მათ საკუთარი დეკლარაციების გამოქვეყნება უწევდათ. ნახეთ, რამდენს ღებულობდნენ ხელფასებს და ბონუსებს, ეს ადამიანები ბანკების მმართველობის პერიოდში თანხა წელიწადში მილიონს აღწევდა. ამასთან ჩემი 102 ათასი ლარი რა მოსატანია?! მოგელაძის სტრუქტურა, დამალული არავისთვისაა, რომ სპეციალურად ივანიშვილისთვის შექმნეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, რატომ აინტერესებთ მარტო „ქართუ ბანკი“, მას ხომ საქართველოს კონტროლის პალატა და არა სააკაშვილის კონტროლის პალატა ჰქვია. დაინტერესდით ბატონო, რა ხდება სხვა ბანკებში. მსოფლიოში პირველად მოხდა, რომ ბანკს ხელისუფლება ღიად, კანონგარეშე ებრძვის.

ჩვენ არსებობისთვის ბრძოლა გვიწევს, „საქართველოს ბანკს“ და სხვა კომერციულ ბანკებს კი საბრძოლველი არაფერი აქვთ, ისინი ხელისუფლების მიერ შექმნილ საუკეთესო გარემოში ცხოვრობენ, ბედნიერად ვითარდებიან. თუ „საქართველოს ბანკის“ პრეზიდენტს ჩემზე ნაკლები ხელფასი ან ბონუსი აქვს, მითხრან და ჩემი ხელით შევიტან ბიუჯეტში ჩემს წლიურ ხელფასს. ყველა სხვა კომერციული ბანკი სასათბურე პირობებში ვითარდება. მათ არც კანონი ეხებათ, არც ნორმატიული აქტი და არაფერი. რასაკვირველია, ხელფასები და ბონუსები კონფიდენციალურია, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის გაცემულ ხელფასებს მშვენივრად აფრიალებს კონტროლის პალატა. დაგვიდასტურონ, რამდენ ბანკს აქვს „ქართუ ბანკზე“ უფრო მაღალი ხელფასები, გამოაქვეყნონ ეს ინფორმაცია. შეისწავლეთ ეს საკითხი, ქალბატონო მოგელაძე, თუ თანხების გამოქვეყნება სხვა ბანკებისთვის კონფიდენციალურად მიგაჩნიათ, ის მაინც თქვით, რამდენ ბანკს აქვს ჩვენზე მაღალი ხელფასები, ან თქვით რომ ასეთი რამ არ არსებობს. და მაშინ, მე სასამართლოდან ავიღებ ნებართვას და თავად გამოვაქვეყნებ ჩემი ბანკის კონფიდენციალურ ინფორმაციას, მხედველობაში მაქვს ის, რომ ზოგიერთ პირს ჩემთან ერიცხება ბონუსები და ვიცი რამდენსაც იღებენ.

**თამარ შველიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# biZina ivaniSvili biZina ivaniSvilis winaaRmdeg





**ბიძინა ივანიშვილი: „წასვლა მინდოდა აქედან და ჩემს გადაწყვეტილებას იმით ვხსნიდი, რომ პოლიტიკაში მოსვლით მე თვითონვე ვანგრევდი ჩემს მიერვე სავალდებულოდ მიჩნეულ ნორმას, რომ მე არასოდეს მოვალ პოლიტიკაში და არ გადავუხვევ იმ მსოფლმხედველობას, რომელიც ავირჩიე.“**

თავის პირველ წერილში ბიძინა ივანიშვილი წერს: „რატომ მოვედი პოლიტიკაში“? ბევრი სვამს ამ კითხვას და ბევრს უკვირს, მე, წარმატებულმა ბიზნესმენმა, ყოველმხრივ უზრუნველყოფილმა ადამიანმა, რატომ შევაგდე ყველაფერი სასწორზე და რატომ გადავწყვიტე პოლიტიკაში მოსვლა?

**ამ კითხვაზე პასუხი ძალიან მარტივია, იმიტომ რომ, ვხედავ სამშობლო მეკარგება, ხოლო როდესაც სამშობლო გეკარგება, არაფერს არ აქვს ფასი, არც ქონებას, არც ფულს, არც პრივილეგირებულ მდგომარეობას.**

ეს სიტყვები ჩვენს კონფორმიზმით დაავადებულ საზოგადოებაში შეიძლება ვინმეს ხმამაღლა ნათქვამად მოეჩვენოს და სწორედ ამაშია ჩვენი ყოფის უბედურება.

**არ დავმალავ, სანამ პოლიტიკაში მოსვლას გადავწყვეტდი, ორჯერ დავაპირე საქართველოდან წასვლა.**

ვისაც არ სჯერა, შეუძლია გადაამოწმოს და ნახოს, როგორ დავაბრუნე უკან შეკვეთილი თვითმფრინავები, ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ოჯახის წევრებმა, ჩემმა მეუღლემ და ჩემმა ვაჟებმა მითხრეს — შენ შეგიძლია წახვიდე, ეს შენი ნებაა, მაგრამ ჩვენ აქ ვრჩებითო.

**ჩემმა უფროსმა ვაჟმა, უტამ მითხრა, თუ შენ არ წახვალ პოლიტიკაში, მაშინ მე წავალო.**

**მე და ჩემმა მეუღლემ იმას მივაღწიეთ, რომ ჩვენი შვილები, რომლებიც საფრანგეთში გაიზარდნენ, ჩვენზე უფრო დიდი პატრიოტები და ჩვენზე უფრო კარგი ქართველები არიან. უტას სიტყვები ბოლო წვეთი იყო, რამაც ყველაფერი გადასწონა და ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა.**

მე შევძელი, მეჯობნა საკუთარი თავისთვის, დამეძლია ჩემს თავში შიში, ეჭვი, სკეპტიციზმი, ახლა კი ჯერი თქვენზეა.

პოლიტიკაში იმიტომ მოვდივარ, რომ მივხვდი, მხოლოდ ქველმოქმედებით, ფინანსური დახმარებით და სპონსორობით, ცალკეულ სფეროებში ინვესტიციების ჩადებით და ლოკალური ღონისძიებებით, ქვეყანაში არსებულ საერთო ვითარებას და საერთო მდგომარეობას ვერ შეცვლი, თუ ყოველივე ამას ქვეყნის ხელისუფალთა პოლიტიკური ნება და მხარდაჭერა არ უმაგრებს ზურგს.

მე მივხვდი ჩემს შეცდომებს და მივედი იმ დასკვნამდე, რომ საჭირო და აუცილებელია, პირველყოვლისა, შეიცვალოს პოლიტიკური გარემო ქვეყანაში, შეიცვალოს ზოგადად პოლიტიკოსის და პოლიტიკის არსის და დანიშნულების გაგება ჩვენს ცნობიერებაში.

**მე მოვდივარ პოლიტიკაში არა ვინმეს დასამარცხებლად, არა ვინმეზე შურის საძიებლად, არამედ საქართველოს თითოეული მოქალაქის გასამარჯვებლად.“**

ამ ფრაგმენტიდანაც კარგად ჩანს, თუ რამდენად რთული და მტკივნეული იყო ბიძინა ივანიშვილისთვის უარი ეთქვა წლების განმავლობაში მტკიცედ ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობისთვის და პოლიტიკაში მოსვლის გადაწყვეტილება მიეღო.

ეს იყო საკუთარი პრინციპების და მსოფლმხედველობრივი კონცეფციის, ანუ საკუთარი თავის წინააღმდეგ გადადგმული პირველი ნაბიჯი.



**რა თქმა უნდა, მართლაც ძნელია, 55 წლის ასაკში ძირფესვიანად შეცვალო ცხოვრების წესი და ახალ ამპლუაში ახალი სახით მოევლინო საზოგადოებას.**

**ეს ხელახალ დაბადებას ჰგავს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში ბიოლოგიური მშობლები არ გყავს და საკუთარი თავის მშობელი და შემქმნელი თვითონ შენ ხარ.**

ეს ის დაბადებაა, პირველივე წამებიდან ობლობისთვის რომ ხარ განწირული...

* * *

სანამ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მოვიდოდა, მას ბიზნესმენს და ქველმოქმედს ეძახდნენ, თუმცა, რასაც ივანიშვილი აკეთებდა, როგორც ქველმოქმედი, აშკარად ცილდებოდა ქველმოქმედების სფეროს და იმ მასშტაბებს, რასაც ქველმოქმედების მსოფლიო ისტორია იცნობს.

ბიძინა ივანიშვილი არა მხოლოდ ქველმოქმედებას ეწეოდა, არამედ

**მან იტვირთა კრიზისულ სიტუაციაში მყოფი ქართული სახელმწიფოს გადარჩენის და სახელმწიფო სტრუქტურების აშენება-გაძლიერების მისია.**

ეს არის უნიკალური შემთხვევა, როდესაც ერთმა ადამიანმა საკუთარი სახსრებით მთელი სახელმწიფოს შენახვა და აღორძინება გადაწყვიტა.

არ დარჩენილა არც ერთი დარგი, არც ერთი სფერო, რომელიც ბიძინა ივანიშვილს არ დაუფინანსებია.

მის მიერ გაკეთებული საქმეების სიისთვის, უბრალოდ, თვალის გადავლებაც კი შოკისმომგვრელია, იმდენად გრანდიოზული და მასშტაბურია იგი — ეკლესია-ტაძრების მშენებლობა და რესტავრაცია, არმია, პოლიცია, სკოლები, თეატრები, მუსიკალური ანსამბლები, სპორტი, ჯანდაცვა, სტიპენდიები და შემწეობები, სხვადასხვა სახის სოციალური პროექტები და ა.შ.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



**კერძო პირი ბიძინა ივანიშვილი წლების განმავლობაში, ფაქტობრივად, თავად წარმოადგენდა სახელმწიფოს სახელმწიფოში.**

ამიტომაც ვთქვით ზემოთ, რომ ის, რაც ივანიშვილმა საქართველოსთვის გააკეთა, ვერ ეტევა ქველმოქმედების აქამდე ცნობილ ჩარჩოებსა და სტანდარტებში.

**ის ბიზნესმენი და ქველმოქმედი კი არა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანია, სახელმწიფო მოღვაწეა, რომელსაც თავისი ცხოვრების მთავარ მიზნად ქვეყნის მსახურება დაუსახავს.**

არ არის ეს მაღალფარდოვანი, პათეტიკური სიტყვები — ეს სინამდვილეა, თუმცა ისეთი სინამდვილე, რომლის დაჯერება ეგოისტურ-მეშჩანური ინსტინქტებით დაავადებულ და ანგარებიან ჩვენს საზოგადოებას გულის სიღრმეში უჭირს.

ამიტომაცაა ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი ზოგჯერ ეჭვის თვალითაც რომ გაიხედავს ივანიშვილისკენ — რატომ ხარჯავს ამდენ ფულს ასე უანგაროდ? რა რჯის? რა ინტერესი აქვს?

კომუნისტურ-ბოლშევიკური იდეოლოგიის წნეხიდან ახლახან თავდაღწეულ ადამიანებს მთლად ბოლომდე არ ესმით, როგორ შეიძლება, ასე იქცეოდეს ადამიანი და სანაცვლოდ არაფერს ითხოვდეს?

საბჭოთა პერიოდის სამოცდაათმა წელმა, როგორც ჩანს, თავისი მახინჯი დაღი დაასვა ჩვენს ცნობიერებას და დაგვავიწყა მთავარი — ვინ არის ადამიანი ზოგადად და რას უნდა ემსახურებოდეს იგი?

მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობა სწორედ ამ კითხვას უტრიალებდა და შეძლებისდაგვარად ცდილობდა ადამიანში, პირველ რიგში აღეზარდა მოქალაქე, რომელიც თავის უპირველეს მოვალეობად ქვეყნის მსახურებას მიიჩნევდა.

**საქართველო, რომელსაც არ ჰქონდა დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა, ზნემაღალ, განათლებულ, თავდადებულ ადამიანებს უნდა გადაერჩინათ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ამ ადამიანების კერძო ინიციატივები უნდა ჩანაცვლებოდა სახელმწიფოებრიობის არქონას, სახელმწიფო სტრუქტურების არარსებობას.**

მრავალმა დიდებულმა ქართველმა იტვირთა მაშინ საქვეყნო ტვირთი, მაგრამ მათგან ყველაზე გამორჩეული როლი მაინც დავით სარაჯიშვილს ერგო.

**არ არსებობდა ქართული სახელმწიფო, მაგრამ არსებობდა დავით სარაჯიშვილი, რომელიც თვითონ იქცა ქართული სახელმწიფოებრიობის არაოფიციალურ სტრუქტურად და ინსტიტუტად.**

**როცა ბიძინა ივანიშვილზე ვსაუბრობთ, თუ ვინმესთან შეიძლება პარალელის გავლება, უპირველეს ყოვლისა, დავით სარაჯიშვილთან.**

**ბიძინა ივანიშვილიც, როგორც თავის დროზე დავით სარაჯიშვილი, თვითონ მოგვევლინა, მეორე, არაოფიციალურ სახელმწიფოდ და საკუთარი ფინანსებით სცადა დაქაბუნებული ქართული სახელმწიფოს ფეხზე დაყენება, რაც ნაწილობრივ მოახერხა კიდეც.**

სწორედ მან უზრუნველყო ფინანსურად ქართულ პოლიციაში, ქართულ არმიაში, სხვა სახელმწიფო სტრუქტურებში ჩატარებული რეფორმები.

**— სოროსიც მე ვიყავი და მე ვუხდიდი ხელფასს პირველ ხანებში ამ ხელისუფლებას. სხვა გამოსავალი არ იყო. ხაზინა ცარიელი იყო. არსებობდა სახელმწიფო მანქანის სრული პარალიზების საფრთხე, — ამბობს ივანიშვილი ერთგან.**

პარალელურად ივანიშვილი ხელფასებს და სტიპენდიებს უხდიდა შემოქმედებითი და ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლებს, სპორტსმენებს, მსახიობებს, მუსიკოსებს, არემონტებდა თეატრებს, აშენებდა სკოლებს, სპორტულ ბაზებს და მოედნებს, საავადმყოფოებს, რესტავრაციას უკეთებდა ისტორიულ ძეგლებს ანუ ყურადღების მიღმა არ ტოვებდა საზოგადოებრივი ყოფის არც ერთ სფეროს, არც ერთ მიმართულებას.

ფაქტობრივად, ეს ერთი კაცი აშენებდა მთელ სახელმწიფოს, ის იყო ადამიანი — სახელმწიფო, ოღონდ უჩინარი და უხილავი.

მან აკრძალა მისი სახელის ხსენება, აკრძალა, ესაუბრათ მის განუზომლად დიდ ღვაწლზე ქვეყნის წინაშე, რითაც შესანიშნავად ისარგებლეს მტაცებლური ბუნების სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენლებმა.

**ივანიშვილი აშენებდა, ესენი ივანიშვილის აშენებულს საკუთარ გვარ-სახელს აწერდნენ.**

სხვისი ამაგის, სხვისი ღვაწლის მითვისება, რა თქმა უნდა, ქურდობა და ყაჩაღობაა, მაგრამ ამის გამო ჩვენს ძვირფას ხელისუფლებას სირცხვილისგან ლოყა არასოდეს შეფაკვლია...

**მოვა დრო, ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა, პლაგიატების და ყაჩაღების გვარ-სახელები ჩამოიფხიკება სხვის მიერ აშენებული შენობების კედლებიდან, აღინუსხება და იწერება ქართველი ხალხისა და საქართველოსთვის გაკეთებული ყველა სიკეთე და მაშინ კიდევ ერთხელ გაოცდება საქართველო, თუ რა შესძლებია ერთ კაცს, ერთ ადამიანს, მის თავგანწირვას და თავდადებას.**

* * *

— ვხედავდი, რომ სამშობლო მეკარგებოდა და ამიტომ გადავწყვიტე პოლიტიკაში მოსვლა, — ასე ახსნა ბიძინა ივანიშვილმა თავისი მოულოდნელი და უეცარი გადაწყვეტილება პოლიტიკაში მოსვლის შესახებ.

ეს იყო ბიძინა ივანიშვილის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ, იმ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ, რომელიც კატეგორიულად გამორიცხავდა ყოველგვარ მონაწილეობას პოლიტიკაში.

როცა ყველა იმედი გადაეწურა, რომ სააკაშვილს და მის გუნდს რაიმეს შეასმენდა, ივანიშვილმა საქართველოდან წასვლა გადაწყვიტა.

აქვე გავიხსენოთ, რამდენჯერ დაუყარა ჭორები ხელისუფლებამ ივანიშვილს — ივანიშვილი საქართველოდან მიდის, ივანიშვილი საქართველოდან გაიქცაო.

ნახევარი საქართველოს აღმშენებელ კაცს გასაქცევი რა ჰქონდა, მაგრამ ხელისუფლება ამით ივანიშვილს მესიჯს უგზავნიდა და პირდაპირ ეუბნებოდა — უნდა წახვიდე აქედან, უნდა გაიქცე, თორემ, შეიძლება, დიდ ხიფათს გადაეყარო.

ივანიშვილს ორი ალტერნატივა ჰქონდა: — ან მართლაც დროულად გასცლოდა აქაურობას ან პოლიტიკაში მოსულიყო...

*ბატონი ბიძინა წერს — „წასვლა მინდოდა აქედან და ჩემს გადაწყვეტილებას იმით ვხსნიდი, რომ პოლიტიკაში მოსვლით მე თვითონვე ვანგრევდი ჩემს მიერვე სავალდებულოდ მიჩნეულ ნორმას, რომ მე არასოდეს მოვალ პოლიტიკაში და არ გადავუხვევ იმ მსოფლმხედველობას, რომელიც ავირჩიე.*

*მაგრამ დიდი სულიერი ჭიდილის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედი, რომ ვცდებოდი...*

*... შეცდომა იყო, მე ვიტყოდი, ღალატის ტოლფასი შეცდომა იყო, საქართველოდან წასვლა რომ დავაპირე. წასვლა ერთია, მაგრამ მერე რა პირით უნდა დაბრუნდე უკან, როცა შენს ქვეყანას იმ დროს მიატოვებ, როცა ძალიან უჭირს.*

*როგორც გითხარით, ჩემმა უახლოესმა ადამიანებმა დამარწმუნეს, რომ ვცდებოდი, თუმცა არც იმის უთქმელობა ივარგებს, რომ ჩემი ოჯახიც, სხვა ქართული ოჯახებივით, ორი წლის განმავლობაში ჩურჩულით ველაპარაკებოდით ერთმანეთს, მაგრამ ერთმანეთის იმედით და თანადგომით შიში ძვლიეთ“.*

**საქართველო სამართლებრივ და დემოკრატიულ სახელმწიფოს ოდნავ მაინც რომ წარმოადგენდეს, ამ სახელმწიფოს მოქალაქეს, ამ ქვეყანაში დაბადებულ კაცს, რომელმაც მილიარდ დოლარზე მეტი დახარჯა ამ ქვეყნის აღმშენებლობაში, რისი უნდა შინებოდა, ან რატომ უნდა ელაპარაკათ ერთმანეთში ჩურჩულით მას და მისი ოჯახის წევრებს, რატომ უნდა ყოფილიყო სარისკო და სახიფათო ამ ამაგდარი ადამიანისთვის ქართულ პოლიტიკაში მოსვლა?**

**ვახტანგ ხარჩილავა**

(გაგრძელება იქნება)



*გვესაუბრება „ქართული ოცნების“ წევრი* **დავით ფაცაცია**

# gamarjvebisTvis aucilebelia, rom axalgazrduli energia da ufrosi Taobis gamocdileba erTad Seikras

**- დათო, შეინიშნება თუ არა ჩვენს ქვეყანაში იმის ტენდენცია, რომ ხელისუფლებასთან არა მხოლოდ სიცოცხლის ან არჩევანის უფლების დასაცავად გიწევს ბრძოლა, არამედ თითოეული ხის, ბაღის ან კულტურული ძეგლის გადასარჩენად? ცოტა ხნის წინ პოლიციამ სწორედ კიკვიძის პარკის გადასარჩენად გამართულ აქციაზე დაგაკავა..**

- მადლობა ამ კითხვისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმას, რომ დღეს მოქალაქეები პრაქტიკულად დაუცველნი არიან და აბსოლუტურად ყველაფერი ერთი სახელისუფლო ჯგუფის ხელშია. კიკვიძის პარკს რაც შეეხება, იქ კანონის ყველა ნორმა იყო დარღვეული. არანაირი მშენებლობის ნებართვა, პროექტი, ხეების მოჭრის თუ გადარგვის უფლება მათ არ ჰქონდათ. მითუმეტეს, რომ ეს ადგილი არის წითელი ზონა და არ შეიძლება რაიმე ტიპის ზეგავლენის ობიექტი გახდეს. მაგრამ ფაქტი ჯიუტია, ხელისუფლება ძალადობს, არღვევს კანონს ყოველ ფეხის ნაბიჯზე და რაც მთავარია, ამაში პოლიციელების გასვრაც ხდება. პოლიციელებს ავალებენ კანონის დარღვევას, დანაშაულის ჩადენას და ამის შემდეგ ისინი პრაქტიკულად თანამონაწილენი ხდებიან. მე, პირადად, იმ პოლიციელებთან, რომლებმაც დამაკავეს, არანაირი პრეტენზია არ მაქვს. პრეტენზია მაქვს იმ უფროსობასთან, რომლებიც ასეთ ბრძანებებს გასცემენ და აიძულებენ რიგით პოლიციელებს მსგავსი დანაშაულებები ჩაიდინონ. მინდა გითხრათ, იმავე საღამოს, როდესაც მეგობრებმა გავისეირნეთ ქალაქში, ვნახეთ, რომ ის ოპერატიული ჯგუფი, რომელიც ღამ-ღამობით ყარაულობდა კიკვიძის პარკს, კინო „საქართველოს“ მახლობლად შეჯახებული იყო ხეს. საბედნიეროდ მსხვერპლი არ იყო, მაგრამ ეს იცით რას ნიშნავს? კანონის წინაშე თუ არა, რაღაცის წინაშე მაინც აგებ პასუხს და ამ ქვეყნად არაფერი არ რჩება დაუსჯელი. კიდევ უარესს გეტყვით, დაახლოებით სამი დღის შემდეგ, „მალაკნების“ ხიდთან ორი ოპერატიული თანამშრომელი, მანქანის სერიით „ჯეო-010“, ძალიან მძიმე ალკოჰოლური ან ნარკოტიკული თრობის ქვეშ იმყოფებოდა. იქცეოდნენ არა სათანადოდ, იგინებოდნენ, შეურაცხყოფა მიაყენეს გამვლელებს. პირადად დავრეკე პოლიციაში, განცხადებაც დავაწერინე, მაგრამ არანაირი რეაგირება ამ ფაქტს არ მოჰყოლია, გარდა იმისა, რომ ეს პოლიციელები სასწრაფოდ გააქციეს იქიდან.



ეს ხელისუფლება არის კრიმინალური და მისი ძალაუფლება დამყარებულია მხოლოდ ორ რამეზე: ეს არის ძალადობრივი რეჟიმი და საბჭოური ტიპის მედია-პროპაგანდა. 80-იანი წლების მედია-პროპაგანდაც კი არ ყოფილა ასეთი, როგორიც ახლაა. დღეს დაახლოებით 50-60-იანი წლების საბჭოური პროპაგანდაა. ტერორი და მუდმივი გამორეცხვა ადამიანების გონების, ეს ხდება დღეს ჩვენთან. მე არ ვიცი საბოლოოდ რა შეიძლება იყოს ამ ადამიანების, ამ ხელისუფლების შეფასების ფორმატი, მაგრამ ფაქტი ერთია, ყველა მათგანი თავისი დანაშაულის სიდიდის მიხედვით აგებს პასუხს. იმიტომ, რომ თუ პასუხი არ აგეს ამ ადამიანებმა, მაშინ ქვეყნის განვითარება შეუძლებელია.

**- როგორ ფიქრობ, დაუსჯელობის ასეთი სინდრომი რომ არ იყოს დღეს ქვეყანაში და თავის დროზე დასჯილიყვნენ დამნაშავეები, ხელისუფლების მიმართ ამხელა პროტესტი გაჩნდებოდა?**

- საქმეც მაგაშია, რომ არა. ეს იყო ჯგუფი, რომელიც ამ ტიპისვე დანაშაულს სჩადიოდა მანამდეც , უბრალოდ შემდეგ მოვიდნენ ხელისუფლებაში, ჩაიკეტნენ თავის ათეულში თუ ოცეულში და ამ ტიპის ძალადობით გაბედეს ყველაფრის გაკეთება. იგივე ტერიტორიების საკითხი, ქვეყნის სტრატეგიული ობიექტების გაყიდვა, სასამართლოს და კონსტიტუციის საკუთარ თავზე მორგება. ის მოლოდინი, რაც ხალხს ჰქონდა 2003 წლის ბოლოს, შესაბამისი მოქმედებებით რომ გამყარებულიყო, ანუ დასჯილიყვნენ დამნაშავეები, ასეთი რამ არ მოხდებოდა. ფაქტია, გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით დევს სტრასბურგის დასკვნა, უპრეცედენტო თავისი შინაარსით, რადგან პირდაპირ ავალებს ხელისუფლებას ხელმეორედ გამოიძიოს, დასაჯოს თანამონაწილეები და გამომძიებლები ამ საქმის. მაგრამ როგორ შეიძლება ადამიანი ერთი ხელით მკვლელობას სჩადიოდეს და მეორე ხელით თავისივე დანაშაულს იძიებდეს?! იგივე სიტუაციაა რობაქიძის, ვაზაგაშვილის საქმეებთან დაკავშირებით. საერთოდ არ ერიდებიან თეთრზე-შავის თქმას. 37-იანი წლების ტერორია დღესაც, რასაც მე 21-საუკუნეში ვერაფრით წარმოვიდგენდი.

**- „ქართულ ოცნებას“ ხშირად საყვედურობენ იმის გამო, რომ მას აქვს ამ ხელისუფლების არჩევნებით დამარცხების**



**ილუზია. მიიჩნევთ თუ არა თქვენ ამის გარანტიად სწორედ სააკაშვილი-ობამას შეხვედრას და აქვე სააკაშვილის ფრაზასაც გაგახსენებთ, რომელიც მან პარლამენტში თქვა, ნუ ელოდებით რომ გუდიანი ქალი ან კაცი წამიყვანსო..**

- მოდით, ასე ვთქვათ, ეს არის ერთ-ერთი ფაქტორი, მაგრამ ყველაზე დიდი გარანტია საზოგადოებრივი აზრი და საზოგადოების მოლოდინია. ეს რეალობა დღეს მოდის მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქეებისგან და მე ვერ წარმოვიდგენდი, რომ ჩვენს ხალხს ამდენის მოთმენა შეეძლო. ყველაზე მთავარი კი არის ადამიანთა ის ჯგუფი, რომელსაც შეუძლია გააერთიანოს ყველა და ყველაფერი მხოლოდ ერთი მიმართულებით, ეს არის ქართული ოცნების ასრულება და ჩვენთვის საამაყო, სასურველი ქვეყნის აშენება. წინააღმდეგ შემთხვევაში, პრაქტიკულად ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი დგება. სააკაშვილი ძალიან სერიოზული მსახიობია, თუმცა ამავე დროს ის არის უნიჭო მსახიობი, თუ მას ნიჭიერი მაყურებელი უყურებს. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მისი ილუზიური რეალობა დღეს უკვე პრაქტიკულად განულებულია. არც ამერიკაში და არც ევროპაში მას სერიოზულ ადამიანად აღარავინ აღიქვამს, პირიქით, სახიფათო და მატყუარა ადამიანად მიიჩნევენ, რაც მისივე ბრალია. საბედნიეროდ, ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ გააქტიურების ფონზე, დღეს არსებობს რეალური, უნიკალური შანსი სააკაშვილის გაშვების. იმიტომ, რომ ყველას ამოუვიდა უკვე ყელში და ყველა მიხვდა, რაც ხდებოდა ამ წლების განმავლობაში. პარლამენტში მისი გამოსვლა კუთხეში მიმწყვდეული თაგვის პოზიციას ჰგავდა, რომელიც იხტიბარს მაინც არ იტეხს. დღეს ქვეყნის განადგურება ხდება ყველა მიმართულებით, სოციალური კუთხით პირველ რიგში, ადამიანურ-კულტურული, სულიერი და საპირისპიროდ იქმნება რაღაც ამორფული სისტემა, რომელიც მხოლოდ ამ ოც კაცზეა მორგებული. ჩემი მოსაზრებით ეს დაახლოებით იმ მდგომარეობას ჰგავს, როდესაც დიდგორის ომის დროს დავით აღმაშენებელმა უკან დასახევი გზა ჩახერგა და დასვა საკითხი, გამარჯვება ან სიკვდილი. რა თქმა უნდა, სააკაშვილი, მისი ბუნებიდან, არა ადეკვატურობიდან გამომდინარე, შესაძლოა ყველაფერზე წავიდეს. არ გამოვრიცხავ არანაირ პროვოკაციას, თუნდაც იმის მსგავსს, რაც 2008 წელს განახორციელა, მაგრამ მინდა დაბეჯითებით ვთქვა, რომ ესაც კი ვერ გადაარჩენს და უბრალოდ, უფრო დაამძიმებს მის მდგომარეობას.

**- რა იყო ის მთავარი მოტივი, რამაც „ქართულ ოცნებაში“ გაწევრიანება გადაგაწყვეტინა და აქვე გკითხავ, შენი მოსაზრებით რა აერთიანებს „ქართულ ოცნებას“, ღირებულებები, მხოლოდ სააკაშვილის გაშვების სურვილი თუ ფული?**

- იცით, ალბათ, ჩემი ბიოგრაფიის ნაწილი, ყოველთვის ვცდილობდი ვყოფილიყავი აქტიური და ჩემი პრინციპების დამფიქსირებელი. არასოდეს არ იქნება ჩემთვის ღირებული არც ფინანსები და არც რაიმე პოზიცია ან თანამდებობა. ჩემთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია და ვხედავ კიდეც, რომ იქ ბევრი ისეთი ადამიანია, რომელიც მსგავსი სულისკვეთებითაა გამსჭვალული. ამიტომ ჩემი გადაწყვეტილება იყო საერთოდ უპირობო, რომ ეს არის ის შანსი, როცა პირველ რიგში, იდეის გარშემოა გაერთიანებული ყველა. ასევე იმ პიროვნებების გარშემო, ვინც თავისი ღირსებით და ზნეობით არიან ცნობილნი და რა თქმა უნდა, პოლიტიკური სტრუქტურის, სადაც გამოცდილი და გაუსვრელი ადამიანები შედიან. ყველაზე ვერ ვიტყვით, რა თქმა უნდა, ამას, მაგრამ მოდით ასე ვთქვათ რა, ეს არის რეალური ალტერნატივა, რომელიც რეალურ სისტემას შექმნის და ქვეყანას დააყენებს სწორ რელსებზე. ბიძინა ივანიშვილთან პირველი შეხვედრის დროს მე მასთან არანაირი კითხვა არ გამჩენია, ერთადერთი იმის იმედი გამიჩნდა, რომ იბერია მართლაც გაბრწყინდება. ნელა-ნელა და ნაბიჯ-ნაბიჯ ამის მიღწევა შესაძლებელია, თუ ამ საქმეს ღირსეული და გამოცდილი ადამიანები ჩაიბარებენ.

**- დათო, ახალგაზრდულ ფრთას ხელმძღვანელობ, რა გეგმები გაქვთ და რა გზებით აპირებთ ახალგაზრდა თაობის უფრო მეტად გააქტიურებას?**

- პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ ჩვენთან, ახალგაზრდულ ფრთაში ძალიან თავისუფალი და მეგობრული გარემოა. ანუ ყველა ახალგაზრდას, ვინც კი მოვა, უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ გამოავლინოს საკუთარი თავი და რაც მთავარია, შეიკრას იმ გარემოში, რომელშიც ყველანი ერთად ვართ. ძალიან ბევრია აქტიური ახალგაზრდა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ამის სწორი ადმინისტრირებაა. ახალგაზრდული ენერგია ყველაზე მნიშვნელოვანი ძალაა. მე მაინც მგონია, რომ სიმბიოზი უნდა მოხდეს ახალგაზრდულ ენერგიასა და ასაკოვანი ხალხის გამოცდილებას შორის. ამ რვა წლის განმავლობაში ახალგაზრდა თაობა თითქმის გარიყული იყო და ახლა ეს უკვე დაუშვებელია. მაგალითად, გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან სტუდენტების მიერ ორგანიზებული აქცია „მე ვარ თავისუფალი მოქალაქე“ გაიმართა, რომელსაც ჩვენც გამოვუცხადეთ სოლიდარობა. ძალიან მნიშვნელოვანი მესიჯია ყველასთვის ის, რომ ჩვენ ვართ თავისუფლები და ვერაფერი ვერ გაგვაჩერებს, ვერანაირი ზეწოლა ან ფინანსური თუ პოლიტიკური ბერკეტი. ჩვენ გვინდა თავისუფლება და ამ თავისუფლებისთვის ვიბრძოლებთ.

**ლელა არაბული**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ratom vzeimobT 8 marts, roca es dRe, sinamdvileSi, iudeveli dedakacis mier araiudevel mamakacze gamarjvebis aRmniSvneli dResaswaulia?



მიზეზი არ ვიცი, მაგრამ რატომღაც მომეჩვენა, რომ წლევანდელი 8 მარტი მამაკაცებმა განსაკუთრებულად აღნიშნეს. თაიგულის გარეშე თითო-ოროლა ბედოვლათი თუ დაბორიალობდა ქალაქის ქუჩებში...

კაცმა რომ თქვას, არაა ცუდი, ქართველი მამაკაცების უმრავლესობას ქალისადმი პატივისცემა წელიწადში ერთხელ მაინც რომ ახსენდება... არადა, დამეთანხმებით და გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ ამ ძნელბედობების დროს საქართველოში თუ რაიმე დაღუპა და გაანადგურა, ქალმა გააკეთა და თუ რამე გადაარჩინა, ისევ ქალმა... ფრანგებს აქვთ გამონათქვა-



Figure N° 24
Le Pentagramme expressif
de la subversion

მი: „შერშე ლა ფამ“, ამაზე ზუსტი ფორმულირება კიევ სხვა გაგიგონიათ?

8 მარტი ქალთა დღეაო, მაგრამ რატომ მხოლოდ და მხოლოდ 8 მარტი? ჩემი კოლეგა, ღირსეული დედა, მეუღლე და ბებია ბაია ამაშუკელი მიმტკიცებს, რომ 28 აგვისტო ქალთა დღის აღსანიშნავად ყველაზე შესაფერისი დროა. პრინციპში, ვეთანხმები, მაგრამ, საერთოდ, ვიცით კი, ბოლოს და ბოლოს, რატომ ვზეიმობდით და ვზეიმობთ დღემდე 8 მარტს, როგორც ქალთა საერთაშორისო დღეს?

როგორც ცნობილია, 8 მარტი ბოლშევიკების მიერ ლეგალიზებული პურიმის დღესასწაულია, პურიმი კი 1917 წელს სწორედ 8 მარტს დამთხვევია ახალი სტილით. ძველი სტილით კი პურიმი 23 თებერვალს იზეიმებოდა. სწორედ 1917 წლის 23 თებერვალს დაიწყო თებერვლის რევოლუცია რუსეთში.

8 მარტს (ძვ.სტილით 23 თებერვალს) გერმანელ-ებრაელმა რევოლუციონერმა ქალმა კლარა ცეტკინმა, რომელმაც ქალთა რევოლუციური რაზმი შექმნა, „ქალთა პროლეტარიატის“ დაბადების დღის აღსანიშნავად 8 მარტი – ებრაული პურიმის დღესასწაული აირჩია.

1910 წელს სოციალისტ ქალთა კონფერენციაზე კლარა ცეტკინმა წინადადება წამოაყენა – „ქალთა საერთაშორისო დღედ“ 8 მარტი დაეწესებინათ.

წინააღმდეგიც არავინ წასულა. ბოლშევიკებში ისედაც ძლიერი იყო კაბალისტურ-ოკულტური მიმდინარეობებისადმი პატივისცემა. ამ კაბალისტურ-ოკულტურ მიმდინარეობას დაუკავშირა შემდეგ ლევ ტროცკიმ (ბრონშტეინმა) „წითელი ბრიგადების“ დაფუძნება და კიდევაც გამოფინეს იმ დღეებში ხუთქიმიანი ვარსკვლავები წვერით ქვემოთ, როგორც ბაფომეტის სიმბოლო, მაგრამ 8 მარტი პურიმთან ერთად ებრაელებისათვის ივდითის სადიდებელ დღედაც ითვლება. ეს ის ივდითია, ოლოფერნეს, ნაბუქოდონოსორის მხედართმთავარს თავი რომ მოჰკვეთა, ჯერ მასთან საწოლში ინებივრა და მერე მძინარეს თავი მოაჭრა.

„... გადააგორა მისი გვამი საწოლიდან და სვეტებიდან ჩამოაგდო გავალაკი. ცოტა ხნის მერე გამოვიდა და მისცა მოახლეს ოლოფერნეს თავი“. (ბიბლია. ივდითი. 13:6)

ოკულტისტმა იუდეველებმა: ცეტკინმა, ბრონშტეინმა, ლენინმა და სხვებმა ეს დღე იუდეველების მიერ შურისძიების სიმბოლოდ გამოაცხადეს დედაკაცი იუდეველის მიერ არაიუდეველ მამაკაცზე გამარჯვების აღსანიშნავად.

ერთი სიტყვით, 1910 წელს დანიაში, ქალაქ კოპენჰაგენში მასონურ-სოციალისტურ ყრილობაზე 8 მარტი ქალთა დღედ აღიარეს.

1917 წელს ხაზარი-მასონების მიერ მართული რუსული რევოლუციების გამომწვევი პირველი ნაპერწკალი ქალთა დღისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი გამოსვლები გახდა.

მთავარი ინიციატორი კლარა ცეტკინი იყო.

კლარა ცეტკინის ნამდვილი სახელი და გვარი გახლდათ კლარა ეისნერი. ის ებრაელი იყო, გვარი კი მოგვიანებით, შეყვარებულის საპატივცემულოდ გამოიცვალა. მან იოსიფ ცეტკინს, ვითომდა, პატივი სცა, სინამდვილეში მას სხვა ზრახვები ამოძრავებდა.

იგი საქსონიაში დაიბადა 1857 წლის 5 ივლისს.



კლარა ცეტკინი და როზა ლუქსემბურგი

კლარა ხაზარს იოსიფ ცეტკინთან უკანონო კავშირისგან ორი ვაჟიშვილი ეყოლა, მაგრამ, როდესაც 1899 წელს იოსიფ ცეტკინი გარდაიცვალა, 42 წლის კლარა ეისნერი-ცეტკინი 18 წლით უმცროს ფრიდრიხ ზუნდელზე დაქორწინდა.

უცნაურობებით იყო სავსე კლარას ცხოვრება. ბედმა რუსეთში საბოლოოდ დარჩენა გადაუწყვიტა. 1933 წელს კლარა ცეტკინი გარდაიცვალა და მადლიერმა კომუნისტებმა კრემლის კედელში დაკრძალეს, ქალაქ მოსკოვში.

კლარა ცეტკინს ბოლშევიკური რუსეთისთვის მართლაც ბევრი რამ ჰქონდა გაკეთებული. მაშინ, როცა ევროპის ქვეყნებს სახელმწიფო გადატრიალებების რევოლუციურმა ტალღამ გადაუარა, მთავარი სამიზნე-რუსეთის სამეფო იმპერია ჯერ კიდევ ფეხზე იდგა.




შეთქმულება მსოფლიო დონეზე მზადდებოდა. შეთქმულების 100 პროცენტს ხაზარები შეადგენდნენ. ხაზართა ტომიდან იყო კლარა ცეტკინიც. „ხაზარ-მასონი რევოლუციონერები მთელ მსოფლიოში გაჰკიოდნენ ღმერთი არ არსებობსო, თვითონ კი შემაძრწუნებელი კაბალისტური მიმდინარეობის აღმსარებლები იყვნენ. აღნიშნავდნენ ყველა ხაზარულ დღესასწაულს ხალხისგან დაფარულად, საიდუმლოდ.

8 მარტს – ხაზარული პურიმის დღეს „მორწმუნეები“ ერთმანეთს უმასპინძლდებიან ტკბილეულით, რომელსაც „ამანის ყურები“ ჰქვია და ულოცავენ ერთმანეთს ესთერის გამარჯვებას. მოგეხსენებათ, ხაზარი ესთერი სპარსეთის მეფის ცოლი იყო, მან ამანი და მისი 10 შვილი ჩამოახრჩობინა და მეფის 75000 მომხრე ვერაგულად ამოახოცვინა.

მაშ, რატომ ვზეიმობთ 8 მარტს, ჯერ კიდევ? ვიქნები „შესაშურად“ გამბედავი და დავეთანხმები დიდ მიხეილს, – საакაშვილს, რატომ 8 მარტი? ქალთა დღე წელიწადის ყოველი დღეა.

**ირანდა კალანდაძე**

საავტორო უფლებების დარღვევისთვის ტაბულა იმედს სასამართლოში უჩივის - მაგარი პონტი გაჩითულა: ბოკერია არველაძეს უჩივლებს და კუბლაშვილი გაარჩევს. სტრასბურგამდე მივლენ უეჭველი. ამ უბედური აპატურაის ტექსტი რო შეცვალეს ამასწინათ ნაცმოძრაობის თეზისებზე, არ უჩივლიათ ნეტა?

განთლების სფეროში იმდენი გარღვევაა, რომ 40 წელი გაგვიჭირდება მსოფლიოს დღევანდელ დონემდე რომ მივიდეთ, თუ ასე გაგრძელდა. რუსული ხომ სრულიად აღარ ვიცით და ვინც იცოდა, დაავიწყდა, ინგლისურიც ვერ ვისწავლეთ. როგორი ინჟინრები, ექიმები, ვექილები და სხვა სპეციალიტი გვეყოლება თუ ლიტერატურაზე მუშაობა ვერ შეძლო. მაშინ როდესაც საქართველო მსოფლიოში განათლების სფეროში, პროგრესის ავანგარდში იყო მუდამ !

ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი ოცნება ახდება, თუ საქართველო გაბრწყინდება, თუ... გამოვალ ჩემ სოლოლაკში დილით და აღარ დავინახავ ყველაზე საზარელს, – როგორ ქექავენ ნაგავს თბილისელები! თუ როგორ ზიან, დადიან, წვანან და მათხოვრობენ მოხუცი პენსიონერები!!! ბავშვები! ამის ატანა აღარ მაქვს!! ამას ველაარ გავუძლებთ !!! ამის არდანახვა შეუძლებელია!!! ხალხი მშიერია !!! ქვეყანაში კატასტროფაა!!!!

## facebook

## xalxisazriT

ბიძინა ივანიშვილი მდიდარია არა მხოლოდ მატერიალურად. მისი მთავარი სიმდიდრე სიყვარული და პატრიოტიზმია. იმ სიაში, ალბათ, არავინაა ისეთი, ვისაც საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინაშე იმგვარი ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს, როგორიც ბიძინა ივანიშვილს. სინდისი ვისაც აქვს, იმან კი არ უნდა აკრიტიკოს ეს ადამიანი - უნდა მიბაძოს ! ღმერთმა გააძლიეროს ადამიანი, რომელსაც დიდი ცდუნება აქვს, (მატერიალური სიკეთის სახით ) მაგრამ რწმენა, ღირსება და სიყვარულის უნარი არასოდეს დაუკარგავს ! როდესმე პირადად გადავუხდი მადლობას!

ბატონი ბიძინა რომ კარგი მენეჯერია და თავის საქმეს სუფთა ხელებით აკეთებს. მსოფლიომ აღიარა. ამიტომ მთელი საქართველო უნდა დაუდგეს გვერდით, თუ გინდათ, რომ საქართველო მართლაც ევროპულ ქვეყანად იქცეს.

ამ ქალბატონთან სტუმრობით ბიძინამ ყველა სკოლიდან უსამართლოდ გაშვებულ მასწავლებელს გამოუცხადა თანადგომა, მათ შორის სამტრედიის №3 სკოლის პედაგოგებს: მარინა ნადირაძეს, ლელა ხურცილავას, ვენერა ოდილავაძე-ივანიშვილს და ნანა ივანიშვილს, რომლებიც 7 მარტს გაათავისუფლეს სკოლიდან და დღეს ფოსტით სარვამარტო საჩუქრად მიუვიდათ ბრძანება.

მიუხედავად იმისა, რომ ბიძინას გასვლები რეგიონში მისი უსაფრთხოების მხრიდან დიდ რისკებთან არის დაკავშირებული, ვთვლი, რომ აუცილებელია რეგიონებში ხალხმა გაიცნოს ის; არა ვიღაცების მონაყოლით ან კურიერის სიუჟეტებით, არამედ მასთან პირდაპირი კონტაქტით და ურთიერთობით. მე მაქვს ინფორმაცია, რომ ბიძინას უშუალო, წყნარი, საქმიანი, არააგრესიული ტონი ოპონენტების და თუნდაც მოწინააღმდეგეების მიმართ, რაიონებში ხალხისგან აღქმული არის რაღაცა ახალი, აქამდე არნახული სახე ადამიანისა, რომელიც ცდილობს სასიკეთოსკენ მოატრიალოს ეს გაუკულმართებული, გაპარტახებული და დაცლილი სოფელი.



# `lirikuli~ gadaxveva heroinidan _ vis interesebSia es!!!

სასჯელაღსრულების ადგილებში, ლამის ყოველი მეორე ადამიანი ნარკოტიკების მომხმარებლის, შემნახველის ან გამსაღებლის სტატუსითაა გამომწყვდეული. მიუხედავად იზოლირებულთა შთამბეჭდავი რიცხვისა და მთელი რიგი ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი პრეპარატების თავისუფალ გაყიდვაში აკრძალვებისა თუ კონტროლისა, — ვისაც სურვილი აქვს, მაინც „კაიფობს".

ე.წ „ტრადიციულ" ნარკოტიკებზე კი აღარაა საუბარი, არამედ, ცალკეული ნივთიერებების რაღაც ნაერთებზე, რაც მავნებლობით ბევრად აღემატება, ვთქვათ, მინდორში მოსრესილ „მამა-პაპურ პლანსა" (რომლის ლეგალიზებაც უკვე დაიწყეს საუბარი) თუ ბინტში გამოწურულ ეზოში მოყვანილ „მაკზე".

აფთიაქებში მრავლადაა გარკვეულ დაავადებათა სამკურნალო პრეპარატები, რომელთაც აბსოლუტურად სხვა დანიშნულება აქვთ, მაგრამ დაინტერესებულ პირს, სახლის პირობებში, მცირეოდენი გარჯის ფასად და უპრობლემოდ შეუძლია ცალკეული ნივთიერების გამოყოფა და გამოყენება.

გარდა ამისა, არის ასევე უამრავი პრეპარატი, რომელიც ვთქვათ, ფსიქიური აშლილობებისას გამოიყენება, ან ტკივილგამაყუჩებელია, ან ანტიდეპრესანტია და ა. შ რომელიც, ექიმის დანიშნული დოზით, მცირე ხნით, მაგრამ შვებისმომგვრელია ავადმყოფისთვის და არც წამალდამოკიდებულს ხდის, მაგრამ თვითნებურად და დიდი რაოდენობით მიღება გამოუსწორებელ შედეგს იძლევა.

ეს, ყველაფერი, რაც მზა პრეპარატებს უკავშირდება, ყველამ ზედმიწევნით კარგად იცის, მაგრამ როგორ, საიდან, ვინ ათვითცნობიერებს მოსახლეობის ფართო მასას?

პირადად მე, როდესაც ნარკოლოგიურ ცენტრში გახლდით და ექიმ-ნარკოლოგებს ვესაუბრე, საგაზეთო ინტერვიუში არ დამისახელებია ის პრეპარატები, რომელთა გამოყენებაც არაპირდაპირი დანიშნულებისთვის შეიძლებოდა; როდესაც „გადამკვდარ" ნარკომანთან საუბარი ჩავიწერე, გაზეთში არ გამომიჭენებია იმ პრეპარატებისა თუ სხვა შემადგენელი ნივთიერებების სია, დოზა და არც სასიკვდილო სამსალის დამზადების წესი...

წამალდამოკიდებული ადამიანები, როგორც ამბობენ, ყველაფრიდან გამოადნობენ სასურველს, მაგრამ როცა გამზადებულ მასალას აძლევ და გზას უკვალავ, ეს ამბავი როგორაა?

დაახლოებით 20-25 წლის წინ, დედაჩემს ალერგიული ხველა დაეწყო გაზაფხულზე, ჭადარი რომ ყვავის, მის ბუსუსებზე, ლამის დამხრჩვალიყო. მეზობელი აფთიაქში მუშაობდა, მთავარი „პროვიზორი" იყო და რაღაც ყავისფერი აბები მისცა უსასყიდლოდ, 25 კაპიკი ღირდა ერთი ფირფიტა. ორ დალევაზე ხველა მოეხსნა. კარგა ხანს ამარაგებდა მეზობელი ამ წამლით. ერთ წელსაც, ისევ რომ გაყვავილდნენ თბილისში ჭადრები და აუტყდა ხველა, ნურას უკაცრავადო, უთხრა მეზობელმა, სააფთიაქო ქსელიდან ამოიღეს, აღარაა გაყიდვაშიო.

არცთუ დიდი ხნის წინ „ლირიკა" გაუდიოდათ ტელევიზიებს და ახლაც გაიხსენეს. იმავე „ლირიკაზე" საუბარი გასული წლის ზაფხულშიც იყო, მაგრამ მერე მიჩუმათდა. მოკლედ, იმდენი ილაპარაკეს, რომ „ლირიკა" რეცეპტის გარეშე იყიდება აფთიაქებში, რომ ფასი ხელმისაწვდომია, რომ ამა და ამ აფთიაქებში უპრობლემოდ შეიძენთო და იმდენი ატრიალეს „ლირიკას" კოლოფი, რომ დედაჩემმა იცნო და იკივლა, ამას არ ვსვამდი ერთი წელი მეო? მეც მერეღა დავხედე უკვე ცარიელ კოლოფს...

საოცარია პირდაპირ! — შარშან „ნიანგის" სახლში დამზადებას ზედმიწევნით გვიხსნიდნენ და გვასწავლიდნენ „იმედის" ეთერით, მერე კიდევ რაღაცისას, ახლა „ლირიკა!"...

როგორ ფიქრობთ, „იმედის" ეთერში გასვლამდე, რამდენმა დაინტერესებულმა პირმა იცოდა „ნიანგის" დამზადება? — ძალიან ცოტამ. რამდენმა დაინტერესებულმა პირმა ისწავლა? — იმდენმა და ყველამ, ვისაც აინტერესებდა, მაგრამ ვინაიდან თვითონ არ იცოდა დამზადების წესი, სხვაზე იყო დამოკიდებული, ის „სხვა" კი „წილში" ეჯდა.

ამ დღეებში, რამდენმა ცნობისმოყვარე მოზარდმა მიიღო ინფორმაცია საუკეთესო სატელევიზიო ეთერის დროს „ლირიკას" შესახებ? — ბევრმა.

საზოგადოებაში დამკვიდრებულია აზრი, რომ როგორც „ჰეროინისა" და „საკონდიტრო ყაყაჩოს" შემთხვევაში იყო, (მოგეხსენებათ, კვალი იმდროინდელი ძალოვანი სტრუქტურების მაღალჩინოსნებთან მიდიოდა) ისეა „ლირიკას" შემთხვევაშიც, ვიღაც „ისეთი" „კრიშავს" და იმიტომ ვერ უშვრებიან ამდენი ხანია ძვრასო. ამგვარად ფიქრის უფლებას ის რეალობა იძლევა, რაც ჩვენი ყოველდღიურობაა — ცოტა ხნის წინ, ლამის ქვეყანა შეძრეს, „დიკლოფეროლი" და ყველა მისი მონათესავე პრეპარატი ჯანმრთელობისთვის მავნე და საშიშად გამოცხადდა, ამჟამად კი, ახლიდან წამოიწყეს იმავე „დიკლოფეროლის" რეკლამა, — რას ნიშნავს ეს?



რაც შეეხება „ლირიკას", (და არა მხოლოდ „ლირიკას") საინტერესოა, საიდან და ვისგან მოდის მითითება, რომ ფართო საზოგადოება შეცდომაში იქნას შეყვანილი და იგი აღიქვან როგორც ნარკოტიკული ნივთიერება? სინამდვილეში რა იმალება ამ არასწორი ინფორმაციის გავრცელების მიღმა?

„ლირიკა" („პრეგაბარინი") არის ე.წ. ახალი თაობის პრეპარატი, რომელიც ეპილეფსიით დაავადებულებს ენიშნებათ და ამერიკული ფარმაცევტული კომპანია „ფაიზერი" აწარმოებს. ისევე როგორც სხვა „ოპიატების" შემთხვევაში, „ლირიკაც" მასზე დამოკიდებულს ხდის ადამიანს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ე.წ ეპილეპტიკებისთვის განკუთვნილი ეს პრეპარატი უშუალოდ და ძლიერ დაკავშირებულია ფსიქიკასთან. როგორც ყველა წამალი, ავადმყოფისთვის და ნორმის ფარგლებში, ის წამალია, მაგრამ არანორმალურად მოხმარების შემთხვევაში საწამლავი, თან ისეთი ძლიერი, რომ მთლიანად სპობს ცენტრალურ ნერვულ სისტემას. რადგან ვიღაცები არადანიშნულებისამებრ იყენებენ ამა თუ იმ წამალს, რა შუაშია ავადმყოფი, რომლისთვისაც ის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, შენ კი უძვირებ და ურთულებ მის შეძენას?




ვის ინტერესებშია მითითება, რომ საქართველოში „პრეგაბარინი", რომელიც საქართველოში ორი სავაჭრო ნიშნით („ლირიკა" და „ჰელიმონი") არის რატომღაც დარეგისტრირებული, დიდი ოდენობით გაიყიდოს?

ხომ აქვს უდიდესი მნიშვნელობა, რას უკიჟინებ მაყურებელს თუ მკითხველს. „ლირიკა" — ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი პრეპარატი!" ამგვარად გამოცხადება და „ლირიკა" — ეპილეფსიური შეტევის შემამსუბუქებელი პრეპარატი!" — ერთნაირი დატვირთვისაა?

ვინც ერთხელ მაინც შესწრებია გულყრას, მან იცის, რა მოვლენაა ის საშინელი კრუნჩხვები, აი, ამის წამალია „ლირიკა" (და არა მხოლოდ „ლირიკა". დღეისათვის არაერთი პრეპარატია ამავე დანიშნულების, მაგრამ პრინციპულად არ დავასახელებ). თუ იმისთვის ხარ მოწოდებული, რომ შენს გენოფონდს აარიდო მორიგი დარტყმა „ლირიკას" სახით, ტელევიზიით გულყრის შემთხვევები უნდა აჩვენონ (ბევრი ძებნა არ უნდა), — როგორ იგრიხება ეპილეფსიის შეტევის დროს ადამიანი, როგორ აპარპალებს თვალებს, პირიდან გადმოსდის დუჟი, საცვალში ეპარება და ვნახოთ, ეს იმოქმედებს მის პოტენციურ მომხმარებელზე დადებითად, თუ იმის ყვირილი, რომ აფთიაქები, რომლებიც რეცეპტის გარეშე გასცემენ ამ პრეპარატს, პირველ ჯერზე 3 000, განმეორებით შემთხვევაში კი 6 000 ლარით დაჯარიმდებიანო...

როდესაც ჩამოუყალიბებელი მრწამსის, ასაკის მოზარდს აძლევ ინფორმაციას, რომ ხუთიდან ათი ლარის ფარგლებში შეუძლია „იკაიფოს", დღეს ერთმა რომ მოისმინა ტელევიზიით ეს, მეორე დღეს მისი „გამსინჯავი" უკვე 8-12 მოზარდი რომ ხდება, ვიღაცას ხომ ჩემსავით და ბევრად უკეთესად მოეხსენება? — მზარავს ეს ყველაფერი!...

„ლირიკას" მომხმარებელს არაერთი თვალით შესამჩნევი მახასიათებელი აქვს, — სხეულის მასის გაზრდა, გაძლიერებული მადა, მოულოდნელი ქცევები, უმიზეზო ეიფორია, თვითკმაყოფილება, სმენის, მხედველობის, კოორდინაციისა და ყურადღების დაქვეითება, უსაფუძვლო პანიკური შეტევები, პირის სიმშრალე, ცხვირიდან სისხლის დენა, წელის ტკივილი, კისრის დაჭიმვა, გაგუდვამდე ხველა, ორგაზმის შეგრძნების დაკარგვა და ა. შ — მიმოიხედეთ გარშემო, იქნებ დროულად დაეხმაროთ ოჯახის წევრს ან ახლობელს!

„გამსინჯავი" რომ გამსინჯავად რჩებოდეს, ამდენი სალაპარაკოც არ იქნებოდა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ „ლირიკას" მიღების შემდეგ, მაგალითად, მორიდებული, დაკომპლექსებული ადამიანი იხსნება, გვერდზე რჩება ის მტანჯველი კომპლექსები და ხდება ძალზე კომუნიკაბელური, აქტიური და ეს მდგომარეობა, რა თქმა უნდა, მოსწონს. „ლირიკას" რამდენიმე მიღება და ადამიანი მასზე დამოკიდებული ხდება. ის რაოდენობა, რასაც სვამენ, 5-7 კაფსულა დღეში, საუკეთესო შემთხვევაში ფსიქიატრიულ კლინიკაში მოხვედრით დამთავრდება, სხვა შემთხვევა კი არ არსებობს, — ეს სასიკვდილო დოზაა!

**მაია ჭელიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# poetis Tqmisa ar iyos, ver gaigeb, visi violinovis roialSia

როგორც შევიტყვეთ, მცხეთაში მინდია გულუას პარტიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ პრობაციონერი დაუნიშნავთ. ეს პიროვნება ლითონის მილების ქურდობაში ყოფილა ბრალდებული, შემდეგ საპროცესო შეთანხმება გაუფორმებიათ და 5-წლიანი პირობითი სასჯელი გამოუტანეს. იგი ახლახანს გამოსულა ციხიდან. მისი შვილი დღესაც სოფელ მისაქციელის გამგებელია და რა თქმა უნდა, ნაცმოძრაობის წევრი. ჩვენ არავისთვის შეურაცხყოფის მიყენებას არ ვაპირებთ, მაგრამ ყველას კარგად მოეხსენება, რა ზეწოლის ქვეშ ჰყავს პრობაციონერები ხელისუფლებას და როგორ იყენებს მათ სათავისოდ. ამიტომაც გულუას წარმომადგენლის ჭეშმარიტი ოპოზიციონერობა დიდ ეჭვებს ბადებს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ადამიანი სპეციალურად შეაგზავნეს გულუას პარტიაში, ანდა თავად გულუაც სააკაშვილის თამაშს თამაშობს.



სანდო წყარომ „საერთო გაზეთს“ ძალზე საინტერესო ინფორმაცია მიაწოდა იმ გეგმის შესახებ რაც ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამდე ერთობლივად ჰქონდა შემუშავებული ხელისუფლებას, მინდია გულუასა და ასევე რუსეთშივე მოღვაწე ბიზნესმენ ლევან ვასაძეს.

გასული წლის მაისის აქციების დარბევიდან ძალზე მალე, დაახლოებით ერთ თვეში, გულუამ და ვასაძემ საკუთარი ძალების მობილიზება დაიწყეს, ანუ იგეგმებოდა ახალი პოლიტიკური რეალობის შექმნა. გულუა უნდა ყოფილიყო საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ადამიანი და პოლიტიკოსი, თუმცა წყაროს ეეჭვება, რომ ივანიშვილის გარეშეც ასეთი რამ მომხდარიყო. ვასაძეც შექმნიდა პოლიტიკურ პარტიას. ნაცმოძრაობიდან გარკვეული ადამიანები, ასე ვთქვათ კარგი სახეები გადავიდოდნენ ამ პარტიებში. ეს რეალურად უგულავას პროექტი ყოფილა და არა სააკაშვილის ან სხვა მაღალჩინოსნის. ივნის-ივლისში უგულავა და გულუა ისრაელში რამდენჯერმე შეხვედრიან ერთმანეთს, სადაც მიდიოდა კონკრეტული საუბარი თუ როგორ უნდა დაელაგებინათ პოლიტიკური სიტუაცია და განეხორციელებინათ გარკვეული პოლიტიკური გეგმები. საბოლოო ჯამში უგულავა, გულუა და ვასაძე გაერთიანდებოდნენ ძალზე დიდ პოლიტიკურ თამაშში, რომ მოეხდინათ პოლიტიკური სივრცის 80%-ის დაკავება. მოკლედ, მათი გათვლით ხალხს ახალ იმედს მისცემდნენ, გარკვეულ პოლიტიკურ პარტიებს ახალ სიცოცხლეს, რომელთაც შემოიკრებდნენ გარშემო და უგულავა პრეზიდენტი გახდებოდა. ყოველ შემთხვევაში მათ ამის დიდი ამბიცია ჰქონდათ. ნაცმოძრაობისთვის გულუა და ვასაძე იყო ამ ყველაფრის განხორციელების საშუალება. ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ პოლიტიკური სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა. გამოჩნდა სერიოზული ძალა, რომელიც უგულავას ამბიციებსა და სურვილებს დიდ საფრთხეს უქმნის. ახლა სურათი შეიცვალა და ლევან ვასაძეთი ქრისტიან-დემოკრატების გაძლიერებას, მათთვის ფინანსური რესურსის მოზიდვას ცდილობენ.

რაც შეეხება გულუას პროექტს. წყაროს აზრით, გულუა იმაში შეცდა, რომ პრაქტიკულად მოუმზადებლად, ყოველგვარი პიარისა და შეფუთვის გარეშე დააანონსა სექტემბერში პარტიის შექმნა და ერთგვარი პრეზენტაციაც კი გააკეთა. ვისთან და რა პოლიტიკური გარიგებაც არ უნდა ჰქონოდა, ეს მისი მხრიდან დიდი პოლიტიკური შეცდომა და ფულის ფუჭი ხარჯვა იყო. გულუას უკან დასახევი გზა, რა თქმა უნდა, ჰქონდა, შეეძლო ეთქვა აქედან მივდივარ, ჩემი 200 მილიონი მირჩევნია, ფული თქვენ რატომ უნდა დაგახარჯოთო, მაგრამ, როგორც ჩანს, მას გარკვეული ვალდებულებები ჰქონდა ხელისუფლებასთან, ამიტომაც ახლა მისმა პარტიამ ოპოზიციისთვის ხმების წართმევის ინსტრუმენტის ფუნქციები შეიძინა. გულუა სამეგრელოში საკმაოდ დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, რადგან მოახერხა იმ ხალხის შემოკრება, რომლებიც რაიონებსა და სოფლებში ხალხის პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობს. მას ფინანსურადაც არანაირი პრობლემა არ ექმნება, ვინმესთვის ფულის მიცემას არ უკრძალავენ, კონტროლის პალატა ივანიშვილისგან განსხვავებით, ამას პოლიტიკურ მოსყიდვად არ უთვლის. ამიტომაც გულუა ცდილობს ოპოზიციურად მოაზროვნე ადამიანების გარკვეული სეგმენტი თავის გარშემო შემოიკრიბოს.

ივანიშვილის გამოჩენამდე გულუამ და მისმა გუნდმა სწორ ტაქტიკას მიმართეს, თავიანთი რეალური წარმომავლობა და მიზნები სათანადოდ რომ შეეფუთათ. სანამ „განახლებული საქართველოს“ პრეზენტაცია მოხდებოდა, დაახლოებით ორი თვის განმავლობაში საკმაოდ აქტიურად მიდიოდა საუბარი ერთ-ერთ საკალათბურთო გუნდზე, თუ როგორ შეუწყვიტეს მას დაფინანსება - ასეთ კარგ, ძალზე პერსპექტიულ გუნდს დაშლა ემუქრებაო. მერე უცებ აღმოჩნდა, რომ, თურმე, გულუა აფინანსებდა და მას ეს აუკრძალეს. ეს იყო ერთ-ერთი პირველი ინფორმაცია, რომელიც გულუას ეროვნულ კაცად წარმოჩენას ემსახურებოდა, რომელსაც იმის გამო რომ ქვეყნის გადარჩენის სურვილი აქვს, ასეთი პერსპექტიული საკალათბურთო გუნდის დაფინანსებასაც კი უკრძალავენ. მერე იყო მისი პარტიის პრეზენტაცია, რის შემდეგაც ყველაფერი გაჩერდა. როგორც ჩანს ვილაცეებმა იგნოსეს რომ პოლიტიკაში რაღაც ხდებოდა. ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ გულუას გუნდი თავიდან დაიბნა, მაგრამ, როგორც ჩანს მერე გადაწყვიტეს ოპოზიციისთვის ხმების წართმევის ფუნქცია აეღოთ, რისთვისაც სერიოზული ფინანსები იქნა მოძიებული. ჩვენი წყაროს აზრით, აქ უგულავას და სავარაუდოდ ბენდუქიძის ფინანსური რესურსებიცაა ჩართული და პირველ რიგში „ქართული ოცნებისთვის“ ხმების წართმევას შეეცდებიანო.

„სააკაშვილის გუნდის წევრები ან მართლა დებილები არიან, ანდა თავად სააკაშვილი უყრის მათ საკვებში რაღაცას და ადებილებს, რადგან აშკარაა, რომ სააკაშვილი ხელისუფლებაში ვერ დარჩება, ის ვერც პრემიერ-მინისტრად მოვა და ვერც პარლამენტის თავმჯდომარედ. მისი ქმედებები და გუნდის შეგულიანება არის ერთადერთი იმის მცდელობა, რომ არჩევნებამდე მიიყვანოს თავისი გუნდი, ახლავე არ შემოეფშვნას ყველაფერი და არ დააპიროს ქვეყნიდან გაქცევა და ფულის წაღება, რადგან მას ძალზე დიდი რესურსი სჭირდება. მისი ფსიქოტიპიდან გამომდინარე სურს, რომ, როდესაც პრეზიდენტის პოსტს დატოვებს, ის ხალხს უყვარდეს, როგორც ძლიერი, ყველა სიკეთის მომტანი, კეთილი პრეზიდენტი. თურმე, ასეთი აღმშენებლობა საქართველოს ისტორიის მანძილზე არ ყოფილა, მერე რა, რომ თითქმის ყველაფერი ბიძინა ივანიშვილს გაუკეთებია, სააკაშვილისთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს, მაინც თვითონ იბრალებს. სააკაშვილისა და უგულავას შეთანხმებით შეიძლება არსებობდეს გარკვეული პოლიტიკური თამაში, რომ სააკაშვილი და კიდევ რამდენიმე მაღალჩინოსანი მას პრეზიდენტობისკენ გზას უკაფავდნენ. ივანიშვილის გამოჩენამ ნაცმოძრაობაზე სერიოზულად იმოქმედა. მანამდე იქ სერიოზული შიდა დაპირისპირება იყო. ისინი ფიქრობდნენ, რომ ყველაფერი დასრულდა, მეტი აღარავინ გამოჩნდებოდა და ყველაფერი მათი იყო. მთავარი იყო მათ რომელიმე გუნდს მოეხერხებინა ძალაუფლების ხელში ჩაგდება. სააკაშვილის ჩამოცილების შემთხვევაში ეს გუნდი ერთიანობას ვერაფრით შეინარჩუნებდა, შიგნით დაიწყებოდა დიდი რღვევა და ერთმანეთთან დაჯახება. ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ ეს გუნდი მეტნაკლებად შეიკრა. მათ ერთადერთი შანსი დარჩათ, რომ მიშას ბოლომდე ჩამოეკიდონ და ჭირდებათ ის ადამიანი, რომელიც სააკაშვილს ჩაანაცვლებს და იქნება მათიანი. ასეთი კაცი პირველ რიგში უგულავაა“ — აცხადებს წყარო.

**ანი გოგაშვილი**

## facebook

# xalxis azriT

ყველას ექნება უფლება იყოს ჯანმრთელი, მაგრამ სრულფასოვანი ჯანმრთელობის შესაძლებლობა ექნებათ მხოლოდ იმათ ვისაც ექნება ფული. ეს ხელისუფლება არ და ვერ შეძლებს უფასო გახადოს ჯანდაცვა, სამაგიეროდ, იქნება, მაღალი კლასის კლინიკები მაღალი კლასის მოქალაქეებისთვის. განათლების სისტემაც შეინარჩუნებს დღევანდელ ვითარებას, ანუ საწყის ეტაპზე განათლება იქნება შერეული — ნახევრად ფასიანი-ნახევრად უფასო, ხოლო უმაღლესი განათლება იქნება ფასიანი. ძალიან ღარიბები არ წავლენ სკოლაში, მაგრამ უფლება ექნებათ შავ მუშად იმუშაონ. საშუალოდ ღარიბები სკოლას დაამთავრებენ, ხოლო მდიდრების შვილები უმაღლეს განათლებას მიიღებენ და შესაბამისად უმაღლეს პოსტებსაც დაიკავებენ, ანუ ელიტურობა გადაცემულ იქნება მემკვიდრეობით.

ხმები დადის ბათუმში ათა-თურქის ძეგლს დგამენო და მართალია? რა ხდება ჩვენს თავს! დიდი თურქობა იწყება, თუ ნებაყოფლობით ვაბარებთ ჩვენს ტერიტორიებს ?! როდემდე და სადამდე?!..

დღეს ჩვენს პრეზიდენტს გორში, რუსიტაშვილების ოჯახში სტუმრობისას, ბავშვმა ივანიშვილის ნაჩუქარი ''ნეტბუკი'' გამოუტანა საჩვენებლად. პრეზიდენტმა ''ნეტბუკი'' ვერ გახსნა. სამაგიეროდ, გახსნა თუ არა ''ნეტბუკი'' ბავშვმა, პირველი, რაც ''ნეტბუკმა'' თქვა პრეზიდენტის დანახვისას, იყო სიტყვები ''ეს არის ქათამი''! რა გველია ეს ბიძინა ივანიშვილი, როგორ დააპროგრამებინა ასე ეს ''ნეტბუკები''!

ჩვენთვის აუცილებელია ამ მმართველობის 9წლიანი შედეგების ობიექტური შეფასება, როგორც პოლიტიკური, ასევე სამართლებრივი,,, ნაციონალების მმართველობის დროს არსებული დანაშაულებრივი ქმედებები არ უნდა დარჩეს სისხლის სამართალის მიღმა, და, თუ კი ეს ასე მოხდა, არავინაა დაზღვეული, იგივე არ განმეორდეს...რაც შეეხება ბურჯანაძეს ეს ქალბატონი უკვე ზედმეტს იღებს თავის თავზე, ვინ დამაჯერებს იმას, რომ ბურჯანაძემ არ იცოდა 2008 წლის არჩევნები რომ გაყალბდა, და რა გაწიწმატებული იცავდა ამ გაყალბებულ არჩევნების შედეგებს.. ამიტომ საჭიროა როგორც სამართლებრივი ასევე პოლიტიკური შეფასება, დანაშაულს არა აქვს ხანდაზმულობის ვადა. საშური იქნება თუ 2013 წელს იმ დამნაშავეებს, ვისაც დამოუკიდებელი სასამართლო გამოავლენს, მიეზღოს თავისი წილი პასუხისგება.

პოლიციელი ასოცირდება სახელმწიფოსთან, ეს ნიშნავს, რომ, როდესაც პოლიციელი მოგმართავს, ის მოგმართავს სახელმწიფოს სახელით!

როდესაც პოლიციელი საკუთარ მოვალეობას ასრულებს სათანადოდ სახელმწიფო და ხელისუფალი თანაბარზომიერად იზიარებს იმ შექებას, რასაც ის კონკრეტული პოლიციელი.

როდესაც პოლიციელი დაიღუპა (აცხონოს უფალმა) მტკვარში გადამხტარი გოგონას გადარჩენისას, მაშინ პრეზიდენტიდან დაწყებული და საპატრულოს უფროსის ჩათვლით ყველამ გაიზიარა ის პატივი და ღირსება რაც იმ კონკრეტული პოლიციელის გმირულ საქციელს მოჰყვა!

როდესაც პოლიციელი აშავებს და მისი ირიბი თუ პირდაპირი ბრალეულობის გამო ადამიანი შავდება ან იღუპება ამაზე ყველა ხელს იბანს და მოაჯირს ბრალდება!

ეს არის შედეგი იმ მიდგომისა ის რაც პრეზიდენტის ღია ტექსტში ლიმონჭავით დაწერილ სიტყვებში იგულისხმებოდა: 0% ტოლერანტობა მოქალაქეების მიმართ და 100% ტოლერანტობა სამართალდამცავების მიმართ!!!

ერთი ამიხსნას თუნდაც კვესიტაძემ ან ამ “კასტუმიანმა შრეკმა” რომელი კრედიტით ააშენა მერაბიშვილმა ეს სახლები და ამავდროულად 248 000 ლარის დანაზოგი გააკეთა?! დაითვალონ ერთი რამდენი აქვს ხელფასი, რამდენი პრემია, რამდენი გადასახადი მისდის თუნდაც კომუნალური, რამდენს იხდის საკვებში და მერე კიდე დანაზოგს როგორ აკეთებს?!!!!



# Sexvda Tu ara mindia gulua vladimer putins da raze isaubres maT?



*გვესაუბრება პარტია „განახლებული საქართველოსთვის“ პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარე* **ლაშა გვასალია**

**— გამოჩნდა ცნობა, რომ ბატონი მინდია გულუა შეხვდა ვლადიმერ პუტინს. ხომ არა გაქვთ ინფორმაცია მთი საუბარი შეეხო თუ არა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს, ლტოლვილთა და დევნილთა პრობლემას?**

— ვადასტურებ, რომ ბატონი მინდია ნამდვილად შეხვდა ვლადიმერ პუტინს და ჰქონდა მეტად ნაყოფიერი საუბარი. ბატონი მინდიას განცხადებით, პუტინმა თქვა, რომ აუცილებლად გადახედავს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხს. დეტალებზე საუბრისაგან ამჟამად თავს შევიკავებ. მასმედიის რიგი წარმომადგენლების მხრიდან ცინიკურად და დილეტანტურად იქნა წარმოდგენილი ეს საკითხი, რაც ნამდვილად არ წაადგება სასიკეთოთ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას. სწორი, მოზომილი პოლიტიკა უნდა გახდეს ბალავარი და თავკიდე ჩვენი მოქმედებებისა. ჩვენი მიმართება, როგორც არაკონტროლირებადი ტერიტორიებისადმი, ისე სხვა საჭირბოროტო საკითხებისადმი უნდა იყოს ზრდა სიკეთისა და არა ცარიელი სიტყვების რახა - რუხი.

**— თქვენი აზრით, სად ძევს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საქართველოში დაბრუნების ე. წ. გასაღები, ევროამერიკაში თუ რუსეთის ფედერაციაში?**

— აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საქართველოში დაბრუნების გასაღები არა სადმე სხვაგან, არამედ მხოლოდ აფხაზეთში, სამაჩაბლოსა და საქართველოში ძევს. ჩვენ, ქართველები, ოსები და აფხაზები იმპერიამ საკუთარი არაცნობიერი აქტიორის როლში ჩაგვაყენა და ჯერი ჩვენზეა, უნდა გამოვიდეთ ამ ბურუსიდან. როგორც ვერ გაექცევი საკუთარ ჩრდილს, ისე ვერ გაექცევი საკუთარ ისტორიას, წარსულს, მომავალს და მასთან ბედისწერას. ჩვენი წარსული ამ ხალხების ერთიან სასიცოცხლო სივრცედ ჩამოყალიბების ათასრაობებით აღსავსე ისტორიაა, რომელიც მუდმივად ლოგიკური დასასრულისკენ, ანუ მომავლისაკენ იქნება მისწრაფული, თუ ჩვენ გადავდგამთ სწორ ნაბიჯებს და ისტორიას არ დავუპირისპირებთ აწმყოსა და მომავალს, ე.ი. საკუთარ თავს თავადვე თუ არ გამოვუყვანთ წირვას.

**— თქვენ, ბატონო ლაშა, პარლამენტში მუშაობდით და როგორც ვიცი, ნუგზარ წიკლაურთან ახლოს ბრძანდებოდით. დღეს, როცა ბატონი მინდიას მიერ ჩამოყალიბებული პოლიტიკური პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ხართ, როგორი თვალით გიცქერს ნაციონალური პარტია?**

— თავისუფალი ადამიანი გახლავართ და ყოველთვის ვაკეთებ იმას, რასაც გული მკარნახობს. თუკი რამისთვის მიმიღწევია ოდესმე, მხოლოდ კეთილსინდისიერი შრომისა და ნამუსიანი პიროფლიანობის შედეგად. ბატონმა ნუგზარმა და სხვებმაც, დიდებულად უწყიან, ჩემი ქვეყნისთვის საზიანო ნაბიჯს არასდროს გადავდგამ და რომ წამოვედი ხელისუფლებიდან ესეც გამოწვეული იყო არა პირადული, არამედ ქვეყნის უკეთესი მომავლის შენების სურვილით, რომლის კეთების საშუალება და შესაძლებლობა ხელისუფლებაში ნამდვილად არ არის. ამ ხალხმა ამოწურა საკუთარი შესაძლებლობები და გზა ახალ ძალას უნდა დაუთმონ. პროგრესულად და კეთილგონიერად მოაზროვნე ძალას. ისე, სიმართლე გითხრათ, ჩემთვის აბსოლუტურად არა აქვს არანაირი მნიშვნელობა იმას, თუ რას ფიქრობენ ეს ადამიანები ჩემზე. ჩვენ, ყველანი ჩვენი არჩევანის მეგზურები ვართ და თავად ვაგებთ პასუხს საკუთარ ქმედებებზე - ღმერთისა და ისტორიის წინაშე.

**— როგორი ტემპით მიმდინარეობს პოლიტიკური პარტია „განახლებული საქართველოსთვის“ დაფუძნება რეგიონებში?**

— მეტად ჩქარი ტემპებით. უმრავლეს რეგიონებში უკვე დაფუძნებულია ორგანიზაციები და მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა პარტიის გასაძლიერებლად. განსაკუთრებული მნიშვნელობა ხელმძღვანელების მხრიდან ენიჭება კადრების შერჩევას. ჩვენ მოვდივართ სიმართლით და ვამბობთ სიმართლეს. სიმართლე - ჭეშმარიტებაა, ჭეშმარიტება კი უფალია უპირველესყოვლისა. ვინც ამ გზით ივლის უთუოდ მიაღწევს მიზანს. ვნახოთ, ყველაფერი წინაა.

**— ნაციონალები თქვენს პარტიას რა ხერხებით უშლიან ხელს.**

— გვეწინააღმდეგებიან ყველა საშუალებებით, რაც მათ ხელშია და ეს რამხელა ძალა და შესაძლებლობაა, კარგად მოგეხსენებათ. მაგრამ საზოგადოება, თუ ის ნამდვილად მონაგრებულია ცვლილებისაკენ ყველაფერს გააკეთებს ჭეშმარიტების სასარგებლოდ. ის ხერხები, რომელსაც იყენებს ხელისუფლება პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგ მოძველებული და დრომოჭმულია.

პოლიტიკურ სოციოლაოგიაში არსებობს „სარკისებური მე -ს კანონი“ ადამიანის ადეკვატური ორიენტაციის ხარისხი საკუთარი თავის სხვისი თვალით დანახვის უნარზეა დამოკიდებული, რადგანაც ადამიანის სწრაფვას თვითდამკვიდრებისკენ განაპირობებს არა მხოლოდ საკუთარი სურვილები და საკუთარ თავზე წარმოდგენები, არამედ იმის გათვალისწინებაც, თუ რას ფიქრობენ შენზე სხვები. მგონია, რომ სწორედ ეს უნარი აქვთ დაკარგული „ნაციონალებს“ და ამიტომაც იქცევიან ასე. ამიტომაც მიიღეს ასეთი საარჩევნო დრაკონული კანონიც.

**— ამბობენ, ზვიად გამსახურდიას მომხრე ადამიანები სჭარბობენ თქვენს პარტიაშიო, რამდენად მართალია?**

— ვერ ვიტყვი სჭარბობს მეთქი, მაგრამ მრავალად ვართ პარტია „განახლებული საქართველოსთვის“ ე. წ. ზვიადისტები. მინდა ვუთხრა ზოგიერთ ქვებუდანს, რომ ზვიადიზმი - სახალხო - ეროვნული იდეოლოგიაა თანამედროვე გაგებით. ის, როგორც აუცილებლობა - ქვეყნის, ტრადიციისა და მომავლის გადასარჩენად, არა ერთი და ორი პოლიტიკოსის, ან ჯგუფის, არამედ საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის შეკვეთის პროდუქტია. ეს კარგად გაიაზრეს ქ-ნმა ნანამ, ბატონმა მინდიამ და ამიტომაც გააკეთეს არჩევანი ამ ძალაზე.

**— ბატონო ლაშა, თქვენ ცნობილი მწერალი ბრძანდებით, არადა, არის გადაძახილ - გადმოძახილი, რომ „პური მეპურემ უნდა გამოაცხოს“. მართლა ასეა თუ ვისაც რა შეუძლია, იმით უნდა დაეხმაროს სამშობლოს?**

— დიდი მადლობა შექებისათვის, არ ვიცი რამდენად ცნობილი მწერალი ვარ, მაგრამ ეს რომ ჩემი უმთავრესი საქმიანობაა - დაგიდასტურებთ. დაგეთანხმებით, რომ პური მეპურემ უნდა გამოაცხოს, მაგრამ რომ არ არიან პროფესიონალი მეპურეები? ან თუ არიან არ არიან, ეროვნულსულოვანნი და დგება აუცილებლობა ყველაფრის განზე გადადებისა და უმთავრესი საქმის კეთებისა - სამშობლოს გადასარჩენად. თუნდაც სიტყვის ოსტატს, ჩემზე კარგად მოგეხსენებათ, რა უდიდესი ძალა აქვს. რომ არა რაბლეს გენიალური ქმნილება „გარგანტუა და პანტაგრუელი“, რომელიც ასევე გენიალურად გადმოაენა ბრწყინვალე მთარგმნელმა და მოქართულემ ბატონმა გურამ გოგიაშვილმა, კიდევ დიდხანს დარჩებოდა საფრანგეთში სახელმწიფო ენად ლათინური. მოკლედ სიტყვის ოსტატებს საოცრებები შეუძლიათ (რა თქმა უნდა საკუთარ თავზე არ ვამბობ) მოახდინონ, ამიტომაც ამ ხალხს მეტი ასპარეზი უნდა მიეცეთ თუნდაც ამ მიმართულებით.

**— საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა ხომ არ გახლავთ იმ ცოდვის გამო მოვლენილი სასჯელი, რომელიც ეროვნული ხელისუფლების დამხობისა და მისი თავკაცის - ზვიად გამსახურდიას ფიზიკური განადგურების გამო დაგვატყდა?**

— ჩვენ ვერ მივიღეთ სიკეთე და ბოროტების სასარგებლოდ გავაკეთეთ არჩევანი, ქრისტეს გზას ბარაბას გზა ვარჩიეთ და რა გასაკვირია, რომ დავისაჯოთ ამისთვის?! ზვიად გამსახურდიას უარმყოფელი და გამრიყავი ერი უფრი დიდი სასჯელის ღირსია, ადამიანი, რომელიც ვარდებს გესვრის ბოროტების საპასუხოდ, უნდა შეიგრძნო, რომ უფალთან მიახლოებულია...

**— ბატონი მინდია გულუა, როგორც შევიტყვეთ, საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქს თურმე იერუსალიმში თან ახლდა. თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამის შესახებ?**

— დავადასტურებ, ნამდვილად ახლდა იერუსალიმში კათოლიკოს-პატრიარქს ბატონი მინდია და ერთი - ერთზე ჰქონდა შეხვედრები უწმინდესთან. უფრო მეტს გეტყვით: მე, ლაშა გვასალია პატრიარქის ლოცვა-კურთხევით გავხდი პარტია „განახლებული საქართველოსთვის“ წევრი.

**— თუ საქართველოს ნეიტრალიტეტი არ უწერია, როგორ უნდა მოვიქცეთ ქართველები?**

— ნეიტრალიტეტის მიღწევა ჩემი აზრით გამორიცხულია — ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობისა თუ სხვა ცნობილი მიზეზების გამო. ქართველ კაცს ოდითგან ცალ ხელში გუთანი ეჭირა და მეორეთი ხმალს იქნევდა, ეს ჩვენი ბედისწერაა. მრავალი ცივილიზაციები აღგვილან პირისაგან მიწისა, მაგრამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა მოაქჟამოვდა უდიდესი კულტურითა და ტრადიციებით. დიდი მუხრანისა არ იყოს:

„ჩემი სამშობლო მაღალია,
სხვისია ვრცელი,
უფალთან ახლოს ამიტომაც
უფროა ჩემი,
ჩემი სამშობლო დაიმონოს
ნურავინ ჰგონებს
ვერასდიდებით ვინაიდან
ვერ დაიმონებს...“



**— ნაციონალური პარტიის პროპაგანდა რუსეთს გვიხატავს ერთადერთ მტრად, მაგალითად - თურქეთი კი ისტორიული ძმა ყოფილა, რამდენად მართლები არიან ამ მხრივ?**

— ყველა იმპერია ვისაც ხელი მოუწვდებოდა ჩვენთან ცდილობდა გადაყლაპვას, მათ შორის იყვნენ ოსმალები და თურქები. მართლაც და მხოლოდ უფლის ძალისხმევას შეეძლო ამ ვეშაპების კლანჭებიდან ჩვენი დახსნა. სად და როდის გვიძმო ან რუსეთმა, ან თურქეთმა, ან ოსმალეთმა?! ისტორიის გაყალბებით იწყება ერის სულიერი და გონებრივი გარყვნა. დღეს აქამომდე ვერავინ მინახავს ბოლომდე ძმობის გამწევი ჩვენთვის. ღმერთმა ქნას გამოჩდნენ, გამოსწორდნენ, მოინანიონ და ძმობა და მეგობრობა ქართული ფილოსოფიაა.

**— ბატონი მინდია, რა აზრისაა საქართველოს ნატოში გაწევრიანების თაობაზე?**

— ყველა გაერთიანება, რომელიც სიკეთეს მოუტანს ჩვენს ქვეყანას საჭირო და მნიშვნელოვანია, მაგრამ ამაზე გადაწყვეტილება ქართველებთან ერთად უნდა მიიღონ აფხაზეთელებმა და ოსებმა, მათ გარეშე ხომ ვერ შევალთ ვერსად და რატომ არ ვეკითხებით მათ, უნდათ თუ არა ნატოსა თუ სხვა გაერთიანებაში შესვლა? რასაც ხალხი გადაწყვეტს ის კანონი იქნება ბ-ნი მინდიასთვის და ყველასთვის. ხალხია სამშობლო და სამშობლოა ყველაფერი.

**— ბატონი მინდია რა აზრისაა კავკასიის ერთიანობაზე?**

— კავკასია ჩვენი საერთო სასიცოცხლო სივრცეა და მისი გაერთიანება, მშვიდობიანი თანაცხოვრება უდიდესი ბედნიერება იქნება თითოეული კავკასიელისათვის. კარგი ქართველი და ასევე კარგი პოეტი სულმნათი გაბრიელ ჯაბუშანური ბრძანებდა: „ჩვენ ერთი ცა გვაქვს, ერთი სული, ერთი სიმაღლე, უერთმანეთოდ დავსრულდებით, ამოვთავდებით, წუხელ სიზმარშიც ამ ტკივილზე ბევრი ვინაღვლე, ვიღაც გვკრეფდა და გვლეწავდა და თავთავები უსისხლდებოდა ერთად ყოფნის ამაოებას“!

**— რას უსურვებდით ქართველ ხალხს ამ გაზაფხულზე და რას უსურვებდით „საერთო გაზეთის“ მკითხველს?**

— ყოველივე კარგს, ლამაზსა და ამაღლებულს. სწორი არჩევნის გაკეთებას და ღირსეული პარლამენტის არჩევანს. შეცდომის უფლება ნამდვილად არა გვაქვს და შევსთხოვ უფალს შეგვაძლებინოს სწორი არჩევანის გაკეთება. „საერთო გაზეთის“ რედაქტორი ბატონი ვახტანგ ხარჩილავა დიდებული პოეტი და პუბლიცისტი ჩემი მეგობარია და ამ გაზეთს არა მარტო ამიტომ, არამედ იმიტომაც რომ მაგარი გაზეთია, ვუსურვებ სიმართლის გზაზე ურყევად სიარულს - მაზე მითვალბერებული მკითხველის იმედად და გასახარად.

**— რა დამოკიდებულება გაქვთ ბიძინა ივანიშვილის „ქართულ ოცნებასთან“ და ხომ არ მოიაზრება მასთან რაიმე დიალოგი?**

— დიალოგი ყველასთანაა აუცილებელი. სადაც დიალოგი არაა იქ კონფრონტაციაა და ღმერთმა გვაშოროს ასეთი ურთიერთობა ქართველებს. თუ კავშირზე, გაერთიანებასა და ბლოკზეა საუბარი, ამაზე მოდით ჯერ ნუ ვისაუბრებთ.

**კონსტანტინე სხვაველი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

**თედო ჯაფარიძე**: რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის გაუქმებასთან წამოწყებულ საუბრებს, ძალიან დიდი ხანია საგარეო პოლიტიკაში ვმოღვაწეობ, მაგრამ აქამდე არ გამიგია, რომ ორ ქვეყანას შორის იყოს უვიზო რეჟიმი და არ იყოს დიპლომატიური ურთიერთობა, მით უფრო, რომ ჩვენმა ქვეყანამ გადაიტანა ომი, რის შედეგადაც დაკარგა ტერიტორიების 20%. და ამ დროს კეთდება მსგავსი რიტორიკული განცხადება, რომელიც, ჩემის აზრით, გათვლილი იყო უფრო შიდა მოხმარებაზე. მეორე მხრიდანაც განხორციელდა ასევე რიტორიკული ზალპი და ყველა დავრჩით ისევ იქ, სადაც ვიყავით, ვიდრე ეს განცხადებები გაკეთდებოდა. რუსეთის მოქალაქეებს ისედაც შეეძლოთ აქ ჩამოსვლა, აეროპორტში აკეთებდნენ ვიზებს, საქართველოს მოქალაქეებს კი ისევ ისეთივე პრობლემები აქვთ. ანუ დავრჩით რიტორიკის დონეზე. რადგან სტრატეგიული ღერძი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებისა მონგრეული და დაზიანებულია გასული წლების ნეგატიური განცხადებების გამო.



ჩემის აზრით, ორივე მხრიდან გაკეთებული რიტორიკული განცხადებები არის შედეგი არაოფიციალური დიალოგებისა, რომლის მსგავსიც პრაქტიკაში ხშირია და რა თქმა უნდა, არ ხმაურდება ხოლმე. თუმცა ზოგიერთი ექსპერტი ამტიკიცებს, რომ სააკაშვილის განცხადება გამომდინარეობდა ვაშინგტონში გამართული შეხვედრისაგან, სადაც მას მიუთითეს, რომ სასურველი იქნებოდა გარკვეული ნაბიჯების გადადგმა. თუმცა აქვე დავძენ, რომ განცხადებებით ჩვენ შორს ვერ წავალთ. მით უფრო თუ გავითვალისწინებთ იმ ხისტ გამონათქვამებს, რაც კეთდებოდა კერძოდ პუტინის მიმართ, რომელთანაც მოგვწონს თუ არა, ურთიერთობა მოგვიწევს უახლოესი 12 წლის განმავლობაში. ამიტომ რაღაც გზა უნდა გამოიძებნოს. მე ვიმედოვნებ, რომ ჩვენ ხელისუფლებაში არიან საკმაოდ ჭკვიანი, პრაგმატული ადამიანები, რომლებიც ამ გზას გამოძებნიან. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ სახალხო დიპლომატია, ექსპერტების შეხვედრა და ა.შ. მართალია, რატომღაც ექსპერტების დონეზე გამართულ შეხვედრების სასაუბრო თემებს ზოგიერთი ჩვენი ექსპერტი ასაიდუმლოებს, ალბათ, იყო მსგავსი შეთანხმება, მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ სასაუბრო თემა იქნებოდა საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე.

ქვეყნის განვითარება არ დაწყებულა არც შევარდნაძის მოსვლის შემდეგ, ბევრი თუ არა, ძალიან საინტერესო რაღაცეები გაკეთდა ზვიად გამსახურდიას დროს - დამოუკიდებლობის აქტი გავიხსენოთ. მერე შევარდნაძის დროს იყო გარკვეული მიღწევები და ასევე უამრავი შეცდომა, ვერ დავუკარგავთ დღევანდელ ხელისუფლებას, რომ მასაც ჰქონდა გარკვეული მიღწევები. საქართველომ თავიდანვე აირჩია დასავლური გზა, ინტეგრაცია ევროპულ სტრუქტურებში. ამაში მეც მქონდა მოკრძალებული წვლილი. მგონი, მართლა მუმიას მიეკუთვნები, ვმუშაობდი ბატონ ზვიადთან, მერე შევარდნაძესთან და არ ვიცი, რამდენად კარგი ფაქტია ჩემი ბიოგრაფიისათვის, მაგრამ სააკაშვილთანაც, ვარდების რევოლუციის შემდეგ გახლდით საგარეო საქმეთა მინისტრი. და ჩემს კრიტიკოსებს, რომელიც გაცვეთილ სახეს, მუმიეების თუ დინოზავრების დაბრუნებას მადარებენ, ეს ავიწყდებათ.

რაც შეეხება ჩემს პრორუსულობას, ორ მთავრ პროექტს გავიხსენებ: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და ე.წ. ჯიტები (წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა), თუ საქართველო 2008 წელს გადარჩა სრული განადგურებისაგან, ეს იყო ბაქო-ჯეიჰანის დამსახურება. ვიცი, რომ განხორციელდა რამდენიმე ზარი მაღალი ეშელონებიდან პუტინთან, რამაც რუსები შეაჩერა და რომ არა ზემოთხსენებული პროგრამა შეიძლება 2008 წლის ომის შედეგი გაცილებით სავალალო ყოფილიყო. რაც შეეხება წვრთნისა და აღჭურვის პროგრამას, დღეს რომ ასე ვამაყობთ ჯარით, საფუძველი სწორედ მაშინ ჩაეყარა. და ალბათ, იცით, რა რეაქციაც ჰქონდა მაშინდელ რუსეთის ხელისუფლებას.




ნუ დავდევთ შეთქმულების თეორიებს, რომ ვიღაცამ სადღაც ჩვენზე მოილაპარაკა, ვიღაცამ გაგვყიდა და ა.შ. ჩვენი ქმედებები საგარეო თუ საშინაო საქმეებში დავამყაროთ პრაგმატიზმსა და რელიზმზე და ვისწავლოთ რეალური სიტუაციის ადექვატური აღქმა. ნუ მეტყვის მე ჩემი ქვეყნის მაღალჩინოსანი, რომ, თურმე, მივიღეთ მაპზე უფრო მეტი, ახლა გაჩნდა ახალი ტერმინი ასპირანტი ქვეყანა. ღმერთმა ქნას, რომ ყველაფერი ისე განვითარდეს, როგორც ჩვენ გვინდა. მართლა 2003 წელს ხომ არ დაწყებულა ევროპისკენ ჩვენი სვლა. რაც შეეხება პრაგმატიზმს, პრაგმატულად უნდა შევაფასოთ ჩვენი ადგილი, პოტენციალი, რესურსები, რისი გაკეთება შეგვიძლია, რისი გაკეთება არ შეგვიძლია ან არ შეიძლება.. ადრე იყო მოსაზრება, რომ გადატვირთვის პოლიტიკის შედეგად საქართველო გაიყიდა- თუ კარგად ვნახავთ ამ დოკუმენტს, აქ არ ყოფილა რადიკალურ ორმხრივ ურთიერთობებზე საუბარი, იყო კონკრეტული საკითხები, რაზეც რუსეთი და აშშ შეთანხმდა. ახლა გვახარებენ, რომ აშშ და რუსეთი ყველაფერზე შეთანხმდა საქართველოს გარდა. კი მაგრამ რა გვახარებს? კარგია? მე თუ მკითხავთ, უფრო კარგი იქნებოდა, მართლა ყველაფერზე თუ შეთანხმდებოდნენ. რაც უფრო კარგი იქნება ურთიერთობა დასავლეთსა და რუსეთს შორის, მით უფრო ადვილი იქნება იმ პრობლემების მოგვარება, რომელიც საქართველოს გააჩნია. ეს არის აქსიომატური მცნება, რომლის უკან შეთქმულების თეორიას ნუ ვეძებთ.

და მესამე - არსებული სიტუაციის ადეკვატური აღქმა. გავიხსენებ არაოფიციალური დონის შეხვედრას კოლინ პაუელთან, რომელიც მაშინ უკვე გადამდგარი იყო. საუბრის თემა



გახლდათ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები, მან ნახევრად ხუმრობით მითხრა, იცი, ერთი რიტორიკული კითხვა მაქვს და თუ შეგიძლია ეს კითხვა თბილისში გადასცეო. რა თქმა უნდა, დავეთანხმე და მან მითხრა: შეგიძლიათ ქართველებს თქვენ რუს მეზობლებს ყოველ დღე არ ატაკოთ თითი თვალებში და ეს კვირაში ერთხელ გააკეთოთო. აქვე გავიხსენებ ჩემს შეხვედრას ასევე ყოფილ მაღალჩინოსანთან, რომელმაც ღიად მითხრა, თედო, ამერიკა თქვენს გამო ომს არ დაიწყებს რუსეთთანო. ამგავრ რაღაცეებში თუ ვერ გავერკვიეთ და ისევ კონსპირაციებით და მითებით ვიქნებით დაკავებული, ჩვენ პრობლემებს ვერ მოვაგვარებთ.

რაც შეეხება ე.წ. „მიუნხენის სკანდალს", თითქოს ისეთ დოკუმენტს მოვაწერე ხელი, რომ საქართველო ჩავაბარე და ასე შემდეგ, მოკლედ მოგახსენებთ. ამერიკის კვლევით ცენტრის ინიციატივით შეიქმნა ჯგუფი, რომელსაც დაარქვეს ევროატლანტიკური უსაფრთხოების ინიციატივა. მე ვმონაწილეობდი ამ ჯგუფში, მსოფლიოს ცნობილ ექსპერტებთან, ყოფილ პოლიტიკურ მოღვაწეებთან ერთად. მიზანი იყო მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ანალიზი და პერსპექტივები, თუ რა გზით შეიძლება განვითარებულიყო გლობალური მოვლენები. ორი წლის განმავლობაში ვსაუბრობდით სხვადასხვა თემებზე, და მთავარი გახლდათ ის, რომ მსოფლიოში გლობალურ ცვლილებებს განაპირობებს სამი კომპონენტი, რომლის გარეშეც არ ხდება პრობლემების გადაწყვეტა, ეს არის აშშ, ევროკავშირი და რუსეთი. რომელიც ხისტი და მიუღებელი პარტნიორია, მაგრამ სჯობს გყავდეს შიგნით, ვიდრე იზოლაციაში. ბევრს ვკამათობდით ამის ირგვლივ, ვერ შევთანხმდით კონფლიქტებზე, მაგრამ მაინც შეიქმნა დოკუმენტი, რომლის პრეზენტაციაც მოხდა მიუნხენის კონფერენციაზე, და რომელიც ძალიან მოიწონა ჰილარი კლინტონმა, გუდიანმა ქალმა, რასმუსენმა და ა.შ. ჩემს ოპონენტებს ეს დოკუმენტი, ალბათ, არც უნახავთ და არც წაუკითხავთ, შეუძლიათ მობრძანდნენ და ვისაც კითხვა და წაკითხულიდან აზრის გამოტანა შეუძლია, იქ ყველაფერი ნათლად წერია, რა კრემლის აგენტი და რუსების კაციც ვარ.

რაც შეეხება არჩევნების თემას და დასავლეთის რეაქციას, დღეისათვის საქართველო არ არის ყურადღების ცენტრში, ამასთან ჩვენ, სამწუხაროდ, ერთმანეთში გვერევა სიმპათია და პოლიტიკა. ჩვენი ქვეყნისადმი სიმპათია უაღრესად დიდია დასავლეთში. ძალიან ყურადღებით ეკიდებიან მომავალ არჩევნებს, დამკვირვებლების ყოფნა იქნება გაცილებით მაღალხარისხოვანი, ვიდრე ეს აქამდე ყოფილა. ეს იქნება გრძელვადიანი მონიტორინგი. აქედან გამომდინარე, უნდა ჩატარდეს ღია, დემოკრატიული არჩევნები. თუ ისევ მოხდება ჩვენთვის ჩვეული მისტიციზმი, დამერწმუნეთ, რეაქცია იქნება მეტად ხისტი და ცუდი. აშშ-ს პრეზიდენტის ნათქვამი, რომ უნდა მოხდეს ხელისუფლების ფორმალური გადაცემა, ეს არ არის მხოლოდ რიტორიკული და ხისტი განაცხადი, ეს ასე მოხდება.

**მაია ფანჯიკიძე**: მე დღეს უფრო მაინტერესებს ქიმერიძის საქმის გამო გათავისუფლებული პოლიციის უფროსის და კონტროლის პალატის თემები, ვიდრე საქრთველოსა და რუსეთის შედარება, რადგან შესადარებელი ბევრი არაფერია: ის, რაც ხდება რუსეთში, დაახლოებით იგივე ხდება საქართველოში. ისეთივე მძიმე ფიგურაა სააკაშვილი საქართველოსთვის, როგორც პუტინი - რუსეთისთვის. ხოლო ის, რომ პუტინი არის მძიმე ფიგურა საქართველოსთვის, ამაში ხელისუფლებას ვეთანხმები. პუტინი 2000 წლიდან არის ხელისუფლების სათავეში, იგი თეორიულად ასევე იქნება სათავეში 2024 წლამდე, ეს არის რეალობა და ჩვენ ამ რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ. სხვათა შორის, სააკაშვილმა ბაქოში გამოსვლისას აღნიშნა, რომ მისი ოცნებაა თავისუფალი და ამაყი რუსეთი, და ეს რა საკვირველია კარგია, პირველ რიგში თავად რუსეთისთვის.თუმცა მან ამავდროულად აღნიშნა, რომ ჩვენ გვაქვს საერთო წარსული და გვექნება საერთო მომავალი და ასეთი სიტყვები რომ რომელიმე ოპოზიციის წარმომადგენელს ეთქვა, მას მაშინვე მიაკერებდნენ რუსეთის აგენტის იარლიყს. ეს არაერთხელ მომხდარა. ძალიან მაკვირვებს, როცა ამბობენ, რომ პუტინი მედიაზე ახორციელებს ზეწოლას და ეს საქართველოში არ ხდება. ჩემის აზრით, ისეთი ზეწოლა როგორიც საქართველოში ხდება მედიაზე, არსად არ ხდება დედამიწაზე. იგივე ქიმერიძის საქმეს გავიხსენებ, ყველა არხმა ერთიდაიგივე ტექსტით გადმოსცა ეს ამბავი, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ეს ტექსტი მაღლიდან ჰქონდათ მისული და მაშინ რომელ თავისუფლებაზეა აქ საუბარი. რომელ თავისუფლებაზეა საუბარი, როცა სახელისუფლებო მედია საერთოდ არ ინტერესდება, რა მოხდა. იგი კითხვებს უსვამს ოპოზიციას და არ უსვამს ხელისუფლებას. როგორც კი ბატონი ივანიშვილი გამოვიდა ეთერით და მკაცრი განცხადება გააკეთა ამ ფაქტთან დაკავშირებით, დაახლოებით 10—15 წუთში გამოდის მერაბიშვილი და ამბობს, რომ გამჭვირვალე შენობები კიდევ უფრო გამჭვირვალე გახდება და დამატებით ვიდეოკამერები დაყენდება. ეს იყო რეაქცია ივანიშვილის განცხადებაზე, თორემ რა, პოლიციაში ვიდეოკამერები არ არსებობს? მე არ ვამტკიცებ, რომ ქიმერიძე გადმოაგდეს, მაგრამ ჯანმრთელი კაცი შევიდა წინა დღეს და მეორე დღეს იქედან გამოასვენეს, ეს ფაქტია! რა თქმა უნდა, უნდა გაეთავისუფლებინა პოლიციის უფროსი მაშინვე და არა ერთი კვირის თავზე. და რომელ პოლიციას ენდობა ხალხი, იმ პოლიციას ალყა რომ შემოარტყა ქიმერიძის ოჯახს და ჩვენი წარმომადგენლები სამძიმარზე არ შეუშვა?!



დიპლომატია, რა თქმა უნდა, არის ხელისუფლების ნაწილი, თუმცა მე ჩემს თავს მოვიაზრებდი არა ხელისუფლების ელჩად, არამედ საქართველოს ელჩად. ელჩი წარმოადგენს როგორც ხელისუფლებას ისე ოპოზიციას, რა თქმა უნდა, იგი დამოუკიდებლად არ ქმნის პოლიტიკას, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ელჩი, იმის გამო რომ პასუხისმგებლობას გრძნობს თავისი ქვეყნის მიმართ, რაღაცას აკეთებს ან რაღაცას არ აკეთებს. ხოლო, რაც შეეხება საქართველოს საგარეო კურსს, მე ამ კურსთან პრობლემა არ მქონია არასოდეს და არ მაქვს არც დღეს. ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კურსს ყოველთვის ვეთანხმებოდი და საკმაო წვლილი მაქვს შეტანილი. ამ გზაზე სიარული არის უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ის თარიღი, როდის მოხდება ინტეგრაცია. ეს აუცილებლად მოხდება, ოღონდ ამ ხელისუფლების პირობებში, სამწუხაროდ, ვეღარ. ამის შანსი ჰქონდა ამ ხელისუფლება, მაგრამ შანსი ხელიდან გაუშვა. საქართველოს შეეძლო 2008 წლის ომის თავიდან აცილება და ხელისუფლებამ ეს არ გააკეთა.

რაც შეეხება ბრალდებას, რომ ქართულ ოცნებაში შევარდანძის სახეებია, ჩვენ ნამდვილად არ გვყავს შევარდნაძის სახეები. ფილარმონიაში იყო 2200 კაცი და იქ, ალბათ, გამოერია ისეთებიც, რომლიც ამ დროს მოღვაწეობდა. მე მგონი, არანაკლებ მნიშვნელოვანია დღევანდელი პრეზიდენტი, რომლიც გახლდათ იუსტიციის მინისტრი შევარდანძის დროს. ასე რომ „გაცვეთილი სახეები" და „მუმიები" დღევანდელ მთავრობაშიც ბევრია. ეს პრეზიდენტის სიტყვებია და ისე სჯობს, რომ მსგავსი ლექსიკა არ ჰქონდეს. ტალახში გორაობა არავისთვის უკადრებია ჩემს ლიდერს. ხოლო ტალახსა და მტვერში ვინ იგორავა გორში, ხალხს კარგად ახსოვს. ესეთი სიტყვები არ ეპატიება ჩვეულებრივ ადამიანს, არათუ პრეზიდენტს, მით უფრო, რომ ეს სიტყვები ისმის პარლამენტში და მას უმრავლესობა უკრავს ტაშს.

ამ ქვეყანაში რაც გაკეთდა ვარდების რევოლუციის შემდეგ, რისი მიწერაც ასე უყვარს პრეზიდენტს და წითელი ლენტების გაჭრა, დიდი უმეტესობა ბიძინა ივანიშვილის გაკეთებული იყო. როდესაც ახალ მთავრობას უჭირდა და დიდი საფრთხე იყო, ისიც კორუფციაში გაბმულიყო, სწორედ მაშინ ეხმარებოდა ივანიშვილი მას. თუკი ივანიშვილი სააკშვილს უწყობდა ხელს, რომ რეფორმები გაეტარებინა, თავად რას იზამს ხელსიუფლებაში მოსვლის მერე?! უკან წაიყვანს ქვეყანას, მაშინ როცა 10 წლის განმავლობაში ჩრდილში მდგომ ადამიანს ქვეყანა წინ მიჰყავდა?!

ჩვენი საგარეო ვექტორი არის გნსაზღვრული, ეს არის ევროპასთან ინტეგრაცია, მაგრამ ეს არ გამორიცხავს რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას. რუსეთში ბაზარი ქართული პროდუქციისთვის უნდა აღსდგეს, სავაჭრო ურთიერთობები უნდა მოწესრიგდეს, ამით იწყება ურთიერთობების დალაგება. უამრავი საქართველოს მოქალაქე ცხოვრეობს რუსეთში, ბევრ მოქალაქეს უნდა მიმოსვლა, საჭიროა დიალოგი რუსეთთან, ამას არც სააკაშვილი უარყოფს, მაგრამ ამ ხელისუფლებას ამის რესურსი არ აქვს, რადგან იყო ძალიან ცუდი რიტორიკა და პირადი დაპირისპირება. ვიდრე ოკუპირებულია საქართველოს ტერიტორია, დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე საუბარი არ არის, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს დიალოგის გზები, მაგალითად ეკონომიკა, და დასაწყისისთვის ეს შეიძლება იყოს ძალიან კარგი სტარტი ახალი ხელისუფლებისათვის, რადან მისი ურთიერთობა რუსეთთან არ იქნება დამძიმებული იმ რიტორკით, რითიც დღევანდელი ხელისუფლების ურთიერთობაა. ეჭვი მეპარება რომ შიდა პოლიტიკურმა ძვრებმა აიძულოს პუტინი წავიდეს საგარეო პოლიტიკურ დათმობაზე. ვეთანხმები ხელისუფლებას, რომ ჩვენ უნდა განვვითარდეთ, თუმცა ამ ხელისუფლების ხელში ამის შანსს ვერ ვხედავ. ახალი ხელისუფლების პირობებში, როდესაც საქართველო მართლა გახდება დემოკრატიული ქვეყანა, რომლიც იქნება ძალიან მომხიბლავი ჩვენი აფხაზი და ოსი მეზობლებისათვის. მათთან დიალოგის დაწყებამ, ამ ყველაფერმა შეიძლება ჩვენ წინ წაგვწიოს.

**„მაესტრო"**

# ამინდის ცვალებადობაზე ბარომეტრივით რეაგირებთ?



გაზაფხულობით ამინდის მკვეთრ ცვლილებაზე ბევრი ჩვენგანი მწვავედ რეაგირებს. წელიწადის ამ პერიოდში ჰაერის ტემპერატურის, ტენიანობის, ატმოსფერული წნევის ცვალებადობასა და ელექტრომაგნიტურ ქარიშხლებს ადამიანები ისე გამოყავს „მწყობრიდან“, რომ ზოგიერთი მათგანი, მეტეოროლოგიურ ფაქტორებზე მოჭარბებული რეაქციის გამო, საავადმყოფოშიც კი ხვდება.

ამინდის მკვეთრ და ხშირ ცვლილებაზე განსაკუთრებით მწვავედ რეაგირებენ მიოკარდიუმის ინფარქტ და ინსულტგადატანილი ადამიანები, მაღალი და დაბალი არტერიული წნევის მქონენი. არანაკლებ უჭირთ მეტეოპერიპეტიების გაძლება მათ, ვისაც სასუნთქი, ცენტრალური ნერვული სისტემისა და საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის სხვადასხვა სახის ქრონიკული დაავადებები აწუხებს.

ადამიანებს, ვინც ამინდის სულ უმნიშვნელო ცვლილებაზეც კი ბარომეტრივით რეაგირებს, სპეციალისტები მეტეორიკებს უწოდებენ.

### სასარგებლო რჩევები მეტეორიკებს:

1. გაზაფხულის დადგომისთანავე, მიხედეთ ქრონიკულ დაავადებებს, რადგან ამინდის ცვლილებები ყოველთვის აპროვოცირებს მათ გამწვავებას.

2. გაასინჯეთ ფარისებრი ჯირკვალი სპეციალისტს, რადგან ორგანიზმში იოდის დეფიციტი საგრძნობლად აძლიერებს მეტეორეაქციებს;

3. გაიმაგრეთ ნერვული სისტემა — თუ ამინდის ცვლილებები თქვენს განწყობას თრგუნავს, სევდას ან უძილობას იწვევს, სჯობს მიიღოთ დამაწყნარებელი საშუალებები;

4. შეამცირეთ ან საერთოდ აკრძალეთ კოფეინის შემცველი სასმელები;

5. იმუნური სისტემა გაამხნევეთ ისეთი ადაპტოგენებით, როგორებიცაა: ჟენ-შენი, ჩინური ლიმონურა, C და E ვიტამინები;

6. მშვენიერია დამზოგველი სპორტი, სიარული ან მსუბუქი სირბილი, 15-წუთიანი დილის ვარჯიში ნამდვილად არ გაწყენდათ. მძიმე დღის შემდეგ კარგია წიწვების აბაზანაც (10-15 წუთი 370C-იანი წყლით);

7. გავარჯიშება არ აწყენდა სისხლძარღვებსაც — ცივი პირსახოცით დაზელვა, მასაჟი და კონტრასტული შხაპი;

8. იკვებეთ სრულფასოვნად. ამ პერიოდში ნუ დაიცავთ დიეტას და ნურც ჭამას მიეძალებით. იშვიათად მიირთვით ხორცი, ცხიმიანი და შემწვარი საკვები, დროებით უნდა გამორიცხოთ რაციონიდან ცხარე სანელებლები და ალკოჰოლური სასმელები. უპირატესობა რძის პროდუქტებსა და მცენარეულ საკვებს მიანიჭეთ;

9. აუცილებლად ჩართეთ რაციონში ჭარხალი, ქიშმიში, გარგრისა და შავი ქლიავის ჩირი, ფორთოხალი, მწვანილი, თხილი, ხახვი, ნიორი, თაფლი;

10. თუ თაფლსა და მის პროდუქტებზე ალერგიული არ ბრძანდებით, ძალების მოსამაგრებლად აუცილებლად მიირთვით თაფლი ან დღის განმავლობაში გაღეჭეთ ფიჭა.

11. ნებისმიერ ამინდში შეეცადეთ, რაც შეიძლება დიდი ხანი დაჰყოთ ჰაერზე;

12. თვალი ადევნეთ ამინდის პროგნოზს, არახელსაყრელ გეომაგნიტურ დღეებში ეცადეთ შეზღუდოთ როგორ გონებრივი, ისე ფიზიკური დატვირთვა;

13. თუ ჰიპერტონიკი ბრძანდებით, ცივ, ქარიან ამინდში, ქუჩაში გასვლის წინ, რამდენიმე წუთით სადარბაზოში შეჩერდით — მიეცით ორგანიზმს აკლიმატიზაციის საშუალება;

14. თუ ჰიპოტონიკი ხართ, დღე ყოველთვის დაიწყეთ ვარჯიშით, რათა გაიაქტიუროთ სისხლის მიმოქცევა — თქვენი ხსნა ამინდის ჭირვეულობისას მხოლოდ და მხოლოდ მოძრაობაშია;

15. მეტად მნიშვნელოვანია ნორმალური გამოძინება — საკუთარი გამტყდარი ცხოვრების რიტმი მეტეომგრძნობელობას სამჯერ ზრდის, ამიტომ ეცადეთ სადილის შემდეგ 30-40 წუთით მაინც დაიძინოთ. აუცილებლად უნდა გამონახოთ ერთი საათი მაინც, რათა ქალაქისა და ავტომაგისტრალების ხმაურს გაერიდოთ და სადმე მშვიდ და წყნარ ადგილად სეირნობით ნერვები დაიწყნაროთ;

16. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ არ ჩაიციკლოთ საკუთარ შეგრძნებებზე და ამინდის ცვალებადობას შიშის თვალებით არ უცქიროთ, ნებისმიერ სტრესთან ბრძოლაში საუკეთესო დამხმარე კარგი განწყობა და ოპტიმიზმია.

# გაზაფხულზე დაავადებათა ყვავილობაც იწყება

***გაზაფხულობით, ბუნების გამოღვიძებისას, ახალი სასიცოცხლო ძალებით აღვსებისა და გააქტიურების ნაცვლად, ადამიანს საოცარი მოთენთილობა ეუფლება. ბუნების გაღვიძების პარალელურად, მწვავდება ზამთარში თითქოსდა მიძინებული ქრონიკული დაავადებები, ამიტომ ბევრი ჩვენგანი წელიწადის ამ მშვენიერი დროის დადგომას შიშით შესცქერის.***

### რომელი დაავადებები იღვიძებს გაზაფხულზე

საჭმლის მომნელებელ ორგანოთა სისტემა — გასტრიტის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, ნაწლავთა ანთებები — გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომი. ხშირია ნერვული მოშლილობით გამოწვეული ნაწლავური პრობლემები.

გულ-სისხლძარღვთა სისტემა — ჰიპერტონული დაავადება, გულის ქრონიკული უკმარისობა; ხშირია გულის მუშაობის რიტმის დარღვევა და ტკივილი მკერდის არეში. კარდიოლოგიურ დაავადებათა გამწვავების პირველი მიზეზი მომატებული მეტეომგრძნობელობა და ჰაერში ატმოსფერული წნევის ცვლილებებია.

სასუნთქი სისტემის დაავადებები — ყველაზე მეტად ამ პერიოდის გადატანა ასთმური ბრონქიტითა და ქრონიკული ასთმით დაავადებულებს უჭირთ.

ნერვული სისტემის დაავადებები — ნევროზები, ნევრალგიები. ხშირია უმიზეზოდ ფორიაქი და დეპრესიული განწყობა;

გამომყოფი სისტემის დაავადებები — ცისტიტი, პიელონეფრიტი, ჩნდება შარდის გამოყოფასთან დაკავშირებული პრობლემები;

კანის დაავადებები — ეგზემა და ფსორიაზი.

საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაავადებები — ართრიტები, რევმატიზმი.

ჩნდება კუნთების მტკივნეული დაჭიმვა და ნერვული ხასიათის სპაზმური ტკივილები.

რეპროდუქციული სისტემის დაავადებები — ამ პერიოდისთვის ძალზედ დამახასიათებელია მენსტრუალური ციკლის მოშლა. ეს მოვლენა ჰორმონული ძვრებისა და ორგანიზმის აქტიურობის ზოგადი დაქვეითების შედეგია.



### რა ხდება?

გაზაფხულზე ზამთრის შემდეგ იცვლება კლიმატი, გარემოს ტემპერატურა, ტენიანობა, საკვები, დღეღამის ხანგრძლივობა, ცხოვრების რეჟიმი და მუშაობა-დასვენების ხარისხი, აქტიურდება მაგნიტური ქარები, მკვეთრად ცვალებადობს ატმოსფერული წნევა.

წელიწადის ამ გარდამავალ პერიოდში ორგანიზმში ირღვევა სხვადასხვა ორგანოს სისტემების ბიორითმთა შეთანხმებული მუშაობა, ზამთარგამოვლილი, ვირუსებითა და ბაქტერიების გახშირებული შეტევებით დასუსტებულია იმუნური სისტემაც, ამიტომ დაავადების ყვავილობასაც არაფერი უშლის ხელს.

იმუნური სისტემა განსაკუთრებით მარტის თვეშია სუსტი, ზოგი გაზაფხულის მზის პირველი სხივების დანახვისთანავე საგაზაფხულო სამოსზე გადადის, რაც ასევე ხშირ გაციებას უწყობს ხელს.

### ვიტამინების დეფიციტი

ზამთარში ორგანიზმი ვიტამინების ნაკლებობას განიცდის; ეს კვებითი თავისებურებით აიხსნება — წელიწადის ამ დროს ადამიანი ვერ იღებს სრულფასოვან საკვებს, საჭირო რაოდენობის ხილსა და ბოსტნეულს, რამდენიც მას სჭირდება; ასე რომ, ორგანიზმი გაზაფხულს ვიტამინების დეფიციტით ხვდება.

ზამთარში ხანგრძლივად შენახულ პროდუქტებში ვიტამინები თანდათან იშლება, იკლებს ორგანიზმისთვის აუცილებელ ნივთიერებათაშემცველობა.

ხილი და ბოსტნეული — ვიტამინების ბუნებრივი წყარო გაზაფხულის პირზე თითქმის გამოფიტულია, ვიტამინების შემცველობის თვალსაზრისით, მათი კვებითი ღირებულება ჩვეულებრივზე გაცილებით მცირეა, რაფინირებული და დაკონსერვებული საკვები ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებზე ორგანიზმის გაზრდილ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს, არადა, ეს ნაერთები იმუნური სისტემის გაძლიერების, ნივთიერებათა ცვლის პროცესების გააქტიურებისთვის ყველაზე მეტად სწორედ გაზაფხულზეა საჭირო.

გაზაფხულზე მეტისმეტად ხშირდება ალერგიული რეაქციები, რაც იმუნიტეტის დასუსტებისა და გარემო ფაქტორების, განსაკუთრებით მცენარეთა ყვავილის მტვრის მოქმედების შედეგია.

ალერგიული რეაქციებისთვის ხელსაყრელი, ე.წ. საშიში პერიოდის დადგომისთანავე, პირველი და ყველაზე ლოგიკური თავდაცვის ღონისძიებაა ალერგენთან — ალერგიის გამომწვევ ფაქტორთან კონტაქტის შეზღუდვა.

საკმაოდ ხშირად ეს შეუძლებელია, ამიტომ გთავაზობთ სასარგებლო რჩევებს, რომლებიც „საშიშ პერიოდში“ ძალზედ გამოგადგებათ:

ამასთან, ისინი ქარს ადვილად გადააქვს ერთი ადგილიდან მეორეზე და მათთან „შეხვედრაც“ ძალზედ ადვილია.

ალერგიულთათვის სასეირნოდ ზედგამოჭრილია მშვიდი და უქარო ამინდი.

მნიშვნელოვანია ისიც, თუ დღის რომელ პერიოდში გამოხვალთ გარეთ — ყველაზე ნაკლებსაშიში და უსაფრთხო დილაა; ამ დროს მტვერი ჯერ კიდევ მოუმწიფებელია, რაც შეეხება სოკოთა სპორებს, ყველაზე დიდი რაოდენობით ისინი საღამოს ჰაერშია;

### როგორ მოვიქცეთ?

* ნუ გაალებთ ფანჯრებს შუადღისას და საღამოს;

# ალერგიამ ხომ არ დაგაზარალოთ

მაქსიმალურად ეცადეთ შეამციროთ ქუჩაში ყოფნის დრო, განსაკუთრებით ეს ქალაქგარეთ, სოფლებსა და დაბებში მცხოვრებლებს ეხებათ;

ისინი, ვისაც სოკოს სპორებზე აქვს ალერგია, არ უნდა გაჩერდნენ ტყეში, თივის ზვინებთან ახლოს ან პარკებში, სადაც ნიადაგი ნესტიანია.

### როდის გამოვიდეთ გარეთ?

ალერგიით დაავადებულთა უმრავლესობისთვის ასეთი დრო წვიმიანი დღეებია, როცა ჰაერში ყველაზე ნაკლები მტვერია.

სოკოს სპორებზე ალერგიის მქონეთ სასეირნოდ მშრალი და მზიანი ამინდი უნდა ერჩივნოთ.

თითქმის ყველა მათგანისთვის არახელსაყრელია ქარიანი დღეები, ასეთ დროს ჰაერში მტვრისა და სოკოს სპორების რაოდენობა გაცილებით დიდია,



* შეძლებისდაგვარად ჩართეთ კონდიციონერები;

* ავტომობილში ყოფნისას აწიეთ მინები;

* სამსახურიდან შინ დაბრუნებულს არ დაგავიწყდეთ წყლის გადავლება ტანზეც და თმაზეც;

* ნუ გააშრობთ თეთრეულს ეზოში;

* ბაღსა და ბოსტანში მუშაობისას არ დაგავიწყდეთ ცხვირისა და პირის დაცვა დამცავი დოლბანდით.

**გვერდი მოამზადა**
**ზვიად ლონლაძემ.**

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# siriisa da amerikis rRvevis xazi

## vis ekuTvnis masStabur Zaladobaze monopolia?

***ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის დაპირისპირება" — ასეთ რეზიუმეს გვთავაზობენ საინფორმაციო სააგენტოები გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის შესახებ, რომელიც ახლო აღმოსავლეთში შექმნილ ვითარებას მიეძღვნა. ეს დაპირისპირება იყო, ასე ვთქვათ, დაუსწრებელი, მაგრამ იგი ტელეკამერებისა და ჟურნალისტების თვალწინ გათამაშდა საბჭოს დარბაზის შესასვლელ კართან.***



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ნიუ-იორკში პირდაპირ კაიროდან ჩაფრინდა, სადაც არაბული სახელმწიფოების ლიგის საგარეო უწყების წარმომადგენლებთან მძიმე შეხვედრა გამართა. ლავროვის თქმით, მან მოახერხა და კოლეგებს შეუთანხმა ის გეგმა, რომლითაც სირიის კონფლიქტის მოგვარებაა შესაძლებელი. უმთავრესი თეზისი (ცეცხლის შეწყვეტის შესახებ პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს როგორც სირიის მხარეს, ისე მათ, ვინ მას უტევს), რომლის შესახებაც ლავროვმა განაცხადა, ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა მაშინვე უარყო.

— თუ ჩვენ გვსურს სისხლისღვრის შეჩერება, უფრო პრაგმატულად უნდა ვიმოქმედოთ, — განაცხადა სერგეი ლავროვმა. — სამართლიანობა მოიცდის, რადგან ვიდრე ჩვენ დებატებს ვმართავთ და სირიის მთავრობისგან ვითხოვთ, ქალაქებიდან ჯარი გაიყვანოს, მსხვერპლის რაოდენობა იზრდება.

— საერთაშორისო საზოგადოებრიობის უპირობო მოთხოვნაა, სამთავრობო ძალებმა შეწყვიტონ მშვიდობიან მოსახლეობაზე შეტევა, — შეუსწორა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს კლინტონმა. — შერუძლებელია, ორივე მხარის პასუხისმგებლობის გათანაბრება. მასშტაბურ ძალადობაზე მონოპოლია სირიის რეჟიმს ეკუთვნის. კონფლიქტის მოგვარების პოლიტიკური მოწესრიგების პროცესზე გადასასვლელად ამ ძალადობის შეწყვეტაა აუცილებელი. როგორც კი სირიის მთავრობა ამ ნაბიჯს გადადგამს, მეორე მხარეც შეწყვეტს ძალადობას. როგორ მოვთხოვოთ დაუცველ მოსახლეობას, უარი თქვას მათ ხელთ არსებულ დაცვის საშუალებებზე, როცა საარტილერიო ცეცხლით უტევენ?

ლავროვი 15-წუთიანი საუბრისას ცდილობდა წარმოეჩინა რუსეთის, როგორც კეთილისმყოფელი შუამავლის როლი სირიის კონფლიქტში. მოულოდნელად ისიც კი განაცხადა, რომ მსოფლიო მეტისმეტად ბევრს ელის მოსკოვისგან. ამერიკელი დიპლომატები და ექსპერტები მაინც შეუვალი არიან და მიაჩნიათ, რომ რუსეთის დამოკიდებულება ეწინააღმდეგება გაეროს წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერილ გეგმას.

**svobodanews.ru**

# ruseTSi `Tovlis revolucia~ dneba



„თოვლის რევოლუციად" მონათლული საპროტესტო ტალღა მოულოდნელად აგორდა და სამი თვის შემდეგ მისი დინამიკა შენელდა. მოსკოვში მართალია, ჯერაც თოვლია, მაგრამ პუტინის საწინააღმდეგო აქტიური პროტესტი დნება", — წერს წერილის ავტორი. არბატზე გამართულმა მიტინგმა კრემლის მოწინააღმდეგეთა კოალიციაში არსებული წინააღმდეგობები წარმოაჩინა. მაგალითად, როცა ნაციონალისტებს სთხოვეს, სცენის წინ აფრიალებული „იმპერიული" დროშა აელოთ, ნაციონალისტები ორგანიზებულად წავიდნენ, ხოლო მემარჯვენე ძალების ლიდერებმა განაცხადეს, რომ მსგავს საპროტესტო გამოსვლებში აღარ მიიღებენ მონაწილეობას. შესაძლოა, ეგრეთ წოდებული „სლავური ძალის" წასვლას თავისი პლუსებიც გააჩნია, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ მოსკოვის საშუალო ფენის წარმომადგენლებმაც ზურგი აქციეს მიტინგს.

„დეკემბრის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისგან განსხვავებით, ამჯერად ოპოზიციამ ვერ შეძლო, კრემლის გამარჯვება საეჭვო გაეხადა", — წერს მიმომხილველი.

„წინა კვირას გამართულ არჩევნებში პუტინის გამარჯვების შემდეგ მის მოწინააღმდეგეებს დაბნეულობა ემჩნევათ", — წერს გერმანული გამოცემა. „ოპოზიცურ წრეებშიც კი აღიარებენ: აშკარა ფალსიფიკაციის გარეშე პუტინი მაინც გაიმარჯვებდა პირველსავე ტურში, თუმცა შედეგები უფრო ნაკლები ექნებოდა. დამოუკიდებელი დამკვირვებლების შეფასებით, პუტინის მომხრე ამომრჩეველთა რაოდენობა 50 პროცენტია".

„პატიოსანი არჩევნების" მიტინგზე ორგანიზატორებმა 25 ათასამდე მონაწილე დაითვალეს, პოლიციამ — 8 ათასი. მოსკოვში იმ დღეს ზომიერად ყინავდა და მზიანი დარი იყო. ერთი თვის წინ, 20-გრადუსიან ყინვაში კი ორჯერ მეტი ხალხი შეიკრიბა.

**Der Spiegel**

# saqarTvelom da ruseTma ganaaxles sabrZolo moqmedebebi _ amjerad did ekranze

**2008 წლის აგვისტოში დაწყებული საბრძოლო მოქმედებები დიდ ეკრანზე გრძელდება. ორივე მხარემ გადაიღო ფილმი — თითოეული სათავისოდ პატრიოტული. ამ კინოომის ახალი ზალპი აღმოჩნდა კრემლის მიერ დაფინანსებული „აგვისტო, რვა წლის".**

ეს დიდბიუჯეტიანი ფილმი ეფუძნება იმ ვერსიას, რომელიც რუსეთის ოფიციალურ პოზიციას შეესაბამება და მკვეთრად განსხვავდება შარშან ეკრანებზე გამოსული ჰოლივუდური ფილმისგან „აგვისტოს ხუთი დღე". ამ კინოსურათის სიუჟეტიც ცალმხრივ ვერსიას ეყრდნობა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები რუსულ ვერსიას „ჰოლივუდის სიმეტრიულ პასუხს" უწოდებენ.

მკითხველმა იცის, რა მოჰყვა ამ ხუთდღიან ომს. იმ დროს გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობები დღემდე არ აღუდგენიათ. ევროკავშირის კომისია ორივე მხარეს ადანაშაულებს: პირველი დარტყმისთვის პასუხიმგებლობა საქართველოს ეკისრება, რის პროვოცირებასაც რუსეთს აბრალებს. რუსეთიც და საქართველოც უგულებელყოფენ მოხსენების იმ ნაწილს, რომელიც თითოეულის დანაშაულს ეხება და ომის დაწყების მათთვის მისაღებ ვერსიას ემხრობიან.

საბოლოოდ, ორივე მხარემ გადაწყვიტა, რომ დიდი ეკრანი ზედგამოჭრილია ამ ვერსიების წარმოსაჩენად. რუსულ ვერსიას ახლა ერთდროულად ქვეყნის 1500 კინოთეატრში უჩვენებენ. სხვათა შორის, საქართველოს და რუსეთს შორის ახალი დიპლომატიური შეხლა-შემოხლა დაიწყო — ამას წინათ სააკაშვილმა ცალმხრივად გააუქმა ვიზები საქართველოში



სტუმრად ჩამომსვლელი რუსეთელებისთვის და იგივე მოუწოდა რუსეთს.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს ამ ინიციატივას უწოდა „პროპაგანდისტული ხრიკი, რომელსაც მოჩვენებითი მშვიდობისმოყვარის მისია დაეკისრა". სამინისტრო იმასაც აღნიშნავს, რომ ბატონი სააკაშვილისთვის დამახასიათებელია მანიაკური მტრობა... შერწმული განდიდების მანიასთან".

# ruseTSi axla mZime samuSao iwyeba



ეს არც მეორე „არაბული გაზაფხული" აღმოჩნდა და არც „ნარინჯისფერი რევოლუცია". რაც ყველაზე დასანანია, არც საერთოეროვნულ მოვლენად იქცა, წერს **The Guardian** სარედაქციო წერილში და გულისხმობს „პუტინის საწინააღმდეგო მასობრივი საპროტესტო გამოსვლების ბოლო სამ თვეს".

თუმცაღა გაზეთი დარწმუნებულია: მართალია, მარტში მომიტინგეების რაოდენობამ მოიმატა, მაგრამ „ეს როდი ნიშნავს იმას, თითქოს პუტინისეული „სტაბილურობის" ან სტატუს-კვოს მუდმივად შენარჩუნების გეგმამ გაიმარჯვა". „შესაფასებლად აუცილებელია, დაველოდოთ მომდევნო საერთოეროვნულ კრიზისს — ახალ „კურსკს", ბესლანს, ეკონომიკურ შოკს", — ვკითხულობთ წერილში.

საპროტესტო მოძრაობამ აჩვენა, რომ: 1. რუსეთში დემოკრატია უბრალოდ მძინარე მდგომარეობაშია და 2. ახალი თაობა მზად არის, რეფორმებს შეეჭიდოს.

გაზეთი პუტინს ურჩევს, „ქაოსის მომძლავრების შიში მოსახლეობის მოწონებად არ აღიქვას", ხოლო ოპოზიციას მიუთითებს, რომ მძიმე სამუშაოს დრო დადგა: მათ სამოქალაქო აქტივობა უნდა გაალვივონ იქ, სადაც ჯერჯერობით არ არის და ქვეყანა ლეთარგიული ძილისგან გამოაღვიძონ. პოლიტიკური ლიდერები, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ საკუთარი თავის კი არა, ხალხის წარმომადგენლები უნდა გახდნენ, წერს ბრიტანული გამოცემა.

**The Guardian**

# amerika afxazeTis arCevnebis kanonierebas ar aRiarebs



**„ჩვენ არ ვაღიარებთ მის კანონიერებას და კიდევ ერთხელ მხარს ვუჭერთ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში", — აცხადებს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი მარკ ტონერი.**

„ჩვენ რუსეთისგან ვითხოვთ: დაიცვას ის ვალდებულებები, რომლებსაც აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის შეთანხმება ითვალისწინებს, გამოიყვანოს ჯარი იმ პოზიციებზე, სადაც კონფლიქტის დაწყებამდე იმყოფებოდა, უზრუნველყოს ჰუმანიტარული დახმარების თავისუფალი მიწოდება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში", — აცხადებს იგი.

10 მარტს გაიმართა აფხაზეთის სახალხო კრების — პარლამენტის არჩევნები, რომელსაც მსოფლიოს არც ერთი წამყვანი სახელმწიფო არ აღიარებს, მათ შორის არც ამერიკა და რა თქმა უნდა, არც საქართველო.

**rosbalt.ru**

**ინტერნეტმიმოხილვა მოამზადა გ. ჭავჭავაძემ.**

## მოგზაურობა სამშობლოში

*ატენის ხეობის სიღრმეში, მდინარე ტანის აღმოსავლეთ მხარეს, აზიდულია მაღალი მთა, საიდანაც არამარტო ეს ხეობა, არამედ კარგ ამინდში თბილისიც კი მოჩანს. ამიტომ დაარქვა ხალხმა მას დანახვისი, ხოლო მის თხემზე მდგარ ეკლესიას „მჭვრეტი წმინდა გიორგი“. აქ მოხვედრა ატენიდან სოფელ დრისკენ მიმავალი გზით შეიძლება, მაგრამ მხოლოდ მანქანით, რომელიც სოფელ ღვერეთს ბევრით მაინც ვერ გაგაცდენთ. ამის მერე ფეხით მოგიწევთ სიარული.*



# danaxvisidan danaxuli







## ატენის ხეობა

„მჭვრეტი“ ადრეშუასაუკუნეების პატარა, დარბაზული საყდარია, (6,3X6 მ.), რომელიც ნატეხი ქვითაა აგებული და მცირე სუბსტრუქციაზე დგას. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ბაქანი აქ უძველესი დროიდან არსებობს და ზედ რომელიღაც წარმართული საზორავიც კი იდგა. ამ ბაქნისთვის კარგა ხნის შემდეგ დასავლეთიდან კონტრფორსი მიუდგამთ და ტაძრის კედელი გაუმაგრებიათ.

როგორც ითქვა, დანახვისიდან მთელი ატენის ხეობა და თავად სოფელი ატენი ხელისგულივით მოჩანს თავისი 12 უბნით, უფრო ახლო ხედით კი სოფლის ერთი ნაწილის დანახვა წმინდა ბარბარეს ეკლესიიდან შეიძლება. ეს მცირე საყდარი (5,7X4,2 მ) ატენის შესასვლელში, ერთ მაღალ ბორცვზე დგას და ისიც ადრე- შუასაუკუნეების ძეგლის, შთაბეჭდილებას ტოვებს, თანაც „მჭვრეტივით“ დიდრონი ნატეხი ქვებითაა აშენებული.

„მჭვრეტისა“ და „წმინდა ბარბარეს“ ჩათვლით ატენის შემოგარენში სულ 9 ეკლესია დგას. დანარჩენი საყდრებია: ატენის „ღვთისმშობელი“ ანუ ორბელიანთ გუმბათიანი საყდარი, „ოქროანთ ტყუპი საყდარი“, „კვირაცხოველი“, „ნათლისმცემელი“, ძველუბნის „წმინდა გიორგი“, „წეროს“ ეკლესიების კომპლექსი და რაღა თქმა უნდა დიდებული „სიონი“.

ყველა მათგანის მოვლას ერთი და ორი დღე არ ეყოფა. ესეც არ იყოს, ხეობის სათავეებშიც ვართ ასასვლელი და ბუნებრივია, საიმედო ჭერი გვჭირდება. მასპინძლობას ნათაძეების ოჯახი გვიწევს. ეს სახლი მრავალი მიზეზის გამო არასდროს ამოიშლება ჩემი მეხსიერებიდან. პირველი იმიტომ, რომ მართლაც გულქართლი ადამიანები არიან, მეორე იმიტომ, რომ ტანას ნაპირზე მდებარე ამ ორსართულიან სახლში ზაფხულის პაპანაქებაშიც კი გრილა, მესამე იმიტომ, რომ ოჯახის დიასახლისი — ქალბატონი ჟუჟუნა, ყოფილი სკოლის მასწავლებელი, პრინციპული სტალინელია (ერთი ოთახი მას პროლეტარიატის ბელადის მუზეუმად აქვს ქცეული) და მეოთხეც იმიტომ, რომ ქალბატონ ჟუჟუნას დედის სონა ნათაძის მსგავსი გულისხმიერი, შინაური და ენამოსწრებული ადამიანი იშვიათად შემხვედრია (ღმერთმა გაანათლოს!). და მაინც, ამ ქალბატონმა სხვა რამით გაგვაოცა — რაც მისმა მორბედებმა ვერ შეძლეს, მან მოახერხა — 90 წლის ქალი უზარმაზარ ხეს კენწეროში მოექცა და ბალი ჩამოკრიფა!...

... ატენის გადაღებას ორბელიანთ უბნიდან ვიწყებთ, **სადაც ადრეშუასაუკუნეების (VII-IX სს) ღვთისმშობლის ჯვარგუმბათოვანი ტაძარი დგას. თლილი, მუქი რუხი კვადრებით აგებულ ამ მცირე ეკლესიას (7,2X7,9 მ), მკლავებთან შეფარდებით, განიერი გუმბათის ყელი აქვს, რაც მლოცველ მრევლს სივიწროვის განცდას უკარგავს. გუმბათი ქვედა კვადრატიდან ტრომპების ორი რიგით არის აზიდული, მისი ყელი 8-წახნაგიანია და ყოველ მეორე წახნაგში სარკმელი აქვს გაჭრილი. ბუნებრივია, რომ სარკმლება მკლავებშიც.** აღმოსავლეთ მკლავის სარკმელის ნალისებრი თავსართი ამშვენებს, სამხრეთ მკლავის სარკმლის თავზე კი ორი ღრმა ნიშია, რომლებშიც მოგვიანებით მწვანე ქვები ჩაუსვამთ. ასევე, მწვანე ქვებით მოუპირკეთებიათ გუმბათის ყელი. სავარაუდოდ, მწვანე ქვები იმ დროს ჩააფინეს პერანგში, როცა ძირისძირობამდე დანგრეული საყდარი აღადგინეს. ალმდგენელი რომ X ს-ის ცნობილი პოლიტიკური ფიგურა რატი I ბაღვაშია, ამას დასავლეთ კარის ტიმპანის წარწერა გვეუბნება: **„ქრისტე ადიდე ორსავე ცხოვრებასა აქა ხორციელებრ და წინაშე შენსა სულიებრ რატ ერისთავი ძეი იგი ლიპარიტ ერისთავისაი, რომელმან აღაშენა ესე სახლი ღმრთისაი და ბჭეი ცათაი წმინდაი ეკლესიაი, სალოცველად სულისა მათისა“.** წარწერა იმას ადასტურებს, რომ X საუკუნის ბოლო მეოთხედში კლდეკარის ერისთავმა ბაღვაშებმა მტკვრის მარჯვენა სანაპირო დაისაკუთრეს და ატენის ღვთისმშობელიც აღადგინეს. აღვაშენეო რომ ამბობს, რატი დაქცეული საყდრის ძირფესვიან აღდგენას გულისხმობს.

ეკლესია რომ 989 წლამდეა აღდგენილი, ამის თქმის უფლებას ის იძლევა, რომ აღნიშნულ წელს ბაგრატ III-მ რატის თრიალეთი ჩამოართვა და კაცხში დააბრუნა. მართალია, ბაგრატის გარდაცვალების მერე იგი შემოირიგა სამეფო კარმა, მაგრამ ეს ამბავი, ბუნებრივია, გიორგი I-ის გამეფებისთანავე — 1014 წელს ვერ მოხდებოდა, 1021 წელს კი რატი, ვაჟიშვილ ლიპარიტთან ერთად, ბიზანტიელებთან ომში დაიღუპა შირიმნში.



ატენის სიონი. რელიეფები და მოხატულობა

**ატენის უმთავრესი საყდარი „სიონი“ სოფლიდან სამხრეთით, ტანის მარცხენა ნაპირზე, ხელოვნურად გამაგრებულ კლდეზეა აღმართული. სალათისფერი და ოქროსფერი ქვიშაქვის ჩინებულად გათლილი ქვით აგებული ეს ჯვარგუმბათოვანი ტეტრაკონქი (24X19 მ. სიმაღლე — 22 მ.) „მცხეთის ჯვრის“ ერთგვარი გამეორებაა და მასზე ოდნავ გვიანაა აშენებული VII საუკუნეში.** ტაძარი დროთა განმავლობაში დარღვეულია და — VIII-X საუკუნეებში აღუდგენიათ. განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩევა აფხაზთა მეფე გიორგი II, რომელიც ქართლში ერისთავად თავის ვაჟს ლეონს ნიშნავს. გიორგი II თავის პოლიტიკას უფლისციხე-ატენის პლაცდარმიდან ავრცელებდა მთელ აღმ.საქართველოში, ხოლო ქრისტიანობას—ალანებში, რის გამოც კონსტანტინოპოლის პატრიარქმა მას „ბრწყინვალე“ უწოდა.

ატენის სიონის ერთ-ერთი წარწერა, რომელიც ტაძრის ზღუდის შემქმნელ სარქალს ეკუთვნის, სწორედ გიორგი აფხაზთა მეფის ზეობის ჟამს, 945 წელსაა შესრულებული. აღმ.ფასადის ჩრდ.ფრთაზე ქვათა წყობის ქვემოდან მეორე რიგში შესრულებული ეს ნუსხური წარწერა ასე იკითხება: **„ქრისტე შეიწყალე ატენის სარქალი — ესე ზღუდეი შექმნა ქორონიკონსა რე** (945 წ)“. ზღუდის შექმნაში აქ ქვის მძლავრი ბაქნის — სუბსტრუქციის აშენებაც იგულისხმება. როგორც მეცნიერთა ერთი ჯგუფი ფიქრობს, VIII-X საუკუნეების მშენებელ-რესტავრატორია გალატოზი **თოდოსაკი,** რასაც სამხრეთ ფასადის აღმოსავლეთ ნიშში არსებული სომხური ასომთავრული წარწერა გვეუბნება: **„მე თოდოსაკი მაშენებელი ამ წმიდა ეკლესიისა“.** ამავე პერიოდისაა ზოგიერთი რელიეფური ქანდაკება, რომელიც VII საუკუნის სტილის გამეორებას ცდილობს, მაგრამ საშემსრულებლო ოსტატობით მაინც ჩამორჩება როგორც მცხეთის ჯვარს, ისე თვით ატენის ადრეულ რელიეფებს. **როგორც ჩანს, ატენის სიონის აღმდგენლები რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და ზუსტად ვერ შეძლეს სტილის კოპირება. მათ აღარც ეპოქის სუნთქვა უწყობთ ხელს და არც სკოლა საიმისოდ, რომ ჩაწვდნენ ატენის სიონის ძველი ქანდაკარის შემოქმედებას, რომელიც კარგად გამოსჭვივის VII საუკუნის რელიეფებიდან: „წყვილი ირემი წყაროსთან“ (ჩრდილოეთ შესასვლელს ტიმპანზე), „ნადირობა“ და „სენმური“, ანუ ძაღლიჩიტი (დასავლეთ ფასადზე).** ეს თემა თავის დროზე ძალიან კარგად აქვთ გაშლილი გიორგი ჩუბინაშვილს, ნათელა ალადაშვილს, გივი აბრამიშვილს და ზაზა ალექსიძეს.

ცალკე საუბრის თემაა ატენის ფრესკები, რომლებიც XI საუკუნის II ნახევრით თარიღდება. ეს ის დროა, როცა ტანის ხევს ჯერ ლიპარიტ IV ბაღვაში ფლობს, მერე კი, ბაგრატ IV-ის მეფობის ბოლო ჟამს — სახელმწიფო-სამეფო კარი, რომელიც აქ ქალაქსაც აარსებს. **ატენის სიონი თავის ფრესკებით ჩვენთვის თავისებური „სიქსტის კაპელაა“. მაგრამ ეს არ არის სიონის თავდაპირველი მხატვრობა. ბათქაშის ჩამოცვენის შემდეგ აქა-იქ VIII საუკუნის მოხატულობაც გამოჩნდა — წითელი, რუხი და თეთრი საღებავებით ამეტყველებული რელიეფური ჯვარი (გუმბათში), განედლებული ჯვრები (აფსიდის შვერილებზე და სამკვეთლოს კარის თავზე), არქიტექტურული წყობის იმიტაცია (აფსიდის კონქში და თაღებში) და სხვა.**

ატენის სიონი ისტორიული წარწერებითაც ერთ-ერთი უნიკალური ძეგლია. აქ შეხვდებით ქტიტორთა, საეკლესიო მოღვაწეთა, მშენებელთა თუ პილიგრიმთა სახელებს, ადრეული პოეზიის ნიმუშებსაც კი. შ.ამირანაშვილის, გ.ჩუბინ.აშვილის და გ.აბრამიშვილის მოსაზრებით, თითქოს, **ყველაზე ძველი უნდა იყოს. აღმოსავლეთ კედლის რელიეფზე შესრულებული სტეფანოზ II-ის (VII-ს) და „ქართველთა და მეგრელთა ერისთავთერისთავთა უფალი“ სტეფანოზ III-ის (711-739 წ.) წარწერები. ძალიან საინტერესოა X ს-ის წარწერებში „ძამელის“ გამოჩენა, მაგრამ უფრო საინტერესო, რა თქმა უნდა, ბუღა თურქის შემოსევისა და თბილისის გადაწვის დროინდელი (853 წ) წარწერაა, რომელშიც წამებული კონსტანტინე კახის სახელსაც ვხვდებით.**

როგორც ზევით აღინიშნა, XI-ის II ნახევარში ატენი ქალაქად იქცა. შესაძლოა, ამდროინდელი იყოს სასაფლაოზე მდგარი **„კვირაცხოველიც“** და სიონის მოპირდაპირედ, მდინარის მარჯვენა ნაპირზე არსებული, ოდესღაც მთლიანად მოხატული **„ნათლისმცემელიც“**. აი, ძველ უბანში მდებარე **„წმ. გიორგი“** კი ნამდვილად ხსენებული პერიოდისაა — დასავლეთ ფასადის ფრონტონის 7-სტრიქონიან წარწერაში ბაგრატ IV-ეა მოხსენიებული.

ამავე უბანში, ატენის ძირში, არის **ბუნებრივი მაცივარი**, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილიც ახსენებს. მის გამო დაერქვა სწორედ ატენის ციხეს „ცივის ციხე“ და მთას —„ცივის მთა“. მაცივარს ახლაც იყენებენ. ეს არის მცირე ზომის ორი ბუნებრივი გამოქვაბული, რომლისთვისაც ოთახის ფორმა მიუციათ (2X2 მ), მაგრამ შიგნით ვერ გაიმართები. კლდის ქანებში არსებული ბზარებით მაღლიდან აქ მუდამ ცივი ჰაერი უბერავს. იმ დღეს ჩვენ მაცივარში შენახული ხელადიდან ცნობილი ატენური ღვინო დავაჭაშნიკეთ, თუმცა, ეს მაინც არ იყო ის ცნობილი ბუდეშური, რომელიც ახლა დიდი იშვიათობაა. ამ ჯიშის მომრავლებაზე ატენში ვასიკო ჯამბრიშვილი ზრუნავს, რომელსაც რამდენიმე ძირი ვაზი ჭიგოებზე მიუშვია და ზედ დაკანკალებს. მისი თქმით, ბუდეშურს რქაწითელივით მაღალი შაქრიანობა აქვს, მაგრამ არომატით სჯობს.

ამჟამად ატენში და ატენის თემში შემავალ სოფლებში დაახლოებით 1300 კომლი ცხოვრობს, მაგრამ მოსახლეობა ხეობის ზედა ნაწილს, პატარ-პატარა სოფლებსაც შემორჩა. იქ ასევე შემონახულია საინტერესო, თუმცა, ნაკლებად ცნობილი საყდრები. ნათაძეების სტუმართმოყვარე ოჯახში კიდევ ერთ ღამეს გავათენებთ, დილით კი აღმა ავუყვებით ტანას.

**გელა ქოქიაშვილი**

ავტორის ფოტოები

ატენის „ღვთისმშობელი“ და „წმინდა გიორგი“





# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

*მთვარისა კევლიშვილი.*

ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

**– რა წესით დაენიშნება არასრულწლოვანს თავისუფლების აღკვეთა?**

– 14-დან 16 წლამდე არასრულწლოვანისათვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა შემცირდება ერთი მესამედით. ამასთანავე, საბოლოო სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს.

– 16-დან 18 წლამდე არასრულწლოვანისათვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა შემცირდება ერთი მეოთხედით. ამასთანავე, საბოლოო სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს 15 წელს.

* * *

**– ჩემმა შვილმა არასრულწლოვანების ასაკში ჩაიდინა დანაშაული, რომელიც უკვე მოიხადა. როგორ იქნება ნასამართლობის საკითხი? როდის მოეხსნება?**

– თქვენ არ ისურვეთ, დაგეკონკრეტებინათ თქვენი შვილის მიერ ჩადენილი დანაშაულის სახე, რითაც საშუალებას მომცემდით, კონკრეტულ შეკითხვაზე კონკრეტული პასუხი გამეცა.

ამის გამო, მე, ზოგადად, მოგახსენებთ სისხლის სამართლის მე-100 მუხლის შესახებ, საიდანაც დასკვნას იმედია თქვენ თვითონ გააკეთებთ.

– იმას, ვინც დანაშაული 18 წლამდე ჩაიდინა, ნასამართლობა გაუქარწყლდება:

ა) პირობით მსჯავრდებისას – გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ;

ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 6 თვის შემდეგ;

გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ;

დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ;

ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან ხუთი წლის შემდეგ.

* * *

**– პირობითი მსჯავრის დროს როგორია გამოსაცდელი ვადა?**

– თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სახის სასჯელის დანიშვნისას გამოსაცდელი ვადა უნდა იყოს არანაკლებ ერთი და არა უმეტეს სამი წლისა, ხოლო თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას – პირობით მსჯავრზე ერთი წლით მეტი. დანაშაულთა ერთობლიობის ან განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელთა შეკრების შედეგად საბოლოო სასჯელის დანიშვნისას გამოსაცდელი ვადა უნდა იყოს პირობით მსჯავრზე ერთი წლის მეტი.

* * *

**– შეიძლება თუ არა პირობითი მსჯავრის ვადაზე ადრე გაუქმება?**

– შეიძლება.

სს კოდექსის 67-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით, თუ პირობით მსჯავრდებული გამოსაცდელი ვადის არანაკლებ ნახევრის გასვლის შემდეგ ყოფაქცევით დაამტკიცებს თავის გამოსწორებას, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისია მსჯავრდებულის მიმართ კონტროლისა და დახმარების განმახორციელებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პირობით მსჯავრდებულისათვის პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის შესახებ.

ამავე მუხლის 1-1 ნაწილის მიხედვით, პირობით მსჯავრდებულისათვის ზემოთ მოყვანილი დადგენილი წესით პირობითი მსჯავრის გაუქმება და ნასამართლობის მოხსნა შესაძლებელია ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, გამოსაცდელი ვადის ნახევრის გასვლამდეც.



* * *

**– ჩემი ქალიშვილი დაინიშნა ვაჟზე. ნიშნობა შედგა ჩვენს ოჯახში როგორც ვაჟის მშობლებისა და ახლო ნათესავების, ისე მე და ჩემი მეუღლის, ასევე, ჩვენი ახლო ნათესავების თანდასწრებით. მიუხედავად ამისა, ერთი თვის შემდეგ ვაჟმა ჩაშალა ნიშნობა და განაცხადა, რომ მას სხვა უყვარს, ხოლო ეს ნიშნობა მისი მშობლების დაჟინებული მოთხოვნით შედგა. ჩემი ქალიშვილი ძალიან განიცდის მომხდარს. შეიძლება თუ არა, სასამართლო წესით ვაიძულოთ ვაჟს ჩემს ქალიშვილზე დაქორწინება, სირცხვილის გადასალახავად, თუნდაც დროებით?**

– ასეთ შემთხვევაში კანონი თქვენთვის სასურველ შედეგს გამორიცხავს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1109-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით, დასაქორწინებელ პირთა წინასწარი თანხმობა (ნიშნობა) არ წარმოადგენს შემდგომში დაქორწინების ვალდებულებას.

ამავე მუხლის II ნაწილის მიხედვით, ნიშნობა არ არის სასამართლოში იძულებითი დაქორწინების მოთხოვნის შესახებ სარჩელის წარდგენის საფუძველი.

ამავე მუხლის III ნაწილის მიხედვით, ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრები დაუქორწინებლობის შემთხვევაში მხარეებს უკან უბრუნდებათ.

* * *

**– რამდენიმე წლის წინ ოფიციალურად განვქორწინდი მეუღლესთან ჩვენ ერთმანეთს შევურიგდით. შეიძლება თუ არა განქორწინების გაბათილება?**

– თქვენს შემთხვევაში განქორწინების გაბათილება არ შეიძლება. სიტყვა „გაბათილებას“ სხვა სამართლებრივი დატვირთვა აქვს. თქვენ ხელახლა უნდა დაქორწინდეთ. ამის უფლებას გაძლევთ სამოქალაქო კოდექსის 1136-ე მუხლი.

* * *

**– ჩემი მეუღლე პატიმარია. მსურს მასთან განქორწინება. როგორ მოხდება ეს?**

– მეუღლე, რომელსაც განქორწინება სურს მსჯავრდებულ მეუღლესთან, ვალდებულია სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს წარუდგინოს სასამართლოს განაჩენის პირი ან განაჩენის ამონაწერი იმის შესახებ, რომ მის მეუღლეს შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა არანაკლებ 3 წლისა.

შეტანილი განცხადების შესახებ სააგენტოს ტერიტორიული სამსახური აუწყებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მეუღლეს. უწყებაში უნდა განისაზღვროს იმის თაობაზე პასუხის შეტყობინების ვადა, არის თუ არა დავა ბავშვების შესახებ, მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების გაყოფაზე. პასუხის შეტყობინების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.

თუ მიღებულია ცნობა იმის შესახებ, რომ დავა არ არსებობს, ან მითითებულ ვადაში პასუხი არ იქნა მიღებული, სააგენტოს ტერიტორიული სამსახური ახდენს განქორწინების რეგისტრაციას.

# socialuri dazRveva amerikis SeerTebul StatebSi

### სოციალური დაზღვევის სივრცე

ამერიკის შეერთებულ შტატებში სოციალური დაზღვევით მოცული არიან, როგორც დაქირავებული მუშაკები ასევე თვითდასაქმებულები, გარდა იმ პირებისა, ვინც მუშაობს მოკლე შრომითი ხელშეკრულებებით სოფლის მეურნეობაში, არის ბინის მუშაკი და სახელმწიფო მოსამსახურეთა ზოგიერთი კატეგორია. სადაზღვევო ფონდებში ნებაყოფლობითი შენატანები მიიღება სახელმწიფო დაწესებულებებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მოსამსახურეთაგან, რომლებიც არ არიან ჩართულნი სოციალური დაზღვევის სისტემაში 1991 წლის 1 ივლისამდე, ასევე აშშ-ს იმ მოქალაქეებისაგან, ვინც საზღვარგარეთ ამერიკელ დამსაქმებელზე მუშაობს. რკინიგზელთათვის და სახელმწიფო და მუნიციპალური მოსამსახურეთა სხვადასხვა კატეგორიისთვის არსებობს სოციალური დაზღვევის სპეციალური სქემები.



### დაფინანსების წყაროები

ამერიკის შეერთებულ შტატებში დაზღვეულს სოციალურ ფონდში შეაქვს ფიქსირებული შემოსავლის 6,2 პროცენტი, მისი მაქსიმალური სიდიდე შეიძლება 106800 აშშ-ს დოლარი იყოს, ეს ხდება ყოველწლიური საინფლაციო ინდექსაციიის გათვალისწინებით. თვითდასაქმებულის შენატანი მისი შემოსავლის 12,4 პროცენტს შეადგენს. დამსაქმებელს კუთვნილი საწარმოს სახელფასო ფონდის 6,2 პროცენტი შეაქვს. სოციალური დაზღვევის ფონდში შეთანხმებული დამატებითი დაფინანსების მთელი თანხა სახელმწიფოს შეაქვს.

### პენსიის დანიშვნის პირობები

დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში სრული პენსიის მიღების ასაკი 66 წელია, მაგრამ 2027 წლისთვის ეს ზღვარი 67 წლამდე გაიზრდება. პენსიის მისაღებად აუცილებელია, მინიმუმ, 10 წელი მაინც ჰქონდეს პირს შენატანი სოციალურ ფონდში. 62 წლიდან ადამიანს შეუძლია ვადამდელ პენსიაში გავიდეს, მაგრამ ამ პენსიის მოცულობა შემცირებული იქნება. ასაკის მიხედვით პენსია შეიძლება მიიღონ მხოლოდ იმ უცხოელებმა, ვინც მუშაობს ამერიკელი დამსაქმებლის საწარმოში და მის ქვეყანასთან აშშ-ს აქვს შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმება. დამატებითი შემწეობა მიეცემათ მხოლოდ იმ პირებს, ვინც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება.

21 წელზე უფროს პირებზე ინვალიდობის შემწეობის გასაცემად საჭიროა, რომ აღნიშნულ პირს ყოველ შრომით წელზე არანაკლებ ერთი კვარტლის შენატანი ჰქონდეს განხორციელებული და თუ ეს პენსიაში გასვლისას უნდა დაინიშნოს, მაშინ ამ შენატანების მოცულობა არანაკლებ 10 წელი უნდა იყოს. თავად ეს შემწეობა ერთი წლის განმავლობაში ჩატარებული ტესტების საფუძველზე ინიშნება. ბრმებისა და ახალგაზრდობაში დაინვალიდებულთათვის ინვალიდობის შემწეობა შერბილებული პირობების საფუძველზე ინიშნება.

მარჩენალის დაკარგვისას შემწეობა გაიცემა, როდესაც დაღუპულ მარჩენალს ყოველ შრომით წელზე აქვს განხორციელებული არანაკლებ ერთი კვარტალი შენატანი, ან 21 წლის შემდგომ დაღუპვამდე აქვს 10- წლიანი შენატანი. საპენსიო ასაკის არმქონე ობლებისა და ქვრივებისთვის, ამ შემწეობის დასანიშნად საჭიროა, რომ დაღუპულ მარჩენალს შენატანი შესაბამისად ჰქონდეს განხორციელებული 1,5 წლისა და 3 წელს და 3 თვის განმავლობაში. შემწეობის მიღების უფლება აქვთ განქორწინებულ ცოლებს, თუ მათი ქორწინება არა ნაკლებ 10 წელი გრძელდებოდა. ეს შემწეობა გაიცემა იმ უცხოელებზე, ვისი დაღუპული მარჩენალიც ამერიკელ დამსაქმებელზე მუშაობდა.

### ასაკის მიხედვით პენსიის მოცულობა

ამერიკის შეერთებულ შტატებში ასაკის მიხედვით პენსიის მოცულობა ეფუძნება 1950 წლიდან ფიქსირებულ საშუალო შემოსავალს ან 21 წლის შემდეგ დაზღვეულისთვის მის შრომით საქმიანობისას მიღებულ საშუალო შემოსავალს, გამოკლებული შრომითი სტაჟის ყველაზე უარესი 5 წლისა. სრული საპენსიო ასაკის მიღწევისას მაქსიმალური პენსია 2323 აშშ დოლარს შეადგენს თვეში, მინიმალური ზღვარი არ არსებობს. ამერიკის შრომის ფედერაციის-სამრეწველო პროფკავშირების კონგრესის მონაცემებით, ასაკის მიხედვით პენსიის საშუალო ზომა ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული საშუალო ხელფასის 42 პროცენტს შეადგენს.

იმ პირთა პენსია, ვინც საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ აგრძელებს შრომით საქმიანობას, 70 წლის მიღწევამდე განსაზღვრული შკალის მიხედვით, ყოველ ნამუშევარ თვეზე ეზრდებათ. ამ სახის პენსიები ავტომატურად განიცდიან ყოველწლიურ ინდექსაციას. თუ პენსიონერს კმაყოფაზე ჰყავს პირი, მას მიეცემა დამატება ასაკის მიხედვით პენსიის 50 პროცენტამდე. საერთო მაქსიმალური საოჯახო პენსია 4065 აშშ დოლარს აღწევს.

### ინვალიდთა შემწეობის მოცულობა

ამერიკის შეერთებულ შტატებში ინვალიდობის შემწეობის მოცულობა ეფუძნება 1950 წლიდან დაზღვეულის მიერ მიღებულ საშუალო შემოსავალს ან 21 წლის შემდეგ დაზღვეულის მიერ შრომითი საქმიანობისას მიღებულ საშუალო შემოსავალს, გამოკლებული შრომითი სტაჟის ყველაზე უარესი 5 წლისა. ინვალიდთა შემწეობის მაქსიმუმი 2453 აშშ დოლარია, საოჯახო შემწეობის მაქსიმუმი ინვალიდობისას 3679 აშშ დოლარია.

### შემწეობის მოცულობა მარჩენალის დაკარგვისას

ამერიკის შეერთებულ შტატებში მარჩენალის დაკარგვისას შემწეობის მოცულობა და გაცემის წესი ასაკის მიხედვით პენსიის შესაბამისად რეგულირდება. მარჩენალის სიკვდილის შემთხვევაში ერთდროულად გაიცემა 255 აშშ დოლარი. გარდაცვლილის შვილები სრულწლოვანობის მიღებამდე იღებენ მარჩენალის პენსიის 75 პროცენტს, ხოლო მშობლები მარჩენალის პენსიის 150 პროცენტს. მარჩენალის დაკარგვისას მაქსიმალური საოჯახო შემწეობა შეადგენს 4329 აშშ დოლარს თვეში.

**დავით არაბიძე**

საქართველოს ჰიმნად ზედგამოჭრილია „ნიკოლშოუს“ – შებერილები! კაცს რომ მომავლის სწორად დაგეგმვა არ შეგიძლია, რა ცუდია, ამერჩია ფსიქიატრია რა, სულ მოკლე ხანში რიგი დადგება პაციენტების.

მრავალ ქვეყანაში ვყოფილვარ, შიდა ქალაქებიც მინახავს, მსგავსს არ შევხვედრივარ არსად, რა უბედურებაა, ყველა ქალაქის ცენტრში პოლიციის შენობა გეგებება პირველად!..სხვისი არ ვიცი, მაგრამ ჩემზე ძალიან ცუდად მოქმედებს!

ოცი წელია უკვე ერთი და იგივე სახეები ანგრევენ ამ ქვეყანას და, შემდეგ ისევ თავად იბრძვიან დანგრეულის ასაშენებლად, ისე გვეჩხუბებიან ტელე-ეკრანებიდან, თითქოს ჩვენ დავაშავეთ რამე... ჩვენ, საზოგადოება, მხოლოდ ერთ რამეს ვაშავებთ... ამათ რომ ვიტანთ!

ამ ბოლო დროს (ნაცარხებზე) გააქტიურდა ე.წ. ექსპერტი მერაბ ბასილაია, რომელიც გახლავთ თბილისის ამირას, უგულავას უახლოესი მეგობარი. ხოლო ბატონი ბასილაიას მეუღლე გახლავთ 1 არხის ყოფილი უფროსი, ქალბატონი თამარ კინწურაშვილი, რომელიც ამჟამად პრეზიდენტ სააკაშვილის მრჩეველია.

მოკლედ, თუ როგორი დამოუკიდებელი ექსპერტია პატივცემული ბასილაია, თავად განსაჯეთ...

როგორ ფიქრობთ, ჯერ ჯვრის მონასტერს დავიბრუნებთ და მხოლოდ ამის შემდეგ ჩატარდება ევროპის ჩემპიონატი საქართველოში, თუ პირიქით?

მართლა და მართლა, რომელი ოშკის აღდგენას აპირებთ და ვინ ბებიათქვენი გეკითხებათ, იმ ოშკის აღდგენას, ა?... არ წაიღეს ცრუპენტელაობით ყურები?.. საქართველოშია ეს ოშკი?

# facebook

# xalxis azriT

რა მაინტერესებს, იცით? ადამიანები, რომლებიც სამი თვის განმავლობაში ზესერიოზული გეგმით მუშაობდნენ საიუველირო მაღაზიის საქმეზე, ის არ იცოდნენ, რომ ქართული სიგარეტის კოლოფი არ უნდა დაეტოვებინათ ნივთმტკიცებად? ან ოქროს გადადნობას მაინცდამაინც ოქრომჭედელი სჭირდებოდა? რა ვიცი...რა ვიცი...სამი თვე რა სიგარეტი წაიღეს ან რა რაოდენობა გაატანეს საზღვარზე და იქიდან ოქრო უსაფრთხოდ როგორ გადმოიტანეს? მდაა, რა უცნაური ისტორიაა...

სამტრედიას დღეს -ერთდროულად ორი უბედურება დაატყდა თავს: გადაულებლივ თოვდა და გაღლეტილმა შემოირბინა 15 წუთით, პოლიციის შენობა გახსნა... პირველი უბედურება - კიდევ არაუშავს! აი, მეორეეეეეეეეეეეეეე!! კარგი ნიშანია! გაღლეტილი პოლიციის შენობებს ხსნის, მაღალი საავადმყოფოებს. როგორც ჩანს, პოლიციაში აღარ დაგვხოცავენ, კარგად დაგვჟეჟავენ და მერე მოგვათავსებენ საავადმყოფოებში. შეგიძლიათ მშვიდად იყოთ.

არააა... აბა, მაშინ საერთოდ ვინ მოგცათ უფლება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე რამის აღდგენის, თუ ტაო-კლარჯეთი დავიბრუნეთ და მე გამომეპარა ეგ ამბავი? წესით და კანონით, კეთილი უნდა ინებოს თურქეთმა და თავის ქვეყანაში აღდგენითი სამუშაოები თვითონ და საკუთარი ხარჯებით აწარმოოს... გამომივიდნენ აქ „დედა ტერეზები“.... ერთი ის ბრძანეთ, აბაა, რა იმალება სინამდვილეში მაგ “მითიური ოშკის” უკან და რა უფლებით მიეცით თურქებს აზიზიეს მეჩეთის აშენების ნება ჩვენს მიწა-წყალზე?

აჰააა, ესე იგი ხუთებზეც სწავლობდა და თან კიდე ვერის ბაღში ჩხუბობდა ყოველდღე...ჰი ჰიიი... რაებს მიაცვ – მაცვამ ხოლმე რაა, მაღალო, რა მოჩხუბარი და ვაჟკაციც ხარ ქე ვნახეთ აგეე, გორში... პიპინია ერისთავის არ იყოს, საკუთარ დაცვას რო გაასწარი.

პირდაპირ ივანიშვილზე ფულის ასახევი დეპარტამენტი შექმენით თქვე უპტრონოებო და იქ დანიშნეთ ეგ თქვენი დედალი ბურატინო!




# qarTuli warmarToba TanamedroveTvaliT

**ყველა დიდი ისტორიის მქონე ქვეყანა უფრთხილდება თავის წარსულს და თაობიდან თაობას გადასცემს ცოდნას მის შესახებ. ამის ბრწყინვალე მაგალითია საბერძნეთი. ძველი წელთაღრიცხვისდროინდელ ღმერთების პანთეონს და მითებს მსოფლიო იცნობს. რა იცის მსოფლიომ და რა ვიცით ჩვენ საქართველოს ქრისტიანობამდელი რელიგიური წარსულის შესახებ? ამ თემაზე გვესაუბრებიან ეზოთერიკოსი ელგუჯა გველუკაშვილი და მხატვარი, მცენარეული წამლებით მკურნალი ნუნუ მარგიანი.**

**ელგუჯა გველუკაშვილი:** პირველ რიგში ვთქვათ ის, რომ ქართველები არ ვიყავით კერპთაყვანისმცემლები. ჩვენ ვიყავით წარმართები. გვქონდა არმაზი და ზადენი, მაგრამ ისინი ხატები იყვნენ და არა კერპები. ჩვენში და სხვაგანაც ხატები ქრისტიანობის შემოსვლამდე არსებობდა.



ქართული წარმართობა, როგორც ასეთი, ბოლომდე გაშიფრული არ არის, ისტორიული მონაცემები მწირია და წარმოდგენა უფრო შეიძლება შეგვექმნას ქართული ხალხური ტრადიციებიდან, თქმულებებიდან, ზღაპრებიდან გამომდინარე. რამდენადაც ვიცი, ამ ბოლო დროსაც აღმოუჩენიათ მცხეთაში ძველი წარმართული სალოცავები. აღმოჩენა ერთია, გაშიფვრა მეორე. გასარკვევია, როგორ მოქმედებდნენ იქ ქურუმები. ქურუმების წეს-ჩვეულება და რიტუალები დღემდე შენარჩუნებული აქვთ ხევისბერებს მთაში. ფშავებს, თუშებს, სვანებს აქვთ ქრისტიანობასთან შერწყმული წარმართული დღესასწაულები. ასევე ცნობილია, რომ დრუიდების მსგავსად საქართველოშიც იყო ტყესთან მიმართებითი სალოცავები. მაგალითად, მუხა ერთ-ერთი სალოცავი ხე იყო, ასევე იქიდან შემორჩა ნატვრის ხის რიტუალი. წარმართული ნიშნები დღემდე შემორჩენილია ქართულ ცეკვებში, მაგალითად, ფერხული სუფთა წარმართული ცეკვაა, ასევე ხალხურ სიმღერაში “ჰარალო”. საერთოდ ,ეს სიმღერა ნაყოფიერების ღმერთის სადიდებელია.

**- მსოფლიო ბევრი ქვეყნის ანტიკურ წარსულს იცნობს და მედეა რომ ქართველი იყო, ახლა გაიგეს. ბერძნულ ლეგენდებში მედეა ქალღმერთ ჰეკატეს ქურუმია, აქ მედეას გაბერძნებასთანაც ხომ არ გვაქვს საქმე?**

- რაც შეეხება ჰეკატეს, ის ჯადოსნობის ქალღმერთი იყო და დღემდე პოპულარულია მაგიურ წრეებში. მედეამ ჯადოსნობა და მკურნალობა ისწავლა მამიდამისისგან, აიეტის და, ცირცესგან, საბერძნეთში კი ოქროს საწმისთან ერთად დიდი ეზოთერული ცოდნა წაიღო.

**- დავუბრუნდეთ რელიგიას, მაინც, ძირითადად, რას ეფუძნებოდა ქრისტიანობამდელი ქართული რწმენა?**

- ქართველების მთავარი ღვთაება იყო თეთრი გიორგი, რომელიც ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ გააიგივეს წმინდა გიორგისთან. ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ გეორგიანელებს გვეძახდნენ, ასევე არც ისაა შემთხვევითი, რომ საქართველოში 363 წმინდა გიორგის ეკლესიაა.

თავად თეთრი გიორგი თავის დროზე იყო ხატისკაცი, განხორციელებული ღმერთი, მოსული საქართველოში, როგორც ქრისტე ისრაელში. იგი მიდიოდა ადამიანებთან, ქადაგებდა, ცნობები მის შესახებ შემორჩენილია თქმულებებში და ქართულ ხალხურ ზღაპრებში. აასევე სუფთა ქართული ცნებაა ადგილის დედა, რომელიც ასევე ბევრ მითშია მოხსენებული და ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებში. ოჩოპინტრე, ოჩოკოჩი, ალები... ეს სულებია, ზოგი ტყის სული, ზოგი მცენარეების და ზოგიც ცხოველების მფარველი, ასევე ლოცულობდნენ ფუძის ანგელოზზეც.

**– ეს რუსული “დომოვოის” მსგავსი ხომ არაა?**

– ოჯახის მფარველი ანგელოზი იყო. საერთოდ, თვით სიტყვა ანგელოზიც შემოსულია, არაა ქართული და რა სახელი ერქვა მაშინ გარკვეულ შემთხვევებში, ძნელი სათქმელია. წარმართები თავისი არსით ახლოს იყვნენ ბუნებასთან და ყველაფერში სიცოცხლეს, სულს ხედავდნენ. წარმართულშიც იყო მთავარი ღმერთი, რომელმაც სამყარო შექმნა. ცნება მამა ღმერთი ქრისტიანობამდე ბევრ ქვეყანაში არსებობდა - ჩვენშიც, ეგვიპტეშიც, საბერძნეთშიც. ასევე იყვნენ ნახევრადღმერთები, ავი სულები. ,,კარგად მოგეხსენებათ, რომ ელია ჭექა-ქუხილის ღმერთი იყო, ქალღმერთი დალი ნადირობის, მაგრამ ჩვენთვის თეთრი გიორგი იყო ყველაზე ძლიერი, ქართველი გლეხი მას სცემდა ყველაზე დიდ პატივს. ის იყო მებრძოლიც და შრომის ღმერთიც. საერთოდ, ყველაფერი ერთი ძირიდან იღებს სათავეს და ყველა რელიგია კავშირშია ერთმანეთთან.

**- ქრისტიანობის შემოსვლამ ეს ყველაფერი წარსულს ჩააბარა, მაგრამ ალბათ, აუცილებელია თანამედროვეებმა და მომავალმა თაობებმა უფრო დაწვრილებით იცოდნენ ქართული მითოლოგიისა და რელიგიის შესახებ...**

- ქრისტიანული რელიგია წარმართულს ებრძოდა, მაგრამ ბევრი რამ დავიწყებას რომაა მიცემული, ეს ისტორიულმა ვითარებამაც განაპირობა. საქართველოში ხან ვინ ბატონობდა, ხან ვინ: არაბები, თურქები, სპარსელები, მერე რუსები. ყყველა დამპყრობელი ცდილობდა ყველაფერი ქართული გაენადგურებინა და მიეჩქმალა. მე ამასწინანდელ ინტერვიუშიც აღვნიშნე, რომ კოდორის ხეობის დაკარგვით ჩვენ არა მარტო ტერიტორიული მნიშვნელობის, დიდი ეზოთერული დატვირთვის მქონე ადგილი დავკარგეთ, ეს ხომ ქალღმერთ დალის ხეობაა. ქართული რელიგიის ფესვები ასევე ძველ ქართულ ანბანშიც უნდა ვეძიოთ, ჩვენ რომ ახლა ვლაპარაკობთ, სა-



დაოა, ეს ენა რამდენადაა ქართული. დეტალების გარკვევა და გაშიფვრა ისტორიკოსების საქმეა, მაგრამ ვიმეორებ: ძირითად ინფორმაციას მაინც ქართულ მითოლოგიიდან, თქმულებებიდან, შელოცვებიდან და ხალხური ზღაპრებიდან მივიღებთ.

**ნუნუ მარგიანი:** მე დიდიხანია ქართულ მედიცინას შევისწავლი, მივდევ ამ საქმეს და ვიცი, როგორი მრავალფეროვანი ბუნება გვაქვს. ეს თავისთავად ნიშნავს იმასაც, რომ მდიდარია სამკურნალო მცენარეებით. ჩვენი წინაპარი არის მედეა და ეს უდიდესი მოვლენაა ჩვენს ისტორიაში. თქვენ გეხსომებათ პერიოდი, როცა საქართველოში ტიბეტური მედიცინის ბუმი დაიწყო. მაშინ ჩამოვიდა ერთ-ერთი ტიბეტელი ბერი და ინტერვიუში ხაზგასმით აღნიშნა, გავეცანი თქვენს ქვეყანას და მიკვირს, რა გჭირთ სამაგისო, ჩვენს მედიცინაზე ასე გადაირიოთო. ჩვენ, ტიბეტელებს, თქვენგან გვაქვს მიღებული ბევრი ცოდნა და კიდევ უნდა გამოვიკვლიოთ და გადავიღოთო. ასევე ამ ტიბეტელმა მოძღვარმა ისაუბრა მედეაზე და აღნიშნა, რომ მედეამ ოქროს საწმისის გატაცებასთან ერთად კოლხური სამედიცინო ცოდნაც წაიღო და იქედან განივრცო ყველგან. ჩვენ, ტიბეტელებმა ეს ძველთაძველი ცოდნა შემოვინახეთ და განვავრცეთ, როგორც სხვა ბევრმა ერმა თავის ქვეყანაში.

მედეას ჰქონდა ბაღი, რომელშიც უამრავი სამკურნალო მცენარე ხარობდა. ამ მცენარეების შესახებ მაშინდელ კოლხეთში ყველამ იცოდა, დროთა განმავლობაში ბევრი რამ დაიკარგა. ასე რომ, მე და ჩემნაირები დაკარგულს ვეძებთ, რაიმე ახალს კი არა?!

**თამუნა ქადაგიძე**



# meri ki, albaT, arsebobda...

მერი შერვაშიძის შემხედვარეს არც გაგიკვირდებოდათ, რომ 1942 წლამდე გამოცემულ ფრანგულ ენციკლოპედიებში ქართველები მსოფლიოში ულამაზესრასად მოიხსენიებოდნენ. მოგვიანებით ეს ფრაზა რატომღაც ამოიღეს გამოცემიდან, რითაც ქართველთა სათვისტომო ააფორიაქეს. დღემდე მონაკოს პრინცის სასახლეს ამშვენებს მხატვარ საველი სორინის მიერ შესრულებული მერი შერვაშიძის პორტრეტი. გალაკტიონის მუზას პარიზშიც ქართული არაპუნქტუალობით გამოარჩევდით, ყოველთვის ყველგან აგვიანებდა. ეკლესიაშიც მუდამ დაგვიანებით მიდიოდა და, მრევლზე ერთი თავით მაღალი ყველას ყურადღებას იპყრობდა. აკი, რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს სწორედ დაგვიანებული შეეფეთა მერი შერვაშიძე, როცა დაკრძალვის დღეს შავებით შემოსილი ფრეილინების რიგში ყველაზე ბოლოს ჩადგა. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ნიკოლოზ მეორის ყურადღება მიეპყრო და იმპერატორისგან შემდეგი სიტყვები დაემსახურებინა: „ãðåø íî áûòü òàêîé êðàñèâîé!"

რატომ დააწყვილეს მერი შერვაშიძისა და გალაკტიონის სახელები მაშინ, როცა თავად პოეტი ისე გარდაიცვალა, საიდუმლოსთვის ფარდა არ აუხდია?! გალაკტიონს რომ ცხოვრების მიმართ უნდობლობა ჰქონდა, ეს ცხადია, მაგრამ მერის მიმართ მისი დამოკიდებულება იმ



აისბერგს ჰგავდა, რომლის ნაწილიც წყლის ზემოთ ამოტივტივდებოდა, ნაწილი კი წყალქვეშ იფარებოდა. პოეტი ყოველთვის თავს არიდებდა მასზე საუბარს და ირიბი ღიმილით აგრძნობინებდა თანამოსაუბრეს, რომ სურვილი არ ჰქონდა, ფარდა აეხადა იდუმალისთვის.

იშვიათად იტყოდა, არცერთ მერის არ ვიცნობდი, კონკრეტულად არავინ მიგულისხმებიაო, ხანდახან კი აღნიშნავდა, ჩემი მერი რეალურია და ცხადიო. გაორება თავად მერი შერვაშიძესაც ეტყობოდა. მართალია, კატეგორიულად გამორიცხავდა გალაკტიონთან ნაცნობობას, მაგრამ, როცა ეუბნებოდნენ, მაღალი წრის ქალბატონი ყურადღებას რატომ მიაქცევდით უბრალო ყმაწვილსო, მისი არისტოკრატიული თავმოყვარეობა კმაყოფილდებოდა. სწორედ ასეთი რამ შეუნიშნავს მისთვის მედეა ჯაფარიძეს, რომელსაც ბოლომდე სურდა, გალაკტიონისა და მერის პლატონური ტრფიალების ლეგენდა არ მომკვდარიყო.

გაურკვევლობამ გალაკტიონოლოგებშიც გადაინაცვლა და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ერთნი ფიქრობდნენ, რომ მერის პროტოტიპი აფხაზეთის მთავართა შთამომავლის, გენერალ-მაიორ პროკოფი შერვაშიძის ასული, რუსეთის იმპერატორის დედის ფრეილინა, ამავე სახელის მქონე მერი შერვაშიძე გახლდათ (თამაზ ნადარეიშვილის ბებია). სხვათაშორის, ჩვენ დავუკავშირდით ნადარეიშვილების ოჯახს, მაგრამ მათ გამორიცხეს გალაკტიონთან მისი წინაპრის ნაცნობობა, რადგან მათ ბებიას არასდროს უცხოვრია ქუთაისში, ის სოხუმის მკვიდრი გახლდათ და მოგვიანებით კონსტანტინე ლაკერბაიას მისთხოვდა, რომელმაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

პოეტის ძმისშვილმა, ნოდარ ტაბიძემ როგორც გვითხრა, „გალაკტიონი ისეთი მონდომებით ეძებდა იდეალურ ქალს, რომ მერი შერვაშიძე იქნებოდა თუ ოლია ოკუჯავა, მისთვის პრინციპული მნიშვნელობა არც ჰქონია. ის მაინც შექმნიდა მერის მსგავს არსებას. რა თქმა უნდა, გალაკტიონი ქუთაისში მერის თვალს აუცილებლად მოკრავდა, მით უფრო მაშინ, როცა მერი იმ დროს ულამაზესად იყო აღიარებული და მაშინდელ ჟურნალშიც გახლდათ დაბეჭდილი მისი სურათი. გალაკტიონისთვის ყველაფრის მიწერა არასწორია. „მერი" მისი წარმოსახვის ნაყოფია და არა ბაირონის გამოძახილი,"— მიიჩნევს ნოდარ ტაბიძე.

ყურადსაღებია ლადო გუდიაშვილის მონათხრობიც. ერთხელ გალაკტიონმა ტილო მომიტანა და მთხოვა, მერი შერვაშიძის სურათი დამიხატეო... სიყვარულს მალვა უნდაო, —ნათქვამია და ყველაზე უკეთ გალაკტიონის განწყობას ალბათ, მისივე სიტყვები გადმოსცემს: „მერი კი... ალბათ, არსებობდა. იყო ასეთი ქალი!" რეზო თაბუკაშვილი იხსენებდა, როცა პარიზში მყოფ მერი შერვაშიძეს გალაკტიონისა და ლექსი „მერის" შესახებ ვკითხე, მიპასუხა, რომ გალაკტიონს არც იცნობდა და არც მისი არსებობის შესახებ იცოდა რამე. მაგრამ ამაყ ქალს ისიც დაუმატებია, თუ ნამდვილად მომიძღვნა გალაკტიონმა ეს ლექსი, როგორც ახლა იწერება, რა თქმა უნდა, ბედნიერი ვიქნებოდიო.

რაც შეეხება ინესა მერაბიშვილს, იგი მიიჩნევს, რომ გალაკტიონი კარგად იცნობდა ლორდ ბაირონის ცხოვრებასა და შემოქმედებას. მეტიც, გალაკტიონმა და ოლია ოკუჯავამ „ბაირონი" უწოდეს ბორჯომში ერთ განმარტოებულ ნაძვს. ლიტერატურის მუზეუმში დაცულ პოეტის ხელნაწერთა შორის კი მოინახა ერთი გაცრეცილი ფურცელი, სადაც გალაკტიონი ბაირონის პოემას „ჩაილდ ჰაროლდს" ახსენებს, იმავე ფურცლის ქვედა ნაწილზე კი მიწერილია გალაკტიონის მიძღვნა ოლია ოკუჯავასადმი:

„ჩემო ოლია! დღევანდელი დღე

ბაირონი და გვიჩიოლია..."

ინესა მერაბიშვილის აზრით, ამ სტროფში გალაკტიონი ოლიას ბაირონისა და მისი სატრფოს — ტერეზა გვიჩიოლის (ბაირონის უკანასკნელი სიყვარული, რომელსაც ლორდი იტალიაში შეხვდა) შესახებ ესაუბრება.

„რას უნდა ნიშნავდეს გალაკტიონის ნათქვამი: „დღევანდელი დღე ბაირონი და გვიჩიოლია?" პირველ რიგში, ალბათ იმას, რომ გალაკტიონი და ოლიაც ისევე დაშორდებიან ერთმანეთს, როგორც ბაირონი და გვიჩიოლი! და განა ასე არ მოხდა გალაკტიონისა და ოლიას ცხოვრებაში?!"— აცხადებს ინესა მერაბიშვილი.

იმ ფონზე, როდესაც რამდენიმე მერი იჩემებდა გალაკტიონის მუზის ტიტულს და გალაკტიონიც დაუფარავად ამბობდა, ისე მომაბეზრეს თავი ქალებმა, რომ ყველას ვეუბნები, „მერი" შენ გიძღვენიო, ნამდვილი მერი ჩუმად იყო. სხვებისგან განსხვავებით, მერი შერვაშიძის მოკრძალება აშკარა იყო. უაღრესად თავმდაბალ არსებად დაამახსოვრდა იგი თათული ღვინიაშვილს, თბილისში კარგად ცნობილი არისტოკრატის —ბაბო დადიანის ქალიშვილს, რომლის მეჯვარეც ადრე თავად მერი შერვაშიძე გახლდათ. ქალბატონი თათული, დედის მსგავსად, დარწმუნებულია, რომ გალაკტიონმა სწორედ მერი შერვაშიძეს მიუძღვნა ლექსი მერი და არა ბაირონის სატრფოს.

„კოლაუ ნადირაძე ჩვენთან ისე არ მოვიდოდა, არ გაეხსენებინა: მე, გალაკტიონი და ვალერიან გაფრინდაშვილი მერის ჯვრისწერაზე ეკლესიაში ვიყავითო. იმ დღეს, თურმე, სასტიკად ციოდა, რაც გალაკტიონის ლექსშიცაა ასახული. სხვათაშორის, დედაჩემს გალაკტიონისა და მერის ურთიერთობის დასტურად ისიც მოჰყავდა, რომ გალაკტიონი მასთან შეხვედრისას ყოველთვის მოიკითხავდა ხოლმე პარიზულ ამბებს და, განსაკუთრებით, მერის გათხოვების საკითხით ინტერესდებოდა. მით უფრო, რომ მერი შერვაშიძეს ულამაზესი მეუღლე — გიგუშა ერისთავი უკვე გარდაცვლილი ჰყავდა. ჩვენს ჭორიკანა ემიგრანტებს შორისაც არ გახმიანებულა ისეთი რამ, რომ გიგუშას შემდეგ მერის არათუ მეორე ქმარი, მეგობარიც კი ჰყოლოდეს, იმდენად ამაღლებული გრძნობით იყო გამსჭვალული გარდაცვლილი მეუღლის მიმართ,"— გვითხრა თათული ღვინიაშვილმა.




ქართველ თუ რუს ემიგრანტ თაყვანისმცემლებს მერი შერვაშიძის ტრფიალში არ გაუმართლათ, უშვილო მერი გადაყოლილი გახლდათ დისშვილებზე და მოგვიანებით, ავტოავარიაში დისშვილის დაღუპვის ამბავი ძლიერ განიცადა.

თათული ღვინიაშვილმა ისიც გაიხსენა, რომ მეფის სასახლეში გამართულ ერთ-ერთ წვეულებაზე ნიკოლოზ მეორის ნათესავი მშვენიერი ჰერცოგინია ლიხტენბერგსკაია მერი შერვაშიძის სილამაზით გაოგნებულა. როცა ლიხტენბერგსკაიას ქართველი ფრეილინა გააცნეს, უთქვამს, ამის ნახევარი სილამაზის მქონე ქართველი მამაკაცი რომ მაჩვენა, ცოლად დაუფიქრებლად გავყვებოდიო. მერის უთქვამს, ახლავე შემიძლია გაგაცნოთ ასეთი პიროვნებაო და იმ დღეს პაჟთა კორპუსის წვეულებაზე მორიგედ მყოფი, სილამაზით განთქმული ლევან მელიქიშვილი წარუდგენია. ლიხტენბერგსკაია და ლევან მელიქიშვილი შეუღლებულან.

გასაბჭოების შემდეგ, 1921 წელს გიგუშა ერისთავსა და მერი შერვაშიძეს გადასახლება მოუწიათ. გიგუშა ერისთავს, როგორც ნიკოლოზ მეორის ოფიცერს, საქართველოში დაუხვრეტავად არავინ დატოვებდა. ამდენად, როგორც ჩანს, მარტო ხელოვნებისადმი სიყვარულით არ უნდა იყოს განპირობებული მერი შერვაშიძის მოდელობა. საფრანგეთში ჩასულ ქართულ ემიგრაციას თავიდან ძლიერ უჭირდა და მერიმაც მიიღო ცნობილი მოდელიორის კოკო შანელის შეთავაზება, გამხდარიყო მისი მუზა და შესაბამისად, პირველი მოდელი ქალი. 1921 წელს კი სტამბოლში სილამაზის მსოფლიო კონკურსის გამარჯვებული გახდა. მერის წერილები ვისაც წაუკითხავს, ერთხმად აღიარებს, რომ იგი ფაქიზი ბუნების, რომანტიკული ქალი იყო. ესეც იქნებოდა მიზეზი, რომ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ბულონის ტყის სიახლოვეს მდგარ მშვენიერ სახლში გული არ დაუდგებოდა და მოხუცთა თავშესაფარში არჩევდა წასვლას.

მერი შერვაშიძის გარდაცვალება ქართულ ემიგრაციას დიდად განუცდია. ღვთაებრივი ღიმილისა და მოცისფრო-მონაცრისფრო თვალების მქონე ქალი ხომ მათი გამორჩეული სახე იყო, რომელსაც ყველაფერი ეპატიებოდა, თუნდაც საქართველოდან ჩასული თანამემამულეების გაცილებისას ბაქანზე დაგვიანება, თუნდაც წვეულების დასასრულს მისვლა... ქალბატონ თათულის როცა აცილებდნენ, ემიგრანტები ხუმრობდნენ, მერი რომ მოვა, უკვე თბილისში იქნებიო. მართლაც, მატარებლის გასვლას წამები აკლდა, როცა მერი გამოჩნდა და ფანჯრიდან კუპეში იები შეაფრქვია.

**მანანა ნოზაძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ჩარლი ჩაპლინი ფრანგი იყო?



ბოლო დროს გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, რომ, შესაძლოა, ცნობილი კომიკოსი ჩარლი ჩაპლინი საფრანგეთში ან რუსეთში ყოფილიყოს დაბადებული.

ჩარლი ჩაპლინით კარგა ხანს ამაყობდა ინგლისი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩარლი დიდ ბრიტანეთში კი არა საფრანგეთში ყოფილა დაბადებული და იზრაელ ტორნშტეინი რქმევია.

საიდუმლო ცნობებით ბევრ ისეთ რამეს აეხადა ფარდა, რასაც სპეცსამსახურების თანამშრომელთა გაოცება მოჰყვა. ჯერ ერთი, რომ არქივში ვერ მიაგნეს ვერცერთ დამადასტურებელ დოკუმენტს იმის შესახებ, რომ ჩარლი ჩაპლინი ლონდონში დაიბადა. მისი ბიოგრაფიით აშშ-ი მას შემდეგ დაინტერესდა, რაც ის ამერიკიდან წავიდა 1929 წელს. მიზეზად დასახელდა ის, რომ მსახიობს გარკვეული სახის კავშირები ჰქონდა კომუნისტებთან.

ოფიციალური ინფორმაციით, ჩარლი ჩაპლინი 1889 წლის 16 აპრილს დაიბადა სახლში, რომელიც ლონდონის ერთ-ერთ რაიონში უოლვორტში ისტ-სტრიტზე მდებარეობდა. მან ჰიტლერს დაბადებამდე ოთხი დღით დაასწრო.

სკოტლენდ-იარდი საიდუმლო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აცხადებს, რომ, შესაძლოა, კომიკოსი ფონტენებლოსთან ახლოს, პარიზის სამხრეთით ყოფილიყოს დაბადებული.

კვლევა გაგრძელდა, მაგრამ ფონტენებლოში ჩაპლინის ადგილსამყოფელის კვალი არსად ჩანდა, ვერც ფონტენებლოსთან ახლო ქალაქ მელუნშიც ვერავითარი ცნობები ვერ მოიპოვეს. ასე რომ, გენიალური მსახიობის დაბადების ადგილი დღემდე უცნობი რჩება.

შემორჩენილი დოკუმენტები, რომელიც დიდი ბრიტანეთის ნაციონალურ არქივში ინახება, აჩენს ეჭვს, რომ ჩარლი ჩაპლინი, შესაძლოა, რუსეთიდან იყოს. ეს მოსაზრება ეყრდნობა თვით ჩარლი ჩაპლინის სიტყვებს, რომელშიც „რუსეთში დაბრუნებაზე“ ლაპარაკობდა.

სკოტლენდ-იარდის ერთ-ერთი უმაღლესი ჩინოვნიკი წერს: „ასეთი ტიპის მოსაზრებები იმის გამო შეიძლებოდა გაჩენილიყო, რომ მსახიობი ხშირად ამბობდა, რომ კიდევ ერთხელ უნდა წასულიყო რუსეთში. წინა საუკუნეში ბევრი ებრაელი გაიქცა რუსეთში, შესაძლოა, ჩაპლინის ოჯახიც იყო იმ გაქცეულებს შორის“.

ჯონ მერიოტი წერს: „რა თქმა უნდა, საინტერესოა, ჩაპლინის დაბადების ადგილის შესახებ ცნობები, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს ინფორმაცია საიდუმლო უნდა იყოს ქვეყნის უსაფრთხოებისთვის“.

მოგეხსენებათ, ჩარლი ჩაპლინმა კარიერა ბრიტანეთის ესტრადის სცენაზე დაიწყო, 1910 წელს აშშ-ში გადავიდა საცხოვრებლად. ჰოლივუდში გადაიღო უამრავი ფილმი, რომელთაგან ყველაზე ცნობილი „პატარა მაწანწალას“ დასამახსოვრებელი სახეა.

1950-იან წლებში, როცა ვაშინგტონი მაკარტიზმის პარანოიამ შეიპყრო და იქაურობა საბჭოთა აგენტებით გაივსო, უდიდესმა კომიკოსმა კომუნისტებისადმი სიმპათია გამოამჟღავნა. ამასთანავე საზოგადოებაში ცხარე კამათი მიდიოდა მის ქორწინებებზე – იგი ორჯერ დაქორწინდა 16 წლის ქალიშვილებზე, შემდეგ აშშ-ის მოქალაქეობა ჩამოართვეს იმის გამო, რომ მან თითქოს უკანონო ბავშვი იშვილა და სახელმწიფოს 2 მლნ. დოლარის გადასახადები დაუმალა.

1952 წელს ჩაპლინი კვლავ დიდ ბრიტანეთში დაბრუნდა. მას ქვეყნიდან გასვლაში გენერალური პროკურორი ჯეიმს მაკგრეინერიც დაეხმარა, თუმცა, მოგვიანებით, კვლევების შედეგად, არ აღმოჩნდა არც ერთი ცნობა იმის შესახებ, რომ მთავარი მიზეზები აშშ-დან გაძევებისა – კომუნისტებთან კავშირები დადასტურებულიყო.

ჩარლი ჩაპლინი 1977 წელს ისე გარდაიცვალა, რომ საბჭოთა კავშირში ერთხელაც არ ყოფილა.

აშშ-ის საიდუმლო დოკუმენტაციაში კი მითითებულია: „ჩვენ არ გვაქვს არც ერთი დამადასტურებელი დოკუმენტი იმისა, რომ ჩარლი ჩაპლინი კომუნისტებთან რაიმე სახის კავშირში ყოფილიყოს ეჭვმიტანილი. შესაძლოა, კომუნისტები იყენებდნენ მის სახელსა და ავტორიტეტს... შესაძლოა, ჩაპლინიც უთანაგრძნობდა მათ, მით უფრო, რომ მსახიობი ხასიათით ძალიან რადიკალი იყო და „პროგრესულ“ იდეებს იზიარებდა.

გასულ წელს ინტრიგამ განვითარება ჰპოვა. აღმოჩენილი იქნა წერილი, რომელიც ნათელს ჰფენს ჩაპლინის დაბადების საიდუმლოს. ჩაპლინმა ეს წერილი 1970 წელს მიიღო და თავისი სამუშაო მაგიდის უჯრაში საიდუმლოდ ინახავდა. წერილში მოთხრობილი იყო იმის შესახებ, რომ ჩაპლინი დაიბადა ბოშათა ბანაკში, რომელიც მისი დაბადების პერიოდში ბირმინგემის სიახლოვეს იყო განლაგებული.

# ლეგენდარული მესინგი

ამბობენ, რომ ლეგენდარული ვოლფ მესინგი ჰანუსენის, ჰიტლერის პირადი ნათელმხილველის მოსწავლე იყო. თვითონ ვოლფ გრიგორევიჩი არასდროს ლაპარაკობდა ამაზე. ვოლფ მესინგი არაერთხელ შეხვდა ჰანუსენს და მის შესაძლებლობებს ყოველთვის დიდად აფასებდა. მესინგისთვის ჰანუსენს მხოლოდ ერთი რამ შეიძლებოდა ესწავლებინა – მოეხვეჭა ძალაუფლება. ჰანუსენმა ძალიან ბევრი იცოდა და ამიტომაც მოიპოვა შეუცვლელი ადგილი ფიურერის გარემოცვაში, თუმცა, იგი მაინც დახვრიტა ჰიტლერმა ძაღლივით ნაგავსაყრელზე. მესინგი სწავლობდა ამ „გაკვეთილებზე“ და ცდილობდა თავი და-



ვოლფ მესინგი

ეჭირა ძლიერთა ამა ქვეყნისათაგან, მაგრამ მის ცხოვრებაში იყო მომენტები, როცა ის, როგორც იტყვიან, დანის პირზე იდგა და არ შეეძლო საკუთარი სურვილის მიხედვით ემოქმედა.

რაც მესინგი ფაშისტებს გამოექცა და პოლონეთიდან პირდაპირ მოსკოვში ჩავიდა, საბჭოთა ლიდერებს დაუახლოვდა. ჰიტლერთან ყოფნისას ფიურერს უწინასწარმეტყველა საბოლოო საშინელი კრახი. მის ცოდნას იყენებდნენ სტალინი და ბერია. არსებობს ლეგენდა, რომ ვოლფ გრეგორევიჩი ყოველგვარი დოკუმენტაციისა და საშვის გარეშე მოხვდა კრემლში. როცა სტალინი შეეკითხა, როგორ მოახერხა ეს, მესინგმა უპასუხა: „ისეთი სახე მივიღე, თითქოს ბერია ვიყავი, დაცვა სულ ფეხის წვერებზე დადგა და მოწიწებით მესალმებოდნენო“.



ერიკ ჰანუსენი

ლავრენტი პავლეს ძემ კარგად უწყოდა მესინგის შესაძლებლობების შესახებ და გასცა ბრძანება, არ გაეშვათ ის НКВД –ს შენობიდან. თუმცა, მესინგი არასდროს ეპუებოდა ბერიას, როდესაც ფანჯარაში თვალს მოჰკრავდა, ხელს დაუქნევდა ხოლმე.

ვოლფ მესინგმა იწინასწარმეტყველა II მსოფლიო ომის დაწყების თარიღი – 1941 წლის 22 ივნისი, აგრეთვე ორ წელიწადნახევრით ადრე იწინასწარმეტყველა ფაშისტური გერმანიის კაპიტულაცია. სხვათაშორის, ეს სახალხოდ განაცხადა. მან ასევე იწინასწარმეტყველა მეუღლის გარდაცვალების თარიღი და საკუთარი აღსასრულის დღეც.

### ადამიანი – გამოცანა

ჩვენ ვიჯექით ერთმანეთის პირისპირ. მას მაღალი შუბლი ჰქონდა, სქელი, ხუჭუჭი თმები, რამდენადმე დაბნეული გამომეტყველება. ის მშვიდი იყო თითქოს და გულგრილი, ლაპარაკობდა გამორჩეული აქცენტით. მომენტში,



მესინგი სცენაზე

როცა მან ხელი ასწია, გარდაისახა და სახე გამოუცოცხლდა. თვალებში სხივი ჩაუდგა ამ გაელვებაში მან შეიძინა არაჩვეულებრივი ძალა და მზად იყო თავისი შესაძლებლობები გამომეჟღავნებინა. ვიგრძენი, რომ ჩემს წინაშე ივლისის ხვატში „გაცურდა“ ოთახი, ყველაფერი ირწეოდა, ტორტმანებდა... თითქოს უჩინარი ხელი შეეხო ჩემს ტვინს. მოსაუბრემ ასწია ხელი, – ასე გავიცანი ვოლფ მესინგი. თავისი ქმედებებით თითქოს მამოწმებდა, თანაც მარწმუნებდა თავის შესაძლებლობებში.

გარკვეული დროის შემდეგ მისი თვალები ჩვეულებრივ ფორმას დაუბრუნდა, დაძაბული სახე დაუწყნარდა. ჩემს წინაშე იდგა კეთილი, რბილი კაცი, მე მას შევხვდი სამჯერ და ყოველ შეხვედრაზე სულ სხვადასხვა ადამიანი იყო. ის მუდამ გამოუცნობი იყო ყველასთვის. ეს იყო ადამიანი – გამოცანა, – იხსენებს კრემლის მაღალჩინოსანი.

### ჯადოქარი სცენაზე

1966 წლის დეკემბერში როსტოვის ფილარმონიის დარბაზში ნემსი არ ჩავარდებოდა. სცენაზე ნათურების თვალისმომჭრელი ნათების ფონზე იდგა მაგი, ტელეპატი, სასწაულმოქმედი და შეჰყურებდა ასობით თვალი. მან ხელები გულზე დაიკრიფა, კარგად ჩანდა, რომ იგი კოლოსალურ შინაგან დაძაბულობას გრძნობდა.

მაყურებლები კითხვებს სვამდნენ, ერთმანეთზე უფრო რთულს და თითქმის შეუსრულებელს. ვოლფ მესინგი სწრაფად გადაადგილდებოდა დარბაზში, პოულობდა საგულდაგულოდ დამალულ ნივთებს, 50 წლის განმავლობაში ასე პოულობდა დაკარგულ საგნებს. მხოლოდ ერთხელ ვერ მოახერხა დაკარგული ნივთის პოვნა. ეს იყო კანფეტი, რომელიც



აინშტაინი

მაყურებელმა შეჭამა. მაშინ მესინგი მივიდა მაყურებელთან და უთხრა: „მე არ ვარ ქირურგი“.

მესინგის ერთ-ერთი გამოსვლისას ოდესის დიდი დარბაზის სცენაზე მასთან ახალგაზრდა მღვდელი მივიდა.

– თუ პატივცემული ფსიქოლოგი შეასრულებს ჩემს დავალებას, მე ჩემს მოვალეობებს უგულებელვყოფ.

დარბაზი გაისუსა. მესინგმა აზრობრივი დავალებით დარბაზიდან გამოიძახა გოგონა, აიღო პატარა ჯვარი და შემოუტარა თავის გარშემო. შეძრწუნებულმა მღვდელმა ხელები გულზე დაიდო და თქვა: „ჭეშმარიტად გეუბნებით – ზუსტად ასე მქონდა ჩაფიქრებული“.

გამოსვლის შემდეგ, – თქვა ვოლფ გრიგორევიჩმა, მაყურებლები უამრავ შეკითხვას მისვამდნენ, მიგზავნიდნენ ასობით წერილს. შინაარსი ერთი და იგივე იყო: აგვიხსენით, გეთაყვა, როგორ აკეთებთ ამას?

თვითონ არ ვიცოდი, როგორ ვაკეთებდი ყოველივეს.

მოგონებებში მესინგი შემდეგ წერს: ჯერ კიდევ სრულიად პატარა ბავშვი ვიყავი, როცა სცენაზე ჩემს ექსტრავაგანტურ პარტნიორთან წვერებიან ქალბატონთან ერ-


ზიგმუნდ ფროიდი

თად გამოვდიოდი, რომელიც სცენაზე სიამის ტყუპებივით უხელო მამაკაცის თანხლებით საცირკო სანახაობებს ასრულებდა. უხელო კაცი ფეხებით თამაშობდა კარტს, ეწეოდა სიგარეტს, ხატავდა მაყურებელთა სურათებს. იქვე მინის კუბოში ვიწექი მე, „უსულო ჯადოქარი – ბიჭი". მე შემეძლო დიდხანს შემეკავებინა სუნთქვა. აქედან დაიწყო ყველაფერი. ერთხელ შიმშილით გული წამივიდა, მკვდარი ვეგონე და კინაღამ დამასაფლავეს. სამი დღის შემდეგ, როცა უკვე საძმო საფლავში უნდა ჩავეწვინე, ფსიქიატრმა და ნევროპათოლოგმა პროფესორმა აბელმა შემთხვევით დამიბრუნა სიცოცხლე. ამის შემდეგ დავიწყე აქტიური გამოსვლები სცენაზე.

1915 წელს მესინგი ვენაში გაემგზავრა. იქ ის ალბერტ აინშტაინს წარუდგინეს. აინშტაინი ძალიან დაინტერესდა ჯადოქარი ბიჭუნათი, მით უმეტეს, რომ მაშინ უკვე წერდნენ გაზეთები მის შესახებ. აინშტაინმა მოიწვია ზიგმუნდ ფროიდი „სასწაულებრივი-ბავშვის" სანახავად. ფროიდი აზრობრივად კარნახობდა მესინგს, აეღო პინცეტი და მოეჭრა აინშტაინისთვის თმის ორი ღერი.

მოგვიანებით მესინგი იმპრესარიო კობიაკთან მოხვდა და მასთან ერთად მოიარა ყველა კონტინენტი.

უცხოეთში გამოსვლები ადვილი არ იყო, მაგრამ სსრკ-ში არავის სჯეროდა მაგებისა და ტელეპატების. იმაში დასარწმუნებლად, რომ არავითარი მაგია, მთავარი



იყო ტელეპატიური ნიჭი, მესინგმა დაკარგული ნივთების პოვნისა და ციფრების გამოცნობის მეთოდი აირჩია. ეს ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა.

რიგაში ასეთი ნომერი ჩაატარა: ჩაჯდა ავტომობილში და მთელი ქალაქი თვალებახვეულმა მოიარა. ხელი საჭეზე ჰქონდა, ფეხები პედალზე, გვერდით ეჯდა მძღოლი და აზრობრივად გადასცემდა, რა უნდა ეკეთებინა. ამას ხედავდა ასობით რიგელი. მანამდე არასდროს ვმჯდარვარ საჭესთანო, – იხსენებდა შემდეგ ვოლფ მესინგი.

ყველა ადამიანში არის განსაკუთრებული შესაძლებლობები, მე ამას ვგრძნობ, როცა შევდივარ კონტაქტში, – ამბობდა ერთ ინტერვიუში დიდი მაგი. მაგრამ უმეტესობას ეს შესაძლებლობები არ აქვს განვითარებული. ეს ისევეა, როგორც მუსიკალური ნიჭი, რომელსაც თუ არ განავითარებ, უპატრონოდ დარჩება.

მესინგმა არაერთხელ სთხოვა მეცნიერებს, შეექმნათ მისი ტვინის შემსწავლელი ლაბორატორია, მაგრამ ხელისუფლებას ეშინოდა: ვაითუ, რაღაც მოულოდნელობას აეხადოს ფარდა?!

მესინგი გარდაიცვალა და თან წაიღო თავისი ცხოვრების საიდუმლოება. მისი არქივი კგბ-მ წაიღო და დღემდე ხელმიუწვდომელია.

დღეს თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ მესინგი ფლობდა ტელეპატიის უმაღლეს ნიჭს. ის თვითონვე ლაპარაკობდა ამის შესახებ.

**მოამზადა**
**ანა ვადაჭკორიამ**

# qarTuli fulis istoria

იცით საიდან მოდის ქართული ფულის შექმნის ისტორია? მონეტის მოჭრა ძირითადად, სახელმწიფოს უფლებამოსილებაა. მონეტა არის ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი, რასაც სახელმწიფო სამონეტო რეგალია ეწოდება. ხელისუფლების ინტერესების, დროისა და პირობების შესაბამისად იცვლებოდა მონეტის გარეგნული მხარე – ზედ აღბეჭდილი მეფეების სახელები, წარწერათა შინაარსი, მონეტების ფორმები. საქართველოში არ არის კუთხე, სადაც შემონახული არ იყოს შორეული წარსულის ნუმიზმატიკური ძეგლი – სხვადასხვა ლითონისაგან დამზადებული მონეტები. მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე საქართველო იყო კულტურული და ცივილიზებული სამყაროს მნიშვნელოვანი მოვლენების მონაწილე. ქართული მონეტები კი ზუსტად ასახავენ ჩვენი ქვეყნის წარსულს. ფულის გაჩენამდე ფულის ნიშნების მაგივრად იყენებდნენ სხვადასხვა საგანს – სამეურნეო ან საბრძოლო იარაღს, ტყავ-ბეწვეულს, პირუტყვს, ლითონის ზოდებს.

მსოფლიოში პირველი ფული გაჩნდა ძველი წელთაღრიცხვით VII საუკუნეში კუნძულ ეგინაზე (ეგეოსის ზღვა), სადაც ვერცხლის მონეტები მოჭრეს. ფასეულობის ეს საზომი სწრაფად გავრცელდა იმდროინდელ კულტურულ ქვეყნებში. საქართველოში, კერძოდ, ძველ კოლხეთში, ძველი წელთაღრიცხვით VI საუკუნეში უკვე მიმოქცევაში იყო ვერცხლის მონეტა "კოლხური თეთრი", რომელიც მსოფლიოს უძველეს მონეტებს მიეკუთვნება. საქართველოში აღმოჩენილი მონეტების თანმიმდევრული ცვალებადობა ზუსტად ასახავს ქვეყანაში მომხდარ ისტორიულ მოვლენებს. ქართული მონეტების მიმოქცევის 26 საუკუნოვან პერიოდში ფული იცვლებოდა გარეგნულად, იცვლებოდა წარწერები მათზე და თვითონ ლითონიც. ზოგჯერ მოჭრილ ფულზე უცხო სიუჟეტები და უცხოური წარწერები ჩნდებოდა. ეს ნაკარნახევი იყო პოლიტიკურ-ეკონომიკური მიზნებით. ქართულწარწერიანი მონეტები მცირე რაოდენობით იჭრებოდა. გაცილებით მეტია ორენოვანი მონეტები – ქართულ-ბერძნული, ქართულ-არაბული, ქართულ-სპარსული.



VI საუკუნის 80-იან წლებში ქართლში გაუქმებული იყო მეფობა. აქ არაბები ბატონობდნენ. ქართველი ერი დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა. ამ ბრძოლაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ქართული მონეტის მოჭრა, რომელთაც ასომთავრული წარწერები და ქრისტიანული რელიგიის სიმბოლო – ჯვარი ამშვენებდათ. ეს მონეტები იჭრებოდა ქართლის ერისმთავრების გურგენისა და სტეფანოზის მიერ. ქვეყნის ეროვნული აღორძინება სამონეტო საქმეშიც აისახებოდა ხოლმე. დავით III კურაპალატმა მოჭრა ვერცხლის მონეტა, რომელზეც გამოსახული იყო ჯვარი და ეწერა: "ქრისტე შეიწყალე დავით კურაპალატი". გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III არაბული ტიპის მონეტას ჭრიდა, რაც ეკონომიკური მოსაზრებით იყო განპირობებული. ბაგრატ მეფის მონეტაზე ქართული ასომთავრულით ეწერა: "ქრისტე ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე". როცა გიორგი III-მ თავისი ასული თანამოსაყდრედ გამოაცხადა, მოჭრა მონეტა, რომელზეც მოხსენიებულნი არიან "მეფეთ-მეფე გიორგი" და "მეფე და დედოფალი თამარი". მონეტაზე მხოლოდ ქართული წარწერაა. დავით აღმაშენებლის უნიკალურ მონეტაზე, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული, ასეთი ქართული ზედწერილია: "ქრისტე, ადიდე დავით, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა".





ქართული მონეტები ძუნწად მოგვითხრობენ იმ ტრაგედიას, რაც თავს ატყდებოდა ხოლმე საქართველოს გარეშე მტერთაგან. "მონა ყაენისა, მეფე დავით" – ასეთი დამამცირებელი სპარსული ზედწერილი ჰქონდა დავით VI ნარინის მონეტებს. მონეტებზე აღბეჭდილი ზედწერილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია თარიღი, რომელიც მონეტის მოჭრის დროზე მიუთითებს. რუსუდან მეფის ვერცხლის მონეტებზე ქართული ზედწერილია: "სახელითა ღვთისაითა იჭედა ქორონიკონსა 450. (ძველ საქართველოში საკუთარი წელთაღრიცხვა არსებობდა და მას ქორონიკონს უწოდებენ. თარიღის აღსანიშნავად, ციფრების ნაცვლად ხმარობდნენ ანბანის ასოებს, რომელთაც რიცხვითი მნიშვნელობა ჰქონდათ. ჩვენში ქორონიკონით წელთაღრიცხვა შემოიღეს ახალი წელთაღრიცხვით 780 წლიდან. ქართული ქორონიკონი რომ ჩვენი, დღევანდელი წელთაღრიცხვით გამოვიანგარიშოთ, საჭიროა ქორონიკონის რიცხვი მივუმატოთ 780 წელს. მაგალითად, 407 ქორონიკონი იქნება: 780+407=1187 წელი.

1804 წლიდან თბილისში დაიწყო ახალი ტიპის – რუსულ-ქართული ვერცხლისა და სპილენძის მონეტების მოჭრა, რომელთა შუბლზე ქართული ასოებით ამოტვიფრული იყო ზარაფხანა "თბილისი", ზურგზე – ნომინალი, თარიღი და მონეტის მომჭრელის რუსული ინიციალები. 1918 წლის 26 მაისს შეიქმნა დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. დროებითმა მთავრობამ საკუთარი ფულის ნიშნების შემოღება გადაწყვიტა. 1919 წლიდან ბრუნვაში იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფულის ბონები, რომელთა წარწერებიც ქართული იყო, თუმცა უკანა მხარეს რუსულ-ფრანგული წარწერებიც ჰქონდა. ბონებს ახლდა მთავრობის თავმჯდომარისა და ფინანსთა მინისტრის ხელმოწერები. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება მყარი ვალუტის შექმნას აპირებდა, რისთვისაც ესკიზიც შეიქმნა, მაგრამ 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამ პროექტის განხორციელებას ხელი შეუშალა.

ეროვნული ვალუტის შემოღება მოხერხდა მხოლოდ 1995 წელს. 1995 წლის 2 ოქტომბრიდან ბრუნვა დაიწყო ლარმა, რომლის ქვეყანაში დამკვიდრებით ქართული ფულის მოჭრის ტრადიცია გაგრძელდა.

# dauviwyari kapitani 15 marts 75 wlis gaxdeboda!



ყოველ ჩვენგანს განსაკუთრებული სიბრალული გვეუფლება, როდესაც ადამიანი ტოვებს ამქვეყნიურ სამკვიდროს, მაგრამ კიდევ უფრო დასანანია, როცა ისეთი კაცი მიდის ამ ქვეყნიდან, რომელსაც შოთა იამანიძე ჰქვია. შოთასთან შეხვედრა და მასთან საუბარი დიდი სიამოვნება იყო. კარგი მოსაუბრე, განათლებული, ერუდირებული კაცი იყო. ჩვენო შოთა, 41 წელი გავიდა, რაც შენი საყვარელი მამულიშვილების გარეშე დარჩი. ველარ ვიხილავთ გულშემატკივრები გუნდის ხერხემალს, ინტელექტუალურ ადამიანს. რამდენი რამის გახსენება შეიძლება — როდესაც 60-იან წლებში სტადიონზე შესვლა ძალიან ჭირდა, მივდიოდით დინამოს ბაზაზე, რომ ბილეთები როგორმე გვეშოვნა, „ზაბორებთან" ვიდექით, დავუნახივარ და ორი ბილეთი გამოუტანებია ბაზის კომენდანტი რუბენასათვის. იკითხა — რუბენამ იბო რომელიაო, მე-მეთქი (ან როგორ დამინახა?) ეს ორი ბილეთი შოთას გამომატანაო. ამდენი გულშემატკივარი პირდაღებული მიყურებდა. მე შოთას 35-სკოლიდან ვიცნობდი, როცა მიშა სავარჯიშოდ მიდიოდა ხოლმე, მივყვებოდი და იქიდან დაიწყო ჩვენი ურთიერთობა. უკეთილშობილესი კაცი იყო. უდიდესი შრომის თავგამეტებით, ჯაფისა და სისხლის საფასურად, აუნაზღაურებელ სიხარულს ანიჭებდა თავის საყვარელ ხალხს ყველგან, საქართველოში, ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში და უცხოეთში. ოჰ, როგორ გვაკლიხარ, შენმა უცნაურმა სიკვდილმა, ყველას გული გვატკინა ძნელია უშენობა. შენ ხომ მარტო ფეხბურთელი არ ყოფილ-



ხარ, შენ იყავი ყველასთვის სიკეთის მთესველი კაცი. ბატონი ანდრო ჟორდანიას სიტყვები გამახსენდა „ეჰ რა ბიჭი იყო! ყველაფერი შეეძლო, „დიავოლ", მთელი გუნდი იყოო". შენ რომ ცოცხალი ყოფილიყავი, ალბათ რამდენს ინერვიულებდი, შენი შვილიშვილი შოთიკო რომ დაიჭირეს. ამ უნამუსოებმა ამათმა, ხომ არაფრის პატიება არ იციან, ასეთი ადამიანები პატიოსნებაზე გველაპარაკებიან. ჩემო საყვარელო შოთა, ახლა ზუსტად შენისთანა კაცი სჭირდება ქართულ ფეხბურთს, შენი ორმოცი რომ იყო, მიშას ცრემლი მოადგა თვალზე და თქვა-იბო ორმოცი დღე გავიდა და მე კიდევ არ მჯერა, თითქოს ახლა უნდა შემხვდესო, ასეთია ქართველი კაცის გულისტკივილი. ფეხბურთს რომ თავი დაანება, მუშაობა დაიწყო თავისი პროფესიით ის ხომ მშენებელი ინჟინერი იყო. შოთამ 1967 წელს მუშაობა დაიწყო თავისი პროფესიით. აქაც თავი გამოიჩინა, როგორც კარგმა ორგანიზატორმა. იგი ხელმძღვანელობდა მსხვილ სამშენებლო ორგანიზაციას. აქაც ყველას შეაყვარა თავი. ეს 41 წელი თითქოს გუშინ იყო, ისე სწრაფად გადის დრო. ერის შვილთან განშორება სევდიანია არა მარტო შენი ახლობლებისათვის და ნათესავებისათვის, არამედ მთელი ქართველი ხალხისათვის, რომელსაც ასე ძალიან უყვარდი. მადლობა, დიდო კაცო იმისათვის, რომ გაჩნდი ამ ქვეყანაზე, რომ მილიონობით ხალხს ამდენი სითბო და სიხარული მოუტანე, კიდევ იმისათვის, რომ ქართული ნიჭის დემონსტრირება მოახდინე, იმიტომ რომ, დაიბადე და არსებობდი ამ ქვეყნად, იმიტომ, რომ თბილი იყავი ყველასათვის და თბილი დარჩები ჩვენს გულებში ჩვენო გემრიელო შოთა. სანამ არსებობს ქართული ფეხბურთი შოთა იამანიძის — უდიდესი კაპიტნის სახელი დავიწყებას არ მიეცემა.

**იბო დოლიძე**









## თავსატეხი

ჰორიზონტალურად: ასაგა, ილიოვე, ხანით, აბორტი, ანტალია, გაგაზი, დაითვი, ვანილი, თიკანი, კანტრი, შაგაგა, ოლეგინა, პოკოლო, ტიატია, ფიოლია, ვარი-გოზი, ქალამანი.

ვერტიკალურად: აგაგა, აქლიმი, ნოდია, ფარია, ურემი, ლილიან, ნანიკო, სახელი, ქოფაკი, ყიყინი, შიშინი, ჩალმია, ცერიატი, ძლევინი, წიწილა, ჭადა-რა, ბილიარდი.

## სამიდან ერთი

ჰორიზონტალურად: 1. ბიდონი, თილივე, გუდენა. 2. ქილები, მაწონი, მურენა. 3. ვასილი, მეტალი, კილოფი. 4. პალტო, მაცნე, კორტი. 5. ტროსი, კრუ-პა, ნაიკი. 6. მურქანი, ანაბარი, კორპუსი. 11. პლენერი, ზვარაკი, ჯინჯილი. 12. სტიპერი, ლრუბელი, ამერიკი. 13. ფუფული, შიფერი, ხელენი. 14. ფასი-ნი, ტერინი, პენილი. 15. ლიტერი, კეპერი, ხანაზი. 19. ოსი, ენა, ალი.

ვერტიკალურად: 3. პასკენა, ვაკანსია, ჯამაგირი. 7. რეზინი, ჭიჭინა, ხუმარა. 8. სეკატორი, კალიალოლი, სარდინა. 9. ფერონია, ტენისი, ბაიუში. 10. კატალიზი, შალამანი, ლეოპოლდი. 13. ხუნდა, შატილი, ზეფამე. 16. ტრი-კონი, კრიოფტი, შლიაპერი. 17. ფერატი, ზაზუნა, მუსაკა. 18. ჩრდილი, კრა-ფუკა, ტიროლი. 20. საქურე, ფაცერი, რინანი. 21. პლატონი, ბაირონი, შტი-კერი.

## შიფრვორდი

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 32 | | 11 | | 14 | 3 | 15 | 14 | 9 | 6 | 9 |
| 12 | 24 | 4 | 24 | 30 | 9 | | 3 | | 17 | | 13 |
| | 11 | | 25 | | 1 | 3 | 15 | 23 | 24 | 2 | 9 |
| 21 | 9 | 22 | 10 | 4 | 9 | | 24 | | 1 | | 1 |
| | 31 | | 31 | | 4 | 9 | 23 | 31 | 9 | | 3 |
| 7 | 9 | 11 | 3 | 12 | 9 | | 9 | | | 16 | |
| 3 | | 10 | | 4 | | 20 | | 20 | 3 | 8 | 3 |
| 28 | 19 | 31 | 26 | 19 | 2 | 9 | | 9 | | 9 | |
| 9 | | 8 | | 31 | | 28 | 3 | 32 | 24 | 31 | 19 |
| 23 | 33 | 3 | 8 | 9 | | 9 | | 31 | | 5 | |
| 19 | | 6 | | | 19 | | 27 | 3 | 4 | 3 | |
| | 6 | 9 | 16 | 3 | 4 | 9 | | | | 2 | |
| | 9 | | 10 | | 3 | | 29 | 10 | 16 | 9 | 3 |
| 17 | 18 | 24 | 15 | 3 | 31 | 24 | | 26 | | | 11 |
| | 9 | | 3 | | 9 | | 27 | 19 | 31 | 26 | 9 |

ა-3, ბ-, გ-, დ-, ე-24, ვ-, ზ-, თ-, ი-9, კ-6, ლ-, მ-, ნ-, ო-19, პ, ჟ, რ-31, ს-2, ტ-, უ-, ფ-, ქ-, ღ-, ყ-, შ-, ჩ-, ც-, ძ-, წ-29, ჭ-, ხ-30, ჯ, ჰ-

# ვანგა – მსოფლიოს ყველაზე ინფორმაციული ქალბატონი




ბულგარელი წინასწარმეტყველი – ვანგა ამბობდა, რომ 2011 წელს რადიაქტიული ნივთიერებების აფეთქების გამო ჩრდილოეთ ნახევარსფეროში არ დარჩება არც ერთი ცოცხალი არსება, არც მცენარე. მუსულმანები დაიწყებენ ქიმიურ ომს არამუსულმანების წინააღმდეგ.

როგორც ვხედავთ, ნადგურდება იაპონიის ფლორა და ფაუნა.

ვანგას წინასწარმეტყველების მიხედვით, 2014 წელს ადამიანთა უმრავლესობა ჯუჯხობით, კანის კიბოთი და კანის სხვა დაავადებებით დასნებოვნდებიან ქიმიური ომის შედეგად. ორი წლის შემდეგ ევროპა თითქმის უკაცრიელი გახდება, ხოლო 2018 წელს ახალ მსოფლიო წესრიგს სათავეში ჩინეთი ჩაუდგება, განვითარებადი ქვეყნები ექსპლუატირებულებად და ექსპლუატატორებად გადაიქცევიან.

ბულგარელი წინასწარმეტყველის შეხედულებით, კაცობრიობის აღსასრული დედამიწაზე რამდენჯერმე დადგება. ადამიანები თვითონ დახოცავენ ერთმანეთს, გაანადგურებენ ბუნებას. ყველაზე დიდი დაღუპვა მსოფლიო წარღვნას მოჰყვება. უდიდესი ვარსკვლავი – მზე მკვდარი იქნება სამი წლის განმავლობაში. ყოველივე ეს დაკავშირებული იქნება იმასთან, რომ დედამიწას XXI საუკუნის დასაწყისში მეტეორიტი დაეცემა.

5079 წელს ნამდვილი ბოლო ჟამი დადგება. ამით მთავრდება „ვანგას ჩანაწერები“.

წინასწარმეტყველები ამბობენ, რომ ბოლო ჟამის ამბის მომთხრობი აღარავინ დარჩება, მაგრამ მოსალოდნელია ადამიანების სულიერი აღორძინება. ამას 2012 წლის ბოლოს გავიგებთ.

ვისაც არ სწამს და სჯერა მაიას წინასწარმეტყველების, ბოლო ჟამის დათარიღებას მიადევნოს თვალი, რომელიც ისააკ ნიუტონმა (2060 წელი), ბერმა აბელმა (2780, ანდა 2892 წლები) და ნოსტრადამუსმა (3797 წელი) იწინასწარმეტყველა.

## კრასნოდარში კონკია დაიბადა

კრასნოდარის მხარეში, ტიხორეცკის რაიონში გოგონა დაიბადა, რომელსაც „ზოლუშკა“ უწოდეს. იგი ბოშათა ოჯახში გაჩნდა. როდესაც დედამ გაიგო, რომ გოგონა ეყოლა, გადაწყვიტა მისი სახელი ოფიციალურად დაერეგისტრირებინა და კონკია დაარქვა. რამ მიიყვანა დედა ამ დასკვნამდე, ცხადია, უცნობია. ზღაპარს თუ დავუჯერებთ, კონკიას ეს სახელი იმის გამო შეერქვა, რომ მთელი ბავშვობა დაკონკილი ტანსაცმლით ეძინა ყუთში ბუხართან ახლოს.

## რომელი ქვეყნები გაქრებიან რუკებიდან უახლოეს პერიოდში?!

გაეროს ექსპერტებმა სპეციალური ცხრილი შეადგინეს, სადაც მოცემულია უახლოეს ხანებში მომაკვდავი ერების სია. სიის შედგენისას მთავარი მნიშვნელობა მიენიჭა ქვეყნებში არსებულ დემოგრაფიულ სიტუაციას და ეკონომიკურ პრობლემებს. ტოპ-ათეულში რუსეთსაც უკავია ადგილი. როგორც ამბობენ, უკანასკნელი რუსი 2888 წელს მოკვდება, ბუნებრივია, რუსეთის ტერიტორია ცარიელი არ დარჩება, მაგრამ პროგნოზი ჰიპოთეტურია. უკრაინა კიდევ 400 წელიწადი იარსებებსო, მაგრამ არსებობს ბედნიერი ქვეყნებიც, სადაც განვითარების დინამიკა საზარბიელოა – ეს აზიის და აფრიკის ქვეყნებია და კიდევ რამდენიმე ლათინური ამერიკის ქვეყანა.



ტოპ-ათეულში მოხვდნენ სლოვაკეთიც, რუმინეთიც, უნგრეთიც, მალტაც, ბოსნიაც, მაკედონიაც, სინგაპურიც, ჰონკონგიც და მაკაოც. როგორც გაერო იუწყება, აშშ-ი 177770 წლამდე იარსებებს (გაიხარე „მუშავ“, წამებულო!)

პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება“ დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მწერალი, ჟურნალისტი, ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე

ჯანრი კაშია

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.



„საერთო გაზეთი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მწერალი, მკვლევარი და ცნობილი ტელეწამყვანი.

ჯანრი კაშია

## ობობას ქსელისგან ვიოლინოს სიმები დაამზადეს



იაპონიაში ობობას ქსელისგან ვიოლინოს სიმები დაამზადეს. სამედიცინო უნივერსიტეტის თანამშრომელი ნარა სიგეიუსი დიდ ხანს ეცადა 300 ობობას ქსელი შეეგროვებინა. მკვლევარმა ვიოლინოს სიმების დასამზადებლად 3-5 ათასი ქსელის ძაფი დაალაგა ერთი მიმართულებით, გვერდიგვერდ.

სპეციალისტების თქმით, სიმები ღრმა და რბილ ხმოვანებს გამოსცემენ.

მოამზადა **ანა ვადაჭკორიამ**




ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო, ერთად ღვთისაკენ!

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** – უცნობთან დაწყებული თანამშრომლობა თქვენი კარიერისთვის ძალიან სასარგებლო აღმოჩნდება. ფინანსური საკითხების მოგვარებისას არ აჩქარდეთ – უფრო გათვლილი და ბალანსირებული მოქმედება გმართებთ. ოჯახში მომწიფებული კონფლიქტის განმუხტვა მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ.

**კურო** – ყველას, განსაკუთრებით კი, საკუთარი თავის მიმართ ძალიან მომთხოვნი ხართ და უარს ვერავისგან აიტანთ. გონება კარგად გიმუშავებთ და ფინანსურ პრობლემებს შესანიშნავად აგვარებთ. ოჯახში ძალიან მშვიდი და ჰარმონიული სიტუაცია გაქვთ.

**ტყუპები** – ტყუპების ენერგეტიკული მდგომარეობა საკმაოდ არამდგრადია და კარგი იქნება, თუ სიმშვიდეს და კეთილგანწყობას შეინარჩუნებთ. თუმცა თქვენს მატერიალურ მდგომარეობაზე წუწუნი ნამდვილად არ მოგიწევთ.

**კირჩხიბი** – სიმშვიდე და გაწონასწორება გჭირდებათ. იმ უამრავი საქმიანი წინადადებიდან, რომლებსაც ამ დღეებში შემოგთავაზებენ, არცერთი ივარგებს და ამდენად, დაფიქრებაც არ ღირს.

**ლომი** – თუ ამ კვირას ახალი სამსახურებრივი რომანით დაიწყებთ, აუცილებლად გამიჯნეთ ერთმანეთისგან საქმე და პირადი საკითხები. სასიყვარულო ურთიერთობებში კი მართლაც ცხელი დღეები გაქვთ.

**ქალწული** – თქვენი კარიერის საკითხით, ბოლოს და ბოლოს, საკმაოდ კომპეტენტური პირებიც დაინტერესდებიან და დიდი ხნის ნანატრ წარმატებასაც მიაღწევთ.

**სასწორი** – ერთობლივ პროექტზე იწყებთ მუშაობას, რომელიც აუცილებლად წარმატებით დაგვირგვინდება და ამ საქმიდან სხვებზე მეტად თქვენ ისარგებლებთ. ფინანსების საქმე ნამდვილად გამოსწორების გზაზეა.

**მორიელი** – ეს კვირა საკმაოდ ნელა და მძიმედ იწყება, მაგრამ ყველასთვის და განსაკუთრებით თქვენთვის, მოულოდნელი შედეგებით დასრულდება.

**მშვილდოსანი** – მხოლოდ კარიერაზე ფიქრობთ და თქვენი პირადი ცხოვრება უკანა პლანზე გადადის. არ არის გამორიცხული, რომ ამის გამო საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენა გამოგრჩეთ და გვიან მიხვდეთ.

**თხის რქა** – სარისკო საქმეებს, ჯობია თავი აარიდოთ. განსაკუთრებით კი კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს ერიდეთ. ოჯახში თითქმის ერთგვარი გაუცხოება შეინიშნება, მაგრამ დროებით ერთმანეთისგან დასვენება ყველასათვის სასარგებლო აღმოჩნდება.

**მერწყული** – საკმაოდ დაძაბული მოვლენების ცენტრში აღმოჩნდებით და მაქსიმალური შემართების და მოთმინების გამოჩენა მოგიწევთ.

**თევზები** – ფინანსური საკითხები ამ კვირაში ნაკლებად გადარდებთ, ოჯახის წევრებსაც საკმაოდ სერიოზული პრობლემები აქვთ, მაგრამ კვირის ბოლოსთვის ყველაფერი მოგვარდება.

### ამავე ნომრის სკანვორდის პასუხები:

სკანვორდი

1.სასტვენი. 2. სამარხი. 3. სტილისტი. 4. აკაპულკო. 5. აფროდიტე. 6. ხეიბარი. 7. ბარი. 8. ლაკომბი. 9. ველა. 10. ალდაგი. 11. სიეტლი. 12. ლუმინალი. 13. პიერო. 14. დუკატი. 15. ეპიური. 16. პიტერ. 17. პარანოიკი. 18. ფენიქსი. 19. დელფინი. 20. ლეგო. 21. ვარძია. 22. ფარელი. 23. ფრანკი. 24. ბატი. 25. ბორტი. 26. ბული. 27. ლანდშაფტი. 28. ქვაბული. 29. ნეტო. 30. დესპინე. 31. პერანგი. 32. როსინანტი. 33. არიეტა. 34. ჩაფარი. 35. რუსუდანი. 36. ფშატა. 37. ასფალტი. 38. ფასანაური. 39. ჭომა. 40. კაბრიოლეტი. 41. საფილო. 42. ფული. 43. ფანდი. 44. ონო. 45. პინტა. 46. მეჩეჩი. 47. პილპილი. 48. ედიტ. 49. დუგმა. 50. კენი. 51. დეპი. 52. თალიში. 53. კენედი. 54. გუდასტვირი. 55. ავთო. 56. თალია. 57. ბეჩა. 58. გოგენი. 59. საგანი. 60. გავრილ. 61. თორემ. 62. ტაქსი. 63. სკოტჩი. 64. სვე. 65. სიათა. 66. ნირვანა. 67. ტრალი. 68. ჩელენჯერი. 69. ბლობა. 70. ანტრაშა. 71. რეჟისორი. 72. მისტრალი.

კროსვორდი

შვეულად: 1. ვატიკანი. 2. კუნაპეტი. 3. ციტირება. 4. რადიკალი. 5. მასშტაბი. 6. ნიასა. 7. აჭიმი. 12. ლოტოსი. 15. ფოტოფობია. 16. ლოიალური. 17. რეგიონი. 18. კატალიზი. 19. პალისადი. 21. არიზონა. 23. ბლინი. 27. დაგერი. 29. რენიე. 30. პიკი. 31. ჟაკო. 32. თია. 33. ენა.

თარაზულად: 3. ცერემონია. 8. სატურნი. 9. დესპანი. 10. მიწაყრილი. 11. კეტსალი. 13. კაბერნე. 14. ლიბერტა. 15. ფილიგრანი. 19. პასი. 20. ტრილოგია. 22. რატილი. 24. ფოლკლორი. 25. ზულუსები. 26. ბოროდინო. 28. ზადარი. 30. პაჟი. 32. თალესი. 34. კიკინები. 35. ბანდიტი.

სკანვორდი

1.ვაშინტონი. 2. ჭინჭილა. 3. ჭოპორტი. 4. ჭადრაკი. 5. მიტელშპილი. 6. მეტრონომი. 7. ზნედაცემული. 8. არათითი. 9. ალავერდი. 10. პირველი. 11. იატაგანი. 12. ქერტლი. 13. ვაზელინი. 14. შპილი. 15. ფორმოზა. 16. ნახიჩევანი. 17. ვარხვი. 18. ნესტლე. 19. მერმისი. 20. ჯაზი. 21. ჯივისი. 22. სენტროპე. 23. მიმი. 24. მუსკულატურა. 25. დრელი. 26. ჯიხვი. 27. ჩლავი. 28. კლეი. 29. ჯეიხანი. 30. სიმეტრია. 31. ჯეჯილი. 32. თუნუქი. 33. რეპატრიაცია. 34. დებატები. 35. პეტრე. 36. დილომი. 37. ბაქიბუქი. 38. ბურგასი. 39. ქრონოლოგია. 40. მკერავი. 41. ბრუკ. 42. ენდემი. 43. გრანტი. 44. ფერეიდანი. 45. ლიდია. 46. კალთა. 47. დოლბანდი. 48. დემი. 49. დილეგი. 50. თონე. 51. მილანი. 52. მარინა. 53. რაუნდი. 54. ტილო. 55. ორიონი. 56. ანატოლია. 57. ვოგი. 58. თიკა. 59. ნუარე. 60. კურტ. 61. ქართუ. 62. ბაბეტა. 63. კუნელი. 64. კრიალა. 65. ტაქსი.